# ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით ფასი 1,50 ლარი 27 მაისი 2011 №11(141)

1516
2011



ერთი კარგი რითმა

ინგა მილორავას ესეი

რეზო ჭეიშვილის ნოველა

მაჩე მარადელის ლექსები

შმიდტის ოდეტ ტულმონდი

„ზორიაყის“ ამაღლებული ვნებანი

მოხეტიალე პოეტი და ფილოსოფოსი

კაცი, რომელიც სჭირდება სამშობლოს

გურამ გოგიაშვილი დემნა შენგელაიაზე

რჩეულთა სავანე თუ პრესტიჟული სასაფლაო

# „ინტელექტი“ გთავაზობთ

























მისამართი: ილია ჭავჭავაძის 17ბ ტელეფონი: 25 05 22, 91 22 83, 899 55 66 54

| | | |
|---|---|---|
| ჩვენი ყოფა. წუთისოფელი | 2 | როსტომ ჩხეიძე მთაწმინდა — რჩეულთა სავანე თუ პრესტიჟული სასაფლაო? |
| ესპრეს-ინტერვიუ | 6 | ცირა ყურაშვილი „როცა ადამიანები ერთმანეთს პოულობენ" (მოამზადა ნატა ვარადამ) |
| პროზა | 8 | რეზო ჭეიშვილი ქორეოგრაფი მესხორიძე |
| პოეზია | 18 | მათე მარადელი ოდესმე ალბათ და სხვა ლექსები |
| უცხოეთის ცხოვრებიდან | 20 | ანი ელისაბედაშვილი მოხეტიალე პოეტი და ფილოსოფოსი (ბაშიო) |
| ესეისტიკა | 23 | ინგა მილორავა კუნძულები (დავით წერედიანისა და როსტომ ჩხეიძის ახალი წიგნები) |
| დიალოგი | 24 | ნინო საბაშვილი ორ სიტყვად ნათქვამი „ყველა" და „ფერი" ანუ ყველამ უნდა იპოვოს თავის სათქმელი... (გოგა თავაძე) |
| თქმა მართლისა | 28 | ბონდო არველაძე „ეგრე არ არის თაყაო, შენ რომ მამული დაყაო" |
| რეპორტაჟი | 31 | ეკა ბუჯიაშვილი კაცი, რომელიც სჭირდება სამშობლოს (გურამ პეტრიაშვილის ლიტერატურული ზღაპრების განხილვა) |
| სილუეტები წარსულიდან | 35 | თამაზ ნატროშვილი ერთი კარგი რითმა |
| კრიტიკა | 38 | ზურაბ მარშანია „ბორიაყის" ამაღლებული ვნებანი |
| ჩემი პატარა ქალაქი | 41 | ნათე ბანძელი ნიგვზის ჩრდილქვეშ ჩამქუდროებული უკვდავება (აკაკი გაწერელიას მემორიალის გახსნა) |
| შტრიხები პორტრეტისათვის | 44 | გურამ გოგიაშვილი მეც ჩემი სათქმელი მაქვს (დემნა შენგელაია) |
| პოეზიის მერიდიანები | 48 | იონას ლინაუსკასი ციტატა და სხვა ლექსები |
| ლიტერატურული ცხოვრება | 49 | წიგნის დარბაზი (კობა გურული — მოქანდაკე, მხატვარი, პოეტი) |
| უცხოური ნოველა | 50 | ერიკ-ემანუელ შმიდტი ოდეტ ტულმონდი |
| ლიტერატურული ცხოვრება | 61 | თეკლე ჯანელიძე ქველმოქმედება და მისი ისტორიული ფესვები (ზაზა სიორიძის მონოგრაფიის წარდგინება) |
| მოზაიკა | 63 | სტუმარი და მასპინძელი |



ორკვირეული ჟურნალი

დამფუძნებელი „ილიონი"



მისამართი: თბილისი,
ჩუბინაშვილის №41

რედაქცია – (995 32) 96_20_62

რეკლამა – (995 93) 65_93_68

გავრცელება – (995 77) 11_24_30

ფაქსი: (995 32) 96_20_62

E_mail: info@mtserloba.ge



PRINTED BY "OMEGA TEGI" PRINT HOUSE
TBILISI, GEORGIA, 17 SARAJISHVILI STREET

მთავარი რედაქტორი – როსტომ ჩხეიძე

პროზის რედაქტორი – ივანე ამირხანაშვილი

პოეზიის რედაქტორი – მაკა ჯოხაძე

კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – თამაზ ნატროშვილი

მხატვრული რედაქტორი – კარლო ფაჩულია დიზაინერი – მალხაზ იაშვილი

სტილისტ-კორექტორი – ნინო დეკანოიძე დაკაბადონება – თენგიზ რობიტაშვილი

ოპერატორი – თამარ ჩიხლაძე სარეკლამო მენეჯერი – ეკა ბუჯიაშვილი

გავრცელების სამსახური – ლევან კიკნაძე

გარეკანზე: მსახიობი კატრინ ფორი, ერიკ-ემანუელ შმიდტის ფილმიდან „ოდეტ ტულმონდი", ფოტოეტიუდი ერიკ კაროსი


„ჩვენი მწერლობის" მომდევნო ნომერი გამოვა 10 ივნისს

როსტომ ჩხეიძე

# მთაწმინდა — რჩეულთა სავანე თუ პრესტიჟული სასაფლაო?

იყო დრო, როდესაც იაკობ გოგებაშვილს ასარჩევი გახდომოდა, თუ სად გაჭრილიყო მისი სამარე — მთაწმინდაზე თუ დიდუბის ეკლესიის გალავანში.

როგორც თვითონ გადაწყვეტდა, ისეც აღსრულდებოდა. და ახლობლებს რომ დაეთათბირებოდა, ისინი დიდუბეს ურჩევდნენ. მართალია, მთაწმინდაზე დიმიტრი ყიფიანი და ილია ჭავჭავაძე განისვენებდნენ, მაგრამ იქაურობას შამბი და ეკალი მოსდებოდა, მიყრუებულიყო, ადამიანის ფეხი არა ხვდებოდა, ხოლო ვისაც სურდა, რომ მისი საფლავი დროდადრო მოენახულებინათ ხოლმე, დიდუბე უჯობდა სამარადისო სამყოფელად.

იაკობ გოგებაშვილს საკმაოდ დამაჯერებელი მოეჩვენებოდა ეს არგუმენტი და დაიბარებდა: დიდუბის მიწაში დამმარხეთო. ზუსტ ადგილსაც შეიგულებდა იქ საგანგებოდ მისული.

მაგრამ დადგებოდა დრო, როდესაც მთაწმინდის ძვალშესალაგს განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭებოდა, მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონი დაერქმეოდა და, ცხადია, იაკობ გოგებაშვილის ნეშტსაც აქ აასვენებდნენ — საბაბად კი მისი დაბადების ას წლისთავს გამოიყენებდნენ.

ეს დრო, და ახალი პოლიტიკური რეჟიმი, ულმერთოდ აურდაურევდა და აჭრიდა ერთმანეთში ყველაფერს და ქვეყნის მოჭირნახულე, მისთვის თავდადებული ადამიანების გვერდით ჩამომწკრივდებოდა რევოლუციის გმირებად მონათლულ ადამიანთა საფლავები, მათი, ვინც საქართველო რუსეთის უღელში შეაგდო.

როგორ შეიძლება ქრისტე და იუდა ერთად განისვენებდნენო, — საჯარო თავყრილობებისას კატონისებური დაჟინებით გაიძახოდა კონსტანტინე გამსახურდია, ილია ჭავჭავაძის გვერდით ფილიპე მახარაძისთვისაც რომ მოეზომათ ადგილი.

ეს მაშინ თავზეხელაღებულ საქციელად გამოიყურებოდა; და თუმც აინუნშიაც არ ჩააგდებდა ხელისუფლება მის ამ მოთხოვნას, ქართველი ერის სურვილს რომ გამოხატავდა, 1987 წელს ეს სურვილი მაინც აღსრულდებოდა, როდესაც ფარულად ააფეთქებდნენ ამ კიდევ ერთი იუდას საფლავს, და ეს აფეთქება იქნებოდა ყველაზე ლამაზი და შთამბეჭდავი ყველა აფეთქებას შორის, რაც ჩვენს თვალსაწიერში მომხდარა.

კარგი იქნება, თუ ასაფეთქებლად არ გაგვიხდიან ალექსანდრე გრიბოედოვის სამარესაც და გადაასვენებენ მოსკოვში, რომლის დიდებისათვისაც გაწირა თავი და ქართველი ხალხის დედანულიანად აყრისა და რუსეთის შიდაგუბერნიებში გადასახლების გეგმასაც ამ მიზნით ადგენდა.

გარდა „რევოლუციის რაინდებისა", არაერთი ისეთი ადამიანიც მოხვდა ჩვენი წმინდა მთის განსასვენებელში, პიროვნული ღირსებებითაც რომ გამოირჩეოდნენ, საკმაოდ წვლილიც მიუძღოდათ ქართული ლიტერატურის, თეატრისა თუ კინემატოგრაფის წინაშე, მაგრამ... შეუდარებლად ჩამორჩებოდა მათი წვლილი იმ ღვაწლს, მთაწმინდაზე დაკრძალვის ღირსს რომ გხდის და ქვეყნის სიმბოლომდე აგზიდავს.

თუ მთაწმინდა რჩეულთა განსასვენებელია, ასე და მხოლოდ ასე უნდა იყოს — ქვეყნის სიმბოლოს უტოლდებოდე, თორემ იგი საბოლოოდ დაემგვანება „პრესტიჟულ სასაფლაოს", სად მოხვედრაც ჭირისუფალთა მოხერხებულობისა და გაძრომ-გამოძრომის უნარზე უფრო იქნება დამოკიდებული.

დიდი იერიში მიჰქონდათ ჭირისუფლებს მთაწმინდაზე საფლავის მოსაპოვებლად, ლამის აიღეს მთავრობა დაჟინებითა და ჩიჩინით, და ედუარდ შევარდნაძე, ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი და ერთპიროვნული მმართველი აქაური მასშტაბით, ამ დაუსრულებელ იერიშებს იმით აღკვეთდა, რომ ნოდარ დუმბაძეს საბავშვო ქალაქ „მზიურის" შესასვლელთან გაუჭრიდა სამარეს.

იმხანად არ არსებობდა უფრო სახელოვანი და პოპულარული ქართველი მწერალი, ხელისუფლებისგანაც უფრო დაფასებული და ჯილდოებით აღვსილი, ვიდრე ნოდარ დუმბაძე გახლდათ. მითუმეტეს, გარდაიცვალა მწერალთა კავშირის თავმჯდომარის პოსტზე და მიჩნეული იყო ედუარდ შევარდნაძის მეგობრად.

თითქოს წინ რა უნდა დადგომოდა მის დაკრძალვას მთაწმინდის პანთეონში?

მაგრამ ხელისუფალი ამ მტკიცე გადაწყვეტილებით ყველას აგრძნობინებდა, რომ ჩამოხსნოდნენ მთაწმინდაზე ოცნებას — თუკი ნოდარ დუმბაძისათვის არ იმეტებდა იქაურობას იმის მოსაბაბებით: „მზიური" ამ მწერლის იდეით აშენდაო, — სხვას ვილას არგუნებდა.

და კიდეც აღიკვეთებოდა იერიშები.

ყველა შეეგუებოდა მთაწმინდის მიუღწევლობას.

თორემ მანამდე სალიტერატურო და სახელოვნებო წრეებში ის ვითარება სუფევდა, რე-

სამშაბათს, 31 მაისს
ჟურნალ „ჩვენი მწერლობის"
დარბაზში გაიმართება
შეხვედრა

**კონსტანტინე ზ. გამსახურდიასთან**

**ზვიად გამსახურდიას**
**დაღუპვის გარემოებანი**

დასაწყისი 14 საათზე
ჩუბინაშვილის 41

ზო ჭეიშვილის ნოველა „მიწების განაწილება“ მწვავე სატირით რომ წარმოსახავს და მთელ ქვეყანაში გამეფებულ აბსურდსა და ზნეობრივ საზომთა სრულ მოშლას ხელშესახებს ქმნის იმ იშვიათი ოსტატობით, თავისი მხატვრული სამყარო რომ აპოვნინა ქართული პროზის მიღწევათა განუყოფელ და მომხიბლავ, გულისშემძვრელ შენაკადად.

განსაკუთრებულ ვნებათაღელვას, ცხადია, იწვევს წმინდაგორა (სახელწოდება საკმაოდ გამჭვირვალეა!), რომლის თაობაზეც კრების თავმჯდომარე ააქცენტი გამრეკლიძე იუწყება, დღესდღეობით იქ მხოლოდ 14 ადგილი დაგვრჩაო. აქედან სამი უკვე დაკავებული ყოფილა გადასვენება-გადმოსვენების ბიუროს მიერ. მართალია ორ ადგილს შეპირებულნი იყვნენ გამწვანების ტრესტიდან, მაგრამ:

— უმჯობესია ვიგულისხმოთ, რომ წმინდაგორაზე გვრჩება მხოლოდ და მხოლოდ ცხრა ადგილი რეალურად. აქედან ვანაწილებთ მხოლოდ შვიდს, ორს ვიტოვებთ რეზერვში.



მამა დავითის ეკლესია

წმინდაგორელებს რომ ჩამოთვლიან — ალაპი აფაქიძე, ტონთიო აფაქიძე, გიორგი დაკარგული, ააქცენტი გამრეკელი, კაკოია მერაძე, მოსე ხონელი, ფუთა ჯორჯიკია — იქ დაკრძალვის ღირსი ამ შვიდი კაცის გარდა არავინ აღმოჩნდება, მაგრამ თავმჯდომარე ირწმუნება, შვიდნი კი არა, რვანი არიანო.

— ამხანაგებო, საქმე იმაშია, რომ შემოსულია გიორგი დაკარგულის განცხადება. ამხანაგი დაკარგული წმინდაგორაზე ითხოვს ორ ადგილს... ერთს თავისთვის, ერთს მეუღლისათვის... მართალია, საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიგვილია, მაგრამ იმედია, დავაკმაყოფილებთ დაკარგულის თხოვნას.

ამ სიტყვებმა ძალიან უნდა ააღელვოს ივლიანე ტყეშელაშვილი: ეს რა გამოვიდა, მე ბედუბეში გადამაგდეთ ბიუსტის უფლებით და დაკარგულს ორ ადგილს აძლევთ წმინდაგორაზეო.

— მე დაკარგულის წინააღმდეგი კი არა ვარ, სხვანაირად არ გამიგოთ, მაგრამ დაკარგული ვინ არის, რომ ორ ადგილს ითხოვს? მე ხომ არ ვამბობ, არ ეკუთვნის-მეთქი. კი ეკუთვნის და სხვასაც ეკუთვნის... და რა გახდა ბოლოსდაბოლოს ეს დაკარგული... ეს თუ კანონი და სამართალია, ამიხსენით, იქნებ მე არ მესმის, რას ვლაპარაკობ?..

ნესტორ დვალი ამ არგუმენტაციით ცდილობს მის მოგერიებას: ყველას თავი მეტის ღირსი ჰგონია, ყველას ზევით და ზევით მიუწევს გული, მაგრამ ამ ოლიმპებს დამსახურება უნდა, ამხანაგებო. ცნობისათვის, რომ იცოდეთ, ამ სიაზე იმუშავა პრეზიდიუმმა. ყველაფერი აიწონა და დაიწონაო, — მაგრამ სხდომის თავმჯდომარე კიდევ უფრო ეფექტურ პასუხს მოიფიქრებს:

— ამხანაგებო, მე მგონი, არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ ბევრი თქვენთაგანი, თუ ყველა არა, დამეთანხმებითყენ უდავოდ, გიორგი დაკარგულს იმოდენა დამსახურება კი აქვს, რომ წმინდაგორაზე ორი ადგილი მოითხოვოს... სამიც. — დაუმატა მან, რადგან მსმენელთა მხარდაჭერა იგრძნო, — ოთხიც! — დააყოლა ბოლოს. ეს კი ნამეტანი მომივიდაო, გაიფიქრა და განაგრძო...

ჭეშმარიტად ჭეიშვილური იუმორია, თანაც ეს „დამეთანხმებითყენ“ ერთ რამედ ღირს.

ამისთანა პასაჟი „მიწების განაწილებაში“ უამრავია და ამიტომაცაა ეს მოთხრობა ერთ-ერთი საუკეთესო მის შემოქმედებაშიც და ქართულ ბელეტრისტიკაშიც.

გახსოვთ ააქცენტი გამრეკლიძის სიტყვები, ორ ადგილს წმინდაგორაზე რეზერვში ვიტოვებთო?

ასევე ინახავენ რეზერვში — ეს უკვე ბედუბესა და საბუეს პანთეონებში (სახელწოდებანი ამჯერადაც საკმაოდ გამჭვირვალეა!) — ადგილებს, მწერალთა კავშირის წევრთა უმრავლესობას კი ახარბებენ განში, უმარილო ზღვის რაიონში მხოლოდ და მხოლოდ ამათთვის განკუთვნილ, უზარმაზარ, ცხრა წრედ დაყოფილ პანთეონს, რომლის მშენებლობაც უახლოეს წლებში უნდა დაიწყოს და იქვე აშენდეს დახურული სასადილოც, დასასვენებელი სახლებიც, სკვერებიც და წყალჯომარდობის ორი აუზიც.

დიდებული გარემოა მიცვალებულთათვის!.. მითუმეტეს, რომ კავშირის წევრებს ძალიან აღელვებთ თუნდაც ის ვითარება, მიადგება თუ არა მათ სამუდამო განსასვენებელს მზე.

ზოგი ამ სიაშიც ვერ მოხვდა, მაგრამ არიან კავშირელები, რომელნიც ასე იოლად არ იყაბულებენ ცხრა წრედ სახელდებულ პანთეონს. ამიტომაც თავმჯდომარე სატყუარად იყენებს სარეზერვო ფონდის ადგილებს:

— ყველა განელი კანდიდატია სარეზერვო ფონდისა. უფრო სწორად, დამსახურების მიხედვით ცხრა ჯვრიდან, უკაცრავად, ცხრა წრიდან, გადმოხვალთ საბუეზე, ბედუბეში და შეიძლება, არც ეს არის გამორიცხული, წმინდაგორაზეც კი.

აუღებელი არც ისაა.

მონდომება თქვი, თორემ!..

ეს რომ უქმი დაპირება არ არის, იმითაც უნდა გათვალსაჩინოვდეს, რომ როდესაც ივლიანე ტყეშელაშვილი გაილაშქრებს გიორგი დაკარგულისათვის წმინდაგორაზე ორი ადგილის გამოყოფის წინააღმდეგ, ააქცენტი გამრეკლიძე დასაშოშმინებლად აღუთქვამს, ჩვენ ყურად ვიღებთ თქვენს პრეტენზიასო:

— თუ წერილობით შემოიტანთ საჩივარს, უმჯობეს არს — იქნება. განვიხილავთ, ბატონო, ამ საჩივარს, და თხუთმეტი წლის შემდეგ გადმოგასვენებთ წმინდაგორაზე რეზერვში.

არა, არ არის ეს ყოველივე მარტოდენ მწერლის წარმოსახვის ნაყოფი — ყოფით რეალობას მხოლოდ ნატურალისტური გადატანა სჭირდებოდა ფურცელზე და იმ მახვილგონივრული მხატვრული ქარგის მოქსოვა, რაც ნამდვილ მწერალთა ხვედრია.

ხელისუფლების ცვლილებას არ მოჰყოლია მთაწმინდისაკენ იერიშების განახლება — აშკარად არ მოჰყოლია, თორემ ფარულად, შიდაკულუარებში მაინც მოისინჯებოდა გზები იქ გასაღწევად.

მკვეთრი ცვლილება, სრული შემობრუნება საზოგადოებრივ-პოლიტიკურ რეალობაში გამოიწვევდა ეროვნული განცდების დიდ აღმაფრენას და ისე მოხდებოდა, რომ ეს განწყობილება უშუალოდ აისახებოდა მთაწმინდის ბინადართა ყოფაზეც, ახალი წევრი რომ შეემატებოდათ მერაბ კოსტავას სახით.

მისი დაკრძალვა 1990 წლის ოქტომბერს გადაიქცეოდა დიდ ეროვნულ მანიფესტაციად და გამართლებაც ეს გახლდათ იმ გადაწყვეტილებისა.

მოგვიანებით ზვიად გამსახურდიას გადმოსვენებაც გროზნოდან და მთაწმინდის უბეში შეფარებაც დიდ ეროვნულ მანიფესტაციად გარდაისახებოდა და ამ პოლიტიკური აქციის თაოსნობას ხალხი თვითონვე ითავებდა, თვითონ წარმართავდა თავიდან ბოლომდე მთელ რიტუალს, და ეს ისეთი თვალნათლივი იქნებოდა, რომ ხელისუფალნი ერთს გაიელვებდნენ და სიტყვის უთქმელად მიყუჩდებოდნენ, დაანებებდნენ ხალხს მანიფესტაციის შესაფერის დაგვირგვინებას.

გადაწყვეტილებით, ცხადია, ხელისუფლებამ გადაწყვიტა საქართველოს პირველი პრეზიდენტის ნეშტის გადმოსვენებაც და მთაწმინდაზე დაბინადრებაც და ამისათვის საგანგებო ცვლილებაც შეიტანა კანონში: თუ მანამდე 30 წელი დადებულიყო ზღვრად, ვიდრე განსვენებულს ღირსად სცნობდნენ წმინდა მთაზე ამაღლებისა,

**შეტანილია ცვლილებები საქ. პრეზიდენტის 03/29/2007№216, 05/19/2010№322 ბრძანებულებებით**

**საქართველოს პრეზიდენტის**
**ბრძანებულება №672**

*1999 წლის 17 დეკემბერი ქ. თბილისი*

**ღვაწლმოსილ მოღვაწეთა დაკრძალვის**
**წესის შესახებ**

ქვეყნის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის ღვაწლმოსილ მოღვაწეთა ხსოვნის უკვდავსაყოფად განისაზღვროს მათი დაკრძალვის წესი:

1. ღვაწლმოსილ მოღვაწეთა დაკრძალვას თბილისის საბურთალოს საზოგადო მოღვაწეთა და დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონებში განსაზღვრავს ადგილობრივი მმართველი ორგანო (თბილისის მერია) დადგენილი წესით, თუ კანონმდებლობით ან საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით სხვა რამ არ იქნება გათვალისწინებული.

2. ღვაწლმოსილ მოღვაწეთა დაკრძალვა მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში მოხდეს მხოლოდ გადასვენების წესით და განხორციელდეს მათი გარდაცვალებიდან 30 (ოცდაათი) წლის შემდეგ.

3. მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში ღვაწლმოსილ მოღვაწეთა გადასვენების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს პრეზიდენტი სათანადო ნორმატიული აქტით საქართველოს მწერალთა კავშირის, სხვა შემოქმედებითი კავშირების, შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების წარდგინებით.

**ედუარდ შევარდნაძე**

ახლა ეს რიცხვი 10 წლამდე შეამცირეს, რათა მიესადაგებინათ ზვიად გამსახურდიას დაღუპვის თარიღისათვის და მისი გამთაწმინდელება კანონის ჩარჩოში მოექციათ.

**საქართველოს პრეზიდენტის**
**ბრძანებულება №216**

*2007 წლის 29 მარტი ქ. თბილისი*

**„ღვაწლმოსილ მოღვაწეთა დაკრძალვის**
**წესის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის**
**1999 წლის 17 დეკემბრის №672 ბრძანებულებაში**
**ცვლილებების შეტანის თაობაზე**

1. „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 36-ე მუხლის შესაბამისად, „ღვაწლმოსილ მოღვაწეთა დაკრძალვის წესის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 17 დეკემბრის 672 ბრძანებულებაში (სსმ, III ნაწ., 1999 წ., 69, მუხ. 1062) შეტანილ იქნეს ცვლილებები და ბრძანებულების მე-2 და მე-3 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ღვაწლმოსილ მოღვაწეთა დაკრძალვა მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში მოხდეს მხოლოდ გადასვენების წესით და განხორციელდეს მათი გარდაცვალებიდან არა უადრეს 10 წლისა.

3. მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში ღვაწლმოსილ მოღვაწეთა დაკრძალვის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს პრეზიდენტი მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში ღვაწლმოსილ მოღვაწეთა დაკრძალვის განმსაზღვრელი სახელმწიფო კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე".

2. ბრძანებულება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**მიხეილ სააკაშვილი**

ის კი არა, საგანგებო განკარგულებაც დაისაჭიროვეს:

**საქართველოს პრეზიდენტის**
**განკარგულება №139**

*2007 წლის 30 მარტი ქ. თბილისი*

**ზვიად გამსახურდიას ნეშტის**
**მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო**
**მოღვაწეთა პანთეონში დაკრძალვის შესახებ**

1. საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ნეშტი დაიკრძალოს მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

2. ზვიად გამსახურდიას საქართველოში დაკრძალვასთან დაკავშირებით შექმნილმა კომისიამ უზრუნველყოს საქართველოს პირველი პრეზიდენტის დაკრძალვისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

**მიხეილ სააკაშვილი**

ვითომ სხვაგვარად ვერ მოხერხდებოდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღმდგენელი პიროვნებისათვის საფლავის გაჭრა სხვა მთაწმინდელთა გვერდით?

ძალიანაც კარგი, რომ კანონი გაითვალისწინეს და მასში შეიტანეს ცვლილება — არ იხელმძღვანელეს იმ მოსაზრებით, ჩვენს ხელთაა და, როგორც გვსურს, ისეც მოვიქცევითო.

კანონი ყველასთვის უნდა კანონობდეს არა ზეპირი განცხადებებისას და მოჩვენებითად, არამედ მართლა და ყოფით რეალობაში.

ეს კერძო შემთხვევა ბადებდა იმედს, რომ მთაწმინდაზე დაკრძალვა მაინც აღარ გადაცდებოდა კანონის ჩარჩოებს და აღარც არავის მოუვიდოდა აზრად იმ მოთხოვნის დარღვევა, რათა მისთვის ძვირფასი მიცვალებულისათვის მაინცდამაინც მთაწმინდა „გაეხაზირებინა".

მაგრამ...

თურმე არც ამ იმედს ეწერა გამართლება.

კანონი ჯერ ანა კალანდაძის გარდაცვალებისას დაირღვეოდა... და კიდეც მოიშლებოდა ყოველგვარი ბარიერი, გულდამწვარ ჭირისუფალთა იერიშების აღმკვეთი, თვით საპატრიარქოსაც რომ ამოიყენებდნენ გვერდით.

და საზომი უკვე გახდებოდა არა ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველასა თუ გალაკტიონ ტაბიძის სახელები, არამედ ანა კალანდაძის („ის თუ?..").

და კიდეც გაადვილდებოდა (შედარებით, ცხადია!) მთაწმინდის შეგულება გარდაცვლილის სამუდამო სადგომად.

ჯერ ნოდარ დუმბაძის ნეშტს აასვენებდნენ „მზიურის" შესასვლელიდან წმინდა მთაზე. ამჯერად კანონი არ დარღვეულა, რაკილა მისი გარდაცვალებიდან 30 წელიც გასულიყო, ოღონდ არავის მოაფიქრდებოდა მისი ამაღლება მთაწმინდაზე, ანა კალანდაძისათვის იქ სამარის გამოძებნა რომ არა.

მერე კანონის დარღვევა კიდევ არაერთხელ გახდებოდა საჭირო — ეს ოთარ ჭილაძეო, ეს მუხრან მაჭავარიანიო.

ამ უკანასკნელ შემთხვევაში კანონი თითქოს აღარ დარღვეულა, რადგანაც 2010 წლის 19 მაისს, მუხრან მაჭავარიანის გარდაცვალებიდან მესამე დღეს საგანგებო ცვლილების მოწმენი გავხდით, მაგრამ კანონის ასე მორგებაც კერძო პიროვნებაზე დიდად არ განსხვავდება დარღვევისაგან.

**საქართველოს პრეზიდენტის**
**ბრძანებულება №322**

*2010 წლის 19 მაისი ქ. თბილისი*

**„ღვაწლმოსილ მოღვაწეთა**
**დაკრძალვის წესის შესახებ"**
**საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 17 დეკემბრის**
**№672 ბრძანებულებაში**
**ცვლილებების შეტანის თაობაზე**

1. „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, „ღვაწლმოსილ მოღვაწეთა დაკრძალვის წესის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 17 დეკემბრის 672 ბრძანებულებაში (სსმ, III ნაწ., 1999 წ., 69, მუხ. 1062) შეტანილ იქნეს ცვლილებები და ბრძანებულებიდან ამოღებულ იქნეს მე-2 და მე-3 პუნქტები.

2. ეს ბრძანებულება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**მიხეილ სააკაშვილი**

ასე რომ, ამჟამად 1999 წლის 17 დეკემბრის პრეზიდენტის ბრძანებულება ასეთნაირად გამოიყურება:

**საქართველოს პრეზიდენტის**
**ბრძანებულება №672**

*1999 წლის 17 დეკემბერი ქ. თბილისი*

**ღვაწლმოსილ მოღვაწეთა**
**დაკრძალვის წესის შესახებ**

ქვეყნის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის ღვაწლმოსილ მოღვაწეთა ხსოვნის უკვდავსაყოფად განისაზღვროს მათი დაკრძალვის წესი:

1. ღვაწლმოსილ მოღვაწეთა დაკრძალვას თბილისის საბურთალოს საზოგადო მოღვაწეთა და დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონებში განსაზღვრავს ადგილობრივი მმართველობის ორგანო (თბილისის მერია) დადგენილი წესით, თუ კანონმდებლობით ან საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით სხვა რამ არ იქნება გათვალისწინებული.

2. ამოღებულია *(19.05.2010 322)*

3. ამოღებულია *(19.05.2010 322)*

მესმის — ძალზე საჩოთირო თემაა.

ისიც მესმის — მოიძებნებიან ადამიანები, რომელნიც ამ წრფელ გულისტკივილს სულ სხვაგვარად ჩამომართმევენ, თითქოსდა ამ პიროვნებებათა აჩრდილებთან გამჩენოდეს რაიმე სადავო.

ტყუილუბრალოდ ნურავინ გამეჯიბრება ნურც მათ სიყვარულში და ნურც მათი შემოქმედების ძირფესვიანად ცოდნაში.

ცოტა შორიდან გამოვხედოთ ამ ყოველივეს — ეს არის და ეს ჩემი თხოვნა.

არა ჩვენი პირადი გუნება-განწყობილებიდან, არამედ სულიერი და იურიდიული კანონის უზენაესობის სიმაღლიდან.

ზეპირად კი გამოცხადდებოდა ყოველი დაკრძალვის შემდეგ: ეს უკანასკნელია და იხურება მთაწმინდის პანთეონიო, — მაგრამ კანონს არ დაგიდევდნენ და ზეპირ განცხადებებს ვილა ჩააგდებდა აინუნში.

ტელეჟურნალისტები ისეთი აჟიტირებით და ერთსულოვნად იმეორებდნენ: მუხრან მაჭავარიანმა მაინც გაარღვია ბარიერიო, — თითქოს სპორტული შეჯიბრების რეპორტაჟს გადმოსცემდნენ და, ვთქვათ, ჩვენი ფეხბურთელის მიერ გატანილ გოლს (მოწინააღმდეგის კარში!) ზეიმობდნენ.

თუმც რა — ეს ყოველივე მართლაც სპორტულ სანახაობას დამგვანებია.

გაგრძელებაც, რასაკვირველია, შესაფერისი ექნება და... მთაწმინდა საბოლოოდ გადაიქცევა პროვინციის პრესტიჟულ სასაფლაოდ.

როდემდე?.. არა, მაინც როდემდე?..

ხომ უნდა აღიკვეთოს კანონის ეს გაუთავებელი რღვევაც და მთაწმინდის პანთეონის მნიშვნელობის თანდათანობითი დამცრობაც და სერიოზულად გადაიხედოს მის ბინადართა სიაც.

თხუთმეტი წელი ძალზე ცოტაც მგონია პიროვნების ღვაწლის სწორად და მიუკერძოებლად შეფასებისათვის, 30 წელი მაინც უნდა დაიდოს მიჯნად, ფრანგებისა არ იყოს, მაგრამ თუ მაინცდამაინც 10-ს დავაკანონებთ, ეს 10 მაინც შევინარჩუნოთ.

ისე ვისაც აზრად მოუვიდა ანა კალანდაძისათვის მთაწმინდისაკენ გზის გაკვალვა, ნუთუ ოდნავადაც არ დაფიქრებულა ამ პერსპექტივაზე, რაც ამ გადაწყვეტილებას მოჰყვებოდა? ეგებ დაფიქრდა კიდეც და... აინუნშიც არ ჩააგდო, მთავარია, სანადელისათვის მიეღწია.

თუმც კანონის არსებობას აუარეს გვერდი და ასეთ დროს „პერსპექტივა" რაღა სახსენებელია.

ხომ თვალნათლივია, რომ ეს თაოსნობა სალიტერატურო წრეებიდან დაიძრებოდა და არა ხელისუფლებიდან, რომელსაც თუ რაიმეს ედავებიან, უპირველესად — კანონებს ჰაიჰარად და თქვენს ნებაზე რატომ ექცევითო.

მაშ ამჯერად თვითონვე რატომ შესთავაზეს მას კანონის დარღვევა?

რატომ მოითხოვეს მისგან უკანონო გადაწყვეტილება?

ამჯერადაც ორმაგი სტანდარტის მორალი ამოქმედდა, არა?

შენ, ხელისუფლებას, არა გაქვს უფლება, დაარღვიო კანონი. კანონის დარღვევის უფლება გაქვს მხოლოდ მაშინ, თუ ეს მე მჭირდება — ამა თუ იმ წრეს ან ადამიანს.

ამჯერად ზოგადმა ვითარებამ ძალიან შეუწყო ხელი მსურველებს — ხელისუფლება დამთმობლურ პოლიტიკას დაადგა და ბევრი ისეთი რამ დათმო, მანამდე რომ ვერ წარმოედგინა.

ამ მოწადინებასაც ამიტომ გაუწია ანგარიში და ულაპარაკოდ დაყაბულდა მთაწმინდაზე ამ ახალი სამარის გაჭრას.

ამგვარი ვითარების ასე მარჯვედ გამოყენება თაოსანთა ალღოიანობასა და მარიფათიანობაზე მეტყველებს, მორალური კატეგორიებით მოქმედებისა კი... რა მოგახსენოთ!..

თუ ეს მე მჭირდებაო...

კი მაგრამ — ასეთი წრე და ადამიანი, ვისაც მიაჩნია, რომ მისი სურვილი და მოთხოვნა კანონზე მაღლა დგას, ხომ უამრავია.

და მაშ რა გამოდის — ხელისუფლებას არამარტო უბიძგებ, არამედ აიძულებ წამდაუწუმ დაარღვიოს კანონი და „კანონის უზენაესობამ" ლიტონი შინაარსი შეიძინოს.

მაშინ იმის მხრიდან კანონის დარღვევა რატომღა აღგვაშფოთებს?!.

ნუ იტყვი, რომ შენი განზრახვა კეთილშობილურია.

ყველას კეთილშობილურად მიაჩნია საკუთარი სურვილი და მოთხოვნა.

არადა, როდესაც მთაწმინდაზე არ განისვენებენ არჩილ ჯორჯაძე და პავლე ინგოროყვა და სამუდამო სამყოფელად (ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით!) დიდუბის პანთეონი აქვთ მიჩენილი, არ უნდა მოგაფიქრდეს მათზე გაცილებით ნაკლებ პიროვნებათა ღვაწლის განსჯაც კი — არიან თუ არა მთაწმინდის ღირსნიო.

და ეს მაშინაც კი, როდესაც სავალდებულო ვადა ჩაივლის და ამგვარი განზრახვა კანონის ხელყოფად აღარ ჩამოგერთმევა.

ჯერ კი სპორტული სანახაობის შუაგულში მოვქცეულვართ და კულუარებში დიდი სჯა-ბაასი და შეხლა-შემოხლაა, კიდევ ვინ გაარღვევს მთაწმინდის ბარიერს და ვინ შეემატება პრესტიჟულ სასაფლაოს ახალ ბინადრად.

ცირა ყურაშვილი

# „როცა ადამიანები ერთმანეთს პოულობენ"

**— თქვენი აზრით, რა არის უკიდურესი გაჭირვებული მდგომარეობა?**

— უსასოობა.

**— სად ისურვებდით ცხოვრებას?**

— სადაც ვცხოვრობ.

**— რა არის უმაღლესი ბედნიერება?**

— როცა სულს არაფერი გიმძიმებს და მსუბუქი ხარ, როგორც ქარში გაფრენილი ბუმბული.

**— თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?**

— „ვეფხისტყაოსნის გმირები, უფრო მონიწება ჰქვია ამ გრძნობას. სიყვარულით — ბიჭი რომანიდან „მუსიკა ქარში" დავით კლდიაშვილი — თავისივე მემუარებიდან, სტივენ დედალოსი, თავადი მიშკინი, ნიკუშა ჩაჩანიძე, იგი, ჩარლი გორდონი, სხვადასხვა, უამრავი, დავიწყებული და მერე უცებ წამოგონებული...

**— თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟები?**

— დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, გრიგოლ ხანძთელი...

**— თქვენი საყვარელი მხატვარი?**

— თემურ თადუმაძე, დავით კაკაბაძე.

**— თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?**

— გოგი ცაბაძე, კლასიკიდან ბევრი, მაგრამ დროდადრო მუსიკას სიჩუმის და გარინდების კომპოზიციებს ვარჩევ.

**— რომელ თვისებას აფასებთ ყველაზე მეტად მამაკაცში?**

— რომლითაც თავის თავში აერთიანებს ქმარს, მამას, ძეს, ძმას.

**— რომელ თვისებას აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?**

— რომლითაც დღეს ის სათანადოდ დაფასებული არც არის — თავგანწირვას.

**— რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის უფრო მომხიბვლელი?**

— სიმშვიდე.

**— თქვენი საყვარელი საქმიანობა?**

— ფიქრი.

**— თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდოდათ ყოფილიყავით?**

— არცერთი.

**— თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?**

— ადამიანთმოყვარეობა.

**— რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?**

— გულწრფელობას, თურმე ძილში ისინიც ფრენენ. ☺

## ექსპრეს-ინტერვიუ



— **თქვენი მთავარი ნაკლი?**

— სისხარტის ნაკლებობა, ნელი აზროვნება.

— **თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?**

— როცა ადამიანები ერთმანეთს პოულობენ.

— **რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?**

— ეს სამყარო თავისით შექმნილიყო. ვაი, და ღმერთი არ ყოფილიყო. ☺

— **როგორი გინდოდათ ყოფილიყავით?**

— როგორიც ბავშვობაში, მხიარული და უზაკველი.

— **თქვენი საყვარელი ფერი?**

— ვარდისფერი.

— **ყვავილი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ?**

— ყოჩივარდა.

— **თქვენი საყვარელი ფრინველი?**

— ბელურა, გულწითელა, მერცხალი, ბოლოქანქარა, გუგულიც... რასაც ვხედავ და როცა ვხედავ. ქათმის კრიახიც სიცხეში, დღის პაპანებაში რაღაცას მახსენებს შორეულს...იხვის ჭუჭულები, ციცარი, რაც ფრენს და ცოცხალ, მუსიკალურ ხმებს გამოსცემს ყველაფერი, მწერებიც კი... ჭრიჭინა.

— **თქვენი საყვარელი მწერალი?**

— რუსთაველი, გალაკტიონი, შექსპირი, დანტე ალიგიერი, საკუთრივ პროზაიკოსებიდან: რეზო ჭეიშვილი, ფოლკნერს დავუყენებდი გვერდით, მაგრამ ეს დაწყვილება არ გაეხარდება, დავით კლდიაშვილი, დოსტოევსკი, რას ჩამოვთვლი.. პირობითია... ოთარ ჩხეიძე, დენიელ კიზი... თითქოს ერთმანეთის წინამორბედნი არიან, ყოველ ჯერზე ასე, არეულდარეულად ახალ მესიას უძღვიან წინ. მაგრამ, მგონი, სხვაგვარადაცაა და პატრიკ ზიუსკინდმა „ლიტერატურული ამნეზიით" ჩემი სათქმელიც თქვა.

— **თქვენი საყვარელი პოეტები?**

— ...და ნიკო სამადაშვილი.

— **საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალები?**

— ალაზა, ლინა გროუვი...

— **საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?**

— ბევრია, მათგან მამა ანდრია ჩემთვის ყველაზე ახლობელია.

— **საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?**

— მარო მაყაშვილი.

— **საყვარელი სახელი?**

— პაატა, ვარაზი, იმედა, გაგა, კიდევ ერთი სახელი.

— **რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?**

— როცა სამარშრუტო ტაქსში ეწევიან, როცა ბავშვებთან ეწევიან.

— **ისტორიული პიროვნება რომელმაც თქვენი ზიზღი დაიმსახურა?**

— ვერ ვიხსენებ.

— **სამხედრო მოქმედება, თქვენი აზრით, ღირსი მეტნაკლები აღტაცებისა?**

— ჯონ მილტონის მიერ აღწერილი მიქაელ მთავარანგელოზის ბრძოლა.

— **რეფორმა, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?**

— ცხრა ნეტარება, იოანე კლემაქსის „კიბე".

— **ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდეთ?**

— დუმილის ნიჭი, როცა ენაზე თვითნებურად გეწევიან და გეწებებიან არამართებული სიტყვები.

— **როგორი გინდოდათ რომ მომკვდარიყავით?**

— არცთუ ღრმად მოხუცებული.

— **თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?**

— როგორიც მინდოდა მქონოდა წლების წინათ და როგორიც არ დამაკმაყოფილებს წლების მერე.

— **ქმედებანი, რომლებიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებენ?**

— სატელევიზიო შოუები. აგრესია, დედების გადახვევა საშოვარზე, ამის ატანა მიწევს, შინაგანად ვერაფრით ვურიგდები.

— **თქვენი დევიზი?**

— „მხოლოდ ძილს ვერ მოვიკლებ". ☺

— **თუკი ოდესმე შეხვდებოდით ღმერთს, რას ისურვებდით, რომ მას თქვენთვის ეთქვა?**

— დრო გეყო.

## ქრონიკა

17 მაისს გორის სასწავლო უნივერსიტეტში გაიხსნა **ოთარ ჩხეიძის სახელობის კაბინეტი.** თვალსაჩინო მწერალი, „მატიანე ქართლისაის" ავტორი ოთარ ჩხეიძე წლების განმავლობაში გორის უნივერსიტეტის წინამორბედ ინსტიტუტში ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას. მის სახელს უკავშირდება მრავალი სასიკეთო წამოწყება, რომელთაგან შეიძლება გორის ლიტერ?ტურული ალმანახის დაარსება გამოვარჩიოთ. გორის ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში მოღვაწეობას მიუძღვნა მწერალმა რომანი „ჩემი სავანე", რომელიც დაწვრილებით მიმოიხილეს უნივერსიტეტის სტუდენტებმა. შეხვედრაზე მოწვეული იყვნენ ოთარ ჩხეიძის შვილები, როსტომ და ნატო ჩხეიძეები.

შეხვედრა გახსნა და სტუმრებს მიესალმა უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი **გიორგი სოსიაშვილი.** მან აღნიშნა, რომ გორის უნივერსიტეტში ჩვენი სასიქადულო მწერლის ოთარ ჩხეიძის კაბინეტის გახსნა ხელს შეუწყობს სამეცნიერო და კვლევითი მუშაობის გაღრმავებას.

შეხვედრას უძღვებოდა გორის უნივერსიტეტის პროფესორი **მარინა გიგაშვილი.** მან აღნიშნა, რომ რომანი „ჩემი სავანე" წლების წინათ განიხილეს უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა და ოთარ ჩხეიძის ყოფილმა სტუდენტებმა. დღეს კი წიგნზე საუბრობს ახალგაზრდა თაობა, რომელთაც ოთარ ჩხეიძეს მხოლოდ როგორც დიდ მწერალს, ისე იცნობენ. სიტყვით გამოვიდნენ: III კურსის სტუდენტი, ოთარ ჩხეიძის სახელობის სტიპენდიანტი **მარიამ შატაკიშვილი,** III კურსის წარჩინებული სტუდენტი **ეკა იორამაშვილი.** მაგისტრანტი, წარსულში ასევე ოთარ ჩხეიძის სახელობის სტიპენდიანტი **თეონა ქურთაული,** არქეოლოგიის ცენტრის თანამშრომელი **ნინო ბუზიაშვილი,** I კურსის სტუდენტი **გვანცა ტარუაშვილი.**

დასასრულ ნატო და როსტომ ჩხეიძეებმა მადლობა გადაუხადეს რექტორს გიორგი სოსიაშვილს და სტუდენტებს. მათ აღნიშნეს, რომ ის საქმე, რასაც ოთარ ჩხეიძე ემსახურებოდა არ იყო მარტო ერთი ეპოქის სატკივარი, ამას მოწმობა ახალგაზრდობის დაინტერესება ოთარ ჩხეიძის შემოქმედებით.

რეზო ჭეიშვილი

# ქორეოგრაფი მესხორიძე

დათიკო ბიძიას (მესხორიძეს) შინაგანი ჯარის ტანსაცმელი ეცვა, — უნიფორმა: ბრტყლად გადაჭიმული მწვანე ქუდის კოკორდაზე წითელი ვარსკვლავი, წელზე გადმოშვებული ხაკის ხალათი, სქელ ქამარზე იარაღი (ნაგანი), ყავისფერ ჩექმები ჭვინტით, ქუსლ-ნალიანი; კაცი, როგორც კაცი, საშუალოზე ცოტა მაღალი, გამხდარი, აქაჩული, მოკლე წარბები, შავი თმა და თვალები; ფელიქს ძერჟინსკის სახელობის, შინაგანი სამინისტროს კლუბის მხატვრული ხელმძღვანელი. იმავე კლუბის ყრუ-მუნჯ მაცეკვართა ქორეოგრაფი; მაშინ ანუ იმ დროს სათბილისოდ, პერსპექტივით — სამოსკოვედ (გაუმარჯოს!) ემზადებოდნენ და დილა-საღამოს რეპეტიციები: რამპა და დამპა. დოლ-გარმონი რომ გარეკავდა, ოსას და ასას ყრუ-მუნჯების ღმუილი რომ მოჰყვებოდა, დააძრობდა ნაგანს ტაბელურს მთავარი ქორეოგრაფი და ჭერში აჭედებდა (ხან კი, ხან — არა) კირუხ ტყვიებს?!

...გახსოვს, კაცო შენ?.. იყავი მაშინ ამ ქვეყანაზე? თუ იყავი, პატარა იქნებოდი!..

პატარა ვიყავ, მართალია, მიწას ძლივს აცილებული, ძერჟინსკის კლუბთან არსებული საბავშვო ბაღის აღსაზრდელი; ერთი ეზო, ორი სახლი, — ერთი დიდი, მეორე პატარა. დათიკო სროლას რომ ატეხდა, — გვიხაროდა, — ადრე გვეშინოდა, მერე — არა! სათამაშო თოფები აქვთ მაგენსო, გვიხსნიდა მასწავლებელი პატატვრანებს. მართლაცდა — ყურებს გვიგუბავდა არა ყრუ სროლა, — არამედ დოლი და გარმონი... რამპა და დამპა! ვისთვის უკრავდნენ? იმათ არ ესმოდათ და სხვებს შიგ არ უშვებდნენ!

...როდის წაშავდებიან მაგენი აქედან?! — იკითხა ერთხელ ბაღის გამგე-დეიდამ, სქელმა ქალმა, ნაქსოვი, კოჭებამდე ჩამომწოლეული კაბა რომ ეცვა დღენიადაგ. როდის წაშავდნენ, წაშავდნენ თუ წათეთრდნენ, არ მახსოვს, დოლ-გარმონი კი ზოგჯერ და დროდადრო ისევ ზრიალებს ჩემს ყურსასმენებში, ძილში და სიზმარში, ზოგჯერ — ცხადში: ოსა! ასა! ოსა! სამი, ოთხი! ზემკლავი! ნაგანას ლულა თავზემოთ.

— ...ხუთი, ექვსი, შვიდი! — დოლი! — წავედით! და მიდიოდნენ: აზიური გარმონი, მოჭიმული დოლი და ცეკვავდნენ ყრუ-მუნჯები გამოუძინებელი ქაჯებივით. მარად ხელშეუვლებელ შუშებს იქით ჩანდნენ წრეზე. წითელყაბალახმოგდებული მთავარი ქორეოგრაფი ბრუნავდა წრეში და წრეში ისროდა!

შუშაზე ცხვირმოჭყენტილს პირველსავე სროლაზე მექცეოდა ორფეხიანი სამფეხი ჯორკო და აგურის ფხვნილით აფუებულ მიწაში ვეპერტყებოდი და მივფოფხავდი მაინც შუშებში... თუ იყო შუშებს იქით უნდა ყოფილიყო!..

...შეიძლება, მითხარი შენ, საბავშვო ბაღის სიახლოვეს, როცა სკოლამდელი პატარები მშობლებს შინ არ გაუყვანიათ, ასეთი ამბავი?! სროლა და თავის ტეხვა მაგათ!



— გრძელკაბიანი, დიდი გამგე დეიდა ეკითხებოდა პატარა აღმზრდელ — მასწავლებელ ჩუტას.

— გამოდი, ბიჭო, შენ აქეთ, რას მიეწეპე მაგ შუშას, სროლის ხმა არ გესმის?!

— მესმის, როგორ არ მესმის, შორს ისვრიან შორიდან! მშორდებიან. მანძილი ხმას უსწრებს, იზრდება და იწელება ჩემსა და მათ შუა.

— ბახ! ბახ! ბახ!

— სიკვდილი!

— ხომ გესმის, მოშორდი შუშებს, სწრაფად, საძინებელ ოთახში, მკვდარი საათია!

— იყოს მერე, არ მეძინება!

— მაინც რას უყურებ, ბიჭო, რა ჩანს აქედან?!

ხმა ხომ მესმოდა! ბახ!

— არ გადარჩენა!

ძალით მაძინებთ! — ვყვიროდი უკვე დღის ძილში, — არ მინდა მკვდარი საათი!

სკამის ფეხს ურტყამდა, იოლი მისახვედრი იყო, სამფეხა სკამს ქორეოგრაფი ერთ რიტმში, ერთ სივრცეში, ერთ განზომილებაში!

შენ გაგიმარჯოს დათიკო მესხორიძე!

— კარგია! ერთიც! დოლი! გავედით!

— ბახ!

— სიკვდილი! — ანეტა იყო.

სიჩუმე.

— გაიგონეს?!

— არა მგონია...

— ბახ!

— გამგონის ყ-ე, გამსროლის ტრა-ში! — ანიშნა გუშაგმა ჭიშკრის გამღებმა! — ჩამთვლიმა ძლივს და...

— ისვრიან, ბარნაბა ბიძია!

— მერე მე მეჭიშკრე ვარ თუ ვინ ჩემი სირი ვარ!

— წავედით, სამი, ოთხი, დოლი!

იხეოდა იმ სერიაში დოლი და აზიური გარმონიც, თავად ქორეოგრაფი მასხორიძე ცეკვავდა იმ დროს და ბახ!

— ერთიც!

...

...ნაპერწკლები ხაზავდნენ ალმა-დალმა სცენას იმ კონცერტის დროს. ტყვიის წამლის სუნი ჩადიოდა წინა რიგებში, — პარტერისა და ბენუარის ლოჟებში. ფეთავდნენ ალაგობრივი წარმოდგენის დროს; იცინოდნენ ნერვიულად და მიდი დათიკოო, — აქეზებდნენ სხვის მოედანზეც!

...ბის, რეპეტე, კიდევო და იყო კიდევ! მოწონდათ, ტაშს უკრავდნენ და არ იგინებოდნენ გამსროლ-გამგონის მისამართით. მუსიკა. ხალხური საკრავების ბენდი. ბრაგაბრუგი, ღმუილი, სროლა შიგადაშიგ, ტაში კვლავ და ვაშა და ურა, თქვენი მოწონებული, ნებადართული და დიდებული! მე ამით, ამ მისტერიითო, აცხადებდა დათიკო, —

ხალხის მტრებს ვიგერიებო და ნაგანს ტყავის სანაგნეში ტენიდა...

ბევრი მტერი ჰყავდა, როგორც ვიცით, იმ წლებში ხალხს და ხალხი წარმატებით ანადგურებდა ხალხს ხალხის ხელით და სახელით!

...

ლავრენტი. — საქართველოს კომპარტიის პირველი მდივანი:

...მაგრამ საჭიროა და აუცილებელიც აღინიშნოს, რომ ქართული ინტელიგენციის ნაწილში, ცალკეულ პირებში ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი საბჭოთა ხელისუფლებისადმი მტრული, კონტრრევოლუციურ-ტროცკისტული განწყობილებანი, ეს ეხება ქართულ კინოსაც, კინოს მერყევ ფრთას, ყოფილ, რევოლუციამდელ ოფიცრებს, ჟანდარმერიაში ნამსახურ პირებს, რომლებმაც აქ იპოვეს თავშესაფარი, დროა გაჯანსაღდეს, განიავდეს, გაიწმინდოს აქტიურად აქაური ატმოსფეროც...

...ტროცკის ქართველმა ნაბოლარებმა სცადეს ქართული კინოს შავბნელი და მუხანათური საქმიანობისათვის გამოყენება. ჩვენ ამას აღარ დავუშვებთ! დროა და გეძლევათ დრო, — პენსნე, მოიხსნა, — გადახედეთ თქვენ ტროცკისტ — ზინოვიევურ-ფაშისტურ შეხედულებებს! მერე გვიან იქნება!..

...

დაკარგული სამოთხე... სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი. კინოკომედია.

პირველი პირი:

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ამიერკავკასიის ფედერაციის ყოფილი თავმჯდომარე.

— საიქიო საჭირო იყო, კოსტიას არ უნდა ამოეღო!

— მაგას ვინ ეკითხებოდა?!

— სწორი გადაწყვეტილებაა, აჩომ რეჩ!

— იცის მაგ კაცმა თავისი, არა მარტო. საქმე!

— რას ჰგავს! — ფიქრობდა ქალიშვილი კოლხეთიდან, — რა საიქიო ამოიღო. სად იყო საიქიო?!

— ეს უსაყურეობო სათვალეც რომ არ ძვრება ცხვირიდან? აჰა, კეხი გაძვალებული და მაღალია, ნესტოები გაფლაშული, სად თავდება შუბლი და სად ეწყება გამელოტებული თავი ვერ მიხვდები! — საზღვარი წაშლილია.

...ავერბახშჩინამ ბუაჩიძის თაოსნობით შემოაღწია ქართული ფილმის კოლექციებში, კოლექტივში, უფრო სწორია, ლომინაძე, ლოლობერიძის ალიანსს, აღნიაშვილსა და ბიბილეიშვილს, ბუდუ მდივანს გამოუჩნდნენ მიმდევრები აქ!.. რაც შეეხება ფილმს — დაკარგულ სამოთხეს, იგი კომედიაა და ნაწილობრივ და ნაწილობრივად, აკმაყოფილებს სოციალისტური კომედიის მოთხოვნილებებს, დამდგმელი-რეჟისორი კონსტანტინე მუჯირი კომუნისტია, კომუნისტური პარტიის წევრი, ადგილობრივი პარტიული კომიტეტის თავმჯდომარე... ხომ არ ეჩვენება მას, რომ იგი დასცინის ქართველებს...

— შემოდგომის აზნაურებს... — ჩაილუღლუღა მუჯირმა.

— თუნდაც! აზნაურები ქართველები არ არიან?!.

„გაიგონა!“ — გაოცდა ქალიშვილი კოლხეთიდან.

...ხომ არ ავიწყდება ამხანაგ მუჯირს, რომ ეს აზნაურები დიდი სტალინის სამშობლოს მაცხოვრებლები არიან, — სტალინისა და კიდევ რუსთაველისაც... კომედია, თუ ყველაფერს არა, ბევრს იტანს, მაგრამ საიქიოს მისტიკურ-ავერბახულ-ბურჟუაზიულ-ლომინაძისეულ-ტროცკისტულ ეპიზოდებს ვერ შევურიგდებით, ვერც ჩვენ, ვერც სოციალისტურ-სტალინური იდეებით გულანთებული ხალხი. იგი, ესე იგი საიქიო ამოღებულია.

სად იყო ეს საიქიო, ვიღას სწამდა საიქიო და საააქავო!

„დამინვავენ!“ წუხდა მუჯირი, „ნეგატივი ხომ დამრჩება!“

...არ დარჩა, — არ იცოდა. და საიქიოს ნეგატივის ორასი მეტრი ადრევე ჩაიფერფლა ფირის დამუშავების ლაბორატორიის ყრუ კედლის ძირში.

...საიქიო „ლეფელების“ ნამუშევარს ჰგავს და ფაშისტური ელფერი დაჰკრავს, ჩვენ მშრომელ ხალხს არ ჭირდება მფრინავი ანგელოზები, ერთ-ერთს აქ ვხედავ ბოლო რიგში...

„იმ სათვალით დამინახა?“

ფეხზე იდგა და ახალგაზრდა კინოოპერატორმა საკუთარი საჯდომი სკამი შესთავაზა თვალ-პენსნე-მზერა დადგმულ „ანგელოზს“:

— დაბრძანდით!

— არ მინდა! — უთხრა ანგელოზმა, იგი კი აშკარად მისკენ მოდიოდა დაცვისა და გამყოლების ნახევარრკალით.

— ეს ძლაბი საიდან ჩამოვიდა?

— ლეჭენჭყოდან, — უპასუხა ჩამოსულმა.

„ვითომ არ მიცნობს!“.

— მურე ლეჭენჭყო?

— ჭალადიდის დაბალძირშია... ადრე წამოვედი, აქ ვისწავლე, — ქორეოგრაფიული სასწავლებელი დავამთავრე... იქ აღარავინა მყავს... ამის შემდეგ დაბალძირულით დაიწყეს საუბარი...

ესმოდათ და არ ეყურებოდათ! ვისაც ესმოდა, ვითომ არ ესმოდა. ეს სიტუაცია დროში არ გაწელილა. პენსნე მოიხსნა, ოთხად გაკეცილი ცხვირსახოცით შუშები გაწმინდა, დაიკოსა ცხვირზე და ჩქარა წავიდა. გაყვნენ. დაცვას, რომელმაც პატრონისა და ხალხის დისტანცია გაზარდა, ერთ ეტაპზე, სირბილი დაჭირდა. სამმა „ემადინმა“ და საბარგომ, ეგრეთ წოდებულმა „პალტარატონკამ“, გამოცარიელებულ ქუჩაში გაუხვიეს და ახალ პროსპექტზე, ცირკისა და თერთმეტსართულიანი სახლის გასაყარში მიიკარგნენ...

...

— მოდი ჩემთანო, ასე მითხრა!

— სად მოდიო?

— სამსახურში, ალბათ, არ მივიდე?..

— შენი შენ იცი, დედა, მაგრამ ხელმწიფის ტოლი კაცი გეუბნება, მოდიო!

უთხრა დედამ, არამარტო იმან!

ზაფხულის ცხელი ღამე.

სახეჭორფლიანი კაცი თვლემდა მისაღებში, პარუსინის თეთრ შალითიან სავარძელში თავგადაწეული მჯდომი. მეორე კაცი ფხიზლობდა და არ იღებდა ხმას, ხმისგამცემიც აღარავინ ჰყავდა ფაქტიურად. იმ წლით, ზაფხულით (1937 VI) დაჭვირნიშებული, ღერბიანი საქაღალდეებით დაფარულ უზარმაზარ მაგიდასთან იყო მოკალათებული.

— რა დროა? — იკითხა, როისროის და სავარძელში შეინძრა, ცალი თვალიც გაახილა ბოლომდე.

— ადგომის დრო, გაიოზ!

— მთვარე თურმე უფრო ახლო იყო ამ საუკუნის დასაწყისში დედამიწასთან...

— ვინ გითხრა?

— მითხრეს, მათეევიჩ, მითხრეს... მთვარე ცივია, აქ ცხელა ღამითაც, ხალხი ამ დროს, — საათზე იხედება, — გალავინსკზე სეირნობდა, ახლა ადამიანის ჭაჭანება არაა.

კაბინეტის კარი გაიღო და მიიხურა რბილად. გამოიარა ფაჩუნით. ქუსლებს არ ადებდა წითელ ფარდაგს, ისე მოდიოდა.

— მიბრძანდებით, ქალბატონო ნათელა? — ჰკითხა მაგიდის გამგემ, ნათელა შეჩერდა ნახევრად მოღიავებულ კარში, საიდანაც დიდი სვეტები და ოთხკუთხად გაპრიალებული ბლუსტერები გამოჩნდნენ სიბრტყეში...

— წავედი, პატივცემულო მათეევიჩ, მადლობელი ვარ თქვენი, კარგად, გკოცნით, — ნიკაპი გაწია გაიოზისაკენ, არ ძინავს, ვიციო, მიანიშნა, ღამე მშვიდობისა — გაიმეორა, გავიდა და შუაღამის სიმძიმით დაჭნეხილი მდუმარება მარმარილოს იატაკზე ახალი ფეხსაცმელების ჭრაჭუნით დაარღვია.

— ეს გვრიტი მერამდენედ გაიჩითა?! — დაინტერესდა, როგორც იქნა, გაიოზი.

— ფუ, შენი! — წამოიძახა მათეევიჩმა და რაღაც ღილაკს დაჰკრა გამეტებით თითი, — ჩართული დამრჩენია, ჩაილაპარაკა, — ის გოგო იცი ვინაა?..

— ვინ ჩემი ყ-ეა?

— ჩუმად, შენი, გიჟი ხარ, შე ჩემისა?! კარგი და ასე... შენ ხომ იყავი კინოსტუდიაში, ფილმი რომ ვნახეთ, ანგელოზს თამაშობდა და ამან, ჩვენმა შეამჩნია...

— ანგელოზები და ქალწულები უყვარს კი... მაგასაც მალე...

— რას გეტყვი იცი? მაგ ლაპარაკს შეეშვი, საერთოდ, აქ წალვერი კი არაა...

— რა შუაშია წალვერი?

— მეშინია, გაიოზ მამათქვენოვიჩ, ჰამაკი არ ჩამომიკიდო, იმ შუაშია, წადი შენს აპარტამენტში, დაიძინე!

— წადი შენი ჩამოყვანის საათიც, რა გვარია, მითხარი მაინც!

— ფარჩალია, ნათელა ფარჩალია.

ტელეფონის ღილაკი გაწითლდა და მაგიდის უფროსმა ყურმილი აიღო:

— დიახ გისმენთ, ამხანაგო ლავრენტი! — ყურმილიანი ხელი ასწია გაიოზის დასანახავად... ხმა იქედან:

— მაგას ეძინება ისევ?

— დიახ, ხო, კი. ცხელა, ამხანაგო ლავრენტი, შენზეა, სიმონ, ლაპარაკი, — ნაძალადევად იცინის, — ცხელი ქარები მოქშუიან საიდანღაც, ლავრენტი პავლოვიჩ, ცხელაო!...

— მოვუძებნი გრილ ადგილს ბარენციის ზღვის უბეში, კოლის ნახევარკუნძულთან და იქით, ფრანც იოსების მიწისკენ, მერე, ენის ჭარტალსაც შეეშვას, კაცია თუ ქალი?..

ამ „მოსმენის“ დროს მათეევიჩი მარცხენა ხელს აქნევდა თავზემოთ, ხომ გაფრთხილებდიო, — ანიშნებდა გაიოზს.

— შემდეგ, ის ქალი მაგის კომანდამ და მაგან პირადად, მიაცილოს მანქანით, შინ, გასაგებია?!

— დიახ, გასაგებია, — ამხ... დადო, გესმოდა გაიოზ? ის ქალიო...

ის ქალი კი დიდი ინტერიერის ბოლოში ხორცისფერმოაჯირიან კიბესთან ელაპარაკებოდა, ვეებერთელა ყურებდასიებულ, დღემოუჭმულ მამაკაცს.

— ...ამ დროს, დამიბარა, კოლია ბიძია და რა მექნა, მზე ჩავიდა და მაინც ცხელა... ბინა არ გვაქვს, იცის და...

— გიჭერს ბასანოჩკები?

— აღარც მახსოვდა, რომ წავიძვრე, ბინა აუცილებელია... მესიამოვნა ქვა შიშველ ფეხქვეშ, კოლია ბიძია, მართლა გილოცავ!

— რას?

— ამხანაგ ბერიას და შეგირთავს, მოსალოცია, ნაკლივის არ აქვს და მაინც მოსალოცი ამბავია, ჩვენი ლავრენტის და არის, სხვა თუ არაფერი...

— გათხოვდე უნდა შენც, მარტო ცეკვა არ გეყოფა, ასეა!.. — დაუმშვიდობებლად შებრუნდა და დამისამართებულად, — ღია კარისაკენ წავიდა.

ლავრენტის საცხოვრებელი სახლის დამთავრებას მაკბეტის ქუჩაზე აღარაფერი აკლდა, სამსართულიანი შენობის ყრუ კედელი, რომელიც მის ეზოს ადგა თავს, უნებართვოდ, უპროექტოდ იყო ფანჯრებით გამოვსებული. შუაში, შუა სართულში და შუა ბინაში პოეტი სევერიან ნავაძე სახლობდა. დადგებოდა პოეტის ცხრა წლის ვაჟი თამაზი შუა ფანჯარაში და იძახოდა შუადღისას: ბერია, ბერია, ლობიოს გაუბერიაო, ორგანოს ერთ-ერთი წარმომადგენელი ეწვია პოეტს შიგ გამომცემლობაში და თუ არ გინდა გაგბერონ არა მხოლოდ ლობიოთი ის ბალანა გააჩერეო. გულშემოყრილმა პოეტმა, გაურკვეველი ორგანოს წარმომადგენელი ვალერიანეს სევერიანეს მაგივრად რომ ეძახდა, იმავე დღეს ამოქოლა ფანჯარა წითელი აგურით და ცოტა ხნის შემდეგ, ბინაც გადაცვალა, წითელი აგურის „დარაბად“ დარჩა იმ დღის გასახსენებლად. მიწისქვეშა მშენებლებმა, ზედამხედვთა ბრძანებით, დატოვეს არსებული გვირაბი და გადავიწყებული გააშტოეს სხვა მხარეს, მიუერთეს რა ცეკას თავშესაფარს, საქართველოს კომუნისტური პარტიის პირველი მდივნის კაბინეტის მოსასვენებელს. გასაწმენდი დარჩა ხვრელი ქარვასლისა და იტალიური ოპერის ბალავრის ნაფშვენებამდე. დაგეგმილი იყო გვირაბმშენებლობის განახლება იმ „გახრით“ უახლოეს ხანში, მაგრამ ლავრენტის მმართველობის ჟამიც იწურებოდა საქართველოში.

ეს დრო იყო.

მისაღებში:

— გისმენთ, ამხანაგო პავლოვიჩ!

— კაცი შემოვა ახლა მანდ, ადგილობრივი, დამსახურებული, პატივცემული, — საპატიო მოქალაქე, ძველი გოთვერანი და შემოუშვი...

— დიახ, ამხანაგო ლავრენტი, მიწერია აქ — მასხორიძე დათიკო, ქორეოგრაფია...

— დათიკო ძმაა მაგისი, ბრატ, მაგი ნიკოლოზია, როგორც გითხარი, მანდ არი? კიი? შემოუშვი არშემოსაშვები!...

...აქაც ცხელია, გაზაფხულის დღის ხვატის არგანელებული გუდვაა...

...ქალაქს მაინც ძინავს, შუაღამისას ჩამორეკავს საცაა. ბარენციის ზღვის უბეში, კოლის ნახევარკუნძულთან

გრილი, თურმე, ჰაერი, აქ მთვარეც გახურებულია, ლაპლაპებს.

მაინც აქ მირჩევნია!.. მაუზერს იკიდებდა ამ ლაპარაკში გაიოზი, ცალ ხელს იქნევდა მაინც თავზევით მათეევიჩი, — ფარცაგად არაფერი წამოსცდესო.

— რა იყო?!

— არაფერი.

— ეს ვინ არი?!

— მესხორიძე, — გამოცხადდა ის კაცი.

— თქვენა ხართ-დატიკო? — დავთარში იხედებოდა მაგიდის გამგებელი.

— ნიკოლოზი, დათიკო ძმაა ჩემი. ერთი დედის შვილები არა ვართ...

— დედაა მთავარი!.. ჩაერთო სხვა ხმა.

— მართალი ბრძანდებით ამხანაგო ლავრენტი.

...გამორთე ეგ წყარო, მაგან დააჩქაროს, ელოდებიან.

— მესმის ამხ... — ვერ მოასწრო, — დამასწრო ისევ, რა მჭირს.

— ეს მინდოდა, მე ჩემი... — ტყავის კურტაკი ეჭირა ხელში და სტუმარს შეჰყურებდა უაზროდ გაიოზი.

— მესხორიძე... — განაცხადა სტუმარმა.

— წავედი მე, იცოდე, — წავედი!

— მამაჩემის მამასთან წასულხარ! თქვენ რას უყურებთ, შებრძანდით.

...გააცილე ახლა და მერე-რატომ გააცილეო, მე ჩემი, არ ვიცი, ხათაბალაა, შარი.. — ბურტყუნებდა გაიოზი.

— ბნელა იქ, შუაში!.. — ფეხს ითრევდა ახალი.

— არა უშავს... თქვენი გვარი მესხორიძე დატიკო, შებრძანდი!

— ბნელა, კაცო! — ფეხის ჩასადგმელ ალაგს ეძებდა მოჭუტული.

მონღოლური თვალებით, დათიკო ძმაა ჩემი, მე ნიკოლოზი ვარ!

— ვინც გინდა, ის იყავი, — შედი!

— ბნელა!

— ვაიდიტე! — კაბინეტიდან გამოვიდა ხმა ბრტყელი და კატეგორიული.

— ბნელა მაინც, აანთე კაცო შუქი.

— არა მაქვს უფლება.

გაიოზი ნათელას, იმ ქალს მიყვა გასასვლელამდე:

— მოვა ემადინი.

— გაწუხებთ!.. მე თვითონ, ფეხითაც გავაგნებ!..

— არა, ბრძანებაა. არ მაქვს უფლება... ძველი დრო აღარაა... რკინის დისციპლინა დამყარდა, როგორც იქნა, პატიოსანი ადამიანების ხანა მოვიდა.

— მართალი ბრძანდებით ხანა...

შიგნით:

— აანთეთ, თუ შეიძლება, შუქი.

— არა მაქვს უფლება!

— ვინ წაგართვა?

...შუალედურ ოთახში ბნელა, კაცო, მათეევიჩი ხარ თუ ვილაც ჩემი ის ხარ, ქალი გამოვიდა ახლახან...



*მხატვარი ავთანდილ პოპიაშვილი*

— კი და, შუქი არ მოუთხოვია...

— ის ქალი ცეკვავს, არ ჭირდება!

...

გაბრდღვიალებული სცენა ოპერისა და ბალეტის თეატრში.

— ცეკვა „ლეკური" დაისიდან! ცეკვავდა ნათელა ფარჩალია, ორი ყაზილარი უტრიალებდა გარშემო; ბრუნავდა სცენა დეკორაციებით და სამეული, ტაშის აკომპანიმენტში, ამთავრებდა ლეკურს ქართულად...

...არ აანთო ამ ახვარმა!

— ღამე მშვიდობისა!

კუთხის მაგიდაზე მონიკელებული მაკრატლით საკუთარ ჩანაწერებს, შეკითხვებს, უდღეურ რეპლიკებს, დილის სხდომაზე რომ ჩაინიშნა, ჭრიდა და აქუცმაცებდა, ვეებერთელა ტორშერის ქვეშ.

— „აქ ყოფილა!"

— ...ასე იცავდი, ნიკოლოზ შენ, ნიკა ჩემო, ჩემი ოჯახის — ჩემი დედის, ჩემი დის სიმშვიდესა და უსაფრთხოებას?..

— შენი ოჯახისა და შენი ერთგული ვიყავი მუდამ, ლავრენტი პავლესძევ!...

— დაჯექი მაშინ! — პატიჟებდა და თავს არ წევდა. ჭრიდა და აქუცმაცებდა დღის ჩანაწერებს მაკრატლით:

— რა გინდოდა ჩემ დასთან, თავისი გაჭირვება არ ეყოფოდა?!

— შეგვიყვარდა ერთმანეთი...

— ჩევო?! — თავიც წამოწია, თითქოს ნამეტნავად გაოცებულმა, — შენ ჩემი ყრუ-მუნჯი და შეგიყვარდა თუ ჩემი სახელი, ყელზე რომ დაგადგება სულ მალე?!

— თქვენი და შემიყვარდა...

— ნუ ლაპარაკობ, ნე გოვარი... ხედავ, რაში ყოფილა საქმე! — მაკრატელი ჩადო უჯრაში, ქაღალდების ნაქუც-მაქუცები გადახვეტა ცალი ხელით, მეორეთი დაწნულ ურნაში ჩაყარა.

— შენი ერთგული ვიყავი და ვრჩები!

— ვის რად ჭირდებოდი, ან ახლა ვის ჭირდები, მაგრამ ჩემ დას ვინ ითხოვდა შენს მეტი?!. შენი პირველი ცოლიც,

ჩემი და, მგონი, მეხუთეა, ყრუ ყოფილა, შესაბამისად — მუნჯი. შენი სულელი ძმა დატიკა...

— დედით სხვადასხვა ვართ...

— ყრუ-მუნჯთა ანსამბლს ხელმძღვანელობს, გადავაქციოთ სოციალისტური ქვეყნის ერთი მოკავშირე რესპუბლიკა ყრუმუნჯებად?! ეს გვინდა?! გვარში ვინ გყავდათ კიდევ სულელი? გეკითხები, როგორც ახლობელს და მოყვარეს, — შენ რა ხარ უკვე ჩემი, სიძე?

— ასე გამოდის...

— შენი ძმა, სიძის ძმაა, ხომ? დამდგომია კაი წელიწადი!.. ქვეყნის მტერი მყავს... ამ კედლებს ხანჯიანის სისხლი არ შეშრობია და იშხანოვს ვუტირებ დედას, მაგის ხელმონწერით, ქალაქის საბჭოს თქვენთვის როძევიჩის 66-ში, მაკბეტის შესახვევის გადაკვეთაზე გამოუყვია ხუთი...

— სამი!

— იცი უკვე?... ის სამი ოთახი ხუთს უდრის, იმ დროს, როცა ქალაქ თბილისის მოქალაქეებს, მუშათა კლასის წარმომადგენლებს, ხელოვნების მუშაკებს, მწერლებს, პოეტებს ბინა კი არა, ზოგიერთს თავშესაფარი არა აქვს, თქვენ ხუთოთახიანს გაძლევენ, არადა — ფიქრობს, — ისე ჩემ დას შენს მეტი ვინ შეირთავს... — ისევ ფიქრობს, — ნათელა ფარჩალიას იცნობ?..

— ჩვენ ჩამოვიყვანეთ ფოთიდან, როცა ჭალადიდში მუჯირი დოკუმენტურ-მხატვრულ ფილმს იღებდა ჭაობების ამოშრობაზე, მე ვდირექტორობდი — მერე ანგელოზი ათამაშა საიქიოში მუჯირმა, ის სცენა, სამწუხაროდ, ამოვარდა, ქალმა არ ივარგაო.

— ქალმა კი არა, თქვენ არ ივარგეთ! — აუწია მოულოდნელად მასპინძელმა ხმას, — და ის ქალი თქვენთან იცხოვრებს, გაიგე, თუ გაგაგებინო?! თუ შენი ძმის ანსამბლის დეკადაზე გაგზავნა დადებითად გადაწყდება, ფუი, კჩორტუ! იქ იცეკვებს, იგი ჩვენი კადრია — გიმატია ფარჩალია, ასეა მონათლული, გადაამოწმეს საეკლესიო წიგნი, გიმატიას ვახსენებთ და გასაგებია, შენ გენდო ჩემი დამაწყევარი. მაგრამ სიძე ხარ ჩემი უკვე, რა ვქნა, შევიდა ეს ფაქტი გასიებულ ყურებში? გიმატია.

— ნათელა ფარჩალია.

— ტაკ. ჩვენი გარე სამსახური ჩაკეტილი სივრცეა, ორმა თუ იცის, ყველამ იცისო, ნათქვამია, მაგრამ ჩვენთან ეგრე არაა, იცი?!

— მეტი აბა რა ვიცი, ამხანაგო პავლოვიჩ!

— რა დრო გასულა, ხედავ? რადიომიმღებს ხმას აუწევს. საბჭოეთის ჰიმნს უკრავენ და მღერიან!

— სოიუზ ნერუშიმი.... — ისმის.

ფეხზე დგანან სწორებით.

მისალებშიც სწორებაზე არიან.

გარეთ წვიმს უკვე. მთვარე აღარ ანათებს. ნაწვიმარი რეპროდუქტორები ხრიალებენ შიგადაშიგ. სამხედრო შემდგარა ლამპიონქვეშ, ტროტუარზე. გაჭიმულა წვიმაში, ისმენს, ელოდება. მთავრდება სოიუზ ნე რუშიმი და ჩამკვდარი ქალაქიც ამოძრავდება შეუმჩნევლად. სამხედრო აღარაა გაშტრიკინებული ფარან-რადიორეპროდუქტორ-ლამპიონქვეშეთში. ერთდროულად, ზოგან ერთმანეთის მიყოლებით, ქვრება სინათლე ცენტრალური კომიტეტის (ც.კ. კ.პ. ე. სს) კორპუსებში და ახლომახლო მდებარე შენობათა ფანჯრებში.

## II

დათიკო მესხორიძის აკადემიური ანსამბლი საგასტროლოდ ემზადებოდა, დილა-საღამოს და დღეჩაგდებით ნაშუადღევსაც ქანცის გაწყვეტამდე ვარჯიშობდნენ. ქორეოგრაფი მაინც უკმაყოფილო იყო. ბოშა ქალი გამოეკიდა შიშველი კარტითა და ავგაროზით ბულვარში. გინდა თუ არა უნდა გიმარჩიელოო. ძლივს დაუსხლტა ლინჭილოებიან ბოშას, რომელმაც მაინც მოაძახა: შენ კაი კაცი არა, შენ გლახა კაცი, შენ შენი თავი წაავო!

...

— ეს მინდოდა კიდევ?!

...არ მეხმარებიან, პირიქით, სოლისტი დამიჭირეს ანზორ დვალიო, — შეთვალა.

მილიციის სამმართველოში დაიბარეს:

— ვინ გიშლის შენ ხელს და ვინ სოლისტი თუ სოლისტები დაგიჭირეს? — ჰკითხა საგანგებო განყოფილების უფროსმა ხრესელმა.

— ანზორ დვალი, პირველი ხაზის სოლისტი.

— მღეროდა?

— რას მღეროდა, კაცო, მუნჯია და ყრუ, შეიძლება ნეილილინა...

— აბა კავარადოსის არიას ასრულებდაო, არც აქ წერია — პროტოკოლში. — — მოცეკვავეა, ბატონო, ცეკვავს, ჩვენთან არავინ მღერის, ქართული საკრავების ბენდი და ცეკვა მხოლოდ...

— ფულარია, ერთი ის აფიშა მომიტანე...

— ახლავე, აგერ უფროსო! — მაგიდაზე გაუშალა ზემდეგმა ფულარიამ და გაუსწორა დაგორგლილი ფერადი ქაღალდი.

— დახედე და წაიკითხე — რა წერია... თავადვე კითხულობს სიტყვებჩაგდებით: ... ვოროშილოვის სახ — ბის, შინაგან სამინისტ...რ ატარებს (გარკვევით და ხმამაღლა): ... არსებული კლუბის ყრუმუნჯთა სიმღერისა და ცეკვის საღამო კონცერტს... სიმღერის და ცეკვისო; თან მღერით, თან ცეკვავთ ყრუმუნჯები?...

— მანდ კორექტურული შეცდომაა, ვინ დაბეჭდა? ვირიშვილმა ფუტკარიამ?.. — თავის კანის ქაღალდი დაეწყო.

— ვირის აბანოში გაგიშვებდი, დათიკო, პირდაპირ, დარეკილი რომ არ იყოს და დიდ პატივს რომ არ ვცემდე შენს მოყვრებს და ამას! — ჩარჩოში ჩასმულ ლავრენტი პავლეს ძეს გადიდებულ ფოტოსურათს მიათითა.

— ეს ხომ, — სათვალე ამოიღო, — ჩემი ძმის ნიკოლოზის, დედით სხვადასხვა ვართ, ცოლისძმაა, ახლა, ამ დღეებში ჩვენს ჯგუფს მოუერთდება, ამის ის...

— მეუღლე?

— არა, კაცო, რა ქვია მაგას, ვინც არი, ნათელა...

— ყრუ-მუნჯია?

— იმის ის არი, ამხანაგ ლავრენტი პავლესძის ის... დაახლოებული ქალი, რაც ჰქვია...მამა აბრამის ბატკანი არც ერთია და არც...

.... — როგორ მიდის შენი რეპეტიციები? — გააწყვეტინა ხრესელმა, — ეს აფიშა წაიღე, არ გამოაჩინო, პირდაპირ ყრუ-მუნჯთა მოცეკვართა ანსამბლი დააწერე.

— იმას არ ვაჩვენო?

— ვის იმას?

ეროვნული ბიბლიოთეკა



— ჩემ ძმას, დედით სხვადასხვა ვართ, ერთი მამიშვილები ვართ, მამა უცნობია.

— ვიზე გაქვთ ეჭვი?

— ჩემი ძმა იმის სიძეა, პავლოვიჩის, არ ჰგავს ამ ფოტოსურათში... შემოსვლისას რომ შევხედე, პავლოვიჩი წიქორიძე მეგონა, დოსააფის აგენტი.

— აბა კარგად, ყოჩაღად იყავი, დათიკო!

— შარია, ეს შობელძაღლი! — თქვა ხრესელმა, დათიკო რომ გავიდა.

...

ლავრენტის და, დედა და სიძე ნიკოლოზ (კოლია) მესხორიძე ხალხის მტრის, გასახლებული ოჯახის ბინაში შებინავდნენ, — როძევიჩის 66-ში, მაკბეტისა და ჯაფაროღლის ქუჩათა გასაყარში, მეორე სართულში, სადარბაზოდან ხელმარცხნივ. პირველი სართულის ოთახ-ნახევრიან სექციაში ფარჩალიას ქალი შეუშვეს დედასთან ერთად. დედა, რომელიც წლის ბოლოს კვლავ გაუთხოვარ დასთან ვეძისში გადაბარგდა, კმაყოფილი დარჩენილა, ეშველა ჩემს გოგოს, მორჩება ხტუნვასო!

სომხურ-ფსევდო-კათოლიკური შენობა, თავის დროზე, ვაჭარ, ვინმე მნაცაკანოვს ეკუთვნოდაო (ამშენებლისა და თავდაპირველი მფლობელის ვინაობა უცნობია), გასაბჭოების პირველსავე წელს რევკომს წითელი პოლკოვნიკი, ვილაც ნანიტაშვილი შეუსახლებია. მომდევნო წლის 24 მაისს ნანიტაშვილი დაიჭირეს, ცოლი, სიდედრი და ბავშვები, პატარა გოგო და ბიჭი, ფანჯრებიდან გადმოყარესო. პატარების რამდენიმე სათამაშო იყო დარჩენილი ანტრესოლში, ბინაში კი ქვეპოლკოვნიკის კირზის ჩექმების სურნელი ტრიალებდა, ფოსტაც იმ კაცის სახელზე მოდიოდა ერთხანს!

სახლის პირველის პირველი სართულის ქვეშ და ქვემოთ ბატონობდა სიბრტყე, სადაც, ახალ მოსახლეთა გადმოსვლამდე, შავ-შავი სამიზნეები იყო დაყენებული, იწოდებოდა, დარჩა კიდეც, „პლოშადკად“, საიდანაც იწყებოდა და იწვართებოდა სარდაფი. იგი ჩადიოდა და იკარგებოდა ყოფილ ქარვასლამდე, იტალიური ოპერის ფუნდამენტ-ბალავრამდე არმისული. ახალმოსახლის ნიკოლოზ (კოლია) მესხორიძის განმარტებით იმ გვირაბის ერთი ნაწილი ბერიას ალსაყდრებამდე და გვერდითი გვირაბის სახლამდე და პარტიის ცენტრალური კომიტეტის კორპუსამდე მიყვანამდე ჩამოინგრაო. ძნელად დასამხრობი მინისქვეშა ხვრელების გამარტივებული სტრატიგრაფიული გეგმის ჭრილი ლავრენტი ბერიას საკუთარი ხელით ჰქონდა ამოხაზული და ედო მაგიდაზე სქელ მომწვანო შუშის ქვეშ; უფრო მეტი იცოდა ვიდრე სიძემ მუნჯი დის ქმარმა ნიკოლოზ (დათიკო ძმა იყო მისი) მესხორიძემ...

სტარტი. პირველივე გასვლა რკინის კარში, იგი შიგნიდან ილებოდა და შორიდან იმართებოდა, უხიფათოდ გასრულდა. გაატარეს ნათელა გზის დასამხრობად და არა სხდომათა ოქმებისა და სტენოგრაფიული ჩანაწერების გასაცნობად.

აქედან არ შესულა და იქედან გამოვიდა, ფიქრობდა მათეევიჩი მისალებში ერთგვარი თანაგრძნობითაც. მორიგი მსხვერპლი დააწერა მაგიდის კალენდრის ამოსახევ გვერდს. ლავრენტის დედამ დაიახლოვა: შენ რომ იცინიო, გააგებინა ხელებით და ენის ფერთხვინით, — მესმისო. დაბადებითვე სმენა ქვედაქვეითებულს, სიცილი უყუროს როგორლა ეყურებაო?! გუნებაში თუ იცინოდა (სავარაუდოდ) და სხვისი კისკისი ესმოდა — სხვა იყო! მუნჯის ენა დედას ესმისო, მაგრამ ელისაბედს საკუთარიც არ ჰქონდა გაგონილი. ვარჯიშობდა სახელმძღვანელოს მიხედვით, ავარჯიშებდნენ ენის სამტვრევ-გასატეხებით, მაგრამ სიტყვებს ერთ ხაზზე ვერ აყენებდა, ერთი ბუდის თანხმოვნებს ვერ კონავდა: ბგერები ორღანის შტვირებივით აუდ-ჩამოუდიოდნენ. ფარჩალიას დანახვაზე კი, რა ამის პასუხია, მაზლი ახსენდებოდა, ეკითხებოდა, ხელებით — სადაა ჩვენი დათიკოო. მე მგონი გზაშიაო, — იცინოდა, „ის ქალი“, — ნათელა ფარჩალია, უკვე მერამდენედ. იგი გუნდში, იმ ანსამბლში უნდა ჩაწერილიყო, როგორც ყრუ –პრიმადონა! და ყრუმუნჯებს დღე-დღეზე ელოდა თავადაც...ისინი არ ჩანდნენ და მოახლოვდნენ ბრახ-ბრუხით... და მოადგა, როგორც იქნა საქართველოს დედაქალაქს ყრუმუნჯების აკადემიური დასი ქორეოგრაფ დათიკო მესხორიძის მეთაურობით. პირველი რეპეტიცია ჩატარდა როძევიჩის 66-ში, სადაც „ჩვენები“ ჩასახლდნენ, სულ ცოტა ხნის წინ! ნათელა ფარჩალიაც ჩაერთო, ჩაეწერა ანსამბლში, როგორც ყრუ-მუნჯი, თუმც არ დაუფარია, რომ ყურს არ აკლდა და ენაც არ უგვალავდა...

...

...ოპერის თეატრში სამოსკოვე დეკადის შესარჩევი კონცერტის ბილეთები რამდენიმე დღით ადრე მთლიანად გაიყიდა.

ყრუმუნჯთა აკადემიური ანსამბლის ჯერიც დადგა და გამოცვივდნენ გამოუძინებელი ქაჯები ღმუილით. დოლმა, გარმონმა, ხალხური საკრავების ბენდმა ახადა ლამის ჭერი თეატრს.

— გააფრთხილე შენი ძმა? — ჩაილაპარაკა, უკან არ მიუხედავს.

— რასაკვირველია, ამხანაგო ლავრენტი პავლოვიჩ, რაზეა ლაპარაკი, გავაფრთხილე... — კეფას უთხრა, ვიდრე თავს და — ნიკოლოზ, კოლია მესხორიძეს (დათიკო ძმა იყო იმისი) წინადადება დამთავრებული არ ჰქონდა, როცა ატყდა წივილ-კივილი სცენაზე და შემოვარდა ცერულითა და გაშიშვლებული ნაგანით... ნაგნით, — სამ დატიკო! აპარპალდა ჭარხალკანის სიწითლით ლავრენტის ნახევარი თავის წინარე მოტვლეპილი ალაგი.

— ტყვიები არა აქვს, პავლოვიჩ, ცარიელი იარაღიაო, უჩურჩულა ფხვინვით პატრონს, ძმა, თუნდაც ცალმხრივი, ძმისთვის, მაინც ძმა იყო და ჯეროდა რასაც ამბობდა, ფერი კი აღარ ედო მაინც სახეზე, ავის მომლოდინეს.

— ტაკ! — თქვა ლავრენტიმ.

და შეცვივდნენ სცენაში აჭარული სამოსით შემოსილი მაცეკვარები, შეისვეს მხრებზე, ორი წინ დაუდგა, ორი უკან და საჯდომზე ხელმიბჯენით, ციმციმ, აჭარულითა და ბუქნით გაიყვანეს სცენიდან! ოვაციები, ბის! ბრავო! რეპეტე!

გახვალ, დათიკო თუ გაგიყვანოთ?!

გაცილება ხომ არ გინდა დათიკო?!

— რეპეტე!

დათიკო იმ სცენაზე, იმმეტჯერ აღარ გამოჩენილა.

უნდოდა და გააცილეს მოსკოვში კი არა, მოსკოვს, — იქით და... იქიდან — ჩრდილოეთით, — ეროფეი ერმაკოვის გზით...

...დამაწიოთ იქნება ჩემი ანსამბლიო! — ითვლეინებოდა გზიდან, ანსამბლი ყრუმუნჯ მოცეკვართა დაიშალა მანამდე, სანამ ველიკი ხორეოგრაფ დატიკო დანიშნულების, გადასახლებადაც უხმობენ, ალაგს მიაღწევდა.

— როდის ჩამოვალო? — იკითხა ანსამბლის ადმინისტრატორის მოადგილემ იპოლიტე პერტიამ.

— იმის ჩამოსვლამდე არ გეტკინა არაფერი!

— მლოცავ ახლა თუ მწყევლი, მაგალითად, შენ?! — გული მოუვიდა პერტიას.

...მერე იყო და — ქართული კულტურის მრავალრიცხოვანი მუშაკები მსახიობები, მომღერალ მაცეკვარები და მწერლებიც კი, მხატვრები, შენ ჩემი ბატონი ხარ ხალხური რეწვის მუშაკები და სხვები მოსკოვში გაემგზავრნენ ქართული კულტურის დეკადაზე სპეცმატარებლით. ნათელა ფარჩალია... — გიმატია ბაქოში, რკინიგზის ვოგზალში დაინახეს ღამის ოთხ საათზე, იგი ბერიას ვაგონში ავიდა.

კოტე მუჯირი.

„დაკარგული სამოთხის" პრასმოტრის (გასინჯვის) შემდეგ, როცა ფილმიდან საიქიოს სცენა ამომიღეს თავისი ანგელოზებით, აღარ ვითვლებოდი სანდო პირად, მაგრამ ჩვენი დელეგაციის ერთი სექციის — ხალხური (ცეკვა, სიმღერა, რეწვა) წარსადგენად მე დამნიშნეს. შეხვედრა დიდებული კურსკის ვოგზალში, — ყვავილებით, პარტიული მუშაკებით, მათ შორის ჟდანოვი, პარტიის იდეოლოგიური განყოფილების ყ-ისთავი, — ლოთი; მსახიობები, კინორეჟისორები, — კოლეგები, უბრალო ხალხი, — მოსკოველები, ხვევნა-კოცნა, ზეიმი. ის ქალი მე იქ არ დამინახავს. მეორე დღე. შეხვედრა კრემლის დიდ დარბაზში, საპატიო მიღება: სტალინი და წვრილ-წვრილი ბელადები, მათ შორის ჟდანოვი, — ლოთი. საფეხდგომელო სუფრები, კონცერტი, სიმღერა. საოპერო სოლისტები შერჩევით, — ქალი და კაცი და ბოლოს ცეკვა „ქართული", გამოვაცხადეთ — ოპერა „დაისიდან". ილიკო სუხიშვილი! ოპერაში ხომ ორი ვაჟი ეცეკვება ერთ ქალს, აქ პირიქით, ჩვენი ჩანაფიქრით: ილიკომ უნდა გამოიცეკვოს სამი ქალი, სამი ვარსკვლავი, რიგრიგობით: ნინო რამიშვილი თავისთავად, ვერიკო და ნატა ვაჩნაძე. ვინ ნახა ან ერთი ან მეორე ან მესამე?... ილიკო გასმებზეა ორიენტირებული, უსვამს და უვლის და უსვამს და იხედება ერთ მხარეს მიმინოსავით თვალებდაყვლეპილი. სტალინი ნასვამია, მაინცდამაინც არ ეტყობა, მაგრამ გადაკრულშია აშკარად... გამოხტა ის ქალი ფარჩალია, საიდანღაც... მომეჩვენა, თითქოს ვიღაცამ შემოაგდო, გამოსრიალდა და სტალინიც გამოცოცხლდა, სიმფონიურმა, ჩვენი ოპერის სიმფონიურმა ორკესტრმა, მთელი ძალით, მოგივიდა მშვიდობა, დაცხო „დაისის" ქართული და რა გითხრა! ორჯერ დამატებით გაამეორებინა ცეკვა იმ ქალს ბელადმა. იცეკვა, მაგრამ რა იცეკვა იმ დაწყევლილმა... მიცურავდა მიწისზევით გედივით. ბელადმა: — ტანმორჩილი კაცი იყო, იქ ვნახე ცოცხლად; ახლა ბალში გადავინაცვლოთო, ადგა, უკან არც მოუხედია. გაყვნენ. ბერია დაწინაურდა. ის ლოთი — ჟდანოვი, უკაცრავად პასუხია, მოიტოვა უკან — ჩვენმა! მეც მარაქაში ვარ, ჩარკვიანს კანდიდს რაღმე გავასწარი.

ვინ იყო ის ქალიო, იკითხა, იმან — მივხვდი, გარეთ, ორმუხლა კიბით რომ გავდიოდით — იმან?

— დიახ, კტო ანა, ატკუდა?

— პანიატიე ნე იმეიუ, ტავარიშჩ სტალინ!

— ვრიოშ, ლავრენტია! — მეგრულად მოუქცია.

ისედაც ჩაჟამული სახე ჩაუშავდა და ყბა მოენგრა ლავრენტიას, შუბლი და თავის ქალის ნაწილი გაუფერადდა! მომიკითხეს იმ საღამოს ჩვენმა ქალებმა — ვერიკომ, ნატომ, ნინომ — ნინოწმინდასავით... რავარი დღე მაყარეს, რომ იცოდეთ, მე რა შუაში ვიყავი. ის ფარჩალია, აღარ გამოჩენილა, გააბრუნეს თუ გადამალეს, არ ვიცი, მე აღარ მინახავს...

და მაინც:

ვინ იყო ის ქალი, საიდან მოვიდა?

...სალენჭეჭყაოდან: ჭაობის პირას ავფსიორდი ისლივით.

...ასპიდები ჭყანტიდან, როცა უკისრო თავებს ამოაყელყელავებდნენ, მწვანე ვასაკები ამოყვებოდნენ ბუშტუკებს ... და ხავსიან თხმელების გრძელ ხეებზე დაიწყებდნენ ცოცვას ალმეურად, ვასაკისფერი, თეთრად დამეჭეჭებული უთავბოლო ფარდაგი ირწეოდა ჩვენ ქვევით რბილად, აპკიანი საცეცებით მივცოცავდით მზის სხრიალში მწვანედ და მთვარის ალმასვლიდანვე ვიწყებდით მოთქმას. დღისით კინომედოკუმენტე რეჟისორი იღებდა ჭაობს, საღამო — რელე ფეხშიშველი ქალიშვილები მოდენიდნენ ხვასტაგს მინდვრის მწარე ყვავილების კონებით... კინოს ვიღებო, ამბობდა მაღალი ალბინოსი... ინდაურის ჭუკებს ვინც და ვინც ვინცს გაასწრებს გადავიღებ, კინოში გამოჩნდებაო... ქარს გაასწრო, ჭუკებს კი — არა... იმან, ცოდვაა ეს ძღაბი, ჩამოიყვანე-მეთქი. დამიჯერა დედამ, რადგან დაჯერება უნდოდა. მერე იყო დეკადა მოსკოვში. ვივარგეთ. გავაოცეთ, გამარჯვებული წამოვედით, მე პირადად ნავთლუღში ამწიეს, თბილისის სადგურში არ შემიშვეს! — სხვები, ნაწილი, მოგვიანებით დააპატიმრეს. დაიჭირეს და გააქვრეს ცეკას შენობის კომენდანტი გაიოზ შარაბიძე, ჩამოაშორეს მისაღების კაკლის ხის მაგიდის გამგებელი მათეევიჩი — აგურის ქარხნის მოანგარიშედ გაუშვეს კასპში, რაღაც დამსახურების გამო...

სერგეი კიროვის მკვლელობამ (1934 წ.) ხელ-ფეხი გაუხსნა ტანმორჩილ დიქტატორს და ზინოვიევ-კამენევის, ეგრეთ წოდებულ, ოპოზიციურ ჯაჭვს ამოჰყვა ტროცკისტთა მთელი, — ხელოვნური აბლაბუდა — მეტროპოლიაში. ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში შედგა „შავი სიები", რომლებიც გადაიგზავნა ცენტრში, იმპერიის დედაქალაქ მოსკოვში. ლავრენტი ბერიამ სხვა ოფიციალური ქაღალდიც წარუდგინა ბელადს: ამ დრომდეო (1937 წლის ოქტომბრამდე) დაპატიმრებული გვყავდა 12000 პირზე მეტი — პირი (კაცი და ქალი), აქედან უმაღლესი სასამართლოს სამეულმა გაასამართლა 5236 ადამიანი, ქალი და კაცი! ჩამოთვლილია აღმასრულებელი ორგანოების სხვა უწყებანიც, რომლებიც ბელადის ყურადღებას არ ან ნაკლებ იმსახურებდნენ, პირველობდა სამეული — „ტროიკა", რომელიც თითქმის მთლიანად დახვრეტაზე იყო ორიენტირებული. „ტროიკა" — სიკვდილის სამაია! ხვრეტებმა (1937 XI), საქართველოს მასშტაბით, არნახული ხასიათი მიიღო. ეს მაშინ, როცა ამ უბედურ ქვეყანას გადატანილი ჰქონდა ინტერვენცია, ქვეყნის დამოუკიდებლობის დაკარგვა, 1924 წლის, წინასწარ გაყიდული, „აჯანყება" — დაჭერებით, და ხვრეტებით, კოლექტივიზაცია, ძალად მაცხონეს

პრინციპით და ავად სახსენებელი 1937 წელი და (წინსწრებით) და 1938 წლის პლენუმმა მიიღო დადგენილება, ფრიად ბუნდოვანი ფორმულირებით, შეკუმშულად — კმარა (ხვატიტ)! თუ ასე გავაგრძელეთო, დაასკვნა ბელადმა, დასახვრეტიც აღარავინ დაგვრჩებაოო, ჭკვიანი კაცი! შეჩერდა რეპრესიები, რადგან სტალინს, მთელს საბჭოეთში, სიტყვის შემბრუნებელი აღარ დარჩა. დიდება ბელადს! „ქართველ მშრომელებთა წერილი ხალხთა დიდ ბელადს, სტალინს! მიესალმება ლექსად!“ ეს იყო თურმე ქართული კულტურის გვირგვინი, ქართული გენის ყივილი (?!).

თბილისის ოპერის თეატრში, საოპერო წარმოდგენის დამთავრებისას, თუ შიგ ანტრაქტში, ვინმე მამალაძე წამოეწია თეატრის დირექტორ ჭყონიას და შიგ კეფაში მიაჭედა ბრაუნინგის ტყვია. რატომ მოჰკალიო შეეკითხნენ სასამართლოში, ლენინის რაიონის პარტიის კრებაზე გამაკრიტიკა და ველარ მოვითმინე და მოვკალიო. სასამართლო უზენაესი ამ ახსნა-განმარტებამ სრულიად დააკმაყოფილა და სამი კვირის თავზე, ჭყონიას ორმოცი გადახდილი არ იყო, მამალაძე გამოუშვეს ციხიდან და....

...

ერთ საღამოს მზე რომ წითლად ჩაესვენა, დღემ რომ სული მოითქვა, ქალბატონი შემობრძანდა სადარბაზოში, ქვედა და ზედა სართულის გასაყართან გაჩერდა. შინ არიან? შეეკითხა ნიკოლოზს ქვედა ბაქანზე, სიგრილეში გამოსულს.

— ელისაბედი შინ უნდა იყოს, ზევით!

სტუმარი ქალბატონი, თითქოს, — რა მაგის პასუხიაო და ქვევით ჩავიდა.

— ლიდია გასვიანი, ილარიონოვნა, სახელმწიფო გამომცემლობის ერთი ხელმძღვანელი!.. — გაეცნო ნათელა ფარჩალიას. მოგრძო სახის, კეხიანი ცხვირის პატრონს, ნაბლისფერი, წმინდად გადავარცხნილი თმა პარკივით ედო თავზე:

— შეიძლება, რომ დავჯდე?

— დაბრძანდით, თუ გნებავთ სელის სკამს გამოგიტანთ!..

— არ არის საჭირო, თქვენ ნათელა ხართ, გიმიტია ფარჩალია...

„საიდან იცის?“

...

ლიდია გასვიანი ლევ ლეიბა ტროცკის არხანგელსკში, ტროცკისავე აგარაკში დაუახლოვდა. ამის გამო იგი კომუნისტური პარტიიდან გარიცხეს 1927 წელს, 1929-ში კი, როცა ტროცკი, ჩვენთან სტროცკითაც მოიხსენიებოდა და საბჭოთა კავშირიდან გააბუნძულეს, ლიდია საქართველოში გადმოვიდა საცხოვრებლად და ტროცკისტებთან საბრძოლველად (?)! იმის შემდეგ, ყოველ მეორე-მესამე დღეს, აკითხავდა სახლს როძევიჩის 66-ში, მაკბეტის ქუჩისა და ჯაფარ-ოღლის ქუჩების გადაკვეთაზე, ადიოდა ბერიას დასთან და მეუღლე იმისი ნიკოლოზ მესხორიძე, იმ ქალის გამოჩენისთანავე ტოვებდა იქაურობას და ქალებს, რომლებთაც ერთმანეთის არ ესმოდათ, პირისპირ ტოვებდა. ნიკოლოზის გასვლა და ლიდიას ჩასვლა ერთი იყო. ჩადიოდა სქელქუსლიანი ფეხსაცმელების რაკარუკით და დაჭმუჭნილი ჩანთით. ერთხანს იქაც დუმდა. უცხოური ჟურნალით ინიავებდა სახეს.

— შენ მოგწონს პოეტ პაოლო იაშვილის საქციელი?

— არ ვიცნობ! — უპასუხა ნათელამ, — გიმატიამ.

— სწორედ შეაფასა ლავრენტი პავლოვიჩმა, ორმოცი წლის კაცია და თავში ჭკუა არა აქვსო, არ არის მართალი? რას ეჩრება ყველაფერში, ვისთან არის აღნიაშვილთან თუ ჯიქიასთან?.. პირნავარდნილ კონტრრევოლუციონერებთან?! ყველგან მაგი უნდა იყოს? რამდენი გაზეთის, კრებულის რედკოლეგიის წევრია, იცი?! ყველა ლიტერატურულ შეკრებაზე მაგ არი და სუფრაზე თამადაა, მოსაწონია მისი საქციელი? შენ რას ფიქრობ?..

— მე არაფერს...

— ყაწწელები უნდა განადგურდნენ, როგორც მოვლენა, როგორც ფაქტი! არ მეთანხმები?

„...ამას მე ვინ ვგონივარ?!“

— არ ვიცი ლიდია, მე არ ვერევი ამ საქმეებში. შენ სხვა ხარ!

უკმაყოფილო წავიდა იმ დღეს, ჩანთაამოღლიავებული, სანამ მაკბეტის ქუჩიდან ჯაფარ-ოღლის ქუჩაში არ გავიდა, მისი ფეხსაცმელების სქელი ქუსლების ნერვიული რაკა-რუკი არ შეწყვეტილა.

...„ეწყინა, ვაწყენინე, ესეც სადარდებელი გამიხდება!“ დარეკეს, დახურული სიგნალით.

საქართველოს ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გელოდებათ, საღამოს ხუთ საათზე მისაღებში უნდა იყოთ. საშვი პირველ სართულზე, სარკმელი ნომერი ოთხი!

ფეხზე იდგა შუა კაბინეტში, არა გამარჯობა, არა სალამი, არა მობრძანდ-დაბრძანდი.

შენო, ამოიღო, როგორც იქნა ხმა: ტვინი პუანტებში ხომ არ ჩაგივიდა?! პუანტებით საბალეტო დარგის ცოდნა გაამჟღავნა ალბათ.

— მე ბალერინა არა ვარ, არც პოლიტიკოსი?

— მაშ რა გინდა გასვიანის ქალთან, არ იცი, რომ იგი პირნავარდნილი ტროცკისტი და პროვოკატორია!

— მე ის ვიცი, რომ თქვენია, თქვენ მტრებს ავლენს, ასე მგონია, რომ თქვენ საქმეს აკეთებს...

— აკეთებდა! — გააწყვეტინა, — იმდენი გააკეთა, იმდენი მტერი აღმოაჩინა, რომ, რომ... რომ საკუთარი თავი გამოწურა, აა, ასე! — რაღაც ტკბილი გასრისა მინიშნებით, ხელისგულებით...

...ღამით ცუდად ეძინა, გამთენიის ხანს სროლის წყვეტილმა ხმამ დაუფრთხო ძილი. სად ისროდნენ, შიგ თუ გარეთ? ვერ არკვევდა. ლიდია გასვიანი იმავე დღესვე დააპატიმრეს და იმავე დღეს გაასამართლეს, უმაღლესმა სამხედრო პროკურატურამ და სასამართლოს კოლეგიამ — ტროიკამ, — (დაუსწრებლად), იმავ საღამოს ლიდია გარსევანის ასული გასვიანი სტატიით, იმ მუხლის, იმ პარაგრაფით დამნაშავედ ცნო და სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა შეუფარდა. განაჩენი მოყვანილი იქნა სისრულეში იმავ საღამოს, მზის სრულ ჩასვლამდე.

22 ივლისს 40 წლის პოეტმა, მწერალთა სასახლეში, როცა იქ პარტიულ მწერალთა დახურული სხდომა მიმდინარეობდა, სანადირო თოფით სარაჯიშვილისეული სახლის მეორე სართულზე, მარმარილოს მოაჯირთან თავი მოიკლა! პაოლო იაშვილის თვითმკვლელობა პროვოკაციულ აქტად შეფასდა და იგი დაგმეს (?!) იმავ და მომდევნო დღეებში, მისმა კოლეგებმა მკვდარი ცოცხალივით გაკიცხეს. 1937 წლის 28 ივლისს მწერალთა კავშირის მაშინდელმა თავმჯდომარემ დავით დემეტრაძემ ხალხის მტრის პაოლო იაშვილის პროვოკა-

ციული თვითმკვლელობის შესახებ პარტორგანიზაციას აცნობა: ხალხის მტერი (?) პავლე იაშვილი გაექცა პოლიტიკურ სამართალს და ამ პროვოკაციული აქტის საპასუხოდ და:

...მწ. კავშირის ხელმძღვანელობა კიდევ უფრო გაამახვილებს კლასობრივ სიფხიზლეს, რათა ბოლომდე გამჟღავნებული იქნან პ. იაშვილისთანა გაიძვერები...

არ გასულა დიდი დრო და ხანი.

...დემეტრაძეც მიუწვინეს თვითმკვლელს, რომელიც ნაღდად გასაკიცხი იყო: რატომ იჩქარა! რატომ დაასწრო, რა ხდება?!

**1937 წ. ივლისი. ტფილისი.**

ჩაწერა დღიურში, რომელსაც ავსებდა თითქმის ყოველდღიურად, უმეტესწილ დაძინების ჟამს.

— ბატონო ნიკოლოზ, შეიძლება გკითხოთ?

— ბრძანეთ!

— რა ისმის თქვენი ძმის, დათიკოსი?

— კარგადა ვარო!

ჰო, ჰი, ჰი, ხიხუ რაღაც ხიხინით, ცერით, გაურკვეველი ბგერების გადმოცემით გამოხატა ელისაბედმა მისი მაზლის კარგად ყოფნა.

ციმბირშია?

არა, ვარკუტაშია, მოცეკვავეთა ანსამბლი ჩამოუყალიბებია.

— ყრუმუნჯებისგან?

— არა, კაცო, რა უნდა ყრუმუნჯებს ვარკუტაში, ეს ჩვენთანაა! — თქვა და ცოლსაც გადახედა უტაქტოდ, თუმცა მისდაუნებურად, ჩაახველა, ჩაიწმინდა ყელი და:

— ერთი მითხარი, ნათელა, რას ერჩოდნენ იმ ქალს, აქ ჩვენთან ხშირად, ქვევით შენთან...

— გასვიანის ქალს? გასაგებია, რას გაიგებ ბატონო ნიკოლოზ!

— მაინცო?.

— გამოიწურაო.

— ასე?! — ვებერთელა ხელისგულებით გაწურა თითქოს პირმოობებული, გაბზარული ბრონეული, შემდეგ ბრონეულის წვენით განითლებული ხელები ალაპყრო, ცოტა ხანი არხია თავი განდაგნურად და შინ შევიდა.

— მეც გამომწურავენ! — .ფიქრობდა, წერდა და ავსებდა დღიურს ისევ საღამო ჟამს უძილო ძილის წინ.

**ძილისპირული ჩანაწერები**

(იგი საიმედო ხელშია, ელოდება)...

ახლა მხოლოდ და მხოლოდ ეს:

*...ჯერ კონიაკს მაძალებდა კაბინეტში, არ ვსვამ ხომ იცით-მეთქი, ახლა დალიეო. არა, მერე ხელების გრეხვა დამიწყო, არადა ელოდებიან, თათბირი აქვს ჩასატარებელი იქით, მოსასვენებლისაკენ გავიწიე. შენი იღბალი, ვერ გამოვალ სტალინის ზარს ველოდებიო, წითელი, განსაკუთრებული დანიშნულების ტელეფონის ყურმილი იყო გადადებული, ხმა ისმოდა: ადრესატი იმ თავში, უეჭველია კრემლში, ვიღაცას ან ვიღაცეებს მოძღვრავდა ან ლანძღავდა, ვიხელთე და ეგრეთ წოდებული მოსასვენებლიდან, სხვა სახელი უნდა ერქვას, გასასვლელში, შემდეგ გარეთ და გვირაბით... რკინის კარი ჩარაზული იყო, ძალიან შევშინდი. გააგონებ ვისმეს, გაგიღებს ვინმე თუ რას შვრები?! გავბრუნდე უნდა, მაგრამ იმ კარსაც ჩარაზავს, სიგნალებზეა დაყენებული ყველაფერი, ჩაგიკეტავს, არ იკადრებს, მე შენ გეტყვი და იცოცე მაშინ სიცხის საზომის ვერცხლისწყალივით. გულისრევის შეგრძნებაა. კიდევ კარგი მაგისაგან არა ვარ ორსულად!*

**გ.ფ. 1937. VII**

მეორე დღეს მზის ჩასვლისას:

მიუყვებოდა ნაცნობ ადგილს ნაცნობი ბილიკით: მოგრძო, დაბალ მაკბეტის ტროტუართან გასწორებულ, ჩაჟანგულ-ჩაშავებულ გისოსებს ჩამავალი მზე მოდგომოდა და მის წითელ სხივებს გვირაბის განაკიდის ყრუ კედლები დაეხვრიტა შუბისპირულით. სარკმლებიდან მოსიარულე ფეხები ჩანდნენ, — კოჭებიდან კვირისტავებამდე და ქალისა და კაცის გარჩევა არ ჭირდა, სარკმლები კი, შესაბამისად გისოსები, არმატურის გადანაჭრებიც, თანდისთან მოკლდებოდნენ. ერთგან ფეხები დადგნენ, ჭვანტები მოპირდაპირე ჭვანტებს დაუპირისპირდნენ, ქალი ქალს ელაპარაკებოდა, მაღალ, სქელ, შავად აპრიალებულ ქუსლს დაადგა თვალი, ლიდია გასვიანის ქუსლებია? ქუსლი ქუსლს ჰგავს, ფეხსაცმელი ფეხსაცმელს, მაგრამ...

...ასეთი მსგავსება არ მინახავს, ლიდიასია... დილით ხომ მოკლეს, დახვრიტეს სამხედრო სასამართლოს გადაწყვეტილებით და ფეხსაცმელები უპატრონოდ, ულიდიოდ, ხომ არ გამოცხადდებოდნენ?

არა, აშკარად ლიდიასია, ღმერთო შენ გვიშველე!

წავიდა, ჩაუარა მოციმციმე წითელ ღილაკს, რაც იმას ნიშნავდა, რომ კარი ღია იყო და გზა თავისუფალი, შედიოდა და... შეგიყვანდა ისევ, თუ გაყვებოდი... — პირდაპირ საქართველოს ცენტრალური კომიტეტის ცარიელ დარბაზში.

— ...არა!

გვირაბი დადაბლდა, დადაბლდა, ჩაბნელდა, და რაღაც რბილს წამოედო, წაბორძიკდა, შეიკავა თავი და გაიქცა. მწვანე ჭანჭრობში გარბოდა მინაზე ფეხდაუკარებლად მიცელავდა აფსიორებულ ბალახ-ბულახებს ქვეწარმავლების სისინში, შუადღის მზის სხივების ანაკრეფ სხრიალში... ჭყანტის მწვანე ლავა ტორტმანებდა თბილ გუბეზე. უსხეულო, უფორმო, ცისფერ წვერ-ულვაშ მომყოლი ამოყვა ცისფერ ბუშტს, ჩამოეხსნა ცისფერი სფერო და — ღლლამპ! — ჩაბრუნდა მწვანეში, კაცი... იგი იყო უსხეულო...

...ოპერის წინ როგორ აღმოჩნდა, ვერ გაიხსენა, როგორ ამოვიდა?! თეთრი, სიცივისფერი სიჩუმე ბატონობდა არეზე, დაინახა ადმინისტრატორი პორფირი (პორფილე), რომელიც წინა შაფათს დაასაფლავეს... ადამიანები ხმას არ იღებდნენ, მოძრაობდნენ აქა-იქ, უხმოდ.

იყო არნათლად ნათელი!

ოპერის ბაღს, პროსპექტის ქუჩის ჯვარს მთვარისა და სიჩუმის ნათელი გადასდიოდა. ალ. დიუმას წიგნის მაღაზიიდან წიგნები გამოჰქონდათ უხმოდ, ურიგოდ, ზოგს ერთი (ტ.1) ეჭირა ხელში, ზოგიერთს ორი და მეტიც. რომენ როლანის „ჟან კრისტოფი" აღმოჩნდა. გადახდილი თანხის ქვითრით თევზის — „ვობლის" ნაღების უფლება გეძლეოდათ: ერთი ტომის ქვითრით — ერთის, ორი ტომის ქვითრით — ორის, სამით — სამის! ლამპიონის ბოძიდან ლამპიონის ბოძამდე გაჭიმულ სინაზე ეკიდნენ და დროდადრო ირხეოდნენ გამომარილებული ტარნები ვერცხლისფრად უნიავოში, რაღაც რბილი მეტალის ხმას გამოსცემდნენ. — ძინ. ძინ, ძინ! ტომეულებზე არ იტყოდა უარს, მაგრამ კაბა ჰქონდა შემოსვლეპილი უპერანგო ტანზე. მერე რა? მე ხომ

ბალერინა არა ვარ, თანაც წიგნს უტალონოდ არ იძლევიან, თუმცაღა ზოგიერთებს, სველ თევზებს ძალით რომ უტენიდნენ კიტელის ზედა ჯიბეში, წიგნი არ მიჰქონდათ. მე ვილანდები ამ სლიპინა ქსოვილში? სამაგიეროდ პოლიტიკაში არ ვერევი და მაინც შიშველი ვარ? არა, კი?!

რალაც, სადღაც, ბჟუოდა. გარკვევით აღარაფერი ესმოდა. პირში ისევ მეტალის და ახლა სისხლის გემოსაც გრძნობდა. თევზიც ყარდა სადღაც სულ ახლო...

სადაა ნეტავ ახლა დათიკო მესხორიძე?! იმის ანსამბლში ისევ ვიცეკვებდი, როგორც ყრუ, როგორც ბრმა, როგორც შიშველი, — კი, არა, სადა ვარ?

ორ გვამს შორის იწვა.

...ალბათ გული წამივიდა, რატომ ალბათ?!

პირქვე ეგდნენ, კეფაზე მიხმობოდათ დაკოლტებული სისხლი, რომლის ძირში ნატყვიარი იყო ამოღრუნტული, მავთულით, ჩვეულებრივი, ნახმარი მავთულის ნაგლეჯებით მიტყუპებული ჰქონდათ ზურგსუკან მაჯები...

...გატანა ვერ მოასწრეს, გუშინ დასვენების დღე ჰქონდათ. აი, რატომ ესმოდა გათენებისას სროლის ყრუ ხმა, — თითქოს — ჭიდან!.. რალაც ზუზუნებდა იქვე და მაღლა... ქარი მიყვებოდა ხვრელს უსასრულოს. თავს უშველა ქორეოგრაფმა დათიკო მესხორიძემ. აქ ყოფნა უფრო საშიშია... ქარი ძლიერდებოდა, აიშვებდა და აწყდებოდა ერთ ამოქშენაზე ყრუ ნაპრალებს, ნაგოჯიალებ, პირლია ქვებს. სადღაც წინ უფსკრულია, წყალიცაა, ნაკადულის ჩხრიალიცაა...

მატა ხარი ხარა? არა, სისულელეა, თუმც რალაც იმისგვარი, ვცეკვავდი, ქართულის მაცეკვარი ვიყავ... ლეჭენჭყოში ავფსიორდი... ხმელი ქუჩის საფარში ვერ ვიხარე...

ის დღე და გიმიტია (ნათელა) ფარჩალია საქართველოში აღარავის შეხვედრია, პარიზში, ქართველი ემიგრანტების მამულ ლევილში, ნახესო, იყოო იქ, თანაც საგანგებო მისიითაო, რამდენად შეეფარდება ეს ვერსია სინამდვილეს, არავინ იცის, პირადად მეც, — ვერაფერს მოგახსენებთ!..

დათიკო მესხორიძე დიდი ომის დამთავრებამდე 1944 წლის შემოდგომაზე პირადად საბჭოთა კავშირის უშიშროების მინისტრის, საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს პირველი მოადგილის ლავრენტი პავლეს ძე ბერიას განკარგულებით გაათავისუფლეს. ჩამოვიდა ქორეოგრაფი დათიკო მესხორიძე საქართველოში შეზღუდული თავისუფლებით: დიდ ქალაქებში — თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში, ფოთში, თელავში, ყვარელში, ლაგოდეხში, ხონში, ვანში, გორში (სია ვრცელია, ბოლომდე არ გავყებით) და სხვა წერტილებში ცხოვრებისა და სამსახურის უფლების გარეშე, ჯერ ოჩამჩირეში, შემდეგ ხობში, ბოლოს ბუყნურში, მეშახტეთა ქალაქის სიახლოვეს იშოვნა სამსახური, იქვე ჩამოაყალიბა მოცეკვავეთა...

— ყრუ-მუნჯების ანსამბლი?!

— არა კაცო, სადღა იყვნენ ყრუმუნჯები?! ბუყნურის (ტყიბულის რ-ონი) მოცეკვავეთა აკადემიური, ქორეოგრაფიული ანსამბლი. იყო იქ, იმ ანკლავში, სანამ ერთი არ მოკვდა და მეორე არ მიყვა ორ თვეში, ერთი, ზოგიერთის ვარაუდით, მეორეც მოკლესო, თავად მკვლელი დახვრიტეს, მაგრამ რომელმა რომელი მოკლა ვერ დაადგინეს! ეს მოხდა 1953 წლის გაზაფხულ-ზაფხულში.

რამდენჯერ დაილია და ალივსო მთვარე მას შემდეგ. ყოველივე მიედინება: შემოდგომას ზამთარი ცვლის, ზამთარს გაზაფხული, სიცოცხლე წუთისოფელივით გრძელია და ხანმოკლე... იბჟუტება, ბოლომდე არ ქვრება, ინთება და ფერმკრთალდება, აალდება ისევ სუსტად... და... ისევ... მხოლოდ მახსოვრობისა და მარადისობის ციური დისკო — მზე და დროა — უკვდავი.

...ამ რამდენიმე წლის წინათ დიდ ქორწილში მოვხვდი, სუფრა ტრადიციული, ქეიფი მამაპაპური, თამადა, მოადგილეები, მერიქიფეები და იყო პურისჭამა, სანამ ახალგაზრდებმა, ახლა თინეიჯერებს ეძახიან, გოგონებმა და ყმაწვილებმა არ აჭრეს და არ აბურბუშალეს იქაურობა. მიკროფონის დახმარებით: თხოვნით, ხვეწნით, მუქარითაც კი ჩააშოშმინდა ქორწილი და მოულოდნელად ჩემგან მოშორებით, რომელილაც ანსამბლის, საგანგებოდ მოწვეულმა დამკვრელებმა მთიულური დაცხეს! მაგრად შეუბერეს!...

... და იქვე, იმ ალაგში ატყდა ხორხოცი, ყვირილი, ტაში და ამბავი. დათიკო, დათიკო, დათიკოო. ვინაა-მეთქი დათიკო?! კი ვერ დავაკავშირე ეს სახელი ამ ამბავთან, რომელსაც თან ჩავყევი კინალამ სამარეთში, — ვერა! გავიხედე და გადმოახტა ამ ალიაქოთში ტანმორჩილი ბერიკაცი ძელსკამს და ჩაახვია იქვე მონწყობილ წრეში მთიულურის ურთულესი, ერთმანეთზე გადაბმული ილეთები! ის არი, კაცო, ის იყო, — ველიკი ხორეოგრაფ — დატიკო, — დათიკო მესხორიძე! რა ხანი, რამდენი თვე და წელიწადი არ მენახა და არ ენახათ თურმე ამ ქალაქში. ერთმა სათამაშო, სპორტული პისტოლეტი დააძრო და მიცხო, ერთმა პარალელური სუფრის თავში მწვანედ შეფეთქილ კედელთან ნამდვილით ბუთქა! შუქიც ჩაძვრა, ჩააქვრეს, გორკა, გორკაო დაიძახეს სალადაოდ, ცეკვა-სასწაული არც იყო გასრულებული და იმავ წელს დათიკო მესხორიძე, გვიან გავიგე, გარდაიცვალა, ჩაველ და ქალაქი დანაკლულებული მეჩვენა, დიდი ქორეოგრაფი დავით (დათიკო) მესხორიძე აღარ იყო. დრო მიდის, ჩვენ კანონ-სამართალს არ ექვემდებარება, ყველა და ყოველივე წარსულს ბარდება, წარსულიც იბინდება, ისიც წარსულს ემორჩილება, რადგან ყველაფერი წარსულია და წარმავალია.

მე ახლა გაუწმენდავ, მტვრიან შუშაზე ვარ ცხვირმიდებული, სილიან აგურებზე ისევ ფეხმოუკიდებელი ვიჭყიტები ვებერთელა, ბურუსიან დარბაზში, კალათბურთის ცალი ფარი ჩანს ეულად. პარკეტზე ვილაც დარბის შენელებულად: ერთი იცინის, ერთი ტირის, ვილაც გადის, ვილაც შემოდის, ერთი გაყავთ.

ერთი ფარი ჩანს.

შეუბერე ასტრაფინა!

არავინა ჩანს. ვილაც მღერის:

წავალ და დავიკარგები (დოდო?!)

ცეკვავს ცალ ფართან, არკი (დოდო) ჩანს!..

...ეს ამოდენა გოლიათს (დოდო) რა ჩიტის გული გქონია.

შეუბერე ასტრაფინა!..

ცეკვავენ. არ ჩანან.

— ნამდვილი იყო?

— არა.

— არც ცალფა ფარი, ხომ?

ასეა, არ იცი?! შენ რა გაწუხებს, სად იხედები?!

იქ, სადაც დრო არ მიდის, სადაც ჩრდილებია, ლანდები...

მერედა ლანდებს რა მოეკითხებათ?!

ვიცით?!

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა



დავიბადე ქალაქ ქუთაისში 1974 წლის 14 მაისს. დავამთავრე ქუთაისის I საშუალო სკოლა, აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი სისხლის სამართლის სპეციალობით. სხვადასხვა დროს ვმუშაობდი: კერძო კომპანიაში იურისტად, საგადასახადო ინსპექციაში სამმართველოს უფროსად, ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოში იურიდიული განყოფილების უფროსად, იმერეთის სატყეო სამმართველოს მონიტორინგის სამსახურის უფროსად, გურიის ადმინისტრაციული განყოფილების უფროსად და ა.შ.

ვუკრავდი როკ-ჯგუფში „Black wine“ დასარტყამ ინსტრუმენტზე. გავიმარჯვე ინტელექტუალურ შოუში „ხალხის პირისპირ“.

პირველად ჩემი ლექსები გამოქვეყნდა გაზეთში „ლიცეისტი“ (1996), სხვადასხვა დროს იბეჭდებოდა ჟურნალებში „განთიადი“, „პალიტრა“.

გამოცემული მაქვს წიგნები: „იდუმალთა მარში“ და „თეთრი ნისლი“ (2010).

მყავს მეუღლე და შვილი.

**მათე მარადელი**

## ოდესმე ალბათ

ოდესმე ალბათ, მძვინვარე ქარი
წაიღებს სადღაც მოკვდავთა სულებს.
დარჩება მხოლოდ ცა – სიზმრის დარი
ლექსებს რომ წვით და მზით აორსულებს,
წარსულს კი რაღაც ხალვათი გრძნობა
დაათრობს, როგორც ამბორი ბაგეს,
დღე დაიღვრება დინებად, დნობად
და სივრცეს პეშვით მოიმარაგებს,
რომ მასვას თეთრი სიშორის წვეთი
ყოველდღე, სანამ ფიქრში არ მოვა
სიმშვიდე – მქროლი იმ ნიავეთით
გულში ოცნება რომ მოაგროვა.

## თეთრი ნისლი

გახსოვს?
ერთხელ მესიზმრა სამუდამო სიფითრე.
მას მერეა მაწამებს გაღვიძების მიზანი.
ულონოქმნილ ძილიდან
გასვლა ვერ მოვიფიქრე
და ამ ძილსაც რა ჰქვია ვერც ის გამოვიცანი.
მას მერეა დავქრივარ
სადღაც, ნისლის ქულებში
და ნაწამებ სულებში
უარყოფილ მწერალთა
ხსნას და ნუგეშს ვალაგებ, როგორც ტყვიებს ლულებში,
რომ იმ ტკივილს ვესროლო
მათ გულს რომ დაემართა
და წყვდიადის ჯინაზე გალიმებულ ვარსკვლავებს
სველი ფრთებით ვეხები,
ვით ქარს ცხენის ფაფარი,
სანამ გარდაცვალება ხვალ მეც დამასაფლავებს
და თოვლივით გადნება
ცოცხლად ყოფნის ზღაპარი
და სიღრმეებს ვიურვებ
განცდის ნიაღვარებით,
გრძნობის ნიავქარებით
თვრება ჩემი ცხედარი
და უსაზღვრო განგაშით, ბოდვით, გადაგვარებით
ეწვეთება თაბახებს ფიქრის ნამოქმედარი.
სივრცე თითქოს სევდაა
შავად შემოჯარული;
მე კი ულრან ჩრდილებში თავდახრლი ღიღილო,
რომ სინათლე ფარული,
რომ სიმკვეთრე ფარული
მშვიდი გამოღვიძებით ვერასოდეს ვიხილო
და ცის მძაფრი სიმუქე,
ქალზე საბედისწერო,
ვიცი მალავს მდუმარედ
ცისკრის ნანატრ ნათებას,
რომ მზეს ჩემი ტკივილი ვერასოდეს მივწერო
და ღმერთს ველარ შევჩივლო სუნთქვით გასავათება
და მძვინვარე ალქმაა სისხლში
თრთოლვის,
ცახცახის;
ავდრებივით ბორგავენ ის მდუღარე რითმები,
მე რომ სადღაც შიგნიდან ლექსი წამომაძახეს
და გაფრენის უნარზე მაწერინეს მითები
და ვიცი, რომ ბედისგან
ჩემი ხვედრი შფოთია;
გზების იქით გზებია... საზღვრებს იქით ფიქრები...
და იქ, სადაც ნგრევაა,
სადაც ქარაშოტია,
სადაც გაოგნებაა მეც იმ ზღვაში ვიქნები.
გამაქანებს ზეცისკენ
სველ გრიგალთა კრებული
და დამწყდარი ნერვები თუ იხილა განგებამ,
ალბათ მასაც შეაკრთობს
მზერა გაფითრებული
და ის მღვრიე თვალები, სიცხით რომ ითანგება
და სევდიან ღიმილით,
უგრძეს ათასწლეულზე,
როგორც განცდის სუდარა გადავწვები ხალიჩად,
რომ სუყველა ზამთარმა დამათოვოს სხეულზე
და ვიგრძნო, რომ მივდივარ,
მაგრამ მოსვლის კვალი ჩანს
და რომ მიზნის სიშორემ დამიბინდოს გონება,
რადგან ჩემი სიცოცხლე მხოლოდ თეთრი ნისლია...
მხოლოდ თეთრი ნისლია...
მხოლოდ თეთრი ნისლია
და ზეცამდე გაფანტვის მთვრალი გამოგონება.

## მე შეგეხები

ო, ეს ღიმილი გაშლას გავს ვარდის!
და ვიცი, შენთვის ჯერ მზეს არ უთქვამს,
რომ მაგ წამწამთა ტალღებში ჩადის
და დილით მოჰყავს შენს ამოსუნთქვას.
შენ ღმერთი გქვია, ხილული ღმერთი
და ყოველ ღამით იმ ზღვას ქმნი თითქოს,
რომელსაც ათას მდინარედ ვერთვი,
რომელშიც ფიქრი დახრჩობას ითხოვს
და ვგრძნობ, რომ შენი ნამქერით, ფიფქით
გადამაფითრებ, ვით თოვლი იას.
მე შეგეხები, შეხების იქით
და გაოგნების მოგიტან ნიავს.
შენს თბილ ხელისგულს მივაყრდნობ ნეკნებს
და ცრემლის ბილიკს მოვძებნი თვალზე,
მოვძებნი მკერდის გადაშლილ ზეგნებს,
რომ გავყვე განცდას, ვით ნადირს კვალზე,
რომ იქნებ ფეხი მომისხლტეს შენში
და ჩავიჩეხო მაგ თმებში ვნებად,
რომ თვლემა იგრძნო ამ სიშმაგეში
და გახელებით მოგვრილი შვება
და შენს სხეულზე, ხალთა კუნძულებს
შევეხიზნები ფერებით, ნდომით,
შენს მზერას ბნედა მიაუძლურებს,
ვით მინდვრის ბალახს გათელვა ომით
და მერე, როცა ცისკარი მოვა,
შენ გაისწორებ კაბის ნაკეცებს.
ნახვალ... და დაღლილ ვნებათა გროვა
შემახებს მარტო ყოფნის საცეცებს.

## საოცარ ტრფობით

ვიხსენებ ისევ, საოცარ ტრფობით
მწუხრზე მზისაგან მოთენთილ ჭალებს.
მურყანის შრიალს ბავშვური კრთომით
და ნამგლის პირთან ნაომარ ჩალებს

სულში კი რაღაც მდუმარე ფიქრი
ახვევს თანდათან წისქვილის დუდუნს,
ვით მსხლის ბებერ ხეს მომწვანო ფითრი
და მამაჩემი გაზეთში თუთუნს.

## უგრიგალესი

ჰორიზონტს ღრუბლები მზით ამოქოლავენ
და მოვა ოცნება ხმალივით ნალესი,
რომ ჩემში აზვავდეს ოდესლაც მქროლავი
დღე – უქარბუქესი და უგრიგალესი

და როცა გრძნობებთან უსაზღვრო ტრფიალებს
დაღლიან სიტყვები, რითმები, ფრაზები,
სიმშვიდე თვალებში ძილს აბრიალებს
წარსულით გამწყრალი და განაბრაზები.

## ივლისის ხანძარი

ხვატია...
ჰორიზონტს შუადღე ანამებს.
თვალებში ამოშრა სისველის გუბურა
და ნაგვემ ღმერთივით თავდახრილ წამწამებს,
მზემ ყვითელ ნისლებით ცა შემოუბურა
და მწყურვალ ფოთლების
დაჭმუჭნილ სვირინგებს,
ატყვიათ ბავშვური წყენა და ტკივილი.
ნეტა მათ სიმწვანეს რა შემოირიგებს,
ან როდის დაცხრება მდუღარე კივილი?
და როდის დამტოვებს ივლისის ხანძარი,
რომ ფიქრი გავიდეს
იმ ცეცხლის ალყიდან,
გუშინ რომ გადაწვა ყვავილთა ტაძარი
და ტრფობის უნარი ჭკნობაზე გაყიდა.

## ნოემბრის რიცხვებო

წარვლიან დღეები.
დაწვება ქუჩებში ფოთლების შრიალი.
ჩათვლემენ ხეები
გაწვდილი ხელებით,
მშვიდად და მდუმარედ...
ნოემბრის რიცხვებო, ცაცხვებო სიშიშვლით მეც ამაზრიალეთ,
მოდით და სიყვითლით,
ბოტკინის სიყვითლით ფიქრს გადაუარეთ.

დაშლიან ქარები მთებსა და
ზღვას შორის
სიშორის
ზღუდეებს.
მერცხლების ბუდეებს
დატოვებს კედლებზე ბარტყების ჟივილი
და თქვენი სიჩუმე, გაყინულ რკალებს და გათოშილ მრუდეებს
მოხაზავს თეთრი და
საოცრად მკვეთრი და სათუთი ტკივილით.

## სანუკვარი

კვლავ დავთვრები გაზაფხულზე
მღვრიე ხეივნებით.
სიო ალერსს მომფენს გულზე,
დღე გალღვება ვნებით.
გადაცდება ბებერ მუხებს
ბელურების გუნდი,
ტოტზე კვირტი დაიქუხებს,
ცაზე იაგუნდი
და გაარღვევს სხივთა ღვარი
ზამთრის გულქვა გისოსს,
რომ აპრილი – სანუკვარი
ფიქრებს კვლავ ელირსოს.

## შემდგომად მარცხის

ქარიან ზეგანზე, შიშველი მინდვრები
ნახნავში ჩაცუცქულ ყაყაჩოს ელიან.
დამდგარან მდუმარედ, თავის ჩაქინდვრებით
იქ, სადაც უშფოთველად ჩურჩულიც ძნელია

და ყალყზე შემდგარი შუადღის თაკარა
მოსთქვამს და ცახცახებს გამომწვევ ღალადით,
რომ სივრცეს პოეტი ფრთით ვერ მიაკარა,
ვით ფუნჯის სისველეს ფერმკრთალი ქაღალდი.

## ეს ღამე თოვლს გავს

ეს ღამე თოვლს გავს,
გამუქებულს მდუმარ სიძველით
და ვიცი, მთვარით გახვითქული წყვდიადის მკერდი,
უხილავ ბორგვას
შავ რძესავით ჩამოიწველის
და ბნელ ფიქრებში არიებად იკვნესებს ვერდი.
მთვრალ ვარსკვლავებით
აჭრელდება მღვრიე უკუნი,
თითქოს სიზმარში შეეხება სიშიშვლე ბოდვას
და სველ მკლავებით
ცას დაგრიხავს სულის გუგუნი,
რომელიც ვიცი, დემონს გავს და უმძაფრეს ცოდვას.
მერე ვნებებით
დაკბენილ და დაღლილ საათებს,
სადღაც მთებს იქით გადააპობს იარა ცისკრის
და იმ გზნებებით
აღელვებას მიასავათებს,
რომელიც მუდამ ქარშია და ქარივით მიქრის.

## მე ვერ შევიგრძნობ წვიმაში წვეთებს

მე ვერ შევიგრძნობ წვიმაში წვეთებს.
მე მხოლოდ მათი დაცვენის ჩქამი,
მიმღვრევს სიმშვიდეს და სულს მიფეთებს,
როგორც სიკვდილის დადგომის წამი
და ვკრთი იმით, რომ დამბალა ფიქრი,
როგორც შარაზე ნაგდები ჩოხა,
რომელშიც სველი ტერფებით მივქრი
და მოკვეთილი მუხლებით ვხოხავ
და უსაზღვროა ის სინოტივე,
რომელიც ახლა ფიქრამდე მსერავს,
ვერ ჩავწვდი თითქოს ულრმეს მოტივებს
და ვერც უკუნი ვანახე მზერას
და მელულება თვალები ძილით,
რომ სხეულიდან გაქცევის ხსოვნა,
გალღვეს სიზმარის ფერმკრთალი ცვილით
და შევძლო, რალაც შუაგზის პოვნა.

ანი ელისაბედაშვილი

# მოხეტიალე პოეტი და ფილოსოფოსი

ტოკუკავას ხანგრძლივ პერიოდს ყველაზე მნიშვნელოვნად და საინტერესოდ მიიჩნევენ იაპონიის ისტორიაში. ზოგი მკვლევარი მას ორ ეტაპად ყოფს: I ეტაპს, რომელიც XVII საუკუნეს მოიცავს, „კიოტოს პერიოდს" უწოდებენ. ეს ის ხანაა, როდესაც იაპონურმა კულტურამ განვითარების მწვერვალს მიაღწია კიოტოში, ოსაკასა და მის ახლო მდებარე რაიონებში. იგი მოიცავს 1600-1700 წლებს. II ეტაპი კი „ედოს პერიოდია".

იაპონიის კულტურაში მოვლენათა დიდი ცვლილება სწორედ XVII საუკუნეში მოხდა, ეს იყო გარდამავალი ხანა, როდესაც ტრადიციული არისტოკრატული კულტურა, რომელიც თავის სინატიფით ხალხს კვლავ ხიბლავდა, შეცვალა უბრალო ხალხის კულტურამ, უფრო უხეშმა თავისი ხასიათითა და თვისებით, მაგრამ უფრო დინამიკურმა და თავისუფალმა.

სწორედ არისტოკრატული და ხალხური კულტურის სინთეზმა მისცა დასაბამი იმ კულტურას, საიდანაც წარმოიშვა და თანდათან განვითარდა თანამედროვე იაპონური ცივილიზაცია. აი, ამ დროს გამოჩნდა მოხეტიალე პოეტი და ფილოსოფოსი მაცუო ბაშიო. პილიგრიმმა პოეტმა ახალი სიცოცხლე და ფორმა მიანიჭა ჰაიკუს, რომელიც აამაღლა და აქცია ნამდვილ პოეზიად. მას უდიდესი წვლილი მიუძღვის ტრიპლეტის შექმნაში. ამ მინიატურული, დამოუკიდებელი, პატარა და თითქოსდა ზედაპირული ლექსის ფორმა ზღვა ფიქრთა შემცველი და სრულყოფილია. მასში აუცილებლად არის გამოყენებული სეზონთან დაკავშირებული ასოციაციები, შედარებანი და აზრთა „კონცეფცია" სიტყვის გამოტოვების გზით.

პოეტი ჰაიკუში იშვიათად გამოხატავს თავის გრძნობებს, მაგრამ მისი უშუალო წარმოსახვები კარგად გვაგრძნობინებს პოეტის ემოციებს. თუ ჩვენ ჰაიკუს განვიხილავთ როგორც ჩვეულებრივ იმპრესიონისტულ ჩანახატს, შეიძლება წარმოვისახოთ ბუნების ლამაზი სურათი, მაგრამ მის მიღმა გაცილებით ღრმა ფილისოფიაა, რომელიც, როგორც კავაბატა ამბობს, „მკითხველს შეიძლება მოეჩვენოს უბრალოდ ან ამაღლებულად, პრიმიტიულად ანდა ნატიფად, იმისდა მიხედვით თუ როგორია თვითონ მკითხველი".

შეიძლება ითქვას, რომ ჰაიკუ არის ძენი, გამოხატული პოეტური სიტყვით. იგი ერთგვარი კითხვაცაა მკითხველის წინაშე და მან უნდა აამოძრაოს მისი ფიქრთა სამყარო და მოძებნოს სუბიექტური პასუხი.

როგორც ცნობილი იაპონელი მკვლევარი საისიო აღნიშნავს, ჰაიკუ იმპრესიონიზმისა და იმაჟინიზმის სინთეზია. ჰაიკუსთვის მიუღებელია რეალიზმი. მიამორი ავი-

თარებს ამ აზრს და ამბობს: „თუ პარალელს გავავლებთ მხატვრობასთან, იაპონური ენა ტუშით ჩანახატის, ესკიზის მსგავსია, ევროპული ენები კი აკვარელით ან ზეთის საღებავებით შესრულებულ რეალისტურ სურათს მოგვაგონებს. თუ შედარებას გავაგრძელებთ, მაშინ ჰაიკუ სურათის მხოლოდ სახელწოდებაა, უფრო სწორად, მისი მხოლოდ მინიშნება".

36 წლის უკვე აღიარებულმა პოეტმა ფსევდონიმი შეიცვალა და გახდა ბაშიო. ეს იყო ფაქტობრივად მისი მესამე ფსევდონიმი. პირველი ლექსები მან გამოაქვეყნა მუნეფუსას გვარით.. ჩინელი პოეტი ლი-პოთი აღტაცებულმა (705-762) პოეტმა მოგვიანებით თავის სახელად ტოსეი აირჩია, რაც „მწვანე ატამს" ნიშნავს, ლი-პო კი — „თეთრ ქლიავს".


ბაშიო

ერთხელ ერთმა მოწაფემ პოეტს უცნაური მცენარე მიართვა, რომელიც იაპონიაში ჩინეთიდან იყო შემოტანილი. ეს გახლდათ ბანანის ხე და პოეტს მაშინვე შეუყვარდა ის. იგი მოიხიბლა ამ მცენარის გრძელი, განიერი ფოთლებით... „საკმაოდ დიდია, რომ კოტოსათვის ფუტლიარი გაკეთდეს" (კოტო—იაპონური მუსიკალური საკრავი). ქარისგან გაცრეცილი მცენარის ფოთლები მოაგონებდა მითიური ფენიქსის გულს ან ძლიერი ქარისგან დაფლეთილ მწვანე მარაოს.

**მიყვარს ბანანის ხის ძირში ჯდომა**
**და ფოთლებზე ქარის და**
**წვიმის ხმის (მო) სმენა.**

პოეტი უვლიდა თავის ეგზოტიკურ ხეს და ცდილობდა დაეცვა იგი...

**ვერ ავიტანე ლერწმის ყლორტი,**
**როცა დავრგე ბანანის ხე,**
**აღარც ვაზია, რიყრაყით გაბრწყინებული**
**ჩემი მეგობარი.**

მცენარის იაპონური სახელი გახლდათ ბაშიო და უკვე მოგვიანებით პოეტის მოწაფეებმა მის განმარტოებულ საცხოვრებელს შეარქვეს ბაშიოან—„ბანანის ქოხი" (სიტყვა-სიტყვით — „ბანანის ხის თავშესაფარი").

რა შეიძლებოდა ყოფილიყო მისთვის უფრო შესაფერისი, თუ არა მისი საყვარელი ხის სახელი! — ფიქრობდა პოეტი.

როგორც აღვნიშნეთ, ბაშიოს გვარი იყო მაცუო, იგი დაიბადა 1644 წელს, სამურაის ოჯახში. მამა ემსახურებოდა უენოს ციხის ბატონს. პოეტი 7 შვილიდან ყველაზე უმცროსი ვაჟი იყო. ცხრა წლის ბაშიო გახდა ბატონის უფროსი ვაჟის მსახური და თანამოსწავლე. მათ ერთად შეისწავლეს ლექსების ხელოვნება კიგინისგან, რომელიც კიოტოში ჰაიკაის დიდებული შემოქმედისა და პოეტის ტეიტოკუს მოწაფე იყო.

როცა ბაშიო 23 წლისა გახდა, მისი არისტოკრატი მეგობარი ბატონი გარდაიცვალა. გულგატეხილი ბაშიო მის პირველ რელიგიურ მოგზაურობაში გააგზავნეს მთა კოიაზე, გარდაცვლილი მეგობრის თმის კულული რომ დაემარხა იქ, დიდებულ ბუდისტურ მონასტერში. სწორედ იქ, ტაძრებსა და საფლავებს შორის, გიგანტური კრეპტომერიის სიღრმეში, პოეტი ღრმად ჩაფიქრდა ცხოვრების სწრაფმავლობასა და საბიზე. ბაშიომ გადაწყვიტა მიეტოვებინა ციხესიმაგრე და მთელი ცხოვრება მიეძღვნა პოეზიისა და ჭვრეტისათვის. თანაც, ფიქრობდა, რომ სჯობდა რაც შეიძლება შორს ყოფილიყო ბატონის ახალგაზრდა მშვენიერი ქვრივისგან, რადგან მას ჩუმად ეტრფოდა და იცოდა, რომ მის სიყვარულს მომავალი არ ექნებოდა.

მალე ახალგაზრდა ბაშიო კიოტოში გაემგზავრა, სადაც მისი ბატონის მასწავლებელს კიგინს სთხოვა მსახურად მაინც აეყვანა იგი. კიოტოში მან 5 წელი დაჰყო. სწავლობდა ჩინურ კლასიკოსებს, კალიგრაფიასა და პოეზიას.

შესაძლოა კიდევ ერთმა სევდიანმა სიყვარულის ამბავმა აიძულა იგი სრულიად განდგომოდა სამყაროს და გამხდარიყო ძენის მიმდევარი. 1672 წელს იგი კიგინს ედოში გაჰყვა.

ბაშიოს პირველი ლექსები დაიბეჭდა მის 20 წლის ასაკში, ხოლო 36 წლისა, მას უკვე გამოქვეყნებული ჰქონდა უამრავი ლექსი და კრებული, შეიძინა ერთგულ მიმდევართა წრეც.

1681 წელს ბაშიომ გამოაქვეყნა ლექსი, რომელიც მსოფლიოში ცნობილია როგორც მისი ეპოქალური ნიმუში:

**გაშიშვლებულ ტოტზე**
**შემოდგომის მწუხრისას**
**ზის მარტოხელა ყვავი**

ამ ლექსით აღინიშნება ბაშიოს საკუთარი დამახასიათებელი სტილის დასაწყისი; არაფერია გამოგონილი, თავისუფალი და სადა სიტყვებით გადმოცემულია ბუნების მშვიდი და დახვეწილი ჭვრეტა. ის შემოდგომის საღამოს ულიმღამობასა და სევდას გამოხატავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუნების ზედმიწევნით ცოდნამ, ხაზგასმული მისტიციზმით, პიკს მიაღწია ბაშიოს ყველაზე ცნობილ ლექსში, რომელიც დაიბეჭდა 1686 წელს გამოცემულ კრებულში სახელწოდებით „გაზაფხულის დღეები“.

**ძველი გუბურა,**
**ბაყაყი გადახტა,**
**წყლის ხმა (გაისმა).**

ერთი შეხედვით, ეს ლექსი წარმოადგენს უბრალოდ ლამაზ სურათს მაგრამ, წარმოსახვით, გუბურა შესაძლოა იყოს მარადისობა ან ჭეშმარიტება ამ სამყაროსა და ადამიანის შესახებ. ჩვენი ცხოვრებაც ხომ ერთი შხეფია, რომლის წრეებიც წყლის ზედაპირზე გამოჩნდებიან და უმალ ქრებიან!

ბაშიომ იმოგზაურა იაპონიის, როგორც ჩრდილოეთით, ასევე სამხრეთით და გზაზე არაერთი პოეტური ნაწარმოები შექმნა. მოგზაურობა იქცა მისი ცხოვრების წესად. იგი დაადგა ბუდისტური ფილოსოფიის გზას, სადაც ცხოვრება მოგზაურობაა. ფართოფარფლიან ქუდს, რომელსაც ატარებდა, პოეტმა წააწერა თავისი მოგზაურობის კრედო: „უსახლკარო, ღმერთთან ერთად დავეხეტები“.

1694 წელს ბაშიომ გადაწყვიტა კვლავ ემოგზაურა და მოევლო ამჯერად იაპონიის სამხრეთ-აღმოსავლეთი პროვინციები კიუსიოს კუნძულებზე, მაგრამ ოსაკას ძლივს მიაღწია და იქ მძიმედ ავად გახდა დიზენტერიით...

ნაწყვეტი, რომელსაც გთავაზობთ, მოყვანილია ბაშიოს წიგნიდან „ვიწრო გზა შორეული პროვინციისკენ“. პოეტმა იგი შექმნა თავისი ცნობილი პილიგრიმობის დროს და მას დღიურის სახე აქვს:

„დღეები და თვეები დროის მარადიული მგზავრები არიან. წლებიც მოგზაურები არიან — მოდიან და ჩაივლიან. თვით ცხოვრებაც მოგზაურობაა. ვინც თავის დღეებს გემზე ატარებს ან ცხენზე ბერდება, მისი ბინა და თავშესაფარი გზაა და რამდენი პოეტი გარდაცვლილა მოგზაურობის დროს!

დადგა დღე, როცა ქართან ერთად მოცურავე ღრუბლებმა ჩემში მოგზაურობის ჟინი აღძრა და სახეტიალოდ სანაპიროს გზას გავუყევი. ჩემს ქოხს შარშან შემოდგომაზე დავუბრუნდი. იმ დროისთვის, სახლი რომ დავალაგე და აბლაბუდები ჩამოვწმინდე, წელიწადიც მიილია, როცა გაზაფხული დადგა ბურუსიანი ცით, ცდუნების ღმერთმა ისევ შემიპყრო. სირაკავას ბარიერის გავლის სურვილით მომხიბლეს გზის ღმერთებმა და სხვა ვერაფერზე ვფიქრობდი. დავკემსე ჩემი შარვალი და ქუდს ახალი თასმები მივამაგრე. თან უკვე ვოცნებობდი მაცუსიმას მთვარეზე. სახლი გავყიდე და საცხოვრებლად სამპუს პატარა სასტუმროში გადავედი, მაგრამ ვიდრე ჩემს ქოხს დავტოვებდი, ლექსი დავწერე და სვეტზე ჩამოვკიდე;

**ეს მკაცრი, განმარტოებული სავანე,**
**თოჯინების ფესტივალს რომ ნახავს,**
**სხვაგვარი გახდება ალბათ.**

(მაისის 16), მესამე მთვარის 27-ე დღეს, ცა რიჟრაჟზე იყო ბურუსიანი, მთვარე ფერმკრთალი და დილის მიმქრალ შუქზე შორს შემეძლო გამერჩია მხოლოდ ფუჯის მწვერვალი, უენოსა და იანის ალუბლის ხეთა კენწეროები.

„შემეძლება კი ოდესმე ამ სანახაობის კვლავ ხილვა“, — გავიფიქრე, რადგან სიმარტოვის გრძნობამ შემიპყრო.

ახლო მეგობრები, ჩვენთან ერთად რომ იყვნენ გუშინწინიდან, ნავზე მოვიდნენ გამოსათხოვებლად. გადმოგვსვეს იმ ადგილზე, რომელსაც სენჯუ ქვია. გული დამიმძიმდა იმ გრძელი გზის გამო, წინ რომ მელოდა, და ვიფიქრე, ეს ეფემერული სამყარო სხვა არაფერია თუ არა ილუზია-მეთქი. ამ ყველაფერთან გამიძნელდა განშორება და ავტირდი.

**გაზაფხულთან განშორებისას**
**თვით ფრინველნიც აქვითინდნენ**
**და თევზებს თვალზე ცრემლი მოადგათ.**

ეს ლექსი დავწერე, როგორც ჩემი მოგზაურობის დასაწყისი, და წავედი, მაგრამ ფეხებს ძლივს მივათრევდი. ჩემი მეგობრები კი გზაზე იდგნენ და, ვიდრე თვალს მივეფარებოდი, მიცქეროდნენ...“

როცა სიკვდილის წინ ბაშიოს სთხოვეს უკანასკნელი ლექსი დაეწერა, მან თქვა — „ჩემი გუშინდელი ლექსი დღეს იქნება უკანასკნელი, დღევანდელი ლექსი — ხვალ იქცევა უკანასკნელად. ყოველი ლექსი, რომელიც ოდესმე შემიქმნია, — უკანასკნელი იყო.“ თუმცა მოგვიანებით მან მოიხმო თავისი მიმდევრები და უკარნახა:

**გზაში შეუძლოდ შევიქენ,**
**მაგრამ მინდვრებში მაინც**
**დაჰქრის ჩემი სიზმარი.**

„ეს ლექსი უკანასკნელი არ არის, — თქვა მან — მაგრამ, შეიძლება უკანასკნელიც იყოს. ყოველ შემთხვევაში, ის ჩემი ავადმყოფობის შედეგია. ამაზე ფიქრი ახლა, როცა სიკვდილ-სიცოცხლის წინაშე ვდგავარ, შეცდომა იქნებოდა, თუმცა ამ ხელოვნებას მე მთელი სიცოცხლე შევალიე“.

ბაშიო გარდაიცვალა ამ მოგზაურობისას 50 წლისა. მოხეტიალე პოეტი და ფილოსოფოსი დაასაფლავეს იმ ადგილის მახლობლად, რომელსაც ადრე „უსახელო სიმარტოვე“ უწოდა.



ისიკავა ტოიონობუ



იაპონური გრავიურა

ინგა მილორავა

# კუნძულები

ისე მოხდა, რომ ერთ დღეს უცებ გამახსენდა ბავშვობაში წაკითხული ამერიკელი მწერლის ერთი მოთხრობა, ფანტასტიკური ამბავი: კოსმოსურმა ხომალდმა კატასტროფა განიცადა და სამუდამოდ ჩარჩა უცნაურ და საშინელ პლანეტაზე, რომელიც უმეტესად წყლით იყო დაფარული და ამ ყოვლისმომცველ ბნელ ოკეანეში უცნაური და შემზარავი ურჩხულები ცხოვრობდნენ. ადამიანები გადარჩნენ და შეეხიზნენ თვალმიუწვდენელ წყლებში ამომართულ რამდენიმე ერთმანეთისგან ძალიან დაშორებულ პაწაწინა კუნძულს. მათ აღარაფერი შემორჩათ, არც იარაღი, არც აპარატები, არც წყალში შეეძლოთ შესვლა, არც არანაირი კავშირის დამყარება, მაგრამ ჰქონდათ ფრთები... მათი ხომალდი კოსმოსის უკიდეგანო სივრცეში გადაადგილდებოდა უზარმაზარი, საოცარი იალქნის მეშვეობით, რომელიც დამზადებული იყო ქსოვილისაგან, რომელიც სძლევდა მიზიდულობის ძალას და ფრენის უნარს ანიჭებდა სხეულებს, და სწორედ ეს დიდი იალქანი დაჭრეს და გააკეთეს ფრთები, რომელთა მეშვეობითაც უკავშირდებოდნენ ერთმანეთს კუნძულებზე გარჩენილები.







ეს ფრთები იყო ერთადერთი ნუგეში, ერთადერთი დამაკავშირებელი იმედი იდუმალი და საშიში წყლებიდან ამოწვერილ კუნძულებზე შეხიზნული ადამიანებისთვის. გავიდა წლები, საუკუნეები, შეიცვალა თაობები, დაავიწყდათ ბევრი რამ, მაგრამ დარჩათ ფრთები, რომლებითაც დაფრინავდნენ ერთი კუნძულიდან მეორეზე, უკავშირდებოდნენ ერთმანეთს და ჯიუტად, მთელი არსებით ინარჩუნებდნენ ერთიანობას, ადამიანობას და იმედს...

ჯერ ეს ამბავი გამახსენდა, მერე ტელევიზორს ვუყურე, გაზეთები წავიკითხე, ვუსმინე სხვადასხვა ადამიანის ტკივილით სავსე სიტყვებს და გამიჩნდა აზრი, რომ ჩვენც ასე ვართ შემორჩენილი ბნელი წყლებიდან ამომართულ პაწაწინა კუნძულებზე, და ეს კუნძულებიც ცოტავდება დროთა განმავლობაში და ფრთებიც იხევა და ნადგურდება. მერე კიდევ უფრო დამძიმდა ფიქრი და წარმოვიდგინე, რომ ჩვენს ირგვლივ საშიში ოკეანე კი არა, ტალახის და ჭაობის უკიდეგანო სივრცეა გადაშლილი და გამუდმებით ემუქრება ჩანთქმით რაღაც ძალიან მნიშვნელოვანს, ძვირფასს...

მერე კი მიეწყო... სამშაბათს **დავით წერედიანის** არაჩვეულებრივი პოეტური კრებულის **„ორიონის“** პრეზენტაცია „ჩვენი მწერლობის“ ლიტერატურულ სალონში და ოთხშაბათს როსტომ ჩხეიძის პიესის, „ჩემი გზა ჩემი აკლდამა“, წარდგინება ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში...

საოცარი სამყარო იშლება დავით წერედიანის კრებულის ფურცლებზე. სიტყვის სურნელი და ძალა ავსებს მასთან მიახლოებულ მკითხველს, თითქოს კამკამა ჰაერი ჩაისუნთქა ჩახუთულ სივრცეში გამოკეტილმა და მისი ფრაზების მელოდია კი შვებად ჩაესმის ხშირად უსამართლოდ პოეზიად მონათლული უზნეო და უაზრო ზუზუნით დაღლილ ყურს.

ამ ლექსებში ჩაძირული გრძნობ, რომ ეს შენი სამშობლოს ენაა, მისი მუსიკაა, მისი ათასწლოვანი და მარად ახალგაზრდა ხილვებია, ფესვის სითბოა და ის ტკივილი და მშვენიერებაა, რომელიც ადამიანს ადამიანად აქცევს. თანაც ის, რასაც ეს პოეტური კრებული ყვება, ზოგადადამიანურია, საყოველთაო, რადგან ადამიანი ამ სტრიქონების მზის ქვეშ ღმერთის პირისპირ დგას. ყველაფერი ნაცნობი და ნაგრძნობია, ოღონდ პოეტის განსაკუთრებული მზერით დანახული, მის გულში გამოტარებული, გამოძერწილი, როგორც მრგვალი, თბილი ქოთანი, რომელიც წყლის, სიყვარულის, ვარსკვლავების და მარადისობის ამბავს ყვება. ამ კრებულმა მოიტანა შეგრძნება პოეტის ღირსეულ სიჩუმეში, ლურჯად ნახავერდებ უდაბნოში, პიროვნული სიდიდის (გაბატონებული პატარა კაცობის საპირისპიროდ) ჩრდილში უცებ აელვარებული სიტყვის მშვენიერების, სიხარულის და იმედის...და ეს იყო ტალახის ოკეანეში ამომართული დავით წერედიანის ამაყი კუნძული სახელად „ორიონი“, რომელმაც შეგვიფარა ცოტა ხნით...

დეტექტივს ბევრი მოყვარული ჰყავს და მათ რიცხვში რატომღაც არასოდეს მიგრძვნია თავი. არც მეგონა, რომ ამ ჟანრის ნაწარმოები ოდესმე მიმიზიდავდა და, მითუმეტეს, ამაღლებულ განცდებს აღძრავდა, მაგრამ როცა საქმეს იძიებს ილია ჭავჭავაძე.... ასეთი საოცარი სვლა გააკეთა მწერალმა თავის პიესაში.

**როსტომ ჩხეიძის „ჩემი გზა ჩემი აკლდამა“** ძალიან მტკივნეულ თემას ეძღვნება - დრამატურგ ზურაბ ანტონოვის იდუმალებით მოცულ სიკვდილსა თუ მკვლელობას, და სწორედ ამის გარკვევას შეეცადა იგი ამ პიესაში. ილია კი მთავარი გმირია, ის იძიებს ამ ტრაგიკულ ამბავს, რომელიც მოგვითხრობს, თუ როგორ გამოამწყვდია შემოქმედი პოლიციურმა სახელმწიფომ ოთახში, უქცია ოთხკედელი სამარედ, ჩააჩუმა მისი მახვილი, მძაფრი სიტყვა, შური იძია და ასე ჩაახშო სიმართლე. ილია კი ცოცხლდება ამ პიესაში, ის საუბრობს ისე, ფიქრობს, მოძრაობს ისე, როგორც ალბათ ილია და მისი ეპოქის ადამიანები, მაგრამ არც ესაა მთავარი. აქ სულ სხვა რამეა მნიშვნელოვანი. როსტომ ჩხეიძე გარდასულს, წარსულის დრო-სივრცეს ყოველთვის მხატვრულად გარდაქმნის, მაგრამ ამავე

დროს უმტკიცესი ძაფებით აკავშირებს ემპირიულ დროსთან და სივრცესთან, თანადროულობასთან.

ეს პიესაც და სხვაც ბევრი რამ არსებითად ჩვენს დროზე, ჩვენთვის და ჩვენზეა და იმ ტკივილებს, ზნეობრივ პრობლემებსა და ფიქრებს გამოხატავს, რომლებიც ამ დროსა და სივრცეში აიფურტკნა, გამოიკვირტა და მის ტექსტში ესთეტიკურად მწიფე, წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე მძიმე, საფუძვლიანი და ღრმა ფიქრის შემდეგ დაბადებულ და ამიტომ იმედიან სიტყვად გარდაისახა. ესეც როსტომ ჩხეიძის კუნძული სახელად „ჩემი გზა ჩემი აკლდამა“...

შედეგად კი გაჩნდა განცდა, რომ სანამ ამგვარი კუნძულები იარსებებს და დროდადრო ამოიწვერება ლაფის ოკეანის სიღრმიდან (მადლობა ღმერთს, არის, არის ასეთი კუნძულები) და ჩვენ მივალთ (მივფრინდებით) მათთან სიტყვის შეგრძნებისა და აზრის თანაგანცდის შემორჩენილი ფრთებით, ჯერ კიდევ არის იმედი, ჯერ კიდევ ბევრი რამისთვის ვვარგივართ, და მერე, თანდათან იქნებ ის ლაფის ოკეანეც დაიწმინდოს, ან მყარ ნიადაგად გადაიქცეს და აღარ მოგვიწიოს შვების და იმედის, ჩვენი სამშობლოსა და ჩვენი სიტყვის მფეთქავი სხეულის კუნძულკუნძულ ძებნა და შეგრძნება.

დიალოგი

ნინო საბაშვილი

# ორ სიტყვად ნათქვამი „ყველა“ და „ფერი“

## ანუ

## ყველამ უნდა იპოვოს თავისი სათქმელი...

უნდა ეძებო შენი შესაძლებლობანი და აღმოაჩინო, ამის აღმოსაჩენად კი საჭიროა სურვილი, ნდომა, თუნდაც ამ შენ ჩანაფიქრს გარშემომყოფები სკეპტიკურად უყურებდნენ და ცოტა შეშლილადაც მიგიჩნევდნენ.

სხვას, რაღაც გარემოებებს არ უნდა აბრალო შენი წარუმატებლობა და სიზარმაცე, სიზარმაცე, რომელიც ადამიანს ხელს უშლის იპოვოს თავისი თავი, აღმოაჩინოს ის შეუცნობელი ტალანტი, რომელიც შიგნით ღრმად აქვს ჩადებული.

ამაში კი სურვილი დაგეხმარებათ, სურვილი, რომელიც ადამიანის მოქმედების მამოძრავებელი ძალაა. ამისათვის კი როგორც რეჟისორმა და სცენარისტმა გოგა თავაძემ განაცხადა, საჭიროა დათრგუნო სიზარმაცე, ეძებო ტალანტი საკუთარ თავში, თუნდაც ერთი მარცვალი, რომელიც გაღივდება და...

და იქნებ თქვენი მონატრებაც გაპოვნინოთ, თქვენი მარადიული ფერების პლანეტა...

„მე, ბებია, ბაბუა და ჭინკები“, მარჯანიშვილის თეატრის მცირე დარბაზი, ანტრაქტი... ახლა ნამდვილად ვეთანხმები იმ ადამიანთა აზრს, რომლებიც ამბობენ, რომ თეატრში წასვლა ახლობლებთან, მეგობრებთან ერთად სჯობს. ბავშვობიდან მოყოლებული რამდენჯერმე წაკითხულ, გადაკითხულ, ფილმებად თუ სპექტაკლებად ნანახს, ახალი კიდევ რა უნდა მენახა, მაგრამ...

რა კარგი იყო, არა?!

მხოლოდ იმისთვის, რომ ჩემი ემოცია გარეთ გამოვარდნას ლამობდა და არც მინდოდა, რომ ჩემში დარჩენილიყო, სრულებით უცნობ, ჩემს გვერდით მჯდომ, ახალგაზრდა ქალბატონს ვუთხარი, ისე, რომ პასუხსაც არ ველოდი, მაგრამ...

— ჰო, კარგია, არ ველოდი, ასეთი ნოდარ დუმბაძე, საინტერესო ინტერპრეტაციაა!

გოგა თავაძეს მარჯანიშვილის თეტრის მცირე დარბაზში რეპეტიციის შემდეგ, სპექტაკლის დაწყებამდე შევხვდი და, როგორც მითხრა ცოტა ნერვიულობდა, რადგან ერთ-ერთი მთავარი როლის შემსრულებელი — ნინო მაღულიძე — საზღვარგარეთ იმყოფებოდა, სპექტაკლამდე ვერ მოახერხა ჩამოსვლა და მსახიობის ჩანაცვლება გახდა საჭირო. სამ დღეში ახალგაზრდა დამწყებმა მსახიობმა — მარი ჩუხრუკიძემ შესანიშნავად გაართვა თავი როლს და მართლაც პეპელასავით, მსუბუქად დაფარფატებდა სცენაზე. ამის საუკეთესო შემფასებლები კი პირველი საჯარო სკოლის მოსწავლეები იყვნენ, რომლებიც სპექტაკლის დასრულებისას ფეხზე წამომდგარნი სტვენითა და ტაშით კიდევ და კიდევ ერთხელ იხმობდნენ სცენაზე.

რეჟისორი კი ახალგაზრდა მსახიობის გასამხნევებლად კულისებში იდგა — „ჩემს სპექტაკლებზე ძალიან ვნერვიულობ, მირჩევნია არ დავესწრო, ცხოვრების ნახევარს ვკარგავ, მაგრამ ახლა ასეა საჭირო, ვფიქრობ, თავს გაართმევს, ნიჭიერი ახალგაზრდაა“, — იყო პასუხი კითხვაზე, ან უფრო ჩემს გაკვირვებაზე შესაძლებელი იყო თუ არა დამწყები მსახიობისთვის სამ დღეში როლის მომზადება?

— ყველამ უნდა იპოვოს თავისი სათქმელი, წინააღმდეგ შემთხვევაში არ ვიცი, ემოციურად რას წამოიკიდებს. გენიალური პიესებია ჩეხოვის, მაგრამ რატომ უნდა შეასხა ხორცი და გადმოიტანო სცენაზე, სერიოზული მოტივაცია უნდა გქონდეს ამისთვის, რატომ ყვები!. თუმცა მიხეილ თუმანიშვილი, რომელიც მესამე კურსამდე ჩემი მასწავლებელი იყო, ყოველთვის ამბობდა, რომ ავტორს უნდა ვცეთ პატივი, არ გადავუხვიოთ მისგან ძალიან, და თუ ვივლით რაღაც ლაბირინთებში, უკანა გზაზე ერთხელ მაინც შევეკითხოთ, კლდიაშვილი იქნება, ჩეხოვი თუ შექსპირი, ვართ თუ არა მართალნი. ეს არ ნიშნავს, რომ თვითონ თავის ვერსიებს არ ქმნიდა, მაგრამ ამით გვასწავლიდა, რომ მწერლის გრძნობათა ბუნების ერთგული უნდა ვიყოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მაშინ შენ თვითონ დაწერე.

თუმცა მოგვიანებით თეატრში ნაწარმოებთა „გადმოყირავების“ ტენდენცია გაჩნდა, ინერპრეტაციის ხელოვნება გახდა თეატრი, აბა ვნახოთ შექსპირში რა ეცმევათ? პლაშჩები თუ სამხედრო კიტელები, რომ არ დაგიმალოთ, ეს ცოტა მოსაწყენი გახდა.

მირჩევნია სცენაზე ნაკლებად ცნობილი ამბები დავდგა, რომლებშიც სრულიად სხვა სამყარო და ახალი თავგადასავალი იქნება გადმოცემული. ნოდარ დუმბაძის შემთხვევაში ამას ვერ ვიტყვი, მაგრამ სცენარი შევადგინე ნაკლებად ცნობილი მოთხრობების მიხედვით. აქ არც ილიკო და ილარიონია და არც „მე ვხედავ მზეს“. ეს არის მწერლის და ციდან ჩამოსული გოგონას, ანგელოზის, უფრო სწორად, ნატვრის ისტორია. სიუჟეტი ავაგე პატარა მოთხრობა „მონატრების“ საფუძველზე.

მართალია სპექტაკლი ჩემს „მეს“ არ გამოხატავს, მაგრამ რაღაც ნათესაური კავშირი არსებობს, ეს უფრო ჩემს ბავშვობასთან, დუმბაძესთან, გურიასა და იუმორთან დამოკიდებულებაა. ჩემი ბიოგრაფიული მომენტები სხვა სპექტაკლებში უფრო იყო, აქ — ნაკლებად.

ბავშვობის მოგონებებიდან მახსოვს, დუმბაძის კითხვისას მეცინებოდა და ცრემლიც მერეოდა, სწორედ იქიდან წამოსული გადაძახილი და ცოტა მეტი იდუმალება არის შემოტანილი ვიდრე დუმბაძის მოთხრობებშია. ჯადოსნობას აქაც ვერ გავექეცი, თუმცა მწერალი, ამის საფუძველს თვითონ იძლევა, ვეცადე, „დუმბაძე ორ“ სტერეოტიპს გავქცეოდი, რამდენად მოვახერხე, არ ვიცი.

**— შეიძლება ითქვას, რომ ბავშვობაში ნაგრძნობის გახსენება მოხდა?**

— შეიძლება, ან უფრო მეტი, შეიძლება ბავშვობაში უფრო უშუალოდ აღვიქვამდი, ისეთად, როგორიც სინამდვილეშია.

**— ასეთი დუმბაძე თქვენი იდეა იყო?**

— როდესაც სოხუმის თეატრმა ნოდარ დუმბაძის ინსცენირების დაწერა შემიკვეთა, ავად ვიყავი და შეიძლება ამანაც გამოიწვია ჩემი ძრომიალი მისტიკაში. რეჟისორს, ვისაც უნდა დაედგა, ბოდვად მოეჩვენა, უარი თქვა. შემდეგ მე დავდგი, რასაც არ ვნანობ.

სპექტაკლში მისტიკას იუმორით ვუყურებ, მაგრამ შევეცადე მწერლის ბუნება შემენარჩუნებინა. დუმბაძე რისი დუმბაძეა, თუ მან სერიოზულად ილაპარაკა ჭინკებზე და არ გაურია გურული იუმორი.



გოგა თავაძე

**— თქვენი დამოკიდებულება მისტიკისადმი ირონიულია?**

— იმის სითავხედე არასდროს არ მქონია და ალბათ არც არის საჭირო, რომ მისტიკის მიმართ ირონიული დამოკიდებულება მქონდეს. როგორ შეიძლება დასცინო იმას, რაც არ იცი, შეუცნობელია, შეიძლება რაღაცა, სადღაც გამოსხივდეს, ხილული გახდეს შენთვის, მაგრამ შეცნობის თვალსაზრისით ყოველთვის დაუსრულებელი იქნება. ალბათ, ეს უფრო თვითირონიაა იმაზე, რაზეც საუბრობ. ჩემს სპექტაკლებში გამონაგონი უფრო მეტია, აქედან გამომდინარე ზოგადადამიანურია, მეც ხომ ადამიანი ვარ! ამიტომ ჩემი გამონაგონი იკვებება იმით, რაც უკვე ყოფილა, იქნება, უფიქრია და წარმოუსახავს ადამიანს.

შეუცნობელი, მისტიკა მიზიდავს, სამყაროში იდუმალი მუხტების არსებობისა ბავშვობიდან მჯერა. სხვათაშორის თეატრი ამ იდუმალის ძიების და გამოჭერის ხელოვნებაა. თეატრის წინა სახე მისტერიების, რელიგიური კულტების მსახურებაში წარმოიშვა, სადაც სულ იდუმალების და მიღმურის ძებნის პროცესი იყო, ასე რომ, საერო თეატრიც, რა სახითაც არსებობს დღეს, შორს არ უნდა იდგეს ამ იდუმალისგან. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, თუ ნაწარმოებში იდუმალება არაა, ქაჯები და ჭინკები არ დახტიან, არ მაინტერესებს.

ამ ბოლო დროს წამოვიდა ქართული მასალების პოპულარიზაცია, რასაც თავის მიზეზები აქვს, გარკვეულწილად ეს ქვეყნის პოლიტიკაც არის. როდესაც სარეჟისორო ფაკულტეტზე ვსწავლობდი, ქართული მასალის დადგმა არამოდური იყო.

ადამიანების ცნობიერებაში დუმბაძის, გამსახურდიას დადგმისას გარკვეული სტერეოტიპები არსებობს, როდესაც ევროპულს დგამ და ნაკლებად ცნობილს, იქ გაცილებით ნაკლები ცენზორები გყავს და ნაკლებად კრიტიკულია მაყურებლის თვალიც.

**— სპექტაკლის დაწყების წინ რაიმე რიტუალი თუ გაქვთ?**

— ჩემთვის მაქვს და მოდი ამ რიტუალს შევინახავ საიდუმლოდ, რადგან მიმაჩნია, რომ მას გარკვეული ენერგეტიკა, თავისი იდუმალი ძალა აქვს და თუ გამოვთქვამ და მოვყვები, ეს ენერგეტიკა გავა ჩემგან.

**— რას ნიშნავს თქვენთვის თავისუფლება და ხართ თუ არა?**

— მაგას ნურავინ დაიტრაბახებს, თავისუფალი ადამიანები თითქმის არ არსებობენ, თავისუფალი იყო მაშინ

ბუდა, როცა გასხივოსნდა, ამ დონისთვის, მგონი, ჯერ არავის მიგვიღწევია, ჩვენ ათასი დანაშრევით, გენეტიკური მიდრეკილებებით, კომპლექსებით ვართ სავსე. ის ვინც თავისუფალ ადამიანად გვაჩვენებს თავს, შემდეგ უკვე ძალიან პატარა ნიუანსით იყიდება.

**— როგორ განმარტავთ თავისუფლებას?**

— ორიგინალური არ ვიქნები, ეს მთლად ჩემი განმარტება არ არის, მაგრამ მე მაინც ასე მგონია, ყველაზე დიდი თავისუფლება არის სულით გლახაკობა, ანუ ნეტარ იყვნენ გლახაკნი სულითა, როდესაც შენი სურვილები, შენი ეგო უკიდურესად შემცირებულია, თითქმის გამქრალია, და როცა შეგიძლია სამყაროს სუნთქვას აუწყო შენი სუნთქვა, ანუ მზის ამოსვლა-ჩასვლამ, სეზონების ცვლილებამ მოგანიჭოს სიხარული, ამით იცხოვრო ყოველგვარ ადამიანურ სისუსტეებზე გადაბიჯებით, ადამიანური მომხვეჭელობის, მასში არ იგულისხმება მარტო მატერიალური კეთილდღეობის მოპოვება, გქონდეს ძალაუფლება, რომ ადამიანებს უყვარდე, ეს ყველაფერი მომხვეჭელობაა გარკვეულწილად, და როცა ყველაფერ ამისგან თავისუფლდები, აი მაშინ უერთდები რაღაც სხვა სუბსტანციას.

**— რას შეიძლება თქვენი ცხოვრება შეადაროთ ამჟამად, რა არის თქვენთვის ყველაზე მთავარი?**

— ჩემი ცხოვრების განმსაზღვრელი არის ჩემი ბავშვური მეოცნებეობა. ბავშვობა ყველანაირი კარგია, მძიმეც რომ იყოს, ყოველთვის ბედნიერია, რადგან ბავშვი აზროვნებს ზღაპრის ლოგიკით, მას ქვეცნობიერად სჯერა, რომ რაღაც კარი გაიღება, რომელიც ჯერ არ გაღებულა, და ამ კარის მიღმა დაიწყება ბედნიერება, როგორც ზღაპრებში ხდება ცხრაკლიტულის მეცხრე კარი უნდა დაილეწოს. ეს რწმენა მე შემომრჩა, ჯერ კიდევ მწამს, რომ ჩემთვის განკუთვნილი კარი ჯერ არ გაღებულა. შეიძლება ისე დავბერდე, რომ სულ ამის მოლოდინში ვიყო და არაფერიც არ გაიღოს. შეიძლება ამ რომანტიზმმა სწორი ნაბიჯები არ გადამადგმევინოს, მაგრამ მეორე მხრივ, ამ მუხტის გარეშე ჩემი სიცოცხლე ხელებჩამოყრილი და ნიჰილისტური იქნებოდა. ასე რომ, ჩემს ცხოვრებას დავარქმევდი ბედის საძებნელად გასულ ადამიანს. ცხოვრება მძიმეა, ყოფითობაში ბევრი შავი სამუშაოც არის შესასრულებელი, მე კიდევ შავი სამუშაოს შესრულება არ მიყვარს.

**— რასაც აკეთებთ, იმას რა ჰქვია?**

— მუშაობა, რომელიც საკმაოდ მძიმეა.

**— როგორ განსაზღვრავთ თქვენს ცხოვრებას, მოსაწყენია, რთულია...**

— შეიძლება ითქვას, რომ ძალიან რთულია. ბევრი რამის გადალახვა მიწევს. ვახსენე კომპლექსები, მიდრეკილებანი, რაღაც გენეტიკური თვისებები, სიზარმაცე, რომელიც არცთუ ისე უწყინარი სიტყვაა, საკმაოდ ღრმა, ძირეული სულიერი პრობლემაა, რომელსაც დანგრევა, გადალახვა სჭირდება. ვისაც რეპეტიციაზე ვუნახივარ, უკვირს როგორ ვებახი საკუთარ თავს ზარმაცს, მუშაობის პროცესში არ მეტყობა, ამ დროს ძალიან ვიხარჯები, მაგრამ სანამ რეპეტიციაზე მივალ, მეზარება.

**— რომელი გრძნობის დათრგუნვა შეგიძლიათ ან გიჭირთ?**

— დასათრგუნი რაც არის, ყველაფრის მიჭირს, მაგრამ ვცდილობ. საკმაოდ ემოციური ადამიანი ვარ, შეიძლება ისეთმა რამემ გამაღიზიანოს, რომელიც არცთუ ისე დადებითად მეტყველებდეს ჩემზე.

**— გამოხატავთ?**

— არსებობს მეგობრების გარემოცვა, სადაც სრულიად გაშიშვლებული ვარ, ზედმეტადაც კი. საკმაოდ ბოღმა ვარ, მაგრამ ვხვდები, რომ ეს არის არა პატივსაცემი ინსტინქტი და ამაში ენერგიის და ცხოვრებისეული მუხტის დახარჯვა არ ღირს.

**— სპექტაკლის დადგმისას რომელ გრძნობას ენდობით?**

— ჩემი შემოქმედებითი ბიოგრაფია არც ისე მდიდარია, მოითვლის 7-8 სპექტაკლს და ყველა თითქმის შეკვეთილია. პირველი ნაბიჯები თემურ ჩხეიძის შემოქმედებით სახელოსნოში გადავდგი, სადაც მისი ასისტენტი ვიყავი. დავალება გვქონდა, რომ ქართული სპექტაკლი დაგვედგა, ანუ ეს უკვე შეზღუდვაა, აღმოჩნდა, რომ ფრიადოსანი მარტო მე აღმოვჩნდი და შიო არაგვისპირელის მოთხრობა — „გიული“ — ავირჩიე, რომელიც ჩემს სიმებს შეეხო. გადმოვეცი მაჰმადიან მწყემსთა ტრადიციული ისლამური საზოგადოების რღვევის ისტორია, რომელიც არაგვისპირელთან არ იყო. მოვიფიქრე და სპექტაკლში შემოვიყვანე გაუცხოებული არამუსლიმანი ქართველი და შევქმენი სასიყვარულო სამკუთხედი, რომელიც ყველაფერს ანგრევს.

წინდაწინ ვიგრძენი, რომ შემეძლო ამას ჩავჭიდებოდი. ჩემს მთავარ სათქმელს, შინაგან მიდრეკილებებს, ორიენტაციას დაემთხვა, გაიღვიძა ჩემმა ინტერესმა ტრადიციულ საზოგადოებათა, ეთნიკური მომენტების მიმართ, რაც ყოველთვის მაინტერესებდა და მიყვარდა.

რადგან თქვეს, რომ ქართულ მასალას კარგად ვდგამდი, სოხუმის თეატრმა კონსტანტინე გამსახურდია შემიკვეთა. მოთხრობების გადაკითხვისას ვნახე, რომ მეგრული ჯადოსნობის, მოქვის საიდუმლოს შეცნობის მომენტები იყო, რაც ჩემი ორიენტაციაა, და მივხვდი, რომ ამის ირგვლივ შემეძლო ამბის შეკვრა. ამის შემდეგ დაიწყო შეკვეთები, ერთადერთი, რაც ნებით ავირჩიე, მეტერლინკის „ნიშნობა“ იყო, რომელიც მოზარდ მაყურებელთა თეატრში დავდგი.

დრამატურგიაში მეტერლინკი თავისთავად, სიმბოლიკის მწვერვალია, რომელიც ირაციონალური, მისტიკური შინაარსებითაა გაჟღენთილი, რაც ძალიან ენათესავება აღმოსავლურ მისტიკას და მისტიკას ზოგადად.

**— მსახიობებს თავისუფლებას აძლევთ თამაშის დროს?**

— რაღაცა აბსტრაქტული, ზოგჯერ უფრო კონკრეტული და ხელშესახები წინა სახე არსებობს ჩემს წარმოსახვაში, მაგრამ თეატრი მაინც ისეთი ხელოვნებაა, სადაც სასურველ როლს, სახეს მსახიობთან ერთად ქმნი, ანუ მსახიობმა უნდა განავითაროს, გაშალოს ფრთები და შედეგი მასთან ერთად უნდა მიიღო.

თუ მსახიობმა მონახა ისეთი საკვანძო მომენტი, რომელიც ჩემს რეალურ ჩანაფიქრს არ ეწინააღმდეგება, მე მას მივყვები.

**— ვინ იქონია გავლენა თქვენი, როგორც რეჟისორის, დრამატურგის ჩამოყალიბებაში?**

— გავლენა ბევრმა მოახდინა. სამსახიობოზე გიზო ჟორდანიასთან ვსწავლობდი, ეს ადამიანი მსახიობებს თავისუფლებას აჩვევს. როდესაც სარეჟისოროზე ვსწავლობდი — მიხეილ თუმანიშვილმა. მიმაჩნია, რომ იგი თეატრის პატრიარქი და ბრწყინვალე მასწავლებელია, მასთან სწავლის ხანს ცოტა სხვა ტალღაზე ვიყავი, მსოფლმხედველობითი პრობლემები მაწუხებდა და ამიტომ არ ვიყავი მისი კარგი მოწაფე, თუმცა მას ძალიან მოვწონდი. მოდი ასე ვიტყვი, რომ თუმანიშვილის მოწაფეა ყველა, ვისაც მასთან უსწავლია და არ უსწავლია, თუ ვინმემ რამე იცის ქართულ თეატრში, ეს ყველაფერი თუმანიშვილისგან არის ნასწავლი. შემდეგ ვიყავი თემურ ჩხეიძის შემოქმედებით სახელოსნოში, მისი დამსახურებაა ჩემი პროფესიული წინსვლა და, თუ შეიძლება ასე ითქვას, ჩემი ხელობის დაგვირგვინება.

**— თქვით, რომ როდესაც მიხეილ თუმანიშვილთან სწავლობდით, სხვა ინტერესები გქონდათ, ვერ დააზუსტებთ?**

— როდესაც თეატრალურ ინსტიტუტში სამსახიობო ფაკულტეტზე ჩავაბარე, იმავდროულად სურვილი მქონდა სასულიერო გზასაც დავდგომოდი, მღვდლობა მინდოდა.

**— ვინ ან რამ განაპირობა ეს სურვილი?**

— ეს სრულიად სპონტანურად მოხდა. ვიზრდებოდი ტრადიციულ ათეისტურ, საბჭოთა ოჯახში. როდესაც სკოლიდან ვიპარებოდით, მე ეკლესიაში ვიმალებოდი, მომწონდა იქ ყოფნა, არაფერი ვიცოდი, პირჯვრის გადაწერაც კი, სასულიერო პირების მეშინოდა, წვერიან, ანაფორიან მღვდლებს ჯადოქრებად აღვიქვამდი, მათი ჩავლაც კი შიშს მგვრიდა, მაგრამ ძალიან მიზიდავდა. განსაკუთრებით მიზიდავდა ერთი განცხადება აბრაზე, სადაც ეწერა, რომ მცხეთის სასულიერო სემინარია აცხადებდა მოსწავლეთა მიღებას, ამ განცხადებას ვკითხულობდი დღეში ხუთჯერ, მაგიურად ჟღერდა. ეს იყო ჩემთვის ჩვეულებრივი ყოფიდან ამოვარდნილი შუასაუკუნეობრივი ამბავი. როდესაც სამსახიობო ფაკულტეტის მეორე კურსზე ვიყავი, სურვილი გამიჩნდა სასულიერო სემინარიაში ჩამებარებინა, მაგრამ რაღაცამ არ გამიშვა, პირველ რიგში ჩემმა პირველმა ცოლმა, შემდეგ მე თვითონაც მივხვდი, რომ ეს ჩემი მხრიდან შეიძლება ტყუილი ყოფილიყო და აქედან გამომდინარე მიმაჩნია, რომ სწორად მოვიქეცი. მოგვიანებით ჩემი პროფესიის — მსახიობობის — მიმართაც ვიგრძენი გაუცხოება, ინტერესი და ის მისტიკა, რაც მანამდე მქონდა, დაიკარგა.

რეჟისორობა კი გარკვეულწილად დამოუკიდებელი შემოქმედებაა, მეგობარმა, ვისი გავლენაც მქონდა, ამის ამბიცია გამიღვივა, თორემ დღეს ალბათ ვიქნებოდი უშტატო მსახიობი მარჯანიშვილის თეატრში, ან ბოლო-ბოლო მიმიღებდნენ. შემდეგ ჩავაბარე თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტზე, სადაც ჩემი პედაგოგი მესამე კურსამდე მიხეილ თუმანიშვილი გახლდათ. ამ დროს უკვე მქონდა მცდელობა პიესების წერის, რაზეც ბატონი მიშა მეუბნებოდა, რომ მას ჩემთვის საკუთარი პიესების წერა კი არა, სხვისი პიესების დადგმა უნდა ესწავლებინა.

დავიწყე საკუთარ თავზე მუშაობა, თითქმის ყველა, ჩემი მშობლების ჩათვლით, მიიჩნევდა, რომ მე უკვე პირწმინდად ასოციალური და წყალწაღებული ადამიანი ვიყავი, შეიძლება ასეც გამოვიყურებოდი, მოხურული პლედითა და სანთლით ხელში, მაგრამ ამ წვალებამ გამოცდილება შემძინა და ინსცენირებაზეც გამეწაფა ხელი.

**— თქვენ ამ ნაბიჯით აიძულეთ თავი საკუთარი ტალანტი აღმოგეჩინათ?**

— დიახ, პირველად დავწერე სცენარი, რომელზედაც ხელი არ მოვაწერე და რაღაც კონკურსზე ჩავაბარე. შემდე უკვე გაზეთში ვნახე, რომ საუკეთესო ათეულში შესულა, მერე უკვე გამოვეხმაურე, მაგრამ დაჯილდოებაზე არ ვყოფილვარ. რამდენიმე კინოსცენარიც მაქვს დაწერილი.

**— რა არის ახლა თქვენთვის თეატრი?**

— თეატრი ახლა ჩემთვის არის საქმე, რომელსაც შემოსავალი და აზარტიც მოაქვს. არ მინდა, რომ სხვაზე ცუდი სპექტაკლი დავდგა, არ მინდა, რომ რაღაცნაირად შემომხედონ საშუალო ნიჭის ადამიანებმა, რომლებითაც სავსეა სამყარო და მათ შორის ქართული თეატრიც, ასეთ ამბიციურ განცხადებას რომ ვაკეთებ, მაგრამ არ მინდა. მირჩევნია გენიოსმა გადმომხედოს ზემოდან, თუმცა შეიძლება ეგეც გამიჭირდეს, მაგრამ გენიოსებზე თანახმა ვარ, ვერ ვიტყვი, რომ მათი ცვენაა, დღეს ცოტა სხვა დროა და პოპულარობა შეიძლება სხვა ფაქტორებმა განაპირობოს, ვიდრე საინტერესო შემოქმედებამ ამა თუ იმ ადამიანისა, მაგრამ სადაც თქვენ, იქაც მე.

ახლა ვაპირებ ჩემს მეგობართან ერთად 10-წუთიანი ფილმის გადაღებას. ყოველთვის მინდოდა კინოს გადაღება, შეიძლება ითქვას, ამიტომაც მოვედი თეატრში, მეგონა, რომ აქედან კინოში გადაბარგება გაცილებით ადვილი იქნებოდა, მაგრამ ჩემი სიზარმაცისა და ტემპების ადამიანს გადაბარგება ძალიან უჭირს, თუ ღმერთმა ინება, შეიძლება კინოც გახდეს ჩემი საქმე, მაშინ თეატრსაც უფრო ხალისით მივხედავ.

**ჯონ ლე კარემ უარი განაცხადა საერთაშორისო „ბუქერის“ მიღებაზე**

მძაფრსიუჟეტიან რომანთა ავტორმა ჯონ ლე კარემ საერთაშორისო "ბუქერის" ჟიურის სთხოვა, ამოეღოთ მისი გვარი ნომინანტთა სიიდან.

„სიცივიდან მოსული ჯაშუშისა" და „ერთგული მებაღის" 79 წლის შემქმნელმა, რომელიც წარდგენილი იყო პრემიაზე ლიტერატურაში შეტანილი ღვაწლის გამო, განაცხადა, მოხარული ვარ ჩემდამი გამოჩენილი ყურადღებისათვის, თუმცა პრინციპულ მოსაზრებათა გამო არასოდეს მივიღებ მონაწილეობას ლიტერატურულ შეჯიბრებებშიო.

ამისდა მიუხედავად, ჟიურის თავმჯდომარემ რიკ ჯეკოსკიმ განაცხადა, ლე კარე ფინალისტთა სიაში მაინც დარჩებაო, წუხილი გამოთქვა ჯაშუშური ჟანრის მეტრის უართან დაკავშირებით, მონაწილეობა მიეღო კონკურსში, და აღნიშნა, ჟიურის ყველა წევრი ჯონ ლე კარეს ნამდვილი თაყვანისმცემელიაო.

ბონდო არველაძე

# „ეგრე არ არის თაყაო, შენ რო ყანები დაყაო“

*სამშობლო ღმერთზე მეტია,*
*სამშობლოზე მეტი — ეკლესიაა,*
*ეკლესიაზე მეტი — ტიგრან დიდია,*
*ტიგრან დიდზე მეტი — დიდი სომხეთია!*
**სილვა კაპუტიკიანი**

გამოვიდა სომეხი ისტორიკოსის ვაჰე სარქისიანის შრომების კრებული — „ჯავახქ — 1988-2008 წ.წ.“ (300 გვ. რუს. ენაზე). გამოსცა ერევნის ანალიტიკურმა ცენტრმა — „მიტქ“. სანამ მასში წამოჭრილ ზოგიერთ საკითხს განვიხილავ, მანამ გვსურს მკითხველის ყურადღება მივაპყრო ერთ ნიშანდობლივ ფაქტზე, რომელიც ვაჰე სარქისიანის და აქედან გამომდინარე, კრებულში შეტანილი ყველა შრომის თუ ნარკვევის ტენდენციურობას წინასწარ განსაზღვრავს. საქმე ის არის, რომ წიგნის რეცენზენტები არიან სომხეთის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი აკადემიკოსი აშოტ მელქონიანი და პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი ლევონ შირინიანი. შესავალი ეკუთვნის ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატს, ექსპერტს ედუარდ აბრამიანს. ჩამოთვლილი მეცნიერები მკვეთრად გამოირჩევიან საქართველოსადმი სიძულვილითა და ანტიქართული მოღვაწეობით. ისინი სომხურ, რუსულ და ინგლისურ ენებზე გამოქვეყნებულ სტატიებსა და წიგნებში ქვეყნიერებას თავგამოდებით აუწყებენ, რომ საქართველო არის მრავალეთნიკური (აჭარლები, სვანები, ხევსურები, მეგრელები, თუშები და ა.შ.) ხალხთა კონგლომერატი და როგორც მცირე იმპერია უნდა დაიშალოს. კრებულზე მათი გვარები რომ ვნახე, გავიფიქრე — ესენი ქართულ-სომხური ურთიერთობის სასიკეთო გამოცემას მწვანე გზას არ მისცემდნენ-მეთქი. ისე ყველაფერი კარგი აგიხდეთ, როგორც ჩემი ვარაუდი გამართლდა. ვაჰე სარქისიანი რეცენზენტების „ღირსეული“ მონაფე აღმოჩნდა.

ამდენხანს ვიცოდი, რომ ზოგიერთ სომეხ მეცნიერს და პოლიტიკურ მოღვაწეს პრეტენზია ჰქონდა მხოლოდ ჯავახეთის მიმართ. ვაჰე სარქისიანმა ეს „მოთხოვნა“ გააფართოვა, დაუმატა — სამცხე, წალკა, თავისთავად ჯავახეთი, გააერთიანა და უწოდა — ჯავახქ, რომელიც ერთ დროს (III ს.ს. ძვ. წ. აღ.) „ველიკაია არმენიაში“ შედიოდა თურმე. ჯერ ერთი ამ ზღაპრულ თუ ჯადოსნურ „ველიკაია არმენიის“ საზღვრებში დროებით თუ იყო მოქცეული ეს უძველესი ქართული მხარე ჯავახეთი ან ქვემოქართლი არ ნიშნავს მათ ადრიდანვე სომხურობას. ეს მხარეები ქართლმა 387 წელს დაიბრუნა და არა მიიერთა, როგორც ზოგიერთი სომეხი მეცნიერი წარმოადგენს. ამ კუთხეების შორეული საუკუნეებიდანვე ქართულობის შესახებ აურაცხელი სამეცნიერო ლიტერატურა არის — სომხურ, ქართულ და უცხო ენებზე (მ. ხორენაცი, სტრაბონი, ნ. მარი, ივ. ჯავახიშვილი, აკ. შანიძე და სხვ.). ამიტომ, ამ საკითხს აღარ გავყვები. ერთს კი ვიტყვი, ვაჰე სარქისიანის და მის მსგავს მეცნიერთა საყურადღებოდ. დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის დროს (XI-XIII ს.ს.) მთელი აღმოსავლეთ სომხეთი საქართველოს კუთვნილება იყო, მაგრამ ჯერ არცერთ ქართველ მეცნიერს აზრად არ მოსვლია არარატის ველი ქართულ მიწად გამოეცხადებინოს, ხოლო ანისი — ქართულ ქალაქად. თუმცა ასე შორს რატომ მივდივართ, აგერ XVIII საუკუნეში ერევნის სახანოდ ქცეული „ველიკაია არმენია“ ერეკლე მეფის ყმა-ვასალი იყო. მაგრამ ჯერ არცერთ ქართველ მეცნიერს არ უკადრებია — ზანგეზური ქართული ტერიტორია და ზანგა ქართული მდინარეაო.

ვაჰე სარქისიანი ნემსის ყუნწში ძვრება და თავგადაკლული ცდილობს დაამტკიცოს ქართული ტოპონიმის — აწყურის სომხურობა (გვ. 302). მას მოაქვს ა. სანოსიანის მიერ ამ ტოპონიმის ერთობ საეჭვო ეტიმოლოგია. ამ ე.წ. მკვლევარმა კი ეს სახელწოდება ასე დაშალა: აწ-კურ. აწ- არის სომხური ზმნის (აწელ) ფუძე. აკად. ჰრ. აჭარიანის სომხური ეტიმოლოგიური ლექსიკონის მიხედვით ამ ზმნის მეხუთე მნიშვნელობა არის — შენება. ამრიგად, დაასკვნის ა. სანოსიანი და მასზე დაყრდნობით ვაჰე სარქისიანი — აწკურ ფაქტიურად ნიშნავს — „აშენებულია მტკვრის ახლოს“ (იგულისხმება ციხესიმაგრე) და ამაყად უმატებს — „ეს არის უეჭველი სომხური ტოპონიმი“. რბილად რომ ვთქვათ — ამ დილეტანტურ ეტიმოლოგიურ ძიებას არაფერი აქვს საერთო აკადემიურ კვლევასთან და აქედან გამომდინარე, მეცნიერულ ჭეშმარიტებასთან.

სინამდვილეში აწყური არის წმინდაქართული ტოპონიმი თუნდაც იმიტომ, რომ იგი გვხვდება უძველეს საისტორიო წყაროებში ამავე ქართული ფორმით — აწყური და არა სომხური აწკურ, აზგოვ, აზზორ და ა.შ. უკანასკნელ ხანებში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად მიკვლეულია ახალი წ.აღ-ის პირველი საუკუნის ანუ ანდრია მოციქულის მიერ აწყურში ყოფნის პერიოდის ნაშთი, რომელიც ანდრია მოციქულის მიერ ციხის ზედა ნაწილში მარიამ ღვთისმშობლის ხატის დასვენების შესაძლებლობას რეალურს ხდის (ვ. ლიჩელი — აწყური — გაზ. „ლიტ. მესხეთი“ 2008). აწყური ერთ-ერთ უმთავრეს საეპისკოპოსო ეპარქიას წარმოადგენდა, რომლის საკათედრო ტაძარში დაბრძანებული იყო ღვთისმშობლის ხელთუქმნელი ხატი. იგი გაუქმდა XVII საუკუნეში თურქების მიერ, რომელიც აღდგა 1917 წელს (ზ. აბაშიძე, კრებ. „ზარზმა“, 2007). ძველ ქართულ ტექსტებსა და ხალხურ პოეზიაში გვხვდება აწყვერის ფორმით. „აწყურის შემთხვევაში „ურედუქციო“ ფორმაა. აწყური/აწყვერი. (უ)-ს (უ) ბგერად დავიწროვებამ უმახვილო პოზიციაში გამოიწვია (ვ)“ (თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი „სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბ. 1995, გვ. 53). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ორივე ბგერა აგრძელებს არსებობას და ისტორიულ ქართულში, ლიტერატურული წყაროების მიხედვით VIII-IX საუკუნეებში ორივე ფორმა დასტურდება, ისინი პარალელურად იხმარება.

როგორც პროფესორი მერაბ ბერიძე ფიქრობს, აწყური წყლიან ადგილს, წყლის ადგილს უნდა ნიშნავდეს. უძველეს დროიდან მოყოლებული იგი გაშენებულია მტკვრის მარჯ-

ვენა და მარცხენა ნაპირებზე (აწყურის ეტიმოლოგიისათვის — აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი — „ქართველური მემკვიდრეობა“ 2005, გვ. 31-34).

ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აწყურის ამოსავალი უნდა იყოს წყლის აღმნიშვნელი საერთო ქართველური ძირი — წყ. (ვ. თოფურია), რომელიც გარდა საკუთრივ წყალფუძისა გვაქვს — წყურ ფუძის სახით (წყურვილი), ნერ-წყ-ვი, რ-წყ-ევ-ა ფუძეში (მ. ჩუხუა — ქართველურ ენაკილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბ. 2002-2003).

ვაჰე სარქისიანი ცრუობს, როცა წერს: „გურჯისტანის დიდი დავთრის“ მიხედვით აწყურში მცხოვრებ გადასახადის გადამხდელთა უმეტესობა თითქოს სომხები იყვნენ XVI საუკუნეში.

შევამოწმე და აღმოჩნდა პირიქით?!..

საქართველოში სომეხმაძიებელ ვაჰე სარქისიანს აწყურთან „აღმოუჩენია“ მცირე დასახლება — „დზრეხ“-ის სახელწოდებით. აქაც უპოვნია თავის მსგავსი ქართველთმოძულე სომეხი ეროვნების რესპონდენტები, რომელნიც თურმე შეგნებულად არ სწავლობენ ქართულს, რათა შეინარჩუნონ სომხობა.

ვეკითხები ვაჰე სარქისიანს და მის რესპონდენტებს — ნეტავი ამერიკაში მცხოვრები მილიონზე მეტი სომეხი ასე გაურბის ინგლისური ენის შესწავლას?.. ეს ე.წ. რესპონდენტები ამაყად აცხადებენ: „ჩვენ, სომხები ბოლომდე დავრჩებით სომხებად“, მათ ეროვნებას არავინ ერჩის საქართველოში. ამის ერთ-ერთი დამამტკიცებელი ფაქტია 147-მდე სომხური საშუალო სკოლის არსებობა აქ. ყოველი ხის ძირას სომხური სკოლა ვერ გაიხსნება. მაგრამ სახელმწიფო ენა — ქართული რომ უნდა იცოდეს, ეს ჭეშმარიტება დროა გაიგოს და შეიგნოს საქართველოში მცხოვრებმა ყველა ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელმა.

ვაჰე სარქისიანი მრუდე სარკეში წარმოადგენს სოფელ ფოკას, მის ისტორიას და 1830-იან წლებში თურქეთიდან აქ შესახლებულ სომეხთა ყოფას. დავიწყოთ იმით, რომ აქ ყოვლისმცოდნე მეცნიერის აზრით, სომხები ფოკაში ათასეული წლებია ცხოვრობენ (გვ. 308). ამის დასტურად „უამრავ უცხოურ წყაროებიდან“ იმოწმებს ერთს. ეს არის წმ. ნინოს ცხოვრების ის ადგილი, როცა წმ. ნინო ჯავახეთს შემოვიდა და ფარავნის ტბის ახლოს მწყემსები ნახა და საყველპურო სომხურით მცხეთის გზა ჰკითხა. კი მაგრამ, რატომ ჰგონია სარქისიანს და არა მარტო მას, რომ ეს მწყემსები ადგილობრივები იყვნენ და არა მეზობელი სომხეთიდან გადმოსულნი, რათა ჯავახეთის იალაღებზე ცხვარი ეძოვებინათ. ეს უფრო სარწმუნოა და ამის გამორიცხვა ცალსახად არ შეიძლება. იგი „გულდამწვარი“ ლაპარაკობს ფოკაში მცხოვრებ სომეხთა ყოფაცხოვრებაზე. რესპონდენტიც თავის შესაფერი უპოვნია — ვინმე მარქარ ჩარბუდალიანი, რომელიც სოფლის ჭირვარამზე მოთქვამს — მიგრაცია და უმუშევრობა ფოკას გაპარტახებით ემუქრებაო. ამაში კი თურმე დამნაშავე ყოფილა საქართველოს ცენტრალური მთავრობა და ადგილობრივი ქართული ხელისუფლება. ის, რომ მიგრაცია და უმუშევრობა მთელი საქართველოს უბედურებაა და ჯავახეთი (ფოკა) გამონაკლისს არ წარმოადგენს, განა არ იცის ამ ორმა ქართველთმოძულე სუბიექტმა, მაგრამ ისინი (განსაკუთრებით სარქისიანი) ცდილობენ ეს ფაქტორი გამოიყენონ და სეპარატიზმის და შოვინიზმის შხამით მოწამლონ ჯავახეთელი სომხები, ხოლო ერევანი და მსოფლიო დაარწმუნონ ქართველთა მიერ მათ ეროვნულ შევიწროებასა და ჩაგვრაში. ეს დომინირებს ამ წიგნში და წითელი ხაზივით გასდევს თავიდან ბოლომდე.

თურმე ფოკელი სომხები სულიერ და ფიზიკურ ზეწოლას განიცდიან ქართველთა მხრიდან. ამის „მრავალი“ ფაქტიდან სანიმუშოდ მოაქვს ერთი: ფოკას ეკლესია მსოფლიო ბანკის სახსრებით კაპიტალურად გარემონტდა, მაგრამ შემდეგ ქართველებმა მიითვისესო. ამის გამო უჩივლიათ ნინოწმინდის საკრებულოში, მაგრამ იქ მათთვის უთქვამთ: „არცერთ შემთხვევაში თქვენ მართლები არ ხართო!“

ნინოწმინდის საკრებულოს მართებული პოზიცია დაუკავებია: ფოკას ეკლესია არის შუასაუკუნეების ქართული ძეგლი (ი. როსტომაშვილი, დ. ბერძენიშვილი, ვ. ჭრელაშვილი და სხვა). ბუნებრივია, აქ საქართველოს საპატრიარქომ გახსნა მამათა და დედათა მონასტერი და დღემდე მოქმედებს ეს სავანე. ისე რომ, არავითარ „ბარბაროსულ“ მისაკუთრება-მიტაცებას ადგილი არ ჰქონია.

ვაჰე სარქისიანს და მის რესპონდენტს მარქარ ჩარბუდალიანს შევახსენებ, რომ ძველი ქართული ეკლესიები მიისაკუთრა მისმა თანამემამულემ, სომხური არქიტექტურის კვლევის ცენტრის დირექტორმა სამველ კარაპეტიანმა, როცა გამოსცა რუკა-ცნობარი — „სომხური ეკლესიები საქართველოში“ (1995, სომხურ და რუსულ ენებზე). ამ ქართველთა სიძულვილით დაავადებულმა მკვლევარმა 653 „სომხური“ ეკლესია-ნაგებობა „აღმოაჩინა“ საქართველოში. სინამდვილეში კი 80-90% ქართული ეკლესიებია გატანილი სომხურად... ეს გაუგონარი სიყალბე ვამხილე წიგნში — „სომხური“ თუ ქართული ეკლესიები საქართველოში?! (1996, ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე). ამ კაცს კი შეუვალ ავტორიტეტად მოჰყავს კარაპეტიანი?!.

ვაჰე სარქისიანს და მის ერთ-ერთ რესპონდენტს გულზე ეკლად ესობა დედათა და მამათა მონასტერი ფოკაში. ისინი მათ არსებობას აქ „მშობლიურ ჯავახეთში“ ქართველთა ექსპანსიად თვლიან — „ამის გამო ფოკას მცხოვრებმა სომხებმა, არაერთგზის განვაცხადეთ პროტესტი და კონტრზომების მიღება მოვინდომეთ, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენი პროტესტი მკაცრად ჩაახშო ისევ ჩვენმა ნინოწმინდის საკრებულოს ხელმძღვანელობამ, რომელიც ერთგულად ემსახურება საქართველოს მთავრობას და პრაქტიკულად ატარებს ცხოვრებაში მის თახსირ ღონისძიებებს. ფოკაში დარჩენილ სომხებს არავისი გვეშინია, რადგან დასაკარგი უკვე აღარაფერი გვაქვს, ამიტომ ისღა დაგვრჩენია, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ვიბრძოლოთ, რათა გადავარჩინოთ ფოკა და დავიცვათ ჩვენი სამშობლო უცხოელ დამპყრობლებისგან“ — ამბობს მარქარ ჩარბუდალიანი.

აგერ საუკუნეზე მეტია მეფის რუსეთმა ჯავახეთის მკვიდრი ქართველობა აყარა და ხიზნად აქცია, მათ ნასახლარზე ეს ერზერუმელი სომხები დაასახლა. მაგრამ შემოკედლებულ სომხებს დღემდე ვერ გაუგიათ, თუ არ უნდათ გაიგონ, რომ ისინი უძველეს ქართულ მიწაზე ცხოვრობენ და მასპინძლები ქართველები არიან. თუმცა ეს მთლად მათი ბრალი არ არის. სომეხი სწავლულები — ს. კარაპეტიანი, ალ. ქანანიანი, ა. მელქონიანი, ს. აივაზიანი, ე. აბრამიანი და სხვანი, ჯავახეთის მიწის „ძირეულ

სომხურობას" გამუდმებით ჩასჩიჩინებენ, ალვირახსნილ პროპაგანდას ეწევა სომხური პრესა, რადიო-ტელევიზია. აღარას ვამბობ ერევანსა და უცხოეთში გამოცემულ წიგნებზე. ამგვარ სიცრუეში გაიზარდნენ მთელი თაობები და ჯავახეთს შემოსახლებულმა, ხიზანმა სომხებმაც დაიჯერეს — ისინი ისტორიულ სამშობლოში დაბრუნდნენ და ქართველები აქ „უცხოელი დამპყრობლები არიან".

მაგრამ აქ არ მთავრდება ცილისწამების კორიანტელი. სისხლის სამართლის ბრალდება წაუყენეს ფოკელ ქართველ ბერ-მონაზვნებს ჩარბუდალიანმა და შესაბამისად, სარქისიანმა. ფოკას დაუსაქმებელ სომეხ ახალგაზრდებს შორის გავრცელებულია ნარკომანია. სოფლის მცხოვრებნი მოწმენი ყოფილან, როგორ შემოაქვთ და ყიდიან ქართველი ბერები და სასულიერო პირები ისეთ საშინელ ნარკოტიკს, როგორიც არის „ანაშა". ამის გამო დამფრთხალნი და შეშინებულნი ფოკელები მიდიან უცხოეთში (გვ. 312).

ამ ფაქტთან დაკავშირებით შემიძლია ის ვთქვა, რომ თუ ასეთი დანაშაული მართლა ხდება ფოკაში, მაშინ დამნაშავენი უნდა დაისაჯონ. თუ არა და ცრუ ბრალდების, ცილისწამებისათვის ვაჰე სარქისიანმა და მარქარ ჩარბუდალიანმა პასუხი უნდა აგონ კანონის წინაშე.

ვაჰე სარქისიანი შეშფოთებულია იმის გამო, რომ ქართული სავანეები საუკეთესო საშუალებაა ქართველიზაციის გასაძლიერებლად ამ „ასპროცენტიან სომხურ" რეგიონში. ამ საშიშროების წინაშე მდგარა ფოკა, სოფელი სალამო, ახალქალაქი, წალკა, ბერძნული სოფელი ოლნიაკი და სხვ. ერთი სიტყვით, სამცხე-ჯავახეთი-წალკა — ეს არის ისტორიული სომხეთის მიწა-წყალი, რომელიც უსამართლოდ არის მოქცეული საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში. სარქისიანი მოუწოდებს სომხეთის რესპუბლიკის მთავრობას, გააძლიეროს ძალისხმევა ამ „სომხური რეგიონის" მისაპატრონებლად.

ვაჰე სარქისიანის აზრით, საქართველო არის აგონიაში მყოფი მცირე იმპერია, რომლის აღდგენის ცდა მიხეილ სააკაშვილის მიერ კრახით დამთავრდა (გვ. 352). ამ მცირე იმპერიის რესტავრაციის მცდელობა იყო 2008 წლის აგვისტოს ომი. მაგრამ ოსი ხალხის გმირულმა ბრძოლამ და რუსი მშვიდობისმყოფელმა ჯარმა დაამარცხა აგრესორი საქართველოს ჯარი. პუტინის ცრუ პროპაგანდით გაბრუებულ სარქისიანს ნეტავი მართლა სჯერა, რომ ისინი რუსის მშვიდობისმყოფელები იყვნენ და არა რუსის რეგულარული ჯარი, რომელიც შეიარაღებული იყო თანამედროვე სამხედრო ტექნიკის ყველა სახის საბრძოლო იარაღით. მათ შორის აკრძალული კასეტური ბომბებით, რომლითაც დაბომბეს ქართული სოფლები და გორი. სარქისიანის და რუსი შოვინისტი დეპუტატების ლოგიკით, ოსებმა პირველებმა მასირებულად რომ დაბომბეს ქართული სოფლები — ეს არ იყო აგრესია, მაგრამ ქართულმა ჯარმა ბოლოსდაბოლოს რომ უპასუხა — ეს ყოფილა აგრესია. აი, ასე სამართლიანად სჯის ჩვენი დროის გრიგოლ არწრუნი. ეს კაცი, სარქისიანი სიხარულით მეცხრე ცაზეა და მეტისმეტი ალტაცებისგან ჭყლოპინებს — საქართველომ აფხაზეთი სამუდამოდ დაკარგაო (გვ. 353). აქ მას „დაავიწყდა" აღენიშნა საქართველო-აფხაზეთის, უფრო სწორად რუსეთ-საქართველოს ამ ომში რა „გმირულად" აწამებდა და ჟლეტდა ბაგრამიანის სომხური ბატალიონი მშვიდობიან ქართველ მოსახლეობას აფხაზეთში. ამ ტრაგედიის შესახებ იხ. ბონდო არველაძე, თეიმურაზ მიბჩუანი — „ბაგრამიანის სომხური ბატალიონი და ქართველთა ეთნოწმენდა აფხაზეთში" (1996, ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე).

ვაჰე სარქისიანი „წუხს": საქართველო დაბნეულია და უნიტარული სახელმწიფოს აღდგენის ილუზიით არის შეპყრობილიო და „კეთილშობილურად" გვთავაზობს კონფედერაციულ მოწყობას, რაც მისი ჭკუით ერთადერთი გამოსავალი ყოფილა. კაცმა რომ თქვას, ნეტავი ვინ ეკითხება ამ მეტიჩარა არამკითხეს, ქართველი ხალხი როგორ სახელმწიფო წყობას აირჩევს. სჯობდა, მის მთავრობას ეჩვენებინა მაგალითი და აპარანის რეგიონში 70-80 ათასი მცხოვრები ქურთისთვის მიეცა ავტონომია ან სულაც დამოუკიდებლობა. აფხაზები და ოსები თითქმის ამდენნი იყვნენ, ავტონომია რომ ჰქონდათ. სარქისიანს ყარაბაღის საკითხი საბოლოოდ ჰგონია მოგვარებული და სომხეთის ტერიტორიის ნაწილად მიიჩნევს. ახლა ჩვენ გვასწავლის ჭკუას და გვარიგებს. მინდა „დავამშვიდო" — ნაადრევია მისი სიხარული, აზერბაიჯანი არავითარ შემთხვევაში ყარაბაღს არ დათმობს და ადრე თუ გვიან მაინც დაიბრუნებს ისე, როგორც საქართველო აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს.

ვერა და ვერ ისვენებს სარქისიანი და საქართველოს მორიგ ბრალდებას უყენებს — თითქოს ახალ მსხვერპლს ეძებს ჯავახეთში და ცდილობს უდანაშაულო სომხების ხარჯზე ძალაუფლება განიმტკიცოს ამ მხარეში. მიუტევებელი დანაშაული ჩაუდენია თურმე თავის დროზე საქართველოს მთავრობას, როცა არასომეხი ეროვნების ხალხი ჩაასახლა წალკასა და ჯავახეთში.

— ვინ არიან ისინი?

ესენია — აჭარლები და სვანები. მათი აქ დასახლება თითქმის სახელმწიფო დანაშაულის ტოლფასი ყოფილა. ერთი სიტყვით, ეს კაცი, ვერაფრით შეგუებია ქართულ მიწაზე ქართველის დამკვიდრებას.

ახლა, რაც შეეხება სარქისიანის მიერ ზვიად გამსახურდიასადმი წაყენებულ ბრალდებას — თითქოს მან გადმოისროლა ლოზუნგი — „საქართველო ქართველებისთვის". პირადად მე ასეთი რამ არ მახსენდება და ამიტომ ვერაფერს ვიტყვი. თუ ვინმეს კონტრარგუმენტი აქვს, გასცეს პასუხი. მაგრამ ის კი ვიცი, რომ საქართველოს დევნილი პრეზიდენტი, მართალია, მიიღო სომხეთის მაშინდელმა პრეზიდენტმა ლევონ ტერ-პეტროსიანმა, მაგრამ მთელი ორი თუ სამი კვირა იჯევანში, ფაქტიურად შინაპატიმრობაში ჰყავდა და ხეირიანად საკვებსაც არ აწვდიდა მას და მის თანმხლებ პირებს. რომ არა ჩეჩნეთის პრეზიდენტი, მუსლიმი ჯოხარ დუდაევი, ალბათ ქრისტიანი, სომეხი პრეზიდენტი შიმშილით ამოხოცავდა დევნილ ქართველებს ან სულაც რუსეთს გადასცემდა.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია.

ვაჰე სარქისიანი, ეტყობა ახალგაზრდაა და ამიტომ ვურჩევ — მეზობელზე და თანაც სომხეთისადმი ისეთ ამაგდარ ერზე, როგორიც ქართველი ხალხია, ასე ბოღმით და სიძულვილით წერა, რბილად რომ ვთქვათ — უმადურობაა. სიკეთის დაუნახაობას — სიყვარული არ მოჰყვება... აკაკი წერეთელსა და გაბრიელ სუნდუკიანს, ოვანეს თუმანიანს და ტიციან ტაბიძეს შორის დამკვიდრებულ ძმობის ტრადიციას მოფრთხილება სჭირდება.

ეკა ბუჯიაშვილი

# კაცი, რომელიც სჭირდება სამშობლოს

*

## გურამ პეტრიაშვილის ლიტერატურული ზღაპრების განხილვა



ლევან ბრეგაძე გახუმრებია ერთხელ:

გურამ დოჩანაშვილმა სამი ძმა კეჟერაძე რომ დახატა, ამ პერსონაჟთა პროტოტიპები შენ და შენი ძმები ხართო — განსაკუთრებულები, თითქოს უცნაურები, კოლორიტულები... და ასე აუცილებელნი ჩვენი საზოგადოებრივი ყოფისათვის, დაუშოშმინებელი ადამიანები, რომელთა გარეშეც წარმოუდგენელი იყო იმდროინდელი რეალობა. და ამ ხუმრობას „ჩვენი მწერლობის“ სალონში გურამ პეტრიაშვილის წიგნის — „პატარა ქალაქის სასწაულები“ — წარდგინებაზე რომ გაიხსენებს **როსტომ ჩხეიძე**, დასძენს:

— მართლაც რაღაცით ჰგვანან — იმ უცნაურობით, რითაც ნაცრისფერი სივრციდან არიან ამოვარდნილები. გურამ პეტრიაშვილი მრავალმხრივი ადამიანია. ხშირად უკვირთ, როგორ შეიძლება ერთი ადამიანი იყოს პოეტიც, მსახიობიც, რეჟისორიც, მწერალიც, ესეისტიც, პუბლიცისტიც, პოლიტიკოსიც... ბატონი გურამისთვის კი ეს ჩვეულებრივი ამბავია.

ემიგრაციის ოცი გრძელი წელიწადის მიუხედავად, ამ სივრცეს არ მოსწყვეტია. მისთვის წარმოუდგენელია არსებობა ქართული სამყაროს გარეშე. ეს არის მისი ფესვებიც და... დაუშოშმინებლობის სათავეც.

ჩვენთვის იგი არის ადამიანი, რომელიც ვერ ცხოვრობდა ლიტერატურული დუღილის გარეშე და ხშირად თვითონვე იწვევდა ამ დუღილს — მღელვარებას სალიტერატურო პრობლემების გარშემო, რომელთაგან უმთავრესი იყო, ქართულად გველაპარაკა.

სხვათა შორის, უკრაინაშიც გავრცელდა ასეთი ხუმრობა: როცა ორი უკრაინელი ერთმანეთს ხვდება და რუსულ სიტყვებს გამოურევენ, აქეთ-იქით იხედებიან, გურამ პეტრიაშვილი არ მოდიოდესო.

ეს ხუმრობაც არის და რეალობაც — ის წვეთია, რომელიც კარგად აირეკლავს ბატონი გურამის პიროვნებას და საერთოდ, ბევრ რამეს ჩვენს საზოგადოებრივ ყოფაში.

რაც შეეხება მის ლიტერატურულ ზღაპრებს, აქაც თვალსაჩინოა გურამ პეტრიაშვილის მიღწევები. ამ ჟანრს დიდი ტრადიცია აქვს მთელ მსოფლიოში, ჩვენც არაერთი მასშტაბური ლიტერატურული ზღაპარი გვაქვს და დღეს რომ ხელი მოკიდო ამ საქმეს, ძალიან დიდი ნიჭიერება და გაბედულება უნდა გქონდეს. ეს ჟანრი, თავისთავადი მნიშვნელობის გარდა, სხვა დატვირთვასაც იძენდა ჩვენში — საბჭოთა ეპოქაში პოლიტიკური სატირისა და პამფლეტის თვალსაზრისითაც ნაცადი ფორმა გახლდათ... და გურამ პეტრიაშვილმა შეძლო, მთელი ციკლი შეექმნა ორიგინალური ლიტერატურული ზღაპრებისა.

ქართულ მწერლობაზე საუბრისას მას ევროპული ლიტერატურის ნაწილად განვიხილავთ. ეს წიგნიც — „პატარა ქალაქის სასწაულები“ — ევროპული მწერლობის ნაწილია — ჯერ ჩვენი წარმოდგენით. დრო მოვა და ამას ისინიც აღიარებენ.

* * *

— წერილების წერას თითქმის გადავეჩვიე, მაგრამ როცა გამოუვალი სიტუაცია შეიქმნება ხოლმე, ანუ როცა სათქმელი სხვა ფორმას ვერ პოულობს, სიტყვები ყველა ჟანრისთვის ნიჟარებივით იკეტებიან და ვრჩები მარტო, სრულიად მარტო მათ დახშულ, მყიფე სადაფის კარიბჭეებთან, აი, მაშინ სხვა გზა არაა, — ასე დაიწყებს თავის მოხსენებას **ნინო სადღობელაშვილი**, ჩვეული ექსპრესიით რომ გაგვიხსნის გურამ პეტრიაშვილის სამყაროს კარს, ოღონდ... ჯერ იმაზე გვიამბობს — ნიჟარებივით დაკეტილ სიტყვებზე, წუთებზე, როცა ამ წერილის დაწერას იწყებდა.

აი, ოთახიც, მაგიდაც, ფურცელიც, საწერ-კალამიც.

ახლაც იცის, სხვა გზა არა აქვს, რადგან არაფრის წერა არ უნდა, მითუმეტეს სერიოზული, დინჯი გამომეტყველებით აზრების ფრქვევა, რადგან ამ წამს სწამს, რომ გული ყველა პირამიდის სიმძიმეს ერთად იწონის და თან თითოეულ მათგანს ცრემლის სიმსუბუქე ახლავს...

კიდევ — მონატრება.

...და აი სიტყვებიც:

„პატარავ, გადმობრუნდი მაინც, გვერდი იცვალე, სულ გულის მხარეს წევხარ და გულზე ბალახი აღარ ამოგივა, დაგეტკეპნება...

იცი რა ვიპოვე შენთვის? იცი რა აღმოვაჩინე? საოცარი ზღაპრები, აი, ვერც კი წარმოიდგენ, ისეთი საოცარი და ვერც კი წარმოიდგენ, ვისი. შენ იცნობ მას, ყოველდღე ხედავ ტელევიზიაში და გეშინია, რაღაცის გეშინია... გინდა, რომ მენდო, მთელი შენი ჩიტების ამალით შეუერთდე, მაგრამ გეშინია და ეს შიში ცოფიანი ძაღლივით ზის ოთახის კუთხეში.

და თურმე ვერც კი წარმოიდგენ, ეს კაცი რა მშვენიერ ზღაპრებს წერს. შენ წაიკითხავ მათ ალაგ-ალაგ, ზოგს სკოლის კლასგარეშე სახელმძღვანელოში, ზოგს სადმე, რომელიმე გაზეთსა და ჟურნალში, მაგრამ ვერ მოაგროვებ შენში ისე, რომ ეგ შიში სძლიო.

და ამიტომ, მენდე, მე ახლა ყველა ფანჯარა ღია მაქვს, სულის, ხორცის ყველა სარკმელი და ვილაც ყვირის ჩემში: სიყ-ვა-რუ-ლი"...

და იცით კი რას ნიშნავს სიყვარული?

რას და...

რას და აი, ამ საოცარ ამბებს, გურამ პეტრიაშვილის სამყაროში რომ ტრიალებს. ეს უჩვეულო პერსონაჟები დაატარებენ სიყვარულს, ჩვენი არსებობის მალიარებელს და სიკვდილის უარმყოფელს.

და თქვენ იცით, რა არის სიკვდილი?

„სიკვდილი დაინახე? არავის გაუფერადებია? პირდაპირ შეეჩეხე, როგორც ყველაზე მოულოდნელ სტუმარს? იცი, აქაც კვდებიან, ამ ზღაპრებში. ის კი არა, თითქმის ყველა ზღაპრის ბოლოს ვილაც მიდის, რალაც სამუდამოდ სრულდება. მაგრამ აქ ერთი დიდი საიდუმლო ამშვენებს ყოველივეს: აქ, თუნდაც ნაღვლიანი კლოუნები, კი არ კვდებიან, არამედ ერთხელ იელვებენ და ცისფრად ქრებიან მყისვე".

და თქვენ იცით, რა არის გაქრობა?

„გაქრობაა ყველაზე ღვთაებრივი რამ, ყველაზე დიდი, მკაფიო წამი, რომელიც სამუდამოდ დაადასტურებს შენს აქ მყოფობას, მარადისობას".

თქვენ კი ძალიან ბევრი სიზმარი გაქვთ სანახავი.

და ვიდრე ამ სიზმრებსაც გაუშინაურდებით...

ნინო სადღობელაშვილი ბავშვობისკენ გახედებთ — ხანაში, საიდანაც იწყება სიყვარული. გახედებთ გურამ პეტრიაშვილის ზღაპრებით, რომლებიც ჩვენს დროში, ჩვენსავე გადასარჩენად დაიწერა.

ამიტომ უნათებენ ისინი „უმთვარო ღამეებს" მათ, ვისაც ეს ყველაზე ძალიან სჭირდება.

და ამიტომ იტყვის **სოფიო ჯაფარიძე:**

— მართალია ზღაპრები ჰქვიათ, მაგრამ ვერსად მიაკვლევთ ქრესტომათიულ საზღაპრო ფორმულას — „იყო და არა იყო რა"...

ვერ დალანდავთ ქართული ხალხური ზღაპრისათვის ჩვეულ და ყრმათა გულამაჩვილებელ ფინალს „ჭირი იქა, ლხინი — აქა", ან „ელასა მელასა, ჯვარი გეწეროთ ყველასა"... თუმცა ზღაპრების წიგნი რომ წავიკითხე, რატომღაც მაშინ ვიგრძენი ბავშვობის უზომო მონატრება. მივხვდი, რომ უკვე დიდი ხანია აღარ მარგებს პირველი მექუდის ნაოსტატარი ქუდი და ამიტომაც ახლა პეპლებზე მეოცნებე მებაღე თუ ვარ და არა ამ ბაღში გადაპარული პატარა გოგონა, მხოლოდღა ყოფით დავთარს „ჩაწყენილი" წვიმის მოყვარული ან ქალაქს შეჩენილი უჟმური თუ უბრალოდ, პატიოსანი მოქალაქე...

ასე მგონია, აქამდე ამაზე სერიოზულად არც კი მიფიქრია, იქნებ უდროობაც იყო... ყოველ შემთხვევაში, ძალიან მომინდა იმ პატარების ადგილას ყოფნა, ვისთვისაც ეს წიგნი ჩაიფიქრესო.

ეს ცოტა მოგვიანებით იქნება, ჯერ კი კვარტეტი „კესანე" — **ლელა თათარაიძე, რუსუდან ჯოჯუა, იზოლდა ფიფია** და **მარინა გიორგაძე** —ახმიანებენ ქართულ ჰანგებს, შთაგონებულს გურამ პეტრიაშვილთან პირადი შეხვედრით კიევში, ერთ-ერთი გასტროლისას. და თითქმის უდასტურებენ მწერალს სიტყვებს: აბა „ადამიანები თუ არ გიყვარს, ისე რა ფასი აქვს ან ყვავილების სურნელს, ან ვარსკვლავებისას"...

ან სიმღერასაც რა ფასი აქვს.

* * *

წლების წინათ საპატრიარქოს რადიოგადაცემას („საუბრები საბავშვო ლიტერატურაზე") რომ უძღვებოდა **მარიამ წიკლაური,** ერთ-ერთ შეხვედრაზე **ნინო ჩხიკვიშვილიც** მიუწვევია და მასაც საუბრისას გვერდი არ აუვლია გურამ პეტრიაშვილის შემოქმედებისთვის.

გადაცემის შემდეგ თვითონ მწერალი შეხმიანებიათ უკრაინიდან და თავისი მადლიერება რომ გამოუხატავს, შთაბეჭდილებანიც გაუზიარებია და სურვილიც საკუთარი ნაწარმოებების საქართველოში გამოცემისა.

მარიამ წიკლაური მაშინ გამომცემლობა „გორდაში" მუშაობდა და ეს სურვილი ხელმძღვანელობამდე მიუტანია. თვითონ ბატონ გურამს ორი წიგნი შეურჩევია — ზღაპრები და „ელისა და ბრუნოს" თავგადასავალი, რომელიც ამჯერად გარკვეული რედაქტირებით გამოიცა. ყველაფერი თვითონ გაუკეთებია მწერალს, მხატვარიც თავად შეურჩევია — **ნანა სამნიაშვილი** და შარშან მაისში გამართულ წიგნის ფესტივალზე გამოცემა უკვე მზად დახვდა მკითხველს. ასე გვიამბობს ამ ამბავს **მარიამ წიკლაური,** საინტერესოდ რომ გახსნის გურამ პეტრიაშვილის შემოქმედებას და თავისი გამოსვლით ლამის თანამოხსენებითაც რომ წარდგება შეკრებილთა წინაშე. ისაუბრებს ლიტერატურულ ზღაპარზეც, როგორც უძველეს ჟანრზე, ბევრი რამ რომ იტვირთა თავის თავზე და დღემდე მოაღწია როგორც ძლიერმა ფენომენმა, რომელმაც შეძლო შეეთვისებინა ყველაფერი, ყველანაირი სათქმელი, რაც კი ადამიანს სჭირდებოდა, დაერღვია ასაკობრივი ზღვარი და თანაბრად სასიამოვნო და საინტერესო ყოფილიყო დიდისთვისაც და პატარისთვისაც. მისი თქმით, როცა გურამ პეტრიაშვილი გამოჩნდა ლიტერატურულ ასპარეზზე, იმდენად განსხვავებული სუნთქვა შემოიტანა, მაშინვე დაიწყო მსჯელობა იმაზე, თუ რა იყო ეს — ძალიან ევროპული მოვლენა, გადმონერგილი ქართულ ნიადაგზე, ძალიან ორიგინალური ქართული სამყარო თუ სულაც ჟანრი, რომელიც ახლა იბადებოდა და ჯერ განსაზღვრული სახელი არ ჰქონდა.

— საერთოდ, საბავშვო ლიტერატურა ყველაზე რელიგიურია არა, ვთქვათ, ჰაგიოგრაფიული თვალსაზრისით, არამედ ერთი მომენტის გამო — ეს არის სიკეთის უპირობო გამარჯვების ლიტერატურა.

გურამ პეტრიაშვილის ზღაპრებშიც სიკეთეს იცით როგორი სახე აქვს? ძალიან მერკანტილური, პრაგმატული ადამიანია, რომელსაც შეუძლია იცხოვროს მშვენიერების გარეშე, — იტყვის და ისაუბრებს გასალებზე ამ ზღაპრებისა — ცისფიქრიან ადამიანებზე; პატარა დინოზავრზე, საოცრად რომ აგონებს ჯემალ ქარჩხაძის „იგის"; შერეკილ პერსონაჟებზე, რომლებითაც დასახლებულია ეს სამყარო; კიდევ — მწერლის ოცნებაზე — ქვეყნიერებაზე შურის გარეშე; მეზღაპრეზე, როგორც ღვთისმოსავ ადამიანზე, რომელიც ამ გზას არასოდეს ღალატობს... და ძალიან ორიგინალურ ფორმაზე, ამ ყველაფრის სათქმელად რომ აირჩია გურამ პეტრიაშვილმა, მწერალმა, რომელსაც ბედისწერამ სამშობლოსაგან შორს ცხოვრება არგუნა ხვედრად, ევროპის საბავშვო ფანტასტთა კონკურსზე კი უკრაინამ სწორედ მისი ზღაპრები წარადგინა და პირველი პრიზიც თავის სამშობლოში კი არა, უცხო ქვეყანაში ჩაიტანა.



ქეთა ოჩიაური

ᲓᲔᲓᲐ ᲪᲮᲕᲘᲠᲡᲐᲮᲝᲪᲘᲗ

**ელისო კალანდარიშვილი** ჯერ პირველ შეხვედრას გაიხსენებს გურამ პეტრიაშვილთან, შთაბეჭდილებას, რომელიც ახალი სამყაროს აღმოჩენას ჰგავდა, და მერე ამ უჩვეულო სამყაროს ბინადრებზე ისაუბრებს, პერსონაჟებზე, არაორდინარული ხედვით, უჩვეულო სიზმრებით, შემეცნებისკენ სწრაფვით რომ გამოირჩევიან.

— ადამიანთა ნაწილი აქ წესრიგზე ზრუნავს, კანონებს ანესებს, რომელთა გადახვევაც თითქმის დანაშაულად ითვლება, მაგრამ მუდამ გამოჩნდებიან ისეთნიც, ამ შეუვალ პრინციპებს რომ არღვევენ, არ ეპუებიან არც სასჯელს, არც გარიყვას, რადგან სული ეხუთებათ მოჩვენებითი წესრიგის სამყაროში, გული უკვდებათ ბრიყვი კანონმდებლების მიერ დათრგუნული არსებების ჭვრეტით, ამიტომაც ხან თავდაყირა დგებიან, ხან წვიმაში შეუჩერებლად დაეხეტებიან, ხან ვარსკვლავებს ჩხრეკენ დიდი ჯოხით, ხან კი გასაყიდად გატანილ ყვავილებს არიგებენ უსასყიდლოდ. ასეთია მათი ულოგიკო ლოგიკა, უწესრიგო წესრიგი, უსაზღვრებო საზღვრები. ეს ზღაპრები ნამდვილად არ გამოგვადგება ჩვენი ცხოვრების რაციონალურ დაგეგმვაში, ყოფის მაქსიმალური სიზუსტით მოწესრიგებაში, სიმდიდრის მოხვეჭასა და თანამდებობის მოპოვებაში. ვისაც ამის სურვილი აქვს, სჯობს არც თვითონ წაიკითხოს ეს ზღაპრები და არც საკუთარ შვილებს წაუკითხოს ძილის წინ — რად უნდათ, ხომ შეიძლება დაილუპონ, ცისკენ გაექცეთ თვალი.

ისე კი...

ნეტა ჩვენ რა გვეშველება — სიზმრის მხედველ და ცისმაცქერალ ადამიანებს?!



ნინო სადღობელაშვილი

* * *

ოთარ ჩხეიძის რომანშიც გაიელვებს — როგორც პერსონაჟი.

„არტისტული გადატრიალება“ პირველ ყოვლისა იმ გახმაურებულ ეპიზოდს — 1991 წლის 22 დეკემბრის სატელევიზიო გამოსვლას — შემოგვინახავს.

— ასე ციცერონიც ვერ ილაპარაკებდაო, — ამბობს რომანში ოთარ ჩხეიძე. როსტომ ჩხეიძე კი შეკრებილებს მიმართავს:

— როცა მშვიდად ვსაუბრობთ, გაცილებით იოლია საუბარი. მაშინ კი, როცა თავზე ტყვია და ყუმბარა გადაგდის, თითქმის შეუძლებელია და ამას ციცერონობაზე მეტიც უნდაო.

კარგია, რომ ეს ეპიზოდი არა მხოლოდ გადაცემამ და პუბლიცისტიკამ, რომანმაც შემოგვინახა... და ახლა, ამ შეხვედრაზე **გიორგი გოგოლაშვილი** სწორედ იმ გურამ პეტრიაშვილს მოინატრებს — ისეთს, შეუპოვარს, მართლაც რომ დაუშოშმინებელს.

— ეს მონატრებაა კაცისა, რომელიც დააკლდა ჩვენს საზოგადოებრივ ყოფას. ასეთი ადამიანი დღესაც ძალიან გვჭირდება, რათა ქართულ ენას, საფუძველს ჩვენი ეროვნულობისა, ძლიერი დამცველი ჰყავდეს, — იტყვის და მაგალითად რომ მოიყვანს ჩვენი პოლიტიკოსებისა თუ საზოგადო მოღვაწეების მიერ გაბნეულ „ქართული ენის მარგალიტებს“, აღნიშნავს:

— გურამ პეტრიაშვილი და მისნაირი ადამიანები ხელისუფლებაში რომ ყოფილიყვნენ, იმ პარლამენტში არ დაიხურებოდა ქართული ენის ქვეკომიტეტი;

ქვეყანაში იარსებებდა ქართული ენის სახელმწიფო კომისია, რომელიც იყო და აღარ არის;

არ გაუქმდებოდა ენის პალატა, არ აღიკვეთებოდა გადაცემები, მიძღვნილი ქართული ენის საჭირბოროტო საკითხებისადმი და ა.შ.

სამწუხაროდ, დღეს ასე აღარ სტკივათ ქართული ენა და ეს ეროვნული უბედურებაა. ბარე ორი მწერალი და კულტურული მოღვაწე იყო მას შემდეგ პარლამენტში, მაგრამ მათი ბრძოლა ქართული ენისათვის არ მახსოვს. სამაგიეროდ, მახსოვს გურამ პეტრიაშვილის წინააღმდეგ „ლიტერატურულ საქართველოში“ ცნობილი მოღვაწის მიერ ერთმანეთის მიყოლებით დაბეჭდილი წერილები მოწოდებით: გააჩერეთ, გააჩერეთო!

ბატონმა გურამმა 90-იან წლებში 20-30-იანი წლების სული დაატრიალა. მაგონდება მსახიობის სახლის სცენაზე საგანგებოდ შექმნილი ჟიური და პაექრობა ენის პრობლემებზე გურამ პეტრიაშვილსა და ლევან ღვინჯილიას შორის. სხვა ცხოვრება წარიმართა მაშინ, სხვანაირმა საკითხებმა წამოიწია წინ ბატონი გურამის წყალობით.

იგი ჩვენს ცხოვრებაში დღესაც არის და რეალურად ის არც მოსწყვეტია ქართულ რეალობას, მაგრამ...

მე მაინც ის გურამ პეტრიაშვილი მენატრება — ქართული ენის სადარაჯოზე მდგომი, დღესაც ასე რომ სჭირდება ჩვენს ქვეყანას.

**სალომე კაპანაძის** თქმით კი „გურამ პეტრიაშვილის ზღაპრებს ბავშვებთან ერთად სხვა რეციპიენტიც ჰყავს — უფროსების სახით. ეს წიგნი მარტო ყრმათა საკითხა-

ვი როდია, ვინაიდან კარგა ხანია სიზმარში აღარ დავფრინავთ.

ამ ზღაპრებში არის პასუხები კითხვებზე, რომლებსაც უსათუოდ დაგვისვამს ჩვენი შვილების თაობა, როცა მაღლა ახედვას დააპირებს.

ეს პერსონაჟები სიკეთის ანგელოზებივით დაფარფატებენ, სიზმარში აიხდენენ ხოლმე თავიანთ ოცნებებს, რადგან აქ ბოროტი ადამიანები ვერ აღწევენ. სიზმარი ხიდია, რომლითაც მათი ოცნებები გადმოდიან რეალურ სამყაროში... ისინი მაღლა აფრენაზე ოცნებობენ, მზისკენ ილტვიან".

ამ პერსონაჟებს რომ წამოსწევს და სახე-სიმბოლოებად განაზოგადებს, აღნიშნავს: გურამ პეტრიაშვილის ზღაპრების უნივერსალიზმი იმით გამოიხატება, რომ ასაკობრივ ცენზს არ ემორჩილებაო.

— ალბათ „ქუდისმდევარ, ქარის წინააღმდეგ მავალ კაცსაც" შეიცნობენ და ჩვენი ბედუკუღმართი ისტორიის „ჯვარზე გამსვლელთა და მტვირთველთა" სახელებსაც ისევე შეინახავენ, როგორც ბავშვობის სათუთ მოგონებებს. ეს ხომ ისტორიის ის მონაკვეთია, რომელმაც ტკივილი მარადიული გაკვეთილისთვის დაგვიტოვა სასჯელად. ვიტოვებ უფლებას გურამ პეტრიაშვილის ზღაპარში „მექუდე" ის კონტექსტი შევნიშნო, 90-იანი წლების რეალობას რომ მოგვაგონებს თავისი ფსიქოლოგიური დრამატიზმითა და ანატომიით, გმირებითა და ანტიგმირებით, დამარცხებულებითა და ფსევდოგამარჯვებულებით.

...მეც იმ ეპოქის შვილი ვარ და იმ დამღით მაქვს ცნობიერება აღბეჭდილი. ბევრი რამის დალაგება დღესაც მიჭირს, მაგრამ ზუსტად ვიცი — გურამ პეტრიაშვილის ზღაპრები წარმავალ, მოდურ ღირებულებებზე რომ არ არის გათვლილი.

* * *

— არაფერი ისეთი ფანტასტიკური არ არის, როგორც რეალობაო, — წერდა თურმე დოსტოევსკი და „ჩვენი მწერლობის" შეკრებათა კოლორიტული წევრი **თემურ ნადარეიშვილი** ამ ფრაზას რომ გაიხსენებს, ასე განგვიმარტავს:

— არ შეიძლება მეზღაპრემ ისეთი რამ შექმნას, რაც არ არსებობს. უბრალოდ, ამას განზოგადება და რომანტიკულ საფეხურზე აყვანა სჭირდებაო.

მისი თქმით, სწორედ ასეთი განზოგადებით გამოირჩევა გურამ პეტრიაშვილის შემოქმედება — ორიგინალური, განსხვავებული, არაორდინარული. ამიტომაც იყო, ნინო სადღობელაშვილმა რომ აღნიშნა: მოხსენება აკადემიური არ გამომივიდაო.

ბატონი თემური თვლის, რომ არც გამოვიდოდა, რადგან „პატარა ქალაქის სასწაულები" პირველი, შეურყვნელი წარმოდგენაა სამყაროზე და სულაც არ სჭირდება აკადემიზმამდე აყვანა.

იგი ტრაგედიად, საქართველოს ისტორიად და უბედურებად მიიჩნევს იმას, რომ გურამ პეტრიაშვილი საერთაშორისო კონკურსზე უკრაინელ მეზღაპრედ წარადგინეს, ისევე როგორც ოთარ იოსელიანს მოიხსენიებენ ფრანგ რეჟისორად.

იგი ასევე ისაუბრებს ზღაპრის ფსიქოლოგიურ თავისებურებანზეც — ბევრი რამ კვლავაც აუხსნელი რომ რჩება მისთვის — და ღვაწლზე, რომელიც ამ ჟანრისთვის გასწია გურამ პეტრიაშვილმა.

— დღეს აქ აღნიშნავდნენ გურამ პეტრიაშვილის დამსახურებაზეც, მოღვაწეობაზე 90-იანი წლების დასაწყისში, ეროვნულ ტალღებზე აღტორტმანებულ და რუსული დესპოტიზმის არტახებს თავდაღწეული საქართველოსათვის, — გვიამბობს **ლევან ქურციკაშვილი**, — შემთხვევამ, სწორედ ასეთ დროს შემახვედრა მას. ერთ დილას მირეკავს ჩემი განუყრელი მეგობარი, აკადემიკოსი ზურაბ ცხაკაია და მეუბნება: დაბარებული ვარ ბატონ გურამ პეტრიაშვილთან, ალბათ ჩემი მონოგრაფიის შესახებ, რომელიც უკვე დაბეჭდილია და სტამბიდან უნდა წამოვიღო. იქნებ ერთად წავიდეთო.

ბატონმა გურამმა შუბლშეკვრით ჩამოგვართვა ხელი: ავტორი რომელი ხართო? — იკითხა. ზურაბმა დაუდასტურა.

— მერედა, შე კაი კაცო, — შემტევად და მკვახედ განაგრძო ბატონმა გურამმა, — ეს სოლიდური მონოგრაფია რუსულად რომ დაგიწერია, გაიძულა ვინმემ? ჩვენი პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტობა, ქართულად დაწერილს ვერ გაიგებდნენ? გვეყო! გვეყო „რუსეთუმეობა", რუსთაველის, ილიას, აკაკის, ვაჟას ენის ჩანიხვლა „არ ეგების". ამიტომაც ერთ კვირას გაძლევ და მონოგრაფიას მომიტან ქართულ ენაზე დაწერილს, გასაგებია?

ზურაბ ცხაკაია კახეთში კი იყო გაზრდილი, მაგრამ მშობლების მეგრულ-გურული სისხლის ამღელვარებით ჯიქურ შეაგება:

— ბატონო გურამ, მეგონა მონოგრაფიის სტამბიდან გატანის ნებართვას მაძლევდით, ახლა ყოვლად წარმოუდგენელია ამ წიგნის ქართულად დაწერა.

გურამ პეტრიაშვილი შეუვალი იყო. საჩქაროდ დაგვემშვიდობა და წავიდა. ჩვენ მოულოდნელად დასეტყვილ ვენახს დავემსგავსეთ. მას შემდეგ საქართველოსათვის ბევრმა ავზნიანმა წელმა ჩაიარა. ბევრი რამ შეიცვალა. ბატონი გურამიც, სამშობლოდან გამოძევებული, უკრაინას შეეხიზნა. აღარც ჩემი ზურაბ ცხაკაიაა ცოცხალი. მეც ოთხმოც წელიწადს გადავცილდი და დაუფარავად ვამბობ: გმადლობ გურამ პეტრიაშვილო, რომ შენეული ქართული ენის ერთი გაკვეთილით უფალთან წარსადგენად უკეთესი გამხადე!

კინომხატვარი **თემურ არჯევანიძე** კი რამდენიმე ეპიზოდს მოიგონებს მწერლის ცხოვრებიდან — მისი პირდაპირობის, ახირებული ხასიათის, შეუპოვარი ბუნებისა თუ ხისტი პასუხების გამო ხშირად დარბაზს რომ ატოვებინებდნენ.

— შესაძლოა ოდესმე მემუარებიც დავწერო, ახლა კი რეზო ესაძის „ნეილონის ნაძვის ხე" მახსენდება, ამ ფილმზე მეც ვმუშაობდი, როგორც მხატვარი. ხომ იცით ის ეპიზოდი, ბატონი გურამის პერსონაჟს ავტობუსიდან რომ ჩამოაგდებენ, მერე კი მთელი ავტობუსი შემობრუნდება და დაეძებს ასეთ კაცს.

დროა ჩვენც შემოვბრუნდეთ...

დროა ჩვენც მოვძებნოთ...

ჩამოვიყვანოთ და მოვეფეროთ კაცს, რომელიც ძალიან სჭირდება სამშობლოს.

*თამაზ ნატროშვილი*

# ერთი კარგი რითმა

ჰაერში გაზაფხულის სუნი ტრიალებდა, სულში ჩასწვდებოდა პოეტს, თავბრუს ახვევდა და ყურში ჩასძახოდა: აი, აქ არის ნამდვილი ცხოვრება და არა არქივის ნესტიან თავშესაფარშიო.

გაზაფხულის მათრობელა სურნელი შეახსენებდა, ბაღიბაღჩებში უნდა გაიარ-გამოიარო, არაგვის ქალებს შეეხმიანო, ზღვაში ჩაძირულ მზეს გაუსწორო მზერა, ცხენთა ჭენებას შეავლო თვალი, კოკისპირულ წვიმაში გაილუმპო და რუსთველის პროსპექტზე სიარული კი ღმერთმა ნუ მოგიშალოსო. ახლა ქალები თქვით! გაზაფხულის მობრძანებისთანავე მოშილიფებულნი, გამოზაფხულებულნი — გაცილებით მომხიბლავნი და სანატრელნი, ვიდრე უსაშველოდ გაჭიანურებულ ზამთარში.



*იოსებ გრიშაშვილი*

შენ კი არქივის უმზეო ცხრაკლიტულში გამომწყვდეულხარ, ობმოკიდებულ, გაცრეცილ-გაფითრებულ ქაღალდებს ფურცლავ და ყველაფერი დაგვიწყებია, რაც უწინ გეამებოდა — გაზაფხულიცა და პოეზიაცო.

და თუმცა, გალაკტიონისა არ იყოს, სხვა ხალხის ისმოდა აქ ჟრიამული, კანტიკუნტად მაინც იქნებოდა შემორჩენილი ის ძველებური ჰანგები, გატაცებანი და უბადლო ეშხი წარსულში სამუდამოდ ჩარჩენილი წლებისა.

არქივიდან გამოსულს გარს შემოერტყა მივიწყებული სამყარო, სადაც მზეში მოფარფატე მტვრის ნამცეცებივით ელანდებოდნენ ძველი ლექსები და ნაცნობი პერსონაჟები. საკმარისია, წუთით დახუჭოს თვალი და ვინ იცის, ეგებ ყველაფერი განმეორდეს.

სადა ხარ, რად მიგვატოვეო, — თითქოს ამუნათებდნენ და ჩიოდნენ, რაო, აღარა ვარ შუშპარა და მჩქეფარეო? აკი გაიძახოდი, კოცნამ მშობა და კოცნა ჩამკლავსო, ეგ არი შენი პირობა, ახლა სიგელ-გუჯრების ამბორი ამჯობინეო? შენ არ მეფიცებოდი, მკერდქვეშ გულის ნაცვლად შენი ფეხი მისვენიაო?! შენ არ ღაღადებდი თავდავიწყებით — ოქროს ფეხი, ოქროს ფეხი, ოქროს ფეხი ქალწულისაო?! შენ არ მაკრთობდი თამამი შეკითხვით, ვინ ჩაგიწყო მკერდში ორი სეფისკვერიო?

ჰაერი თითქოს გაჟღენთილა მისი ძველი ლექსებით, ჰაერში ბორგავს წარსული და გულში იხუტებს პოეტს. მწარე ფიქრები ეუფლება, ორი საწყისის შეჯახება ადამიანის სულში, განსჯა თავისი ბედისა და საქმიანობისა ამ გაზაფხულის მშვენიერ დღეს, ყველაფერი ეს განზოგადებულ იერს იძენს და საბოლოოდ იბადება ლექსი, რომელიც ობოლი მარგალიტივით გამოიყურება პოეტის შემოქმედების მეორე ეტაპზე, სიმწიფის ჟამი რომ ჰქვია.

იოსებ გრიშაშვილის ლექსს ეწოდება „აპრილი თბილისში" და დათარიღებულია 1929 წლით.

**რად ავიხირე არქივი**
**სულის და გულის მდაღველი,**
**ან რადა ვშრომობ ამდენსა,**
**განა ცოტა მაქვს ნაღველი?**
**მინდა ავცელქდე, ვით უწინ,**
**მაგრამ რომ არა მცალია?**
**სოსო, რა კარგი დღე არის!**
**სოსო, რამდენი ქალია!**

ხელნაწერთა კითხვას და ჩხრეკას ადარებს ცხრათავიან დევებთან ჭიდილს, ჩვეული გამოთქმებით ევედრება ლამაზმანებს, ამივსეთ ტუჩის ყულაბა მაგ კოცნის უზალთუნებითო, თორემ ვბერდები და ეგ არიო...

იოსებ გრიშაშვილი ორმოცი წლისა ხდებოდა სწორედ იმ წელს, სწორედ აპრილის თვეში და ეს მშვენიერი ლექსიც თითქოს განგებამ დააწერინა მუნასიბად თავისი დაბადების დღისათვის.

ცოტა ხნით ადრე დაწერილ ერთ ლექსში კი ძველ თბილისს ეთხოვებოდა, და არა მარტო — ძველ თბილისს, ეთხოვებოდა ძველ საქართველოსაც და რაც ძალ-ღონე და ნიჭი გააჩნდა, უახლოეს მომავალში გულუხვად შესწირავდა ახალ საქართველოს.

ეგებ იმიტომაც შესცურა გამოკვლევათა ზღვაში, რომ სხვა ხალხის ისმოდა აქ ჟრიამული? სხვა ლექსებს მოითხოვდა ახალი ეპოქა, მკაცრი და ულმობელი.

მაგრამ: „ერთ კარგ რითმაში არ გავცვლი მე ამდენ გამოკვლევებსა!" — გულამოსკვნით ამბობს საქვეყნოდ სახელგანთქმული ქართველი პოეტი ზემოთ დამოწმებულ ლექსში.

ეს სტრიქონი სათქმელადაც კარგია და მოსასმენადაც, მიმზიდველად ჟღერს, შეეფერება პოეტის სულისკვეთებას და რომანტიკული ჟრუანტელი შეგათრთოლებს, მაგრამ მაინც კოპწია პარადოქსს წააგავს მისივე ცხოვრებისა და შემოქმედების ჭვრეტისას.

სხვას რომ თავი დავანებოთ, მკვლევარის უკვდავსაყოფად და გაწეული შრომის დასაფასებლად ის ერთი გამოკვლევაც იკმარებდა, ამ ლექსამდე ორიოდე წლით ადრე რომ შექმნა და „ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა" უწოდა.

მარტო ის რად ღირს, რომ საუცხოო ძეგლი დაუდგა XIX საუკუნის თბილისის ორ კოლორიტულ ფენომენს — კინტოსა და ყარაჩოღელს (გნებავთ ძეგლი დაარქვით, გნებავთ — ეპიტაფია). თუკი მომავალში ერთხელ მაინც გაახსენდებათ თბილის-ქალაქის ისტორიის ეს ფურცელი, შეუძლებელია არ გაითვალისწინონ იოსებ გრიშაშვილის მიერ საქმის ცოდნითა და იშვიათი ხელოვნებით შესრულებული პორტრეტები, ორივე ცნების ზუსტი დახასიათება და ამომწურავი განმარტება, რომელმაც, სამწუხაროდ, ვერ მოიხვეჭა შეუვალი აქსიომის რეპუტაცია და ეს აღრევა დღემდე გრძელდება.

**იუმორისტული გადახვევა.** *სხვათა შორის, კინტოსა და ყარაჩოღელის დაპირისპირებამ ერთი ჩინებული ანეკდოტი წარმოქმნა (ვინ იცის, ეგებ ნამდვილი ამბავიცაა).*

*ათას ცხრაას ორმოცდარომელიღაც წელს მოსკოვში მორიგი „გარჩევა“ ტარდებოდა ქართული მწერლობისა — ჩვენი დიდი მეგობრის, პოეტ ტიხონოვის თამადობით (როგორც ერთი მაშინდელი შაირი გვამცნობს: „თავს სიხარული დაგვატყდა, უნდა გავმართოთ დეკადა, უნდა წავიდეთ მოსკოვში მუხლების მოსადრეკადა“). ჰოდა, რომელიღაც არამკითხე რუსმა ლიტინსტრუქტორმა ქართველ პოეტებს უსაყვედურა უზომო გატაცება კინტოს თემატიკით.*

*იოსებ გრიშაშვილმა რატომღაც თავის თავზე მიიღო ეს საყვედური, ოღონდ ახირებულ ორატორს არ შეჰპასუხებია, თავისი გაოცება და აღშფოთება მხოლოდ თავისიანებს გაუზიარა: ამ ოჯახაშენებულებმა, ეტყობა, არ იციან, რომ კინტოსა და ყარაჩოღელს შორის დიდი განსხვავებაა, ისეთივე განსხვავებაა, როგორიც ცასა და მიწას შორისო.*

*მაგრამ რუს ლიტინსტრუქტორს ვინა ჩივის, როდესაც იქვე მყოფმა ქართული პროზის დიდოსტატმა მოკრძალებით შენიშნა: ჩემო სოსო, რაღა დაგიმალო და მეც არ ვიცი, რა განსხვავებაა კინტოსა და ყარაჩოღელს შორის, სამშობლოს მზეს გეფიცები, ეგენი ტყუპები მგონიაო.*

*იოსებ გრიშაშვილი აღელდა: მაშ შენ ჩემი „ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა“ არ წაგიკითხავსო?*

*კონსტანტინე გამსახურდიამ კიდევ უფრო დაიმორცხვა: ჩემო კეთილო, უნდა მომიტევო, მართლა არ წამიკითხავს, რა ვქნა, ვერ მოვიცალე, ეშმაკმა დალახვროს, ამ ისტორიული რომანების წერას გადავყევიო.*

*იოსებ გრიშაშვილი მთლად გადაირია და ასაკით უმცროს კოლეგას ასე მიმართა: კონსტანტინე-ბატონო, თუ ეგრეა საქმე, მაშ მე შენი „დავით აღმაშენებელი“ არ წამიკითხავსო.*

*კონსტანტინე გამსახურდიას მეტიც არ უნდოდა, ასეთ უმსგავსო პარალელს როგორ მოითმენდა და ყურს არ აუწევდა ოპონენტს. არც აცივა, არც აცხელა და მყისვე ჩაუნისკარტა: ეჰ, ჩემო სოსო, თუკი შენ დავით აღმაშენებელსა და კინტოს ერთმანეთისგან ვერ არჩევ, კარგი დახლიც დაგიდგებაო.*

ხუმრობა იქით იყოს და კიდევ ერთი ღირსება მოეპოვება იოსებ გრიშაშვილის ზემოხსენებულ ნაშრომს, რომლის გამოქვეყნებიდან თითქმის ერთი საუკუნე გასულა. უეჭველი ღირსება კი ის გახლავთ, რომ დღევანდელობას ეხმიანება, სულაც არ დაჰკრავს ნაფტალინის არომატი. დღეს, ეთნოგრაფიული ასპექტით, ცხადია, აღარც კინტო არსებობს და აღარც ყარაჩოღელი, მაგრამ საქმე ისაა, რომ ისინი გარდაქმნილან, გარდასახულან, ევროპულ სამოსელში გამოწყობილთ ლექსიკაც დაუხვეწიათ, მიხრამოხრაც და თანამედროვეობისათვის აუწყვიათ ფეხი. ეს ფესვმაგარი რელიქტები ლამის ყოველ ნაბიჯზე შეგეჩეხებიან, სარდაფშიც და სასახლეშიც, ჭირშიც და ლხინშიც. თითქოსდა შეურიგებელნი, ღვთის წყალობით, უნინდებურად აგრძელებენ ეგზომ სანატრელ მშვიდობიან თანაარსებობას.

გამოკვლევები იქით იყოს და წინასწარმეტყველებაც რომ ეხერხებოდა ამ დალოცვილს! 1925 წელს ერთ პატარა წერილში „თბილისის საბალეტო სტუდია“ აღნიშნავდა: „ვაჟთა შორის იშვიათი ტექნიკით, ცეცხლით და ტემპერამენტით ცეკვავდა ვახტანგ ჭაბუკიანი, რომელსაც უსათუოდ დიდი მომავალი აქვს. ამ ნიჭიერ ბავშვს, ვისგანაც ჯერ არს, ამთავითვე უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება“.

გამოხდა ხანი და 1957 წელს იოსებ გრიშაშვილი, ალბათ, ფრიად კმაყოფილი და გახარებული, ბალეტ „ოტელოს“ ტრიუმფს მოკლე შენიშვნით („ჭაბუკი ჭაბუკიანი“) გამოეხმაურა: „ამ სამი ათეული წლის წინათ ერთ ჩემს პატარა წერილში შევიგრძენი მისი მომავალი და თხუთმეტი წლის ჭაბუკს ასეთი სტრიქონები ვუძღვენი...“ (იხილე ზემოთ).

რატომაც არ გაუხარდებოდა?! განა ეს „ერთი პატარა წერილი“ დიდად ჩამოუვარდება „ერთ კარგ რითმას“? რა სჯობს კეთილი წინასწარმეტყველების ახდენას! (ავისგან ღმერთმა დაგვიფაროს). ვინ არ მოიწონებდა თავს ამგვარი პროგნოზის გამართლებით? გულიან თეატრალად ცნობილმა პოეტმა თხუთმეტი წლის ყმაწვილში უცდომლად ამოიცნო მომავალი ვარსკვლავი ქართული ბალეტისა.

ახლა ისევ გამოკვლევებს მივუბრუნდეთ.

1942 წლით დათარიღებულ წერილში „აკაკის მუხამბაზისათვის „ნახევარი ცხოვრების გზა გავლიე“ ვკითხულობთ: „ამას წინათ სოფელ კავთისხევის საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი პოეტი გიორგი შატბერაშვილი შემეკითხა აკაკის ცნობილი „მუხამბაზის“ შესახებ. მისი აზრით, იქ, სადაც რითმაა „სამნაირად“, უნდა იყოსო — „სხვანაირად“.

გიორგი შატბერაშვილი ამცნობდა, რომ მოწაფეები აკაკი წერეთლის „მუხამბაზის“ („ნახევარი ცხოვრების გზა გავლიე“) შესწავლის დროს ხშირად სთხოვდნენ განმარტებას, რა არის „სამნაირი“ სიცილიო („თუმცა გულს მწვავს მწუხარების მე ალი, მაგრამ მაინც ვიცინი სამნაირად“).

გიორგი შატბერაშვილი ვარაუდობდა, რომ უნდა იყოს „სხვანაირი“ სიცილი და მაშინ ტექსტი გასაგები გახდებაო.

ეს წვრილმანი საქმე არ გახლდათ მისთვის.

ჩანს, შეცბუნებული იყო ქართულის მასწავლებელი — ყველა სიკეთესთან ერთად უაღრესად კეთილშობილი და კეთილსინდისიერი პიროვნება. ბედმა გარკვეული ხნით მოსწყვიტა ლიტერატურულ სამყაროს და თავის მშობლიურ სოფელში სკოლის მასწავლებლად გაამწესა. აქაც ისეთივე მონდომებითა და პასუხისმგებლობით ეკიდებოდა საქმეს. შემდგომში ვახტანგისეული „ცისკრის“ რედაქცი-

აში პროზის განყოფილებას განაგებდა. ახალბედა ავტორებთან მუშაობა ეხალისებოდა, უდიდეს ყურადღებასა და მზრუნველობას იჩენდა, შეძლებისდაგვარად, ყველანაირ დახმარებას უწევდა. მართლაც რომ დაუზარებელი მოჭირნახულე იყო მათი — ჩვენგან უდროოდ წასული ნიჭიერი შემოქმედი (პოეტი, პროზაიკოსი, დრამატურგი, ესეისტი, ლექსიკოგრაფი). გულწრფელი და გულისხმიერი კაცისათვის უცხო იყო ზაკვა და ხვანჯი, რაც არცთუ უცხო ხილია ჩვენში.

დიახაც შეცბუნებული იქნებოდა მასწავლებელი. გადაჭრით რომ ეთქვა, „სხვანაირი" უნდა იყოსო, ვაითუ მოსწავლეები დაებნია და ასეთი შეკითხვა გასჩენოდათ — თუკი სახელმძღვანელოში შეცდომაა, გამომცემლებს რა დაემართათ, რატომ არ გაასწორესო?

ბევრი აღარ უფიქრია და შეეხმიანა თავისი ლიტერატურული გამოკვლევებით დიდ ავტორიტეტად აღიარებულ იოსებ გრიშაშვილს, რომელსაც ამგვარი მოსაზრება თურმე მანამდეც არაერთხელ სმენია და ამიტომაც გადაწყვიტა საბოლოოდ გაერკვია, „სამნაირი სიცილი" იყო სწორი თუ „სხვანაირი სიცილი".

იოსებ გრიშაშვილის განმარტებით, ჩვენი საზოგადოება ამ ლექსს იცნობდა ნაწყვეტის სახით. პირველი რედაქცია შეიცავდა 36 სტრიქონს, ამჟამად კი (ე.ი. 1942 წელს) მხოლოდ 20 სტრიქონია ცნობილიო. მაშასადამე, ლექსს მოგლეჯილი ჰქონდა თითქმის ნახევარი ანუ 16 სტრიქონი. მკვლევარი იმოწმებს ამ 16 სტრიქონს და აღნიშნავს, რომ ეს ლექსი გამოქვეყნების დღიდან (ჟურნალი „კრებული", 1872) აკაკის არც ერთ ტომში არ შესულა (გადაუბეჭდავთ მხოლოდ 1882 წლის „ჯიბის კალენდარში").

როგორც ირკვევა, ზემოხსენებული ჟურნალიდან ცენზორს ამოუხევია ამ ლექსის მთელი ფურცელი და „კრებულის" რედაქციას არც სარჩევში აქვს ნაჩვენები. ჟურნალის ოდენ რამდენიმე ეგზემპლარი გადარჩენილა გამოუშიგნავი. ერთი მათგანი იოსებ გრიშაშვილსაც ჰქონია (როგორ გამორჩებოდა!) და აკაკის „მუხამბაზი" იქიდან გადმოუწერია. მკვლევარის სიტყვით, ამ ლექსის მთლიანად გაცნობისას გასაგები ხდება, თუ რატომ ამბობს პოეტი: „მაგრამ მაინც ვიცინი სამნაირად".

იოსებ გრიშაშვილი შენიშნავს, რომ ლექსში მოხსენიებული „სატრფო" ნართაულად იმდროინდელ საქართველოს ნიშნავს — „ძველი ტურფა დღეს მკვდარივით მძინარი" და, შესაბამისად, ამ სამნაირ სიცილში მგოსანი გულისხმობს თავისი სამშობლოს წარსულს, აწმყოსა და მომავალს: „მის წარსულსა ვიგონებ და გულსა მწყვეტს, აწმყო მტანჯავს და გულს მიწვავს, ვით აბედს, მომავალი კი მპირდება მე იმედს და სამგვარად მით დავცინი ამის ბედს!"

მკვლევარის დასკვნით, თუკი ეს ლექსი მთლიანად (ე.ი. 36 სტრიქონი) მოთავსდებოდა აკაკის თხზულებათა მავან ტომში, მაშინ უნდა დარჩენილიყო „სამნაირად", მაგრამ თუკი ამ ლექსს მეორე ნახევარი (ე.ი. 16 სტრიქონი) მოაკლდებოდა, როგორც ეს ამჟამადაა გავრცელებულიო, მაშინ უნდა იყოს „სხვანაირად".

იოსებ გრიშაშვილი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ თვით აკაკი სწორედ ასეც მოქცეულა, როცა ეს ლექსი შეუტანია თავისი ლექსების პირველ კრებულში („სალამური", 1893), დღეს ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას რომ წარმოადგენსო.

პოეტი-მკვლევარი ამ კორექტივს უწოდებს „ავტორის ბრწყინვალე გასწორებას" (დახეთ, რაოდენ ზუსტი გამოდგა ვარაუდი სოფლის მასწავლებლისა, რომელიც საკითხის ისტორიას არც კი იცნობდა).

იოსებ გრიშაშვილის მოსაზრებით, აკაკიმ ამ ლექსს სამართლიანად მოაშორა მეორე ნახევარი — მართალია, ლექსის დედააზრს აღრმავებს, მაგრამ ლექსიკური აღნაგობის თვალსაზრისით გაჭიანურებულია, დახვეწილობა და სინათლე აკლიაო. ამ ოპერაციის დროს აკაკის არ დავიწყებია ერთი სიტყვის შეცვლაც, ტექსტს რომ აღარ შეესაბამებოდა. რითმისათვის აზრის შეწირვას მოერიდა და „სამნაირად" შეცვალა სიტყვით „სხვანაირად" (კიდევ ერთი პაწაწკინტელა, მაგრამ საკმაოდ მოხდენილი შესწორებაა: თავდაპირველი ტექსტის „რომ სიცილი ბევრჯერ უფრო მწარია" ასე შეიცვალა: „რომ სიცილი ბევრჯერ ცრემლზე მწარია").

იოსებ გრიშაშვილი წერს: „სალამურში" დაბეჭდილი რედაქცია ერთი მთლიანი ჩუქურთმა გამოვიდა. მას მიეცა უფრო მეტი სიმტკიცე ფოლადისა და აბრეშუმის სილბო".

საფიქრებელია, რომ სწორედ იოსებ გრიშაშვილის ამ წერილის საფუძველზე შემდგომ გამოცემებში დამკვიდრდა ლექსის სრული რედაქცია, თუმცა თვით აკაკის თავის „სალამურში" ახალი რედაქცია დაუბეჭდავს და გამოჩენილი პოეტი-მკვლევარიც მას ანიჭებდა უპირატესობას თავდაპირველ ვარიანტთან შედარებისას.

ვისაც არ დაეზარება და ჩახედავს „მუხამბაზის" რედაქტორ-გამომცემელთაგან აღდგენილ ტექსტს, უთუოდ გაიზიარებს თვით ავტორის გადაწყვეტილებასა და გრიშაშვილისეულ განაჩენს, მაგრამ, როგორც ჩანს, ლექსის მხატვრული ღირებულება შეეწირა ტექსტოლოგიის ფორმალურ პრინციპებს.

...ერთ კარგ რითმაში არ გავცვლი მე ამდენ გამოკვლევებსაო —გვარწმუნებს იოსებ გრიშაშვილი და ის სავსებით გულწრფელია. ეჭვიც არ უნდა გაგვიჩნდეს, ხომ არ კეკლუცობსო. მის სულში პოეტი სძლევს მკვლევარს, მაგრამ ობიექტური რეალობა მხარს არ უჭერს ემოციურ პრიორიტეტებს. თუნდაც ეს ერთი პაწია გამოკვლევა (თავისი წონით!) არაფრით ჩამოუვარდება ერთ კარგ ლექსს, თუკი შეიძლება შევადაროთ ორი ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული ქმნილება.

განა სკოლის მოწაფეთა ცხოველი ინტერესის დაკმაყოფილება და ჭეშმარიტების გარკვევა (ჭეშმარიტება უძვირფასესი რამ არის, დიდი იქნება თუ მცირე) ნაკლებად საშური საქმეა, ვიდრე კარგი რითმების მიგნება? აკაკის „მუხამბაზის" ტექსტოლოგიურ ჩხრეკას თავისი კონკრეტული შედეგი მოუტანია, რაც გამოირჩევა ცხოვრებისეული ნაყოფით და, თუ შეიძლება ასე ითქვას, მარგი ქმედების კოეფიციენტით.

მაგრამ რა გაეწყობა, პოეტად დაბადებულ კაცს ერთი კარგი რითმა ურჩევნია გამოკვლევებსაც და კოეფიციენტებსაც. და იგი ცამდე მართალია, ისევე როგორც მისი დაუვიწყარი ლექსების ერთგული მკითხველი...

ზურაბ მარშანია

# „ბორიაყის“ ამაღლებული ვნებანი

ნათქვამია, გენიალურობა უბრალოებაშიაო.

გვანცვიფრებს ოთარ ჩხეიძის რომანის „ბორიაყი“ უბრალოება. უმარტივესი სიუჟეტის ფარგლებში ავტორმა მოახერხა არნახული რამ. ჯეიმზ ჯოისის „ულისეს“ მსგავსად ფილოსოფიური სიღრმის იმდენი მიმართულების „ჩახლართვა“ რომანის ქარგაში, რომ ძალაუნებურად შიში გეუფლება. შიში იმისა, რომ მოკლე წერილში ვერ აუხვალ რომანის უკიდეგანო სივრცის ზედაპირულ მიმოხილვასაც კი. შიში იმისა, რომ რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი უსათუოდ გამოგრჩება.

ეს შიში მხოლოდ სიხარულის განცდამ შეიძლება დაგაძლევინოს, იმის გაფიქრებისას, რომ ამ გენიალურ რომანს კიდევ ბევრი და ბევრჯერ შეისწავლის უფრო ღრმად.

ნაწარმოები ერთობ მცირე ფორმატისაა. აღწერილ მოვლენათა გეოგრაფიული არეალიც საქართველოს ერთი რეგიონის, ერთი რაიონის სულ რამდენიმე სოფელს მოიცავს. ფაბულაც მარტივია, გასული საუკუნის 20-იან წლებში სულ რამდენიმე დღის განმავლობაში ნიჭიერი თბილისელი ყმაწვილის, მუსიკოსის, ნიკუშა ჩაჩანიძის ქართლის სოფლებში მგზავრობა ბანალური და უწყინარი მიზნით, ფოლკლორული ხელოვნების ნიმუშების შესაგროვებლად.

მაინც რა უნდა მომხდარიყო ზაფხულის იმ დღეებში უკვე სამი წლის გასაბჭოებული საქართველოს ამ ლამაზ კუთხეში?

ერთი შეხედვით — არაფერი.

ქართველი ხალხი უდრტვინველად ეგუებოდა სახელმწიფო დამოუკიდებლობის დაკარგვასა და რუს-ქართველ ბოლშევიკთა მტარვალი რეჟიმის ბატონობას. თითქმის არავინ მისტიროდა ემიგრაციაში გადახვეწილ და საქართველოს ისტორიაში დღემდე ეულად დარჩენილ, ერთადერთ დემოკრატიულ მთავრობას. თითებზე იყვნენ ჩამოსათვლელნი მაშინ, ისევე როგორც ყოველთვის ჩვენში ისეთნი, "ერის ჭირი რომ აჩნდათ წყლულად".

1924 წლის ეროვნული აჯანყებაც სულ ახალი ჩახშობილი იყო.

ერთი სიტყვით, როგორც ოთარ ჩხეიძის ამ რომანის ერთი პერსონაჟი ამბობს: „ხალხი დაეცა, დამორჩილდა... დამორჩილდა!... ქედის მოხრა და დამორჩილება შემაძრწუნებელი სიმდაბლეა, ავადმყოფობაზე ავადმყოფობა, დაცემულობა სულისა".

რაოდენ მიამიტი უნდა ყოფილიყო ადამიანი, 1924 წლის იმ ზაფხულს, ნიკუშა ჩაჩანიძესავით სიმღერათა ჩასაწერად და შესაგროვებლად რომ გადაწყვეტდა მატარებლით გამომგზავრებას თბილისიდან გორამდე.

მაგრამ ადამიანი რის ადამიანი იქნებოდა, იმის ჭეშმარიტებაში რომ არ იყოს დარწმუნებული, რისი დაჯერებაც გულით უნდა და სწამდა ყმაწვილს, დამწყებ კომპოზიტორს, ტაშ-ფანდურის თბილისელ მოტრფიალეთა სალონებში უკვე კარგად ცნობილი რომანსის ავტორს, რომ იგი თავის საქმეს გააკეთებს ყოველთვის და ყველგან. იგი ხომ პროფესიონალია. თვითონაც არაერთხელ უსვამს ხაზს რომანში, რომ მუსიკა და ხალხური შემოქმედება აინტერესებს მხოლოდ და არა პოლიტიკა. თუმცა სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ მას სხვა, „უფრო დიდი განზრახვაც" ამოქმედებს, ოპერის დაწერა უნდა და გულწრფელია, როდესაც არ ესმის თუ ღირსებითა და სიდიადით სავსე პიროვნება, ელიზბარ ხეთერელის მეუღლე რატომ საყვედურობს: „სიმღერებს არ უნდა აეყოლებინეთ, არა, ახლა საამისო დრო არ არის".

და როგორი შესაფერისი მეგზური შეურჩია ოთარ ჩხეიძემ თბილისელ სტუმარს, ქართლის ერთი სოფლიდან მეორეში მიმავალ იმ გზაზე, დანტეს ჯოჯოხეთად რომ იქცა რომანის გმირებისათვის?

ლეკო თათაშელი! არ მინდა ვინმეს მოვახვიო ჩემი აზრი, მაგრამ თითქმის ორიათასწლოვან ქართულ მწერლობაში არ მეგულება მეორე პერსონაჟი ესოდენ ზუსტად რომ ესადაგებოდეს იმ საოცარ ფენომენს, ქართველობა რომ ჰქვია!

რა იყო ნიკუშასთან შეხვედრამდე ლეკოს ცხოვრება? „ქეიფები ნაებმებოდა, ნაებმებოდა ლხინები, დღეობები გადაებმებოდა ერთიმეორესა, ფერისცვალობას მარიამობა გამოებმებოდა, მარიამობას გერითობანი, ივლიდა ასე შობა-ახალწლამდისა. ამღვრეულიყო ზეცაი, თავშიმც ქვა ეხალა, დაღუვდებოდა ბუხრებში კუნძები, ბუხართან სუფრა გადაშუქდებოდა დაღუვებული კუნძებითა, დაღუვდებოდა ბუხარში კუნძები, დაღუვდებოდნენ ესენი სუფრასთანა, დაღუვდებოდნენ ბუხრის კუნძებივითა, ამღვრეულიყო ზეცაი, თავშიმც ქვა ეხალა... ბრუნავდა ასე წუთისოფელი ლეკო თათაშელისა".

რაოდენ ნაცნობი და ახლობელია ეს ჩვენთვის. ასეთი არხეინა და უდარდელები არა ვართ ქართველები? ზოგი ცოტაოდენ მეტად, ზოგიც ნაკლებად.

ლეკოც თავის სტიქიაშია. მიუძღვება სტუმარს ქართლის ერთი წარჩინებული ოჯახიდან მეორემდე. მეორედან მესამემდე, სადაც ყველგან ელოდება გაშლილი სუფრა და გულითადი მასპინძლობა. სტუმარი ჩვენში ხომ ღვთისაა. ბატონი ოთარიც ხომ ბრძანებს ამაზედ ლეკოს პირით: „ჩვენს დიდებულ ადათსა, სტუმარმასპინძლობა რო დარქმევია, და ისე გამჯდარა ჩვენში, ლამის დედის გინებას უფრო ავიტანთ, ვიდრე ამ წესის მოშლასა".

კეთილი და პატიოსანი. ყველანაირი ლოგიკით არაფერი უშლიდა ხელს ლეკოს, წყნარად შეესრულებინა ექიმ ელიზბარ ხეთერელის თხოვნა და ამ კეთილშობილი კაცის ძმის მხეცური მკვლელობის შემდეგ მაინც მიეცილებინა წყნარად ნიკუშა ჩაჩანიძე გორის ვაგზლამდე და მშვიდობით გაემგზავრებინა თბილისამდე.

შეეძლო, მაგრამ არ გააკეთა. მაინც რატომ? რატომ გაიმეტა მან მიამიტი სტუმარი თავისი ერთობ სახიფათო გეგმის უნებლიე თანამზრახველობისათვის?

რატომღაც ვფიქრობ, რომ სულაც არ გაუმეტებია. არა! უბრალოდ ლეკო ქართველია. დიახ, ქართველი. ქართველებს კი ერთი რამ გვჩვევია. „ბორიაყის" ამ სიცოცხლით სავსე პერსონაჟის მსგავსად, ჯერ უნდა გავაკეთოთ რამე და მხოლოდ მერე ვიფიქროთ, ეს რა გაგვიკეთებიაო.

გასაკეთებელი ლეკოს აზრით კი ძალიან მნიშვნელოვანი რამ იყო. ისეთი, ყველაფერს რომ გადაწონიდა. ნამდვი-

ლად აზრადაც არ მოუვიდოდა, რომ ვერ მოასწრებდა ნიკუშა ჩაჩანიძის თბილისისკენ გასტუმრებას მანამდე, სანამ ჩაფიქრებულს არ შეასრულებდა.

მაინც რა იყო ლეკოს ჩანაფიქრი?




მართალია 1924 აგვისტოს აჯანყება დასრულებული იყო და „მსხვილფეხა" ბოლშევიკებიც დანაყრებულნი იყვნენ ქართველთა სისხლით, მაგრამ ტურებსა და „წვრილფეხობას", ჩვენი ერის მართლაც და ყველაზე უფრო შემარცხვენელ ნაწილს, ნერწყვი სდიოდა. სწყუროდათ თანამემამულეთა სისხლი. სამიზნეში კი ქართველობის ყველაზე გამორჩეული, ღირსებაშენახული ნაწილი ჰყავდათ ამოღებული — ქართული ელიტა, პირველ რიგში კი თავადაზნაურობა.

და განა მარტო ისინი? გავიხსენოთ ის ადგილი რომანისა, სადაც ქართველ ნაძირალა მკვლელებს დასახვრეტად გამზადებულ თანამოძმეთა შორის ერთი დააკლდათ. ბევრი ხომ არ უფიქრიათ. დაავლეს ხელი სისხამ დილით თავისი ხარ-კამეჩით სამუშაოდ გამოსულ პირველსავე ქართლელ მეურმეს და დახვრიტეს! „მე რაღათა ჰა?!" — ამოუკვნესია საწყალ მეურმეს სიკვდილის წინ და, „ანთუ ჩვენ რაღადაო" — სამართლიანად უპასუხნიათ დანარჩენ სიკვდილმისჯილებს.

„ურემი?.. კამეჩები" — მათ რა ბედი ეწიათ ნეტავი? „გაჰყიდეს გორის ბაზარზე ურმიანადა რაღა თქმა უნდა. ფული?... დაამღერეს წითელ დუქანში ახალ ბალთანა": ბრძანებს რომანის ავტორი.

ღმერთო ჩემო. ხომ ვხვდებით ყველანი, რომ ბატონი ოთარის ეს მონათხრობი უთუოდ ყოფითი სინამდვილე უნდა იყოს.

და დავიჯერო იმ ცივსისხლიან ქართველ მკვლელებს, თავისი თანასოფლელი მეურმისა თუ ათასობით სხვა ღირსეულ თანამოძმეთა სასიკვდილოდ გამეტება ჩირადაც რომ არ ულირდათ და მათ მიერვე დახვრეტილი უბირი კაცის ხარ-კამეჩის გორის ბაზარზე გაყიდვის შემდეგ აღებული ფულით ნაქეიფარი ყელზე რომ არ ადგებოდათ, შთამომავლობა აღარ დარჩათ? ვითომ ბედნიერნი იქნებიან ის საცოდავები პაპათა ამდენი ცოდვების გამო?

იქნებ ჩვენც იმიტომ ვერ გვახარებს უფალი, თანამოძმეთა მკვლელებისა და ერის შემარცხვენლებისათვის პასუხი რომ არასოდეს მოგვითხოვია?

განა შეიძლება აგვისტოს იმ დღეებში ლეკო თათაშელს არ ეგრძნო რა უბედურება უახლოვდებოდა მის საყვარელ კუთხეს, ლამაზ ყოფას, მისთვის ესოდენ ახლობელი ღირსებითა და გვარიშვილობით გამორჩეული ხალხის სიცოცხლეს?

დარწმუნებული ვარ, ამ უზომოდ პატივმოყვარე და გამჭრიახი გონების პატრონს არ შეიძლებოდა შინაგანად არ ცოდნოდა ისიც, რომ სიკვდილის მსახვრალი ხელი მასაც ვერ აცდებოდა. კომუნისტური მოლოქი მზად იყო არამარტო ლეკოს, ყველას გასანადგურებლად, ვინც მათ მიერვე განსაზღვრულ ჩარჩოებში ვერანაირად ვერ ჯდებოდა.

შინაგანად ვგრძნობ თუ როგორ ნათლად ხედავს ლეკო აპოკალიფსურ ხვალინდელ დღეს, როცა ბოლშევიკები: „მიჰყვნენ და აჰკრიფეს, ვინც თუ შემორჩენილიყო ცნობილ გვართაგანა... და კიდევ და კიდევ სხვათა და სხვათაგანა, აჰკრიფეს ეგრე მამიდაშვილ-პაპიდაშვილებიანადა, ნათლიიშვილ-ძიძიშვილებიანადა, მიაყოლეს მასწავლებლებიცა, — დაბალგვართაგანა, — განსწავლული მეურნენიცა, მღვდლებიცა და ზოგან დიაკვნებიცა, თვით ისეთნიცა, გაკრეჭვაც რომ მოესწროთ, აჰკრიფეს და შეჰყარეს, ვინ საითაო და ვინ საითაო... ვინც გაუურჩდათ... გზა-გზა აუგეს ყველას ანდერძი — ვინც დამორჩილდათ, ისინი შეჰყარეს, შეჰყარეს და გამოუკეტეს კარი, ოღონდ ისე, რომ მალიმალ გაეღოთ, შეემატებინათ მალიმალ სხვანიცა".

როგორ აიტანდა ლეკო ამას. ბოლოს და ბოლოს ის ხომ გარეგნულად უდარდელი, უსაქმური, უყაირათო, მაგრამ ამავდროულად შინაგანად ღირსეული და უშიშარი ადამიანი — ნამდვილი ქართველი ვაჟკაცი იყო.

და ჩაიფიქრა მან არნახული ჰეროიკული მისტიფიკაცია, რომლის სადარი მსოფლიო ისტორიაში კი არა, ლიტერატურაშიაც ძნელი მოსაძებნია.

მეც ბევრი ვეძებე, მაგრამ ვერსად მივაგენი.

უნებლიე გმირი? რამდენიც გნებავთ. თუნდაც გრემ გრინის „კომედიანტებში" ჰაიტის კუნძულზე თაღლითობისათვის ჩამოსული ბრიტანელი „ცრუ პოლკოვნიკი" რადა ღირს, მისი ნების საწინააღმდეგოდ ფრანსუა დიუვალიეს სისხლიანი რეჟიმის წინააღმდეგ მებრძოლი ერთი მუჭა პარტიზანების მეთაური რომ გახდა!

მაგრამ ლეკო თათაშელის სადარი ისიც კი არ არის, არა!

მართლაც და რომელ ლიტერატურულ ნაწარმოებში შეიძლებოდა მომხდარიყო ასეთი ამაღლებული და დიდებული რამ, გუშინდელი ქარაფშუტა და ქენქერა ანტიგმირი: „გაკიდულიყო ბეწვის ხიდზე... სიკვდილის გზაზე გაკიდულიყო, ოღონდ... ბოლო ნაბიჯი ველარ ნაედგა, რაღაც აკავებდა, რაღაც უცნაური, ძლიერი რაღაცა, ძლიერი თუ შმაგი რაღაცა, — თითქოს რო სული, სული აკავებდა ნამებულისა, უცებ აენთო და უცებ დაიჯერა იმა საზღვარზე სიკვდილ-სიცოცხლისა, უცებ აენთო და უცებვე შედგა, გაქვავდა იქავე, გასალკლდევდა იქავე, თითქოს და მართლაც დამთრგუნველი სიკვდილისაო".

დიახ! არც მეტი და არც ნაკლები, ლეკო თათაშელი დამთრგუნველი სიკვდილისა!

არ შეიძლებოდა ეს ამაღლება წუთიერი ლტოლვით ყოფილიყო განპირობებული. არა! ეს იყო ლოგიკური შედეგი ხანგრძლივი შინაგანი ბრძოლისა, ქართული სულის ზეობისა და ამ დიდებული ამაღლების უნებლიე მიზეზი ახალგაზრდა მუსიკოსი გახლდათ.

დიახ! ლეკო თათაშელი კი არა, ნიკუშა ჩაჩანიძეა უნებლიე გმირი. ტაშ-ფანდურისთვის ჩამოვიდა იგი და სრულიად შემთხვევით და უნებლიეთ არნახული გასაქანი მისცა თავისი დროის ჭეშმარიტ გმირს — ლეკო თათაშელს.

გმირს, რომელმაც შეგნებულად და მიზანდასახულად გადაწყვიტა მოწამეობრივად აღსრულებულიყო სამშობლოსათვის.

აი ამისათვის იმზადებდა თავს ლეკო თათაშელი. აი ამიტომ გაასაღა მან ნიკუშა იმ დროისათვის უკვე განად-

გურებული ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ვითომდა ერთ-ერთ ლიდერად.

და ამ არნახული მისტიფიკაციით შეძლო ლეკომ შეუძლებელი — გადაარჩინა იმედი და დაამარცხა სასოწარკვეთა.

ვინაიდან ამ მისტიფიკაციით უბიძგა მან გმირობისაკენ ბევრს, მათ შორის პეტრე ვარაზნელსაც, რომელიც: „არ დანებებია, თავს იცავდა გააფთრებული, უტევდნენ და იგერიებდა, იგერიებდა, ვიდრე ეყოფოდა ტყვია-წამალი, ხოლო მერეო, ერთი ტყვია როღა შემორჩა, საფარიდან გამოვარდაო, გადაიღერღა გული, დასჭექა, მესროლეთო. აღარ ესროლეს...მიხვდა პეტრეი, ცოცხლად შეპყრობას მიპირებენო, მიხვდა და აღარც დაუყოვნებია, სასაში მიიცა მაუზერის ლულაო, ტვინმა აასხა სარქველიდანა, სისხლმა და ტვინმა“.

ამ მისტიფიკაციამ აალებინა იარაღი ხელში იტრიელებს.

ამ მისტიფიკაციამ გადააქცია ბექას ციხე აუღებელ ციხე-სიმაგრედ, რომელიც ვერაფრით აიღეს ბოლშევიკებმა და ლაჩრულად დაელოდნენ არტილერიის ჩამოსვლას თბილისიდან, ქვა-ქვაზე რომ არ დაეტოვებინათ ბექას ციხისაგან.

გურანდუხტის დროშაც, მხოლოდ ლეკოს მისტიფიკაციის შემდეგ გახდა რეალურად: „მაისის დროშაი“, რომელიც: „ფრიალებდა ლაღადა, თამამადა, თამამი ქარი თუ უქროდა“.

უბადლოდაა ოთარ ჩხეიძის მიერ აღწერილი ლეკო თათაშელის ბოლო წუთები: „გმირის ბედი ასეთი ყოფილიყო, ბედი დიადი, ბედი ნათელი... ცილისწამებას უნდა შესწირვოდა, უნდა შესწირვოდა რაღაცა საძრახისსა... ყველაფერს გეტყვითო დათანხმდა...მე ვარ მოთავე გამოსვლებისა, აჯანყების მოთავე მე ვარ, ოღონდ ესაა, ვერ მოვასწარი, ვერ დაგასწარით, თქვენმა იმარჯვა... და ციალებდა შუქი წმიდაი, ამოდიოდა შუქი იგი წამებულისა, თავს დასდგომოდა შარავანდიცა, მაცხოვრის თავზე რო ეხილა ეკლესიებში, თავს დასდგომოდა თუ აი აჰაა, დაადგებაო, - მიეტანება და ასხლტება... მორჩა ლეკო სიავესა ამა სოფლისა, ის ეწევა და ემზადება იმისათვისა. ამაღლებისადა...“

უმაგალითოა როსტომ იტრიელის გმირობა, როდესაც მან თანასკოლელი ბოლშევიკის მიერ მისთვის ნაწყალობევი სიცოცხლე ნიკუშა ჩაჩანიძეს უბოძა. რაოდენ სულის შემძვრელია მისი დახვრეტის წინა სიცოცხლის ბოლო წუთების შექსპირისეული სიღრმის ამაღლებული სულიერი განცდა: „სხვა რამ ყოფილა ბოლო წუთიო, შემზარავი ყოფილა, სული შეუძრავს და გაჰყრია შეძრული სული სიამაყესა თუ ნებისყოფასა, გაჰყრია და დამდაბლებულა. არარაობადაც აქ წარმოქმნილა, სიცოცხლის ამაღლებაც ამას დარქმევია, აქ შებილწულა სასახელოდ განვლილი ცხოვრებაცა. განვედ, მაცდურო!.. განვედ. ო, განვედ!... ბედის სიმუხთლე სწორედ ეგაა, სიკეთე თუ ვერ გამოგირჩევია სიავისგანა, სიკეთეში ბოროტება თუ მოგლანდებია, სათნოობაში გულღრძოობა, გადარჩენაში დაღუპვას თუ ჰგონებ, ნუ მინებდები სიმუხთლეს ბედისა, განსჭვრიტე ჭეშმარიტი, იწამე გადარჩენა...გაჰფანტე აღრევანი გონებისანი, სულმოკლეობა მორჩილებისა, აღამაღლე სული უკვდავებისა...“

და თუ ყოველივე ზემოთ აღწერილ გმირობათა და სულიერ ამაღლებათა შემდეგ: „მიმქრალა ღელვანი თუ ბრძოლანი, ქარი ჩამდგარა, ხალხი მოდრეკილა თუ დაზაფრულა ანთუ გონება აღრევია დიდებული დაპირებებითა... მკვდარია ერი... განწირულიყო ყველაფერი, ბოროტი პარპაშებდა, პარპაშებდა, პარპაშებდა, იყო ზეიმი ბოროტებისა“, ხომ არ იყო ლეკოს გმირული მისტიფიკაციის შედეგად შექმნილი იმედი ფუჭი?

ფუჭი იმედი, რომელიც ოთარ ჩხეიძის სიტყვებითვე: "სასოწარკვეთაზე უარესია".

ვერ იქნებოდა ლეკო თათაშელის, როსტომ იტრიელის, პეტრე ვარაზნელის, ბექასა თუ სხვათა გმირობა ფუჭი იმედის შექმნა, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში ფუჭი იქნებოდა ის იმედიც, რომელიც ცოტნე დადიანმა, ბიძინა ჩოლოყაშვილმა, შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავებმა, ქაქუცა ჩოლოყაშვილმა და 1924 წლის აგვისტოს გმირულად აჯანყებულმა უამრავმა ქართველმა პატრიოტმა შეუქმნა ერს.

სწორედ ასეთი ამაღლებული და „განწირული სულისკვეთების“ იმედის ფუჭად გამოცხადებას შეეცადნენ ყველანაირად ბოლშევიკები, როდესაც 1924 წლის გმირული აჯანყება ავანტიურად გამოაცხადეს და დავიწყებას მისცეს. გადააკეთეს მათ თავიანთ ქარგაზე საქართველოს ისტორია და, როგორც ბატონი ოთარი ბრძანებს, „ხდება ასე, რომ მიფუჩეჩდება მნიშვნელოვანი, გაზვიადდება უმნიშვნელო, წვრიმალი, უხეიროც გაზვიადდება, გაიბერება, გაიფუყება, ავა, ავა, ვინ უწყის სადამდისა; დრომ იცის ასეთი თამაში თუ ეშმაკობანი, დრომ იცის და დროსვე გადაჰყვება და მერე ვინ უწყის სულაც წაეყრება ფერფლი დავიწყებისა, ვითომც ყოფილა, ვითომც არაო.“

ვერ წაეყარა ფერფლი და ვერ მიეცა დავიწყებას სიმართლე, თუნდაც იმიტომ, რომ სწორედ „გურანდუხტის დროშაა“ ის მაისის სამფეროვანი, შინდისფერ შავ-თეთრი დროშა, რომლითაც რომანში აღწერილი მოვლენებიდან 67 წლის შემდეგ აღიდგინა საქართველომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა.

ვერ წაეყარა ფერფლი და ვერ მიეცა დავიწყებას სიმართლე, თუნდაც ქართველი ბოლშევიკებისა და მათი თანამზრახველების ავკაცობისა. გაიგო ყველამ თუ როგორ ტრაბახობდა ამიერკავკასიის ცაკის ხესიაზე ლევან ღოღობერიძე იმით, რომ „ჩვენთან საქართველოში, ექვსი პროცენტი იყო თავადაზნაურობა... და უკვე ერთ პროცენტზე დავიყვანეთო... და შემდეგ სხდომაზე ბედნიერება მექნება მოგახსენოთ: ნოლი იქნებაო“.

ნულად სულ მოკლე ხანში თვით ლევან ღოღობერიძე გადაიქცა თავის დამქაშებიანად. ბედის ირონიაა იმაში, რომ: „ისტორია მალი-მალ იცვლება, გამარჯვებული მრავალია, ისტორია მაინც ერთია, იცვლება და მარად უცვლელია... ჯერ შენა კლავ, მერე შენ მოგკლავენ, იგივე მოელის შენს მკვლელსაცა, იმასაც იგივე, იგივ და იგივე დაიგრიხება ისტორიაცა ამის კვალდაკვალა“.

დიახ ისტორია ერთია და მას მტარვალები ვერ შექმნიან. ისინი ისტორიის მხოლოდ თავის ყაიდაზე უშედეგო „დაგრეხვით“ არიან დაკავებულნი.

ისტორიის ჭეშმარიტი შემოქმედი მხოლოდ დიდი ხელოვანია. ოთარ ჩხეიძე რომ იყო, ისეთი. ბუმბერაზი ეროვნული მწერლობისა. დიდოსტატი ქართული ენისა. იმ ენისა, რომელიც მან აღამაღლა და თვითონაც ბრძანებს დიდებულად: „ენაი შენი, ენაი დიადი, ენაი ღმერთებისა, აღამაღლე...“

ნათე ბანძელი

# ნიგვზის ჩრდილქვეშ ჩამყუდროებული უკვდავება

17 ივლისს თაკარა მზე დილიდანვე ეწვია მარტვილს — სიცხისაგან გათანგულან ადამიანები.

შაბათია, ღონისძიების ჩასატარებლად შერჩეული არსაფერისი დღე. მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ეზოში ჩვეული ფუსფუსია. თანამშრომლები მწერლისა და მეცნიერის — აკაკი გაწერელიას დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად შეკრებილან.

არა, საიუბილეო შეკრება აქ არ შედგება, ღია ცისქვეშ უნდა გაიმართოს, პატარა სოფელ ნახარებუში, სერგიეთის გადასახვევთან, ზედ გზისპირას, სადაც უზარმაზარი ნიგვზის ხე დგას.

ამ ნიგვზის ჩრდილქვეშ, ორღობესთან, ქვაში ჩაკირულა შემოქმედის უკვდავება.




აკაკი გაწერელიას მემორიალის გახსნა

აქ აკაკი გაწერელიას მამაპაპისეული ეზოა... ამ ხის ქვეშ სოფლელები ხშირად იკრიბებიან და ქვეყნის ჭორ-მართალსა და ჭირ-ვარამზე ბაასობენ. დღესაც შეკრებილან, ოღონდ დღეს სხვა მიზეზით: აკაკი გაწერელიას საიუბილეოდ, მემორიალური დაფის დასადგმელად სწორედ ეს ადგილი შევარჩიეთ.

...ახლა ჩვენც ნახარებუში ვართ, მოწვეულ სტუმრებთან და მწერლის თანასოფლელებთან ერთად.

ნიგვზის ჩრდილმა ყველა დაიტია — სტუმრებიც, მეზობლებიც, ბავშვებიც...

დიდი ადამიანის ბიოგრაფიულ დეტალებზე სასაუბროდ თბილისიდან ჩამოსულან როსტომ ჩხეიძე, სოსო ჭუმბურიძე, ქუთაისიდან — მწერალი ელგუჯა თავბერიძე, პოეტი გიზო თავაძე, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, ქალბატონი ლია კუხიანიძე, ისტორიის აკადემიური დოქტორი კახაბერ ქებულაძე; ზუგდიდელებიც აქ არიან — ჟურნალისტი ზურაბ ცხონდია და ახალგაზრდა მწერალი ზვიად კვარაცხელია.

საზეიმო შეკრების ოფიციალური ნაწილიც რამდენიმე წუთში დაიწყება...

დიდი ადამიანის ბიოგრაფიულ დეტალებზე ვრცლად ისაუბრებს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორი, მემორიალური დაფის დადგმის ინიციატორი და საიუბილეო ღონისძიების წამყვანი იგორ კეკელია, რომელიც აღნიშნავს: — აკაკი გაწერელია თავის მოგონებებში დიდი სიყვარულითა და მოკრძალებით იხსენებს მშობლიურ სოფელში გატარებულ ბავშვობის წლებს, მარტვილში სწავლის პერიოდს, 1922 წელს თბილისში გადასვლასა და ქალაქის ორომტრიალში ჩაბმის პროცესს... საოცარი სიყვარულით აღწერს ნახარებუს სანახებს, ეზო-კარ-მიდამოს. აქ, სოფლის ეკლესიის ეზოში განისვენებენ მისი ბებია, ბაბუა და ბიძები. ბატონმა აკაკიმ ნახარებუს მიწა მიუჩინა ძვალთშესალაგად გამზრდელ მამიდა მატრონეს და ავადმყოფ დას — თამარს... ერთ პირად წერილში ამბობს, მინდა სოფელში დავიმარხო, მამიდაჩემისა და ჩემი დის გვერდითო!.. ვერ აუსრულდა ნატვრა. მადლიერმა ქართველობამ დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონის მიწას მიაბარა... ამ დაფის სახით დაუბრუნდა დღეს მისი ნათელი ხსოვნა სოფელს, სადაც ბავშვობის წლები გაატარა, სადაც სიყრმის მეგობრებთან ერთად მდინარეში ბანაობდა და თევზაობდა, სადაც ქვის სროლაში ეჯიბრებოდა თანატოლებს, სადაც, უდარდელ ბიჭუნას, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, სხვებივით ნეტარი ძილით ეძინა თავისი კუთხის ბუნების ნიალში. დააკვირდით, რას წერს: „კურთხეულ იყოს ეს ძილი შეიდი წლის ყრმისა, ეს გალობა მოწყენილი და ციებ-ცხელებიანი ბუნების ნიალში. კურთხეულ იყოს განთიადის ამ ფერთა ჭვრეტა... აღარ გუგუნებს მარტვილის ზარი, მაგრამ იგი განუწყვეტლივ რეკს ჩემს სულში. და ისევ ვდგევარ ტაძარში ანალოესთან და ვეება ანთებული კელაპტრები მიპყრია ხელთ“.

აროდეს ჩამქრალიყოს ამ კელაპტრების ალთა ციმციმი ჩემს სულში... აროდეს გამქრალიყოს ამ უკეთილშობილესი რაინდის, ჭეშმარიტი პატრიოტის, თხემით ტერფამდე ქართველი კაცის ნათელი ხსოვნა, ვისადმი სიყვარულმა და მოკრძალებამ დღეს აქ შეგვკრიბა...“

ბატონი აკაკის მეზობელმა და მოსწავლემ, ლიტერატორმა და კინოდრამატურგმა რეზო კვესელავამ და ბატონმა როსტომ ჩხეიძემ ხავერდის ლურჯი ნაჭრით შებურვილი მემორიალური დაფა სამზეოზე გამოაჩინეს. „აქ გაატარა ბავშვობის წლები გამოჩენილმა მწერალმა და მეცნიერმა აკაკი გაწერელიამ“, — თეთრი მარმარილოზე ოქროსფრად ელვარებს წარწერა.

მომხიბლავი მწერალი რომ დაგვეწერა, ხომ არ აჯობებდაო, — დაამატებს იგორ კეკელია, — რადგან თვით ბატონი აკაკი წერდა — იშვიათად გავიგონებთ: „იგი მომხიბლავი მწერალია!“ არადა „დიდი“ და „შესანიშნავი“ მწერლის ბედს „მომხიბლავი“ აერთიანებსო.

სიტყვით გამოსულებმა ხაზი გაუსვეს მწერლის ბიოგრაფიის ზოგიერთ სამახსოვრო გარემოებას.

**რეზო კვესელავა** *(ლიტერატორი, კინოდრამატურგი):*

— აკაკი გაწერელიას პირველი წიგნია „ნარკვევები“, რომელიც სტუდენტმა დაწერა და დღემდე არ დაუკარგავს ღირებულება. მეორე წიგნია „წიგნი და ავტორები“, რის შესახებ

მხატვარმა ელგუჯა ბერძენიშვილმა მოსწრებულად თქვა ვერის პარკში — ბატონო აკაკი, ჩვენ ყველანი, ვინც აქ ვართ, თქვენი წიგნიდან გამოვედით, როგორც დოსტოევსკი გამოვიდა გოგოლის „შინელიდანო“... გოგოლს გაუტოლა აკაკი გაწერელია... ეს შედარება ისტორიულია და დღემდე ახსოვთ.

აკაკის სახლ-კარი განადგურდა. დარჩა პატარა ქოხი და აქ ცხოვრობდა მისი აღმზრდელი მამიდა მატრონა და ავადმყოფი და თამარი.

ერთ ზაფხულს მამიდისა და დის სანახავად ჩამოვიდა აკაკი და თან ჩამოჰყვა მსახიობი მერაბ გეგეჭკორი. მახსოვს, როგორ დაემხო მერაბი კერიასთან, პირდაპირ მიწაზე და კოცნა დაუწყო ყოველ მტკაველ მიწას — აქ დაიბადა და იზრდებოდა ბატონი აკაკიო... სოფლის ბავშვებზე ამ აქტმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა...

თბილისში რომ ჩამოვედით სასწავლებლად, აკაკი გაწერელიას ბინა ჩვენი თავშესაფარი გახდა. სტუდენტები, მოგვშივდებოდა თუ არა, მასთან მივრბოდით. აკაკის ბინაში თავს იყრიდა თბილისის საუკეთესო ინტელიგენცია. აქ შევხვედრივართ კონსტანტინე გამსახურდიას, პოლიკარპე კაკაბაძეს, გიორგი წერეთელს (არაბისტი), პავლე ინგოროყვას, სერგო კლდიაშვილს, ალექსანდრე აბაშელს, გერონტი ქიქოძეს, ვიქტორ გაბესკირიას, შალვა დემეტრაძეს, დავით გაჩეჩილაძეს და სხვებს...

პარტიული არ ყოფილა, მთავრობასთან სიახლოვე არ ჰქონია. პირიქით, შემთხვევას არ უშვებდა, რომ კომუნისტები გაეკრიტიკებინა, და ასეთ გარიყულ ადამიანს მთელი თბილისის ინტელიგენცია პატივს სცემდა...

გასული საუკუნის 90-იანი წლების არეულობას მწარედ განიცდიდა. ქუჩებში ბნელოდა, ტრანსპორტი არ მოძრაობდა. ერთმანეთს ვერ ვნახულობდით. ერთხელ უნივერსიტეტის წინ შემთხვევით წავაწყდი ბატონ აკაკის. ძლიერ გამხდარი და ფერწასული ჩანდა. გამოიარეს მწერლებმა — ბაჩანა ბრეგვაძემ და ალექსანდრე ღლონტმა. ბაჩანასთან საუბარში რატომღაც სიტყვა „საქართველო“ ვახსენე. ბატონმა აკაკიმ ყური მოჰკრა და სასოწარკვეთილმა შესძახა: საქართველო აღარ არის, ეს არის აბსტრაქციაო...

ერთხელ სახლში ვინახულე მძიმე ავადმყოფი. ოთახში თითქმის ბნელოდა. მან საუბარი ჩამოაგდო თვითმკვლელობაზე, რასაც ყურადღება არ მივაქციე. არ მინდოდა აქცენტი გამეკეთებინა. ეს უყურადღებობად მიიღო და მისაყვედურა — ხედავ, რა გულგრილია ადამიანი სხვისი ბედის მიმართო...

სიცოცხლის ბოლოს უთქვამს — ჩემი ცხოვრება გაბმული ტანჯვაა, მაგრამ ის მაიმედებს, რომ გამონაკლისი არ ვარო. სიცივეში დალია ამ დიდმა კაცმა სული, მაგრამ თბილისის ინტელიგენციამ დიდუბის პანთეონამდე ხელით ატარა...

**როსტომ ჩხეიძე** *(მწერალი):*

— მოვალენი ვართ იმ ადამიანებს დავდოთ შესაფერისი პატივი, ვისაც განსაკუთრებული წვლილი აქვს შეტანილი ჩვენი სულიერების უწყვეტობის გადარჩენაში... აკაკი გაწერელიას გარეშე წარმოუდგენელია XX საუკუნის საქართველოს კულტურის, საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორია... ბევრი რამ ჰქონდათ მასთან შესაკითხი, ბევრს ითვისებდნენ და სწავლობდნენ მისგან... წიგნისადმი განსაკუთრებულ, რომანტიკულ მოწიწებასა და სიყვარულს ამჟღავნებდა. აკაკი გაწერელიაზე საუბრისას მაგიდაზე დახვავებული და მიმოფანტული წიგნები წარმოგვიდგება თვალწინ... სიცოცხლის ბოლოსაც წიგნებს შენატროდა. როგორც მეგობრებს, ისე ეფერებოდა... შესანიშნავად არის გაკეთებული ეს მემორიალი. შეხედავ და მიხვდები, რომ სწორედ ისეთია, როგორიც ბატონ აკაკის შეეფერება — შინაგანად მდიდრული და გარეგნულად სადა... ეს მემორიალი წარმოგვიდგება ერთი კაცის გახსენებადაც და წიგნის აპოლოგიადაც...

ბატონი აკაკი მთელი ცხოვრება შევიწროებული იყო, ანუ ეს იყო მისი ბედისწერა. ის რომ დალხინებული ყოფილიყო, ერთი ჩვეულებრივი, საბჭოთა მოღვაწე იქნებოდა და არა ის კაცი — ზნეობრივი პიროვნება, რითაც ჩვენ ვაფასებთ... ხუმრობდა კიდეც: მთავრობა ამბობს ჩემზე — გაწერელია ხელისგულზე გვიზისო. კი, როგორ არა, როცა ხელისგულზე უზიხართ და მეორე ხელს მწარედ გირტყამენო... წერდა ცოცხლად და საინტერესოდ. მისი ბელეტრისტული უნარი გამოჩნდა არა მარტო მოთხრობებში, არანაკლებ — ლიტერატურულ წერილებსა და პორტრეტებში. შეხაროდა შამილის ლანდს. მისთვის შამილი იყო საერთოკავკასიური სახელი. ქართველ გმირად მიაჩნდა, ჩვენს გმირადაც არანაკლებ, ვიდრე ჩრდილოეთ კავკასიისა... ეს დღე ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია არა მარტო ამ სოფლისა და მხარის, არამედ საქართველოს ცხოვრებაში. მიხარია, რომ აქ ხდება ეს საერთო ქართული და კავკასიური მოვლენა. მიხარია, რომ აქ ვხედავ ბავშვებს, ვინაიდან მათ უნდა შეინახონ აკაკი გაწერელიას დიდი და ნათელი ხსოვნა...

**ზურაბ ცხონდია** *(ჟურნალისტი):*

— თეატრალურ ინსტიტუტში ლექციების კითხვისას მისი აუდიტორია სავსე იყო სტუდენტებით. აკაკი გაწერელია გვასწავლიდა ევროპულ პროზას, მწერლებს, ვინც უნდა გვეკითხა. გვირჩევდა, წაგვეკითხა ბერდიაევი, როზანოვი. მათი წაკითხვა მაშინ კონსპირაციულად მიმდინარეობდა... გზაზე გვაჩერებდა სტუდენტებს და საათობით გვესაუბრებოდა... დიდი ზეიმი იყო ჩვენთვის ამ საოცარი კაცის ლექციები...

**იოსებ ჭუმბურიძე** *(ესეისტი, ჟურნალისტი):*

— ბატონ აკაკის თხზულებათა ოთხტომეული აქვს გამოცემული და სულ უკვირდა, ესეც როგორ მოვახერხე ამდენ ბრძოლასა და წინააღმდეგობაშიო...

ვერ ვიტყვი, რომ საქართველომ იცის აკაკი გაწერელიას ფასი. ეს რომ ასე იყოს, მაშინ თბილისში აუცილებლად იქნებოდა მისი სახელობის ქუჩა... ეს იყო ზნეობრივი მაგალითი 21-ე საუკუნის საქართველოში, ევროპული რანგის მოაზროვნე... მე ვარ უშუალო მოწმე იმისა, თუ როგორ აშინებდა ბევრს აკაკი გაწერელიას ერუდიცია. შიშით აქვეყნებდნენ წიგნებს, იმის შიშით — რამეში ხომ არ გამოიჭერდათ ბატონი აკაკი...

როცა ერი თავის ღირსეულ შვილს აფასებს, ეს განთიადი მგონიაო, — ამბობდა ვაჟა-ფშაველა. მარტვილში, ნახარებუში დღეს სწორედ ეს განთიადი დგას და მინდა, რომ მთელ საქართველოში გავრცელდეს. მიხარია ის, რაც დღეს აქ ხდება, მაგრამ უფრო გავიხარებდი, თუკი მთელი საქართველო გააცნობიერებდა იმას, თუ ვინ არის აკაკი გაწერელია, ვინაიდან მტრებმაც იცოდნენ მისი ფასი და ამიტომ ებრძოდნენ მას.

**ილია კუხალაშვილი** *(პოეტი, პედაგოგი):*

— მიუხედავად დიდი სითბოსი, რასაც ასხივებდა აკაკი გაწერელიას გონება და ქართული მზით გამთბარი გული, კამათისას მართლაც მრისხანე მეტოქე იყო ნებისმიერი ოპონენტისათვის... ბატონი აკაკი ჩემთვის ძვირფასია როგორც

ერთ-ერთი რიგითი სალხინოელისათვის, რადგან იგი თავის დროზე მაშინდელ პარტიულ ხელმძღვანელებს მიმართავდა, რომ სალხინო პატარა ვერსალს ჰგავს; აფსუსია, დადიანისეული კარ-მიდამო მოუვლელი იყოს და იქ არსებული სასახლე ინგრეოდეს; იქნებ სჯობდა შეგვეკეთებინა ეს სასახლე და იქ მწერალთა და ხელოვანთა დასასვენებელი სახლი მოგვეწყოო... დღეის მდგომარეობით, უფლის შეწევნითა და მეუფე პეტრეს ლოცვა-კურთხევით, სალხინოს სასახლის რესტავრაცია-მშენებლობა საოცარი ტემპით მიმდინარეობს. რა თქმა უნდა, დღევანდელ მფლობელებს სასახლისა ვერ მოვთხოვთ, რომ იქ მწერალთა დასასვენებელი სახლი მოაწყონ, მაგრამ იქნებ გვეთხოვა ჭყონდიდელ მთავარეპისკოპოს პეტრესთვის, რომ ყოველ შემოდგომაზე, ორი-სამი დღით მოიწვიოს სალხინოში საქართველოს გამორჩეული მწერლები, მეცნიერები, კულტურის მოღვაწენი და გაიმართოს კონფერენცია ან პოეზიის საღამო. ეს ნაწილობრივ აკაკი გაწერელიას იდეის ხორცშესხმაც იქნებოდა...

**ელგუჯა თავბერიძე** *(მწერალი):*

— ბატონ აკაკის პირადად არ ვიცნობდი, მაგრამ შემიძლია დარწმუნებით გითხრათ, რომ ჩემი თაობა აკაკი გაწერელიას წიგნებზე გაიზარდა. ფასდაუდებელია მისი ამაგი რომანტიკოსთა შემოქმედების შესწავლის საქმეში... აკაკი გაწერელიას წიგნებს წლების შემდეგ კვლავ მიუბრუნდება ქართველი მკითხველი... ის მრავალმხრივი მოღვაწე იყო და მისი ღვაწლი მუდამ უნდა გვახსოვდეს...

**ლია კუხიანიძე** *(ლიტერატურისმცოდნე):*

— რამდენიმე დღის წინ შეგნებულ საქართველოს დიდი ვაჟა-ფშაველას დაბადების 149 წლისთავი უნდა აღენიშნა, მაგრამ, ვაი, რომ ასეთი საქართველო ჯერ არ ჩანს, ჩინებულ საქართველოს კი ამისთვის არ სცალია... თუკი დღეს რამდენიმე ათეული კაცი აკაკი გაწერელიას ვიხსენებთ, ეს არის იმედი იმისა, რომ შეგნებულ საქართველოს არ სძინავს. გურამ ასათიანი თვლიდა, რომ მასავით არტისტული პიროვნება მე-20 საუკუნის კრიტიკულ აზროვნებას არ ჰყოლია. იგი იყო პოეტი და მხატვარი ერთდროულად... მარტო ის რად ღირს, რომ კაბინეტში ილიას გვერდით პოლ ვალერის სურათი ეკიდა, როგორც განაცხადი იმაზე, რომ ეროვნული და ევროპული აზროვნება სრულიადაც არ განსხვავდება ისე თვალშისაცემად ერთმანეთისაგან, როგორც ეს დღეს ბევრს ჰგონია... მახსენდება ქეთევან ჯავახიშვილის მოგონება მასზე. ერთადერთი კაცი, რომელიც ყველასგან მიტოვებულ და ზურგშექცეულ ოჯახს არ ტოვებდა და ბედავდა, რომ სახლში მისულიყო და მოეკითხა, სწორედ აკაკი გაწერელია იყოო...

**კახმეგ კუდავა** *(გამომცემლობა „ინტელექტის" დირექტორი):*

— გამომცემლები იშვიათად გამოდიან სიტყვით, გამომცემლები წიგნებს გამოსცემენ... აკაკი გაწერელიას დარჩა მოგონებების გამოუქვეყნებელი წიგნი, რომლის მცირე ნაწილიც ჟურნალ „სკოლა და ცხოვრებაში" იბეჭდებოდა... ეს წიგნი აუცილებლად უნდა გამოქვეყნდეს. „ინტელექტი" მზად არის ამისათვის...

**ზვიად კვარაცხელია** *(მწერალი):*

— აკაკი გაწერელია ყოველთვის იყო მაგალითის მიმცემი იმათთვის, ვინც შეეცდება ქართულ მწერლობასა თუ მეცნიერებაში თავისი წვლილის შეტანას... ამას წინათ ვკითხულობდი გურამ ასათიანის წერილს, სადაც ის ამბობს, რომ აკაკი გაწერელია დამწყებ მწერალს ურჩევდა სუფთა ქაღალდზე წერას, რადგან ქაღალდის ხარისხი ზოგჯერ ნაწერის შინაარსზეც აისახებაო... მისი გამოკვლევებიც „სუფთა ქაღალდზე" იწერებოდა, მშობლიური მწერლობისადმი სიყვარულით ათრთოლებდა კალამს და გაკვალულ გზებს არასოდეს გასდევნებიაო...

ამიტომაც გვეძვირფასება აკაკი გაწერელია, როგორც მეცნიერი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე, რომელიც ძალიან სჭირდება მომავალ თაობას...

**ბორის ხარებავა** *(ფილოლოგი):*

— ამ საქვეყნოდ ცნობილ პიროვნებასთან ყოველი შეხვედრა მანვდიდა უდიდეს სულიერ საზრდოს. მის სახლში გავიცანი კონსტანტინე გამსახურდია, გერონტი ქიქოძე, კორნელი კეკელიძე, სერგო კლდიაშვილი, ბესარიონ ჟღენტი და მრავალი სხვა. 1960 წელს ნახარებუში აკაკი გაუმასპინძლდა ცნობილ მწერალს ოტია იოსელიანს... მას უზომოდ უყვარდა სოფელი, აბაშისწყალი; მრავალ ახალგაზრდას დაეხმარა და ცხოვრების სწორ გზაზე დააყენა... მის სახლში ხშირად მინახავს დიდი მწერლის — გრიგოლ რობაქიძის და, ქალბატონი ლიდა, რომელიც თავისი სახელოვანი ძმის რეაბილიტაციის საქმეში დახმარებას სთხოვდა ქართული მწერლობის წარმომადგენლებს, მათ შორის — ბატონ აკაკი გაწერელიას. კარგი იქნება მშობლიურ სოფელში ერთ ქუჩას ბატონ აკაკის სახელი თუ მიენიჭება...

**კოკა გაწერელია** *(მწერლის ვაჟიშვილი):*

— მამაჩემი უპატიოსნესი, კეთილშობილი ადამიანი და კარგი მეგობარი იყო... სოფელში ხშირად ჩადიო — მთხოვდა... აინტერესებდა, ნეტავ რას ფიქრობენ ჩემზე ნახარებუშიო. მეც ვცდილობ და მეგობრობაში არ ვღალატობ თანასოფლელებს... ჩემი წინაპრები მღვდლები იყვნენ. მეც, როგორც სტიქაროსანი, გლოცავთ სულით და გულით. გმადლობთ, რომ გახსოვთ და აფასებთ აკაკი გაწერელიას...

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის პედაგოგმა **ოთარ დანელიამ** თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ მწერლის ერთმა ნოველამ, რასაც „მხატვრის ნაამბობი" ჰქვია, პატარა ჩანახატი დამაწერინაო, და „ბოშური სინდისი" წაუკითხა საზოგადოებას.

ამავე დაწესებულების პედაგოგმა **ნაზი ბულაძემ** ხაზგასმით აღნიშნა მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექციის მიერ აკაკი გაწერელიას დაბადების 100 წლისთავის აღნიშვნისა და მემორიალური დაფის დადგმის დიდ მნიშვნელობაზე. აღსანიშნავია აგრეთვე ბატონ **კარლო ბეჭვაიას** ღვაწლი. მისმა სამსახურმა და გულმოდგინებამ შედეგი გამოიღო: ხსოვნის ძეგლი უფრო ლამაზი და სრულყოფილი გახდა. ამისთვის დიდი მადლობა ბატონ კარლოს და მის უწყებას.

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ფოლკლორის წრის აღსაზრდელის — **ირაკლი ჩარგაზიას** მიერ ფანდურზე შესრულებულმა სიმღერებმა ღონისძიების მონაწილეთა მქუხარე ოვაცია დაიმსახურა.

**ნიგვზის ჩრდილქვეშ ჩამყუდროებულა უკვდავება.**

**„აქ გაატარა ბავშვობის წლები გამოჩენილმა მწერალმა და მეცნიერმა აკაკი გაწერელიამ" – თეთრ მარმარილოზე ამოკვეთილი ეს წარწერა ბევრს გაუკვალავს გზას მწერლობისა და მეცნიერებისაკენ და ბევრი გაიგებს, რომ აქ დიდი მამულიშვილის ფესვებია.**

**ღმერთმა დალოცოს ეს თვალსამოთხე სოფელი...**

**ღმერთმა დღეგრძელყოს მისი მკვიდრი გამრჯე გლეხკაცი...**

გურამ გოგიაშვილი

# მეც ჩემი სათქმელი მაქვს

## ნუთუ ბერიაზე მოთხრობის დაწერა ბევრად უფრო მეტი უზნეობა იყო, ვიდრე ჰიტლერსა და მუსოლინიზე საქებარი წიგნების დაწერა?! და კიდევ ცოტა სხვა რამ...

ანუ
ერთი ჩემი ძველი მეგობარი ავტორის კითხვისას აშლილი არცთუ მთლად თანამიმდევრული ფიქრები

ღმერთი, რჯული არც არავის განსჯა მინდა და არც კიდევ ვისიმე გასამართლება. ავად თუ კარგად, საბედნიეროდ, დღეს ყველას ჩვენ-ჩვენი აზრის თავისუფლად გამოთქმის საშუალება გვაქვს, თუმცა, დიდად სამწუხაროდ, ჩვენი ნათქვამი, როგორც წესი, დაბლაც და მაღლაც გამოუხმაურებელი რჩება. მაგრამ, ასე თუ ისე, სათქმელი მაინც უნდა ითქვას. რადგან ძალიან ხშირად ლაშქრიდან დაბრუნებულ ქმარს იქაურ ამბავს ცოლი უყვება. თანაც აძალებს კიდეც, მე რასაც ვამბობ, სწორი მხოლოდ ეს არისო. მით უმეტეს, თუ ეს ქალი მეორე ცოლია, რომელსაც თავისი ქმრის არც პირველი ცოლის გაგონება უნდა და არც იმ პირველ ცოლთან ერთად გატარებული ცხოვრებისა. გარშემო მყოფთ კი უფრო მეტად სწორედ ადამიანის ის წინა ცხოვრება ეგულისყურებათ. „მეორე ცოლი“ კი, ნებით თუ უნებლიეთ, გულდაგულ მალავს სინამდვილეს. თეთრს შავად ასაღებს, შავს კი — თეთრად. ბევრს, რასაკვირველია, აჯერებს. ბევრსაც გაუგებრობაში ამყოფებს.

არცთუ იშვიათად დიალაც ასეთი ფიქრი ამეშლება ხოლმე, როცა, იმ ერთი კუსი არ იყოს, მოდას თუ სხვათა ფეხის ხმას აყოლილი ზოგიერთი ჩემი ძველი თანადროელი ავტორის ახალ ნააზრევს ვკითხულობ ჩვენ მიერ ცხოვრების ერთ კალაპოტში ერთად გამოვლილ დროის მდინარეზე, რომლის გამოუტოპავად თუ გამოუცურავად ამჟამინდელ სინამდვილეში ვერ აღმოვჩნდებოდით. და იმის მაგივრად, რომ სწორად მიაწოდოს აწინდელთ ჩვენი გუშინდელი ამბავი, დამდგარა და, ძველ დროის მოხარკეობას მიჩვეული, ახლა ახალ მოდურ იდეოლოგიას უხდის ხარკს — აწ უკვე გარდასულისა და კარგა ხნის ჩავლილის პირუთვნელი ანალიზის ნაცვლად ახალი დროების შესაბამის კორექტირებას ახდენს. არადა წარსული ვაი რომ ჩვენს შესწორებებს აღარ ემორჩილება. ერთადერთი, რაც შეგვიძლია, ის არის, რომ ჩვენი გუშინდელი ცხოვრება თვითონ ჩვენთვის თუ არა, სხვათათვის მაინც ვაქციოთ მიუკერძოებელ, ჭკუის სასწავლ და არა ცინიკურ გაკვეთილად...

წერილში, რომლის ავტორზეც ვსაუბრობ, ლაპარაკია სულმნათ გრიგოლ აბაშიძის „ლაშარელაზე“. უფრო სწორად, „ჩვენებური აუტოდაფეს“ (ასე ჰქვია გასულ შემოდგომაზე „ჩვენს მწერლობაში“ დაბეჭდილ წერილს) „მთავარი დამნაშავე“ უნდა ვეძიოთ იმხანად რუსთაველის პროსპექტზე მდებარე მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის („იმელი“) შენობაში, სადაც 1958 წელს მოეწყო „ლაშარელას“ საჯარო განხილვა“. ამ შენობაში კი ეს განხილვა თურმე იმიტომ მოეწყო, რომ ვიღაც-ვიღაცებს წინასწარ განეჭვრიტათ (ნეტავი ვის? წერილის ავტორი არ ამბობს), მწერალთა კავშირის სხდომათა დარბაზი ჩვენებური აუტოდაფეს ტრფიალთ ვერ დაიტევსო.

იმჟამინდელ საზოგადოებას „ლაშარელაზე“ იმ დროისდა შესატყვისი სწორი თუ არასწორი აზრი ჰქონდა. წერილის ავტორს, რომელიც მაშინ ძალიან ახალგაზრდა იყო, თავისი აზრი იმჟამად არ გამოუთქვამს. ახლა, ესოდენ დაგვიანებით, იქნებ ყველაფერს მართალსაც ამბობს, მაგრამ მე სხვა ამბის გამო, განხილვის „მთავარი დამნაშავის“ მიმართ (ისევე როგორც მთელი მაშინდელი საზოგადოების მიმართ) ფრიად და ფრიად უსამართლოდ აგრესიული, აგდებული, ცინიკური დამოკიდებულების გამო ვედავები. თორემ სხვა უჩემო რაღაც-რაღაც სხვა სახის წვრილმანებშიც დაუწყებდა ქექვას. მაგალითად, ფაფაზე პირდამწვარს წყლისთვის კი არა, ეტყოდა, დოსთვის უნდა შეგებერაო, როგორც ანდაზაშია ნათქვამიო. ანდა: მართალია, ტკივილი ტკივილია, ვერც გაიზომება და ვერც აიწონება, მაგრამ განსხვავება ნამდვილად დიდია, ნემსებს გიჩხვლეტენ თუ უროს გირტყამენ თავშიო. შენ კი ამბობ, რა განსხვავებააო? — ამასაც ეტყოდა.

და თუ „ლაშარელას“ ავტორს ნემსებს სჩხვლეტდნენ, ჩვენმა ავტორმა ჩვენებური აუტოდაფეს „მთავარ დამნაშავეს“ აშკარად ურო დაარტყა თავში. ალბათ, იმ იმედით, რომ მკვდარი მაინც ველარაფერს გაიგებდა, თანაც კიდევ ველარც უპასუხებდა.

ეს „მთავარი დამნაშავე“ კი, ვის ცხოვრებაშიც დღეს ასე უნამუსოდ იქექებიან, ჩვენი კაზმული სიტყვის მართლაც ერთ-ერთი იშვიათი წიგნის „ბათა ქექიას“ აგრეთვე სულმნათი ავტორია, რომელიც არავისზე ნაკლებ მეოცესაუკუნელ სიტყვის ოსტატად არ მოიაზრება.

ამ შემთხვევაში მეც „ჩვენებური აუტოდაფეს“ ავტორის მდგომარეობაში რომ არ აღმოვჩნდე, ანუ ერთის დაცვის ხარჯზე მეორე რომ უსაბუთოდ და ზეპირად არ შემომელანძლოს, აქ მეტ-ნაკლებად სიტყვასიტყვით მოვიშველიებ თვითონ ბრალმდებელი ავტორის, როგორც თავად უწოდებს, ლირიკულ გადახვევას („დემნას ხილვა აქვსო!“).

სხდომის თავმჯდომარე, ანუ „ბათა ქექიას“ ავტორი, რომელიც თურმე, როგორც წესი და რიგია, ისე უძღვებოდა სხდომას, ერთი შეხედვით „მოსუქებულ მელიას წააგავდა, საქათმეში რომ შეიპარება და ფრთხილად მიიპარება, ვითომდა სასეირნოდ გამოვსულვარ და აქაურთა ასავალ-დასავალი რაში მეკითხებაო“. და აი ამ დარბაისელ, თავის თანამედროვეთაგან არავისზე ნაკლებ მწერალს, ჩვენი ბრალმდებელი ავტორის თვალში ახლა უკვე მოსუქებულ მელიად ქცეულს (როგორი მხატვრული შედარებაა!), „თანამოკალმის შერისხვა, ალბათ, გარკვეულ სიამოვნებას ანიჭებდა, რაც საგულდაგულოდ იყო მიჩქმალული ოთხჯიბიანი, წელზე გადმოფენილი ხალათის

ქვეშ განაბულ გულში“. ხედავთ, თავმჯდომარის ხალათიც კი არ მოსწონს ამ ჩვენს ბრალმდებელ ავტორს, რადგან ამ ოთხჯიბიანი ხალათის ქვეშ (ჯიბეების რაოდენობაც კი არ გამოჰპარვია ამ დალოცვილს!) უმცროსი კოლეგის შერისხვით ნასიამოვნები გული მიუჩქმალავს. და აი ამ ოთხჯიბიანი, წელზე გადმოფენილი ხალათის ქვეშ გულმიჩქმალულ მელია-თავმჯდომარეს ორჯერ თუ სამჯერ (ვინ დათვალა ნეტავი?!) გრიგოლ აბაშიძის ნაცვლად თურმე „გრიგოლ რობაქიძე“ წარმოუთქვამს, რასაც „გაოცებული გამოცოცხლება“ გამოუწვევია დარბაზში. „საქართველოდან უცხოეთში გადახვეწილი ქართველი მწერლის სახელი კი აკრძალული იყო ჩვენში“ და მისი ხსენება, რასაკვირველია, კრიმინალს უდრიდაო, აცნობიერებს თანამედროვე მკითხველს ჩვენი ბრალმდებელი ავტორი.

მერედა, რით უნდა აიხსნას სხდომის თავმჯდომარის ასეთი თავგანწირვაო? — თვითონვე კითხულობს ზემოხსენებული ავტორი და, მართლა „თავგანწირვა“ არ გეგონოთო, განაგრძობს თავის ფანტასტიკურ-ცინიკურ ახსნა-განქიქებას: ეგებ იმით, რომ მას რობაქიძის ვალი ედო, რაც აქამდე ვერ გადაეხადა და, ბუნებრივია, სინდისი ქენჯნიდაო.

დაახლოებით ოცდაათი წელიწადი იქნებოდა გასული მას შემდეგ, რაც ეს ვალი დაედოო. ოცდაათი წლის წინათ, ვიდრე გერმანიაში გადაიხვეწებოდა, ქართული მწერლობის ოქროპირმა, ჩვეული პათოსით, საკრამენტული ფრაზა ისროლა: „დემნას ხილვა აქვსო!“.

ბატონო გრიგოლ, ასეთი რა იხილაო? — მოწიწებით ეკითხებოდნენ ოქროპირს, მაგრამ პასუხი არ ჩანდაო.

ქების მეტი რა მოუსმენია სხდომის თავმჯდომარეს, მაგრამ რობაქიძის ნათქვამს სხვა მადლი ჰქონდა, სულ სხვა ეშხი დაჰკრავდაო, ზეციდან მოვლენილი დიაგნოზივით ჟღერდა, ყოველგვარ ამქვეყნიურ ჯილდოს აღემატებოდაო. ხილვა აქვს, ხილვაო. მოდი და ალტაცებით ნუ აენთებიო! ქართველ მწერალთაგან არავის ღირსებია ესოდენ უნიკალური პანეგირიკიო.

მას შემდეგ სხდომის თავმჯდომარეს რობაქიძის გვარი დღენიადაგ უტრიალებდაო თავში. სახელი „გრიგოლი“ მარტოოდენ რობაქიძის ასოციაციას იწვევდაო. „იმელის“ დარბაზში, ვთქვათ, გრიგოლ ორბელიანი რომ გამოჩენილიყო, იმასაც, ალბათ, რობაქიძედ მოიხსენიებდაო.

ეს იყო, თუ შეიძლება ასე ითქვას, „ლაფსუსს ლინგვა“, ანტისაბჭოთა ეპატაჟივით რომ გაისმა „ლაშარელას“ საჯარო განხილვის დროსო.

აი, ასე გადაუხადა ვალი უცხოეთში გადახვეწილსა და სამშობლოში აკრძალულ მწერალსო, ექო მისი ხმისა მთელ საქართველოს მოედო და შიშნარევი ჩურჩულით იმეორებდნენ: გრიგოლ რობაქიძე ახსენა, გრიგოლ რობაქიძეო!..

ისე, კაცმა რომ თქვას, უკვე გამართლებული ჰქონდა მოძღვართმოძღვრის დიაგნოზიო. ხილვა აქვსო, და თავისი მგზნებარე წარმოსახვით ისეთი რამ იხილა, რაც სხვას არავის დასიზმრებიაო. ხილვა ჰქონია და მერე როგორიო!

და აი ეს „ხილვაც“: „1944 წელს გამოაქვეყნა მშვენიერი, გულის ამაჩუყებელი მოთხრობა „მერხეული“, სადაც დაწვრილებით გადმოგვცა, თუ როგორ იხსენებდა თავის უმანკო ბავშვობას მშობლიურ სოფელში მცირე ხნით ჩასული „ქართველი ხალხის საამაყო შვილი“. ვაგლახ, ეს რობაქიძეს რომ წაეკითხა, ვინ იცის, ეგებ უკან წაეღო თავისი საკრამენტული ფრაზა“.



დემნა შენგელაია

ჯერ ეს ერთი, რატომ უნდა გაჰკვირვებოდა „გველის პერანგის“ ავტორს „ბათა ქექიას“ ავტორისგან „მერხეულის“ დაწერა, როცა თვითონ უკვე დაწერილი ჰქონდა საქებარი ნიგნები ჰიტლერზეც და მუსოლინიზეც. მეორეც, 1944 ის წელიწადია, როცა ამ „ქართველი ხალხის საამაყო შვილმა“ მართლაც არ მისცა კავკასიონის გადმოლახვის საშუალება ჰიტლერსა და მუსოლინის და ამით შთაგონებულმა თვითონ „ლაშარელას“ ავტორმა მთელი პოემაც კი (და არცთუ ურიგო!) უძღვნა ამ ამბავს და, კერძოდ, „ჩვენებური აუტოდაფეს“ ავტორის მიერ აგრერიგად ცინიკურ-ირონიულად ხსენებულ ქართველთა „საამაყო შვილს“.

ერთი სიტყვით, როგორც ნათქვამია, როცა ანს ვამბობთ, იქ ბანის თქმაც არ უნდა დაგვავიწყდეს, თუ გვინდა რომ ბოლომდე შეძლებისდაგვარად მართლები ვიყოთ და არ დავემსგავსოთ ჭორიკანა „მეორე ცოლს“, რომელსაც მარტო თავისი „სიმართლე“ აქვს და სხვისი სიმართლის გაგონებაც არ უნდა...

რახან „მერხეულის“ დაწერაზე ჩამოვარდა სიტყვა, აქ, ალბათ, უპრიანი იქნება, რომ გავიხსენო ჩვენი დიდად ღვაწლმოსილი მეოცესაუკუნელის, უთუოდ დიდი კინოხელოვნის რეზო ჩხეიძის ამასწინანდელი ნაამბობი. როგორც ბევრმა სხვამ, ამას წინათ „ბათა ქექიას“ ავტორის საფლავთან, დიდუბეში, რეზო ჩხეიძის მიერ შეკრებილთაგან, ისე მეც არ ვიცოდი, რომ რობაქიძისგან „უნიკალური პანეგირიკით“ შემკობილი და ხილვებით შეპყრობილი „ბათა ქექიასა“ და „მერხეულის“ ავტორი რეზო ჩხეიძის ღვიძლი დეიდის მეუღლე ყოფილა, რომელიც აგრერიგად ყბადაღებულ ოცდაჩვიდმეტში ცოლთან ერთად ტრაგიკულად დაღუპული დია ჩიანელის ობლად დარჩენილი ოჯახის ერთადერთი მფარველი გამხდარა... და რეზო ჩხეიძემ ერთხელ კიდევ მიაგო პატივი, პანაშვიდი გადაუხადა, ხო-

ლო მერე, უკვე სუფრაზე, გვიამბო... შედარებით ახალგაზრდა მწერალს, მაგრამ უკვე „სანავარდოს“ ავტორს და სახელოვანს, ერთადერთი ვაჟიშვილი პირმშო, სიკვდილის პირას ჰყოლია, მძიმე რამ სენი შეჰყროდა. წამალი, მგონი, პენიცილინი, რომელსაც იქნებ ეშველა მომაკვდავისთვის, მაშინ ჩვეულებრივ მოკვდავთათვის ხელმიუწვდომელი იყო. ახალგაზრდა მწერალს თვითონ ქვეყნის პირველი კაცისთვის კანდიდ ჩარკვიანისთვის მიუმართავს, რომლის რჩევითაც იმას იმ მერხეულელი ქართველისთვის დეპეშით უცნობებია მოსკოვში თავისი დიდი გასაჭირი.

— მეორე დილითვე მოსკოვიდან სპეციალური თვითმფრინავი ჩამოფრინდა და ის ნანინანატრი წამალი ჩამოიტანა, თუმცა უკვე დაგვიანებული იყო, — ეს თვითონ რეზო ჩხეიძის სიტყვებია... ამ სუფრას ჩემთან ერთად ესწრებოდა (და, ალბათ, დამემოწმება კიდეც) ჩვენი ფრიად კალამგამოჩენილი როსტომ ჩხეიძეც...

დიახ, მძიმე დრო იყო. როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ. პოლიტიკური უამინდობით შეძრული გარესამყარო ბევრად განსაზღვრავდა ჩვენს შიდა, არცთუ მაინცადამაინც დალაგებულ ცხოვრება-ტაროსს. და ისე მოხდა, რომ, კარგი იყო თუ ცუდი, ალბათ, როგორც არასდროს, ქართული ინტელექტი აშკარად გამოირჩეოდა არა მარტო მსოფლიო პოლიტიკაში, არამედ მსოფლიოს მეცნიერებაშიც, კულტურაშიც (ერთი წუთით წარმოიდგინეთ ჩვენი კინოხელოვნება, თეატრი, მხატვრობა, ქანდაკება, საოპერო ხელოვნება, მთლიანად მუსიკა, ბალეტი, ქორეოგრაფია, თუნდაც სპორტი, კერძოდ, ქალთა ჭადრაკი. მეცნიერებასა და მწერლობაზე აღარაფერს ვამბობ). არა მგონია, დღეს ვინმემ უარყოს, რომ მეოცე საუკუნის მსოფლიოს დიახაც ქართული ინტელექტის ბეჭედიც აზის (თუმცა, ამ საკითხზე ბევრს აზრი გაუუკუღმართა ზეპური რუსი ნაციონალისტ-შოვინისტთა შეთქმულებამ რუსეთის იმპერიის „მეცხრე ცაზე“ აღზევებულ ქართველთა წინააღმდეგ. ესეც მხოლოდ ქართველი გენერალისიმუსის საეჭვო სიკვდილის შემდეგ).

იყო, როგორ არა, ყველაფერი იყო. ესეც, ისიც. თუ ქართველი რობაქიძე ჰიტლერსა და მუსოლინის აქებდა, ხოლო „რომანოვების ტახტზე“ მყარად ფეხმოკიდებულ ქართველს თათხავდა, სამაგიეროდ ფრანგი ბარბიუსი და გერმანელი ებრაელი ფოიხტვანგერი ამ ქართველს მსოფლიოს პირველ კაცად გამოყოფდნენ. ასე რომ, იმ დროისდა მიხედვით, სრულიად ბუნებრივია, თუ „ბათა ქექიას“ ავტორი სოფელ მერხეულზე დაწერდა მოთხრობას. მით უმეტეს, თუ ამის კერძო საბაბიც ჰქონდა... აქ, მგონი, საირონიო და საქილიკო არც არაფერია.

და ამჟამინდელი გონიერი კალმოსანი ნამდვილად იმას ეთქმის, ვინც ზერელედ, თავის ქეიფზე კი არ განსჯის გუშინდელ დღეს, რომელსაც არა მგონია, რომ პირდაპირ დღევანდელობაში გადმოვხტომო-

პარასკევს, 3 ივნისს
ქართული ლიტერატურის
ინსტიტუტის
სხდომათა დარბაზში
გაიმართება განხილვა

**როსტომ ჩხეიძის**
მონოგრაფიისა

**„ქართული დუელიანა“**

მომხსენებელი
**ზაზა აბზიანიძე**

დასაწყისი 13 საათზე
კოსტავას 5

დით, არამედ მთელი თავისი სირთულით განიხილავს და საბოლოო „ვერდიქტსაც“ ისე გამოიტანს. თორემ წინაკაცთა გაქილიკება და დაცინვა რა საკადრისია. მით უმეტეს, თუ, როგორც ერთი ძველი ნათქვამია, დაცინვას კაცი არ მოუკლავს, თანაც კაცს გააჩნია.

„ჩვენებური აუტოდაფეს“ ავტორი ამ აშკარად თავის ქეიფზე დაწერილ ვრცელ ნარკვევ-წერილში (კალამი, იცოცხლე ემორჩილება და უჭრის!) ერთ ადგილას გაკვირვებული კითხულობს: სად გაგონილა, შენი გალესილი დანით შენვე გამოგჭრან ყელიო?!

ძალიანაც გაგონილა, ჩემო ძველო თანადროელო, ის კი არა, ისიც გაგონილა, რომ კაცს თავისივე გალესილი დანით თვითონვე გამოუჭრია ყელი... მით უმეტეს, თუ კალამგირობა გადაუწყვეტია და ის ბასრი დანა კალმად უხმარია...

**P.S.** იმედია, ეს ჩემი ძველი თანადროელი ავტორი (რაღა დავმალო, თამაზ ნატროშვილზე ვლაპარაკობ, ჭეშმარიტად თვალსაჩინო ლიტერატორზე), რომლის ისტორიულ-ლიტერატურულ ნაღვაწსაც საერთოდ დიდად ვაფასებ და სათანადო პატივსაც მივაგებ, ძალიან არ გამიბრაზდება და ლიტერატურული კამათის საზღვრებს არ გადავა, თუნდაც ლირიკული გადახვევებით.

რაც შეეხება, თვით გრიგოლ რობაქიძეს, ახლახან ჟურნალ „კრიტერიუმის“ ერთი ძველი ნომერი ჩამივარდა ხელთ, სადაც ამ „ოქროპირი ქართველის“ ორი უცნობი წერილია გამოქვეყნებული, მიწერილი „სამანიშვილის დედინაცვალის“ ავტორისადმი. ერთ-ერთ, 1927 წლის წერილში სიტყვასიტყვით ნათქვამია: „დავით მწერალო, შენისთანას აქ ვერავინ სწერს. ეს არ არის გადამეტება, აჯამეთის ზურმუხტი ჯადო არის და შენ სიტყვას აქვს ეს ჯადო. ევროპაში, საცა გული აღარაა, მე მარტო გულით ვცოცხლობ, ვაი თუ დაიფერფლოს მთლად“. როგორც ჩანს, უგულო ევროპაში, თანაც იმ სასტიკ დროს, მართლაც დაეფერფლა გული „გველის პერანგის“ ავტორს, ერთ-ერთ ყველაზე ტრაგიკულ მეოცესაუკუნელ ქართველს, ბოლოს თავხელმარტოკა დარჩენილს, რომელსაც ნამდვილად უთაფა ბედის კვერმა, რაც სამომავლოდ ცალკე ღრმა ანალიზის თემაა.

არა მგონია, სწორი იყოს ის მოსაზრება, რომ ვინც კი წარსულში პოლიტიკურად დამარცხებულა, ისტორიულად მართალია და ამ სიმართლისა გამო მომავალში გამარჯვებულის კვარცხლბეკზე უნდა შედგეს, ანდა, პირიქით — წარსულში ყველა პოლიტიკურად გამარჯვებულმა მომავალში გარდაუვალი დამარცხების სიმწარე უნდა განიცადოს. ჩემთვის, მაგალითად, ერთი პოლიტიკური დროისა და სივრცის სულ სხვადასხვაღირსებიანი ქართველები არიან, ერთი მხრივ, გრიგოლ რობაქიძე და, მეორე მხრივ, მიხაკო წერეთელი, ვიქტორ ნოზაძე და კიტა ჩხენკელი. ეს ჩემი სუბიექტური აზრია. ბევრი, რასაკვირველია, ალბათ, სხვაგვარად ფიქრობს. ისე, რომელ შინაურ მღვდელს არა აქვს და რატომ არა აქვს შენდობა, საბოლოოდ მაინც დრო არკვევს.

## რედაქციისაგან

გრიგოლ აბაშიძის რომანის — „ლაშარელა" — საჯარო განხილვა იმელის შენობაში თავისებურ ნიშანსვეტად შემორჩა ჩვენი ლიტერატურული — და მასთან ერთად, საზოგადოებრივი — ცხოვრების ისტორიას და კვლავაც არაერთხელ გავიხსენებთ პირწმინდად ფსიქოლოგიური და გნებავთ ფილოსოფიური თვალსაზრისითაც კი.

თამაზ ნატროშვილმა 1958 წლის ის დღე თავის ნარკვევში — „ჩვენებური აუტოდაფე" („ჩვენი მწერლობა", 2010, №20) — მოიგონა უმთავრესად პიროვნებისა და საზოგადოების დაპირისპირების ჭრილში, იმის ნათელსაყოფად, თუ როგორ აისახა ის საჯარო დაგმობა რომანის ტექსტზე ზოგიერთი აშკარად ხელოვნური ცვლილების სახით.

გახსენებისას, როგორც იმ განხილვის უშუალო თვითმხილველმა, აღადგინა არამარტო ზოგადი სურათი და შთაბეჭდილება, არამედ ზოგიერთი ისეთი დეტალი თუ ნიუანსი, რაც უიმისოდ დაიკარგებოდა, არადა, უეჭველად ავსებს ჩვენს წარმოდგენას იმ აუტოდაფეს მსვლელობაზეც და ფსიქოლოგიურ ატმოსფეროზეც.

მძაფრი დრამატიზმის შესანელებლად ჩაურთო ერთი-ორი იუმორისტული შტრიხიც, რითაც თხრობა — ერთ პიროვნებაში ბელეტრისტისა და მეცნიერის საუკეთესო შერწყმით რომ გამოიხატა — უფრო სახალისო გახადა.

იუმორით წარმოდგა სხდომის თავმჯდომარის, თვალსაჩინო ბელეტრისტის დემნა შენგელაიას სილუეტი, ყოვლად უწყინარი იუმორით, რაც ჩვეულებრივი მოვლენაა დასავლურ მწერლობაში. ის კი არა, ისინი ირონიასა და სარკაზმსაც არ ერიდებიან თავიანთი სასახელო მწერლების მიმართ, თუკი სტილური მანერა ან ამა თუ იმ სურათის სისრულე დაისაჭიროებს, და სულაც არა ჰგონიათ, თითქოს ამით რაიმე ჩრდილი ადგებოდეს ლიტერატურის კლასიკოსს.

ჩვენში ამგვარ დამოკიდებულებას ჯერჯერობით მიუჩვეველნი არიან და კლიშე-ფორმულებიდან მცირეოდენი გადაცდენაც საგანგაშო მოვლენად აღიქმება.

ეტყობა, ამ საერთო განწყობილებას ზედმეტად გაუწია ანგარიში ჩვენმა ცნობილმა მთარგმნელმა და ლიტერატორმა გურამ გოგიაშვილმა — საერთოდ იუმორის, ირონიის, სარკაზმის, სატირის დიდმა დამფასებელმა და ოსტატურად გამომყენებელმაც (ჯერ მარტო ფრანსუა რაბლეს „გარგანტუა და პანტაგრუელის" დიდებული ქართული ვერსიაა ამის მკაფიო ნიმუში) — და თამაზ ნატროშვილს იუმორისტულ დეტალთა მოხმობა რატომღაც ჩამოართვა დემნა შენგელაიასადმი უპატივცემულობის გამომჟღავნებად.

არადა, თუ ამ პასაჟებს და საერთოდ ამ ქვეთავს დასავლური ლიტერატურის ფონზე შევხედავთ, ვერავითარ უპატივცემულობას ვერ დავინახავთ.

და არც გვგონია, თამაზ ნატროშვილი რითიმე ესწრაფოდეს დემნა შენგელაიას პიროვნებისა თუ მწერლური ღვაწლის დამცირებას, მითუფრო — დისკრედიტირებას.

საამისოდ არავითარი მიზეზი არ გააჩნია.

თუ უნებლიეთ მართლაც გადააჭარბა და მკითხველს შესაძლოა გაუჩნდეს ისეთი განცდა, „ბათა ქექიას" ავტორის მიმართ ირონიას იჩენენ და არა უწყინარ იუმორსო, დარწმუნებულნი ვართ, ბატონი თამაზი გულწრფელად შეწუხდება და სხვა დროს ისე გაითვალისწინებს მოსალოდნელ რეაქციას, რომ თავისი სათქმელიც ბოლომდე თქვას და არც გაუგებრობა მოხდეს.

როდესაც ბატონი გურამი დემნა შენგელაიას შემოქმედებაში „უნამუსო ქექვას" ახსენებს და არც სხვა უხეშ გამოთქმებს ერიდება, ვერ ამოვიცანით, ვის გულისხმობს. ყოველ შემთხვევაში, სჯობდა პირდაპირ დაესახელებინა და თამაზ ნატროშვილის ნარკვევის უწყინარი პასაჟები არ გამოეყენებინა მათთან — თავის ანონიმ კოლეგებთან — ანგარიშის გასასწორებლად.

ვერც გრიგოლ რობაქიძის მიმართ მისი დამოკიდებულებით აღფრთოვანდებით, როდესაც სტატიის ქვესათაურშივე უზნეობად მოიხსენიებს მის ნიგნაკებს ადოლფ ჰიტლერსა და ბენიტო მუსოლინიზე, თითქოს რობაქიძეს დაგმობა და შეურაცხყოფა დაკლებოდეს სიცოცხლეში თუ სიკვდილის შემდგომ. არადა, ამ ხერხით ბატონ გურამს სურს გამართლება მოუძებნოს დემნა შენგელაიას მოთხრობას „მერხეული", მიძღვნილს ლავრენტი ბერიასადმი.

ვერ ვიტყვით, დემნა შენგელაიასათვის რა გამართლებაა ჰიტლერსა და მუსოლინიზე იმ ნიგნაკების არსებობა, გრიგოლ რობაქიძეს მართლაც მასზე უარესი უზნეობაც რომ ჩაედინოს... ისე, სხვათა შორის, ვინც მის იმ ნარკვევებს იცნობს, დაგვეთანხმება, რომ ორივე თხზულება განმსჭვალულია რუსეთის იმპერიისაგან საქართველოს მოსალოდნელი გათავისუფლების რწმენითა და იმედით, მეორე მსოფლიო ომის სხვაგვარ დასასრულს რომ შეიძლება მოჰყოლოდა. ბოლშევიზმის დამმარცხებელი იმჟამად მწერალს არაფერი ეგულებოდა, გარდა ფაშისტური და ნაცისტური მოძრაობებისა, თუმც თვითონ არასოდეს გაუზიარებია ეს პოლიტიკური დოქტრინები. იმედითაც ამიტომ შეჰყურებდა ამ პოლიტიკურ მოძრაობათა ნინამძღოლებს.

მთავარი ისაა, რომ იგი პირადი უანგარობით და მხოლოდ სამშობლოს სიყვარულით უძღვნიდა პანეგირიკებს ორივე პოლიტიკოსს... ხოლო „მერხეულზე" ამასვე ვერ ვიტყვით.

თუმც სულაც არ ვაპირებთ, ამის გამო დემნა შენგელაია ანათემას გადავცეთ, რადგანაც ვცდილობთ შემწყნარებლურად შევხედოთ და გავიაზროთ საბჭოთა რეჟიმის პირობებში მოღვაწე ქართველ მწერალთა ესა თუ ის, არცთუ სასახელო, ნაბიჯი და მივუტევოთ ზოგიერთი პიროვნული სისუსტეც, რაც მათთვის უთუოდ ნამგებიანი აღმოჩნდება, თუკი ხელოვნურ დაპირისპირებებში გავხვევთ. „მერხეული" სხვა რიგის მოვლენაა და „მუსოლინი" და „ჰიტლერი" კი სულ სხვა რიგისა, და მათ შორის ისეთივე განსხვავებაა, რაც ანგარებასა და უანგაროს შორის, ამიტომაც დემნა შენგელაიას მეხოტბენი ამიერიდან მაინც მოერიდონ ამგვარ შეპირისპირებებს.

ეპიზოდი, რომელსაც ჰყვება ბატონი გურამი ჩვენი სახელოვანი რეჟისორის რევაზ ჩხეიძის (ვინც დემნა შენგელაიას ცოლის დისწული გახლდათ და, მამა რომ დაუხვრიტეს 37-ში, სწორედ ბატონმა დემნამ ითავა მისი აღზრდა) ნაამბობზე დაყრდნობით, მრავალმხრივ დამაფიქრებელია და გვიხარია, რომ თამაზ ნატროშვილის ნარკვევი ხელსაყრელი ბიძგი აღმოჩნდა, რათა ეს მოგონება არ დაკარგულიყო.

გურამ გოგიაშვილის სტატიაში რამდენიმე პასაჟია, რომელთა წარმომავლობაც სრულიად აუხსნელია, რადგანაც თამაზ ნატროშვილის ნარკვევი საამისო საფუძველს არ იძლევა. განსაკუთრებით მაინც ის ადგილი, თითქოს ბატონი თამაზი მთელი მაშინდელი საზოგადოების მიმართ იჩენდეს „ფრიად და ფრიად უსამართლოდ აგრესიულ, აგდებულ, ცინიკურ დამოკიდებულებას"... მაგრამ ჩამოვეხსნათ...

საბოლოოდ კი ჩვენს ძვირფას გურამ გოგიაშვილს ერთხელ კიდევ ვუდასტურებთ ღრმა პატივისცემასა და სიყვარულს იმ ღვაწლის გამო, რაც ქართული მწერლობის წინაშე მიუძღვის, და ვაცხადებთ, რომ ყოველთვის გაგვახარებს მასთან თანამშრომლობა, მითუმეტეს, რომ ყოველთვის ვგრძნობთ მის თანადგომასაც და კეთილ მზერასაც.

ცხადია, ეს განწყობილება ხელს ვერ შეგვიშლის კრიტიკულად მოვეპყრათ ერთმანეთის ცალკეულ მოსაზრებებს, ასეთ დროს კი ხან უწყინარ იუმორსაც მივმართოთ და ხან ეგებ ირონიასა და სარკაზმსაც, მთავარია, რომ დიდი ლიტერატურის გადასახედიდან განვჭვრიტოთ და გავიაზროთ ყოველივე, და თუ ხანდახან უნებლიეთ გადავაჭარბებთ რაიმეს, არც ამის გამოსწორება იქნება საძნელო.

ლიტველი საბავშვო პოეტი, დაიბადა 1955 წლის 12 თებერვალს პაბრადეში. საშუალო სკოლა დაამთავრა კრეტინგში 1973 წელს. 1973-75 წლებში სწავლობდა ვილნიუსის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე. 1975 წლიდან მუშაობდა კავშირგაბმულობის სისტემაში პროგრამისტად და ეკონომისტად. 1984 წლიდან — უფროსი ეკონომისტი და ლიტვის ფოტომხატვართა საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილეა. მუშაობდა ლიტვის სხვადასხვა პერიოდული გამოცემის რედაქციაში. 1989-95 წლებში იყო ყოველკვირეული გამოცემების — „ლიტერატურა და ხელოვნების“ და „ხელოვნების შვიდი დღე“ — პასუხისმგებელი მდივანი და რედაქტორის მოადგილე. 1995 წელს აირჩიეს ლიტვის მწერალთა კავშირის მდივნად. 1998 წელს დაინიშნა თავმჯდომარის მოადგილედ. 2002 წლის 13 დეკემბრიდან კი ლიტვის მწერალთა კავშირის თავმჯდომარეა.

ერთხანს იყო ლიტვის ტელე-რადიოკომისიის წევრი. 2003 წლიდან კი ამ კომისიას ხელმძღვანელობს.

იონას ლინაუსკასის შემოქმედება მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება გადაარჩინოს მწერალმა საკუთარი წარმოსახვა პრაქტიკული საქმიანობის მძიმე პრესისაგან. მის ლექსებში არის ყველაფერი, რისთვისაც გვიყვარს პოეზია — სიყვარული, თავისუფლება, სილამაზე და სწრაფვა შეუცნობელი სულიერი სიღრმეებისკენ. ამავე დროს მის აზროვნებაში იგრძნობა რაღაცნაირი სიახლოვე თანამედროვე ქართულ პოეტურ სტილთან, რაც უთუოდ სასიამოვნო მოულოდნელობაა.

**იონას ლინაუსკასი**

## ციტატა

უქმე დღეებში შევექცეოდით ღვინოს
და ცხოვრება თავს არ გვანებებდა,
შორს ზეთისხილი აფითრებდა ფურცელს.
თითქოს ცაზე ღრუბელი იცრებოდა,
მზის ნიაღვარში ირწეოდა სამრეკლოები,
მაღალი თეთრი ქალი ჩრდილს ეკედლებოდა...
მოქუფრულ დღეებში შევექცეოდით ღვინოს
და მოგონებებს თავს ვერ ვართმევდით,
როცა ქრებოდა ყველაფერი, ინავლებოდა.
ტკივილისაგან გათანგულები შევექცეოდით ღვინოს,
გაგლეჯილი მყესივით ეთრეოდა სამყარო
და რიგელივ ყველას
მობეზრზობოდა სახლი, ფუძე და ნათესავი.
სიმარტოვეში შევექცეოდით ღვინოს
და გვიბრუნებდა უფსკრული ექოს,
ცარიელსა და მოუხელთებელს,
სარკის ცივი ანარეკლივით.
სიცილ-ხარხარით შევექცეოდით ღვინოს,
ულაზათოები, პატარა ბიჭებივით ენას ვიტეხდით
და მაინც სწორად ვერ ვამბობდით მშობლიურ სიტყვებს.
სიყვარულით შევექცეოდით ღვინოს, —
ვიყავით ბევრნი — ათასები, მილიონები
და სწორედ იმ წამს იკვრებოდა დიდი ერთობა
და რიგდებოდა სასმისები მარტოობაში,
სიყვარულსა და სიძულვილში, მატარებელში,
ტავერნებსა თუ ეზოებში —
დალევის მიზეზს რა გამოლევს
ან შეჩვეულ დღესასწაულებს?!
გავიდა წლები, გადაგვხდა ომები.
ამოვიდა და გაითიბა ბალახი მინდვრად,
შეიცვალა ფული, მთავრობა, საზღვრები,
ჩვენ კი გაუთავებლად ვსვამდით:
თითოეულ სასმისს სიტყვა ებმოდა
და ეს სიტყვა იყო დროის ამონარიდი
და იგი ასე იწყებოდა — „გახსოვს“...

* * *

სუნთქვის შემკვრელი, ჩაჟამებული ჭაობიდან
გაღწევს ვცდილობ
იქ, სადაც დაძრწის მშიერი მელა —
მუცელზე ხოხვით ეძებს საკბილოს.
შავი შაშვების გუნდი ხარბად შესევია
ბორცვებზე ცირცელს,
დაიგვიანეს, მხარი ექცვალათ, გადაუარეს
დროსა და სივრცეს...
თავნასკვა, ისლი, ლერწამი და სიშორეში
წვება ლელქაში,
ფეხს ვერ ვიკიდებ მე ამ მიწაზე,
წყალში ვცხოვრობ და ვირწევი ქარში.
აქ სიტყვას ძნელად გაერთვება ნაცნობი სიტყვა —
ფიქრის კრებული,
აქ სიტყვა იძვრის — ზამბახი ლერწმის სევადში
ამოგზნებული.
ჟამი არ ჟამობს, ჩემს ოქტომბერსაც
აღარ შერჩა ყოფნის ნიშატი,
თუმც ძველებურად ისხამს ნაყოფს დაცვარული
ბებერი ფშატი.
ამ ლვინისზითვეს ზურგს შევაქცევ,
იცრიცება და იბლანდება,
ობობას ქსელში შემოდგომა შეახვევს ნაპირს,
ცივი და ბლანტი.
გაუტანელი ჭაობი ფარავს ლამისსათევად
მონიშნულ არეს,
მიწა ჩაწვება და ჭანჭრობი შავი შაშვების
ფრთაზე ბზინვარებს.
სწრაფწარმავალი დღეების ცვლაში
ბნელი ხლართი ვერ მოვაგვარისტე,
ერთს ვხედავ მხოლოდ. დავეხეტები.
ყოველ ნაბიჯზე მშორდება ქრისტე.

## თოვლი

კვლავ მივიჩქარი, წამნი რბიან და
ვაითუ ისევ დამაგვიანდა,
ამ სიჩქარეში რამდენჯერ მოვცდი,
საუკუნეც ხომ არ ჰყოფნის მოცლილს.
ვედარ მოვმართავ ძაფით ჭრიჭინებს,
ეს ჭრიჭინებიც ვერ დავიჩინე,
მექანიკური გუგული მოკვდა,
ხშირი ყივილით ცალს რომ უხმობდა.
დაზოზინებენ ზამთრის ბუზები,
გადაილია ჯამი უცები,
ვსვამდით იმ ძალას დღეს რომ გაფრინდა,
ყინით პურიდან, რძიდან, თაფლიდან.

ჩემი ცხოვრება ზღაპარს არ ჰგავდა,
თვალცრემლიანი დავრჩი ზამთართან.

* * *

მინდა დავბრუნდე, არ არსებობს ეს დაბრუნება,
წინმსწრები ტალღა აღარ ტოვებს დროს და საფიქრალს,
ვიწრო ოთახში მიჭირს სიტყვის ზმა და ბრუნება,
მკლავს ლიფტიანი კორპუსების ცივი გრაფიკა,

შუაღამისას გაგაღვიძებ სიზმრებთან წასულს,
უშენოდ ველარ ვესიტყვები ვარსკვლავთა გუნდებს,
ჩავციებივარ გუგულივით ცას, ფრთით მოხაზულს,
კუდიან ვარსკვლავს სამჯერ მაინც შევუცვლი ბუდეს.

სულერთი არის, მშვენიერო, რაც უნდა გერქვას,
ათას კითხვაზე ათას პასუხს მომიგებს ქორო,
ქვეყნიერებას ჩემი ვნების ძალა წალეკავს,
თვით სიკვდილი და სიყვარული რომ შევასწორო.

## მოწმობა (CV)

თქვეს: ილბლიანი დაბადებულა...
სიყმანვილეში ზღვა ნაავდრალი
ნაპირზე, ქვებს და ბალახებს შორის
ჩემთვის ტოვებდა ხურდას ან ქარვას.
როცა მონაგარს სხვისგან ფარულად პირში ვმალავდი,
შეშინებული ბრაზობდა დედა;
და მეც ვაბნევდი დღე ცისმარე ხურდას და ქარვას,
ფერად კენჭებს, ოქროს ბეჭდებს, ასხმულ ნიჟარებს.

ჰოდა, ერთხელაც
გაბეზრებულმა დედამ მკურნალთან მიმიყვანა
და მოახსენა: მავნე ჩვევა აქვს,
რასაც იპოვის, პირში იყრის,
იქნება მუნიც დაიმართოს ან სხვა, უარესი...
ისეთი მწარე წამალი მომცეს,
კინაღამ მოვკვდი...

მერე სკოლაში ვყლაპავდი წიგნებს, ვღრღნიდი კალმისტ-
რებს
და მაღონებდა, ცხოვრება რომ მხარს ვერ მიბამდა.

მერე და მერე კოცნით ტუჩები უსკდებოდა კლასელ გო-
გონებს,
მე კი ისევ სინდისი მღრღნიდა,
რადგან მინდოდა, ასე გამექრო იმ ოქროს გემო,
სულ რომ თან მდევდა და ღამესაც არ მიჰყვებოდა...
და მხოლოდ გვიან,
ამოუთქმელი ყველა ბგერა გაცხადდა სიტყვად:
სუნთქვა ჰოესი, ბანი და ფანი —
ტრფობა, დათმენა, თანალმობა, ჰარი-ჰარალი —
აი, ის ქარვა, ზღვის მონაგარი,
ჩემი სათქმელი —
სულივით რომ კბილით მეჭირა.

ლიტვურიდან თარგმნა
**ამირან სვიმონიშვილმა**

# წიგნის დარბაზი

## (კობა გურული — მოქანდაკე, მხატვარი, პოეტი)

ეროვნული ფესვები, ამ ფესვებზე აღმოცენებული თანამედროვე ფორმები და თემები; პოეტური, განსაცვიფრებელი, დახვეწილი პლასტიკა და მრავალფეროვნება... ყოველივე ამასთან ერთად, მხატვრული ძიებანი და ლითონის დაფერვასთან დაკავშირებული ქიმიური ექსპერიმენტები — ასე შეიძლება დავახასიათოთ ქართული თანამედროვე ჭედური ხელოვნების ერთ-ერთი ფუძემდებლის, საქართველოს დამსახურებული მხატვრის, **კობა გურულის** შემოქმედება.

9 აპრილს ერთი წელი გავიდა კობა გურულის გარდაცვალებიდან. 29 აპრილს კი გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმმა პატივი მიაგო დიდებული შემოქმედის ხსოვნას — მოაწყო მისი ნამუშევრების გამოფენა და ხელოვანის პოეტური კრებულის **„ძახილი უდაბნოში“** წარდგინება.

გამოფენაზე დამთვალიერებელი გაეცნო მხატვრის არა მარტო ჭედურ ნამუშევრებს, არამედ ქანდაკებას, გრაფიკასა და პოეზიას. ექსპოზიცია სამ დარბაზში განთავსდა. პირველ დარბაზს, ექსპოზიციის ავტორმა, მხატვრის ქალიშვილმა **გვანცა გურულმა** პირობითად „წიგნის დარბაზი“ უწოდა. ამ ლექსებთან ერთად გამოიფინა ის ნამუშევრები, რომლებიც ილუსტრაციებად შევიდა მხატვრის კრებულში.

მეორე დარბაზი მთლიანად ჭედურმა ხელოვნებამ დაიკავა: კედლებზე ჭედური ნამუშევრები გამოიფინა. მათ შორის გამორჩეული ადგილი ეკავა **„ხიროსიმას წეროებს“**, რომელიც მხატვარმა 1970 წელს იაპონიაში გამართული პერსონალური გამოფენის შემდეგ შექმნა და ხიროსიმასა და ნაგასაკის ტრაგედიას მიუძღვნა. ნამუშევარი გვახსენებს ისტორიას იმ პატარა გოგონასი, რომელიც რადიაციით გამოწვეულ სიკვდილს ებრძოდა. მისი ერთადერთი იმედი იყო ქაღალდის წეროები. იაპონური ლეგენდის მიხედვით, წეროები სიცოცხლისა და გადარჩენის სიმბოლოა. მათ იგი ბოლო წუთამდე აკეთებდა... დღეს მის საფლავზე ყველა მიმსვლელს თითო ქაღალდის წერო მიაქვს... კობა გურულის სწორედ ამ ნამუშევართან დიდხანს იდგა იაპონიის ელჩი **მასაიოში კამოჰარა**...

ამავე დარბაზში დაეთმო ადგილი შეჭედილ წიგნებს და ქანდაკებას **„დუმილი“** (1970 წ.).

მესამე დარბაზში დამთვალიერებელი 60-70-იან წლებში შექმნილ გრაფიკულ ნამუშევრებს გაეცნო. მათი უმრავლესობა პირველად გამოიფინა.

როგორც უკვე აღინიშნა, გაიმართა წიგნის — „ძახილი უდაბნოში“ პრეზენტაცია. მასში შესულია მხატვრის მიერ სხვადასხვა დროს დაწერილი ლექსები. პროექტის ავტორია ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **რუსუდან ნიშნიანიძე**; რედაქტორი — ლიტერატურის მუზეუმის საგამომცემლო განყოფილების მენეჯერი ლალი ცომაია; შემდგენელი — **გვანცა გურული**; ყდის დიზაინი ეკუთვნის ბიძინა გაჩეჩილაძეს.

სალამო გახსნა **გვანცა გურულმა.**

**რუსუდან ნიშნიანიძემ** ისაუბრა შემოქმედის პოეზიაზე, სულიერ სამყაროზე; გაიხსენა მხატვრის მონათხრობი ლადო გუდიაშვილთან მისი ურთიერთობის შესახებ...

საინტერესო მოგონებით გამოვიდნენ კობა გურულის მეგობარი, ეთნოგრაფი **ლევან ფრუიძე** და ხელოვნებათმცოდნე **დავით ანდრიაძე**. მათ ვრცლად ისაუბრეს დიდი ხელოვანის (სამწუხაროდ, წლების განმავლობაში ჩრდილში მყოფი) — კობა გურულის ფასდაუდებელი ღვაწლის შესახებ.

ერიკ-ემანუელ შმიდტი

# ოდეტ ტულმონდი



— დამშვიდდი, ოდეტ, დამშვიდდი!

ისეთი მკვირცხლი, ისეთი მოუთმენელი და ისეთი აღფრთოვანებული იყო, გეგონებოდათ, ასაფრენად ემზადებაო. თითქოს მოსწყდებაო ბრიუსელის ქუჩებს, გაინავარდებს ფასადების დერეფანში, გადაუვლის სახურავებს და ზეცაში მტრედების გუნდს შეუერთდებაო. ვისაც „ხელოვნების მთიდან” ძირს ჩამავალი ეს ჰაეროვანი სილუეტი უნახავს, უდავოდ გაიფიქრებდა, რომ ბუმბულით დალალებდამშვენებულ ამ ქალბატონს რაღაც ჩიტისებური ჰქონდა...

ცოტაც და ნახავდა მას! მართლა ნახავდა... მიუახლოვდებოდა... შესაძლოა შეხებოდა კიდევაც... თუ ის ხელს ჩამოსართმევად გამოუწვდიდა...

— დამშვიდდი, ოდეტ, დამშვიდდი!

ორმოცს უკვე კარგა ხნის გადაცილებული იყო, მაგრამ გული მოზარდივით უცემდა, სულ ბაგა-ბუგი გაუდიოდა. ყოველ გადასასვლელზე, როცა შუქნიშანი მოცდას აიძულებდა, თეძოებში ჩხვლეტა დაუვლიდა ხოლმე; ფეხის ტერფებს მიწაზე ველარ ამაგრებდა, თითქოსდა თავისით ზევით აჭრილიყვნენ. რომ შეძლებოდა, თვითონაც სიამოვნებით გადააფრინდებოდა მანქანების ნაკადს.

წიგნების მაღაზიას მიუახლოვდა. უზარმაზარი რიგი გაჭიმულიყო. მსგავსი რამ განსაკუთრებული შემთხვევების დროს თუ ხდება. ვიდრე მის წინაშე წარსდგებოდა, სავარაუდოდ 45 წუთი ლოდინი მაინც მოუწევდა.

მაღაზიის შუაგულში წიგნებისგან უზარმაზარი პირამიდა წამოეჭიმათ. საშობაოდ მორთულ-მოკაზმული ნაძვის ხესავით ლამაზი იყო. კონსტრუქციას ერთი ცალი გამოაძრო და იქვე მომლოდინე ქალბატონებთან მასლაათი გააბა. ყველა ბალთაზარ ბალზანის მკითხველი გახლდათ, მაგრამ არცერთი არ ჩანდა ისეთი გულმოდგინე, ისეთი შეუვალი და აღფრთოვანებული, როგორც ოდეტი.

— იცით, მე ყველა მისი ნაწარმოები მაქვს წაკითხული, არაფერი გამომრჩენია. ვერ ვიტყვი, რომ რომელიმე არ მომეწონა, — მორიდებული ხმით წარმოთქვა, გეგონება თავისი წაკითხობის გამო ბოდიშს იხდისო.

როცა დარწმუნდა, რომ ავტორსა და მის ნაწარმოებებს ბევრზე უკეთესად იცნობდა, სიამაყის გრძნობით აღივსო. ეს იმიტომ, რომ თვითონ მოკრძალებული წარმოშობისა გახლდათ; იმიტომ, რომ დღე გამყიდველად მუშაობდა, ღამე კი ბუმბულებისგან სამშვენისების დამზადებით იქცევდა თავს; იმიტომ, რომ მშვენივრად იცოდა, აღზრდა — განათლებით რომ დაიკვეხნიდა; იმიტომ, რომ შარლერუადან, ყველასგან მივიწყებული საშახტო ქალაქიდან, ავტობუსით ჩამოეხეტა. ოდეტისთვის ფრიად სასიამოვნო იყო ამ გადაპრანჭულ ბრიუსელელ ბურჟუებს შორის თავი რომანტიკულ თაყვანისმცემლად ეგრძნო.

მაღაზიის ცენტრალურ ნაწილში ესტრადაზე შემომდგარი, ყოველი მხრიდან პროჟექტორთა მკვეთრი შუქით გაჩახჩახებული, ზუსტად ისე, როგორც მისთვის ჩვეულებად ქცეულ სატელევიზიო გადაცემებში, მშვენიერ გუნება-განწყობაზე მყოფი ბალთაზარ ბალზანი ავტოგრაფების ჩამორიგებით იყო გართული. თორმეტი რომანის — ცხადია, თორმეტი ტრიუმფის — გამოქვეყნების შემდეგ უკვე აღარ იცოდა, მოსწონდა ეს ცერემონია თუ არა: ერთი მხრივ, მოსწყინდა ერთი და იმავეს მონოტონური განმეორება, მეორე მხრივ კი საკუთარ მკითხველებთან შეხვედრაც ძლიერ ხიბლავდა და აფასებდა. მიუხედავად ყველაფრისა, დაღლილობამ თავისი გაიტანა და თაყვანისმცემლებთან ურთიერთობისა და დისკუსიების სურვილი, ცოტა არ იყოს, გაუნელდა. შეიძლება ითქვას, ხელმოწერა უფრო ჩვევად ექცა და სურვილთან უკვე ნაკლები კავშირი ჰქონდა. ყველაფერთან ერთად, მისმა ლიტერატურულმა კარიერამ ისეთ ზღვარს მიაღწია, როცა ნამდვილად არ სჭირდებოდა წიგნების გაყიდვა— გასაღებისთვის შეეწყო ხელი; თუმცა დროდადრო კომერციული წარმატების კლების შიშიც იპყრობდა; ამ შიშში ნაწარმოებთა ხარისხის ვარდნაც მოიაზრებოდა... იქნებ ეს ბოლო ნამოღვაწარი სხვა არაფერი იყო თუ არა "ერთით მეტი წიგნი", ჩვეულებრივი, სხვებისგან არაფრით გამორჩეული, იქნებ მისი დაწერა სულაც არ წარმოადგენდა აუცილებლობას.

ახლა ბალთაზარი ეცადა, ყველანაირად გაძალიანებოდა ეჭვს, რომელიც ყოველი ახალი პუბლიკაციისას ღრღნიდა.

უეცრად უცნობ სახეთა შორის ერთ მშვენიერ მეტისს მოჰკრა თვალი, რომელსაც მოწითალო-მოყავისფრო, უფრო ოქროსფერში გარდამავალი აბრეშუმის პიჯაკი ემოსა. თვალწარმტაც არსებას სხვებისგან განცალკევებულად ეჭირა თავი და ბოლთას სცემდა. მობილურ ტელეფონზე ყურმიკრული, ნაპერწკლებისმყრელი მზერით გამოიხედავდა ხოლმე.

— ხომ ვერ მეტყვით, ის ქალბატონი ვინ შეიძლება იყოს? –ჰკითხა ბალთაზარმა კომერციულ მენეჯერს.

— თქვენი პრეს— ატაშეა ბელგიაში, თუ გნებავთ გაგაცნობთ.

— ძალიან დამავალებთ.

ავტოგრაფთა ჯაჭვის დროებითი განწყვეტის პერსპექტივით აღფრთოვანებულმა მწერალმა ფლორანსის მიერ გამოწვდილი მარჯვენა კარგა ხანს შეაყოვნა.

— რამდენიმე დღის განმავლობაში მე მოგხედავთ — ჩაიჩურჩულა ცოტა არ იყოს შეცბუნებულმა პრეს-ატაშემ.

— დიდი იმედი მაქვს, — უპასუხა მწერალმა მკვეთრი მგზნებარებით.

ქალბატონმა მამაკაცის ძლიერი ხელის მტევნის ტყვეობას თითების შეტოკებით უპასუხა, თანხმობის ნაპერწ-

კალმა მზერაშიც გაუელვა. ბალთაზარი მიხვდა, რომ გაიმარჯვა: სასტუმროში ღამისთევა მარტოს არ მოუწევდა.

შესაძლო სექსუალური თამაშებით გამხიარულებული მორიგ მკითხველს კაციჭამიას ღიმილით მიუბრუნდა და მთრთოლვარე, ლამის აკანკალებული ხმით ჰკითხა:

— აბა, ქალბატონო, რითი შემიძლია გემსახუროთ?

ოდეტი მამრისთვის ნიშნეული ძლიერი ენერგიით გაჟღენთილმა მიმართვამ ძალიან გააკვირვა. მოულოდნელობისაგან ენა მუცელში ჩაუვარდა.

— მმმ...

ზმუილს სიტყვა ვერა და ვერ მოაყოლა.

ბალთაზარ ბალზანმა ოდეტს სრულიად უყურადღებო, არაფრისმთქმელი მზერა შეავლო.

— წიგნი თან გაქვთ? — ჰკითხა პროფესიული თავაზიანობით.

ოდეტი არც შერხეულა. „დაბლობის მდუმარების“ ერთი ეგზემპლარი გულში ძლიერ ჩაეკრა.

— არ გსურთ, ჩემი ბოლო წიგნი ხელმოწერით დაგიმშვენოთ?

ოდეტს თანხმობის გამოსახატავად კოლოსალური ძალისხმევა დასჭირდა.

მწერალი წიგნის ჩამოსართმევად წინ გადაიხარა. ოდეტმა მისი მოძრაობა, როგორც ჩანს, მართებულად ვერ გაიგო. მყისიერად დაიხია, უკან მდგომ ქალბატონს შეეჯახა და კინაღამ წააქცია. ამასობაში მიხვდა ჩადენილ შეცდომას, სწრაფი მოძრაობით ხელი წინ გაიშვირა. წიგნი ბალთაზარს კინაღამ თავში უთაქა.

— ვის მივუძღვნა ავტოგრაფი. სახელი ბრძანეთ!

— ...

— თქვენთვის გნებავთ?

ოდეტმა თავის კანტურით დაუდასტურა.

— რა გქვიათ?

— ...

— თქვენი სახელი, გეთაყვა?

ოდეტმა, როგორც იქნა, გარისკა და პირი დააღო; ნერწყვი გადაყლაპა და წაილუღლუღა:

— ...დეტი

— უკაცრავად, ვერ გავიგე:

— ...დეტი

— დეტი?

ოდეტი თავს სულ უფრო ცუდად გრძნობდა, იხრჩობოდა, ცოტაც და გულიც წაუვიდოდა. საკუთარი სახელის წარმოთქმა ბოლოჯერ მაინც სცადა:

— დეტი!

რამდენიმე საათის მიწურულს ოდეტი უკვე ქალაქში ერთ-ერთ გრძელ სკამზე მოკალათებულიყო. დღის სინათლეს ნაცრისფერი შეჰპარვოდა. მიწას მოწყვეტილი სიბნელე ცოტაც და, ზედა სივრცეებს დაეპატრონებოდა. ოდეტს შარლერუაში დაბრუნება ვერ გადაეწყვიტა. გაოგნებული უკვე მერამდენეჯერ კითხულობდა წიგნის თავფურცელს, სადაც მის საყვარელ ავტორს დაეწერა: „დეტს”.

ესეც ასე: ოდეტმა თავისი ოცნების მწერალთან ერთადერთი შეხვედრა ჩააფლავა. რა გაუძლებდა ახლა ბავშვების დაცინვას, არც ისე უმიზეზოს სხვათა შორის. ნეტავი თუ არსებობს დედამიწის ზურგზე ქალი, რომელსაც საკუთარი სახელისა და გვარის წარმოთქმა არ ძალუძს.

როგორც კი ავტობუსში ავიდა, ინციდენტიც უმალ დაავიწყდა და მთელ უკანა გზაზე ღრუბლებში დაფრინავდა. ბალთაზარ ბალზანის ახალი რომანის პირველივე ფრაზის წაკითხვისთანავე ოდეტი უცნაური სინათლით აივსო, სხვა სამყაროში გადაინაცვლა, სადაც ყველაფერი წაიშალა: გადატანილი დარდი და წუხილი, განცდილი სირცხვილის გრძნობა, ბანალური საუბრები მეზობლებთან, მანქანა-დანადგარების ხმაური, ინდუსტრიული შარლერუას სევდისმომგვრელი პეიზაჟები. ახალმა წიგნმა მას ფრთები შეასხა და ზეცაში ნავარდის საშუალება მისცა.

შინ დაბრუნებული პირდაპირ საკუთარ საძილე ოთახში შეიპარა ფეხაკრეფით. მოერიდა, ვინმე გაეღვიძებინა. განსაკუთრებით არ სურდა საკუთარ მარცხზე შეკითხვები ესმინა. ლოგინზე წამოჯდა, ზურგს უკან ბალიშები ამოიდო და კედელს მიაშტერდა: ჩინური ლანდებით გამოსახული შეყვარებულები ზღვის სანაპიროზე ჩამავალ მზეს შესცქეროდნენ. ვერაფრით ვერ მოსწყდა წიგნს. სასთუმალთან მდგარი ლამპა მანამდე ვერ ჩააქრო, სანამ ბოლომდე არ ჩაიკითხა.

* * *

ბალთაზარ ბალზანმა კი ბევრად უფრო მიწიერი ღამე გაატარა. მშვენიერი ფლორანსი ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე დანებდა. თვითონაც არ დაუკლია ძალისხმევა, რომ შავკანიან მშვენებასთან თავი არ შეერცხვინა. ძლიერი და დაუღალავი საყვარლის როლის შესრულებამ დიდი ენერგია მოითხოვა. ვერც მისმა „იარაღმა” იყოჩაღა მაინცდამაინც, აშკარად დაეტყო დაქანცულობა, ძალისხმევა სერიოზული მცდელობის საფასურად უჯდებოდა. მწერალმა ერთი პირობა ისიც კი გაიფიქრა, ასაკმა ხომ არ მიწიაო.

შუაღამისას ფლორანსმა ტელევიზორის ჩართვა და ლიტერატურული გადაცემისთვის თვალყურის დევნება ისურვა — აქ წესით ბალთაზარის ბოლო ნამოღვაწარისთვის ქება-დიდება უნდა შეესხათ: დახარჯული ენერგიის რეაბილიტაციის შესაძლებლობა რომ არა, მწერალი მსგავს ახირებაზე არაფრისდიდებით არ დათანხმდებოდა.

წითელშუშებიანი სათვალის მიღმა ბალთაზარმა მოწყენილი მამაკაცის იერი მოირგო. აშკარად ჩანდა, სატელევიზიო დისკუსიები გულს ურევდა. სათვალე კი ისეთი ჰქონდა, თითქოს მატადორის ხართან შეთამაშება გადაუწყვეტია, ვიდრე არენაზე ორთაბრძოლისას უმოწყალოდ განგმირავსო.

— მაყურებელი მთხოვს, ბალთაზარ ბალზანის ბოლო ნამუშევარზე საკუთარი მოსაზრებანი გავუზიარო. კეთილი, ბატონო. რაოდენ სასიამოვნო იქნებოდა იმის თქმა, რომ ეს ნამდვილად მისი ბოლო ნამუშევარი იყოს. ამაში ოდნავ მაინც რომ ვიყო დარწმუნებული, ვიტყოდი, ბედნიერება მერგო წილად, მაყურებლებს სასიამოვნო ახალი ამბავი ვახარო-მეთქი. არ გადავაჭარბებდი, თუ ვიტყოდი, რომ პირადად მე თავზარდაცემული გახლავართ, ლიტერატურული ღირებულების თვალსაზრისით ეს ნამდვილი კატასტროფაა. ისევ გავიმეორებ ამ სიტყვას. ყველაფერი თავზარდამცემია ნაწარმოებში — მოთხრობილი ამბავიც, მოქმედი გმირებიც, სტილიც... იყო აგრერიგად მდარე და უინტერესო... უინტერესო დაჟინებულად, უინტერესო უცვლელად თავიდან ბოლომდე. არა, ეს მწერლისგან ნამ-

დვილად ოსტატობას საჭიროებს, მეტიც, შენში გენიოსობის ნაპერწკალი მაინც უნდა კიაფობდეს; ადამიანი მოწყენისგან რომ კვდებოდეს დღეს წესით თქვენს წინაშე წარდგომის შანსი არ უნდა მომცემოდა ანუ გუშინვე წავიღებდი წერილს.

სასტუმროს ნომერში წელზე პირსახოცშემოხვეული, ლოგინზე გაშხლართული ბალთაზარ ბალზანი, პირდაპირ ეთერში საკუთარ გაცამტვერებას ადევნებდა თვალყურს. მის გვერდით უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილი ფლორანსი ფეხებს უაზროდ აქეთ-იქით იქნევდა, თითქოს მატლი ზედაპირზე ამოცოცებას ცდილობსო.

ოლაფ პიმსი ოლიმპიური სიმშვიდით განაგრძობდა ნგრევას.

— ძალიან კი მეუხერხულება მსგავსი განცხადებების საჯაროდ გაკეთება, მითუმეტეს, რომ მქონია ბედნიერება ბალთაზარ ბალზანს პირადად შევხვედროდი. თავაზიანი და ზრდილი ადამიანია, კოხტად და სუფთად ჩაცმულ-დახურული. მერე რა, თუ ამ იერით სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელს ჩამოჰგავს? ერთი სიტყვით, იმის თქმა მსურს, რომ მასთან ურთიერთობა სავსებით შესაძლებელია. თუმცა მას მაინც იმ მამაკაცთა კატეგორიაში გავამწესებდი, რომლებთან განქორწინებასაც ქალები ერთი წამითაც არა ნანობენ.

ოლაფ პიმსი კამერას გაღიმებული სახით მიუბრუნდა და განაგრძო, გეგონება წინ ბალთაზარი უზისო.

— როგორც ჩანს, თქვენ, ბატონო ბალთაზარ, კლიშეების დიდი ნიჭით ხართ დაჯილდოებული. რატომღა არქმევთ თქვენს ნამოღვაწარს რომანს? თქვენს ადგილას ლექსიკონად მოვნათლავდი. დიახ, არც მეტი, არც ნაკლები, მზამზარეულ გამოთქმათა, უაზრო ნაზრევთა ლექსიკონს დავარქმევდი. ვიდრე გადარქმევის პროცედურას შეუდგებოდეთ, გნებავთ, გითხრათ რას იმსახურებს თქვენი წიგნი? პირდაპირ ნაგვის ყუთში მოსროლას!

ოლაფ პიმსმა კამერის წინ ერთი ეგზემპლარი შუაზე გადახია და ზიზღით უკან მოისროლა. ეს ჟესტი ბალთაზარმა ისე აღიქვა, როგორც სახეში გაწნული სილა.

გადასაღებ მოედანზე მსგავსი აგრესიით თავზარდაცემულმა წამყვანმა ოლაფს მაინც შეჰბედა:

— როგორ აგვიხსნით მწერლის მსგავს წარმატებას?

— სულით ღარიბ ადამიანებს სრული უფლება აქვთ საკუთარი გმირი ჰყავდეთ. ეჭვიც არ მეპარება, რომ კონსიერჟები, მოლარეები და პარიკმახერები, ბაზრობებზე კოლექციის გამდიდრების მიზნით უბადრუკ თოჯინებსა და მწუხრის ბინდბუნდის ფოტოებს რომ დაეძებენ, მწერალს მაღალ შეფასებას აძლევენ.

ფლორანსმა ტელევიზორი დაადუმა და ბალთაზარისკენ შეტრიალდა. უფრო გამოცდილი პრეს-ატაშე რომ ყოფილიყო, ფლორანსს დიდი ტვინის ჭყლეტა არ უნდა დასჭირვებოდა, უმალ უნდა მიერთმია ლანგრით ის, რითაც მსგავს შემთხვევებში მასპინძლობენ: ეს გაავებული გულღრძო ტიპია და მეტი არაფერი, ვერ მოუნელებია, შენ წიგნებს ასე ბუზებივით რომ ესევიან. ცხადია, გამოსვლისთანავე ეცნობა მათ და ეჩვენება, რომ ყველაფერს აკეთებ იმისთვის, რომ მკითხველები მოთაფლო და მიიზიდო, ბუნებრივ ამბებში დემაგოგიას ხედავს; ვირტუოზული წერის მანერის უკან კომერციული ხრიკები ელანდება. შენი სურვილი საინტერესო იყო ადამიანებისათვის, მის თვალში კი მხოლოდ და მხოლოდ გარკვეული სვლაა; ისე, რომ იცოდე, შენ კი არა, თვითონვე ითხრის სამარეს, როცა საზოგადოებას ულირს, უგონო და ჭკუათხელ არსებათა ბრბოდ აღიქვამს. მისი ასოციალური ზიზღი პირდაპირ აღმაშფოთებელია.

ისე კი ახალგაზრდა ფლორანსზე ზეგავლენის მოხდენა დიდ ძალისხმევას არ საჭიროებდა. საშუალო ნიჭის პატრონი ერთმანეთში ურევდა ღვარძლსა და კრიტიკულ ალღოს. მისთვის წირვა დამთავრებული იყო.

იმ საღამოს ბალთაზარმა ღრმა დეპრესიულ ფაზაში გადაინაცვლა და ეს შემთხვევითი სულაც არ ყოფილა: შეწუხდა ახალგაზრდა მეტისის იმედგაცრუებული და სიძულვილნარევი მზერის გამო. მისი მისამართით წარმოთქმული ღვარძლიანი და გესლიანი კომენტარები არაერთხელ მოუსმენია, მაგრამ მისადმი შებრალების გამოხატვას ის პირველად შეეჯახა. თავი დაბერებულად და სასაცილოდ, როგორც იტყვიან, გალმა გასულად იგრძნო.

იმ საღამოს შემდეგ ოდეტმა "დაბლობის მდუმარება" კიდევ სამჯერ გადაიკითხა და დაასკვნა, რომ ის ავტორის ერთ–ერთი საუკეთესო რომანი იყო. თავის ვაჟიშვილს, დალაქ რუდის, ბალთაზართან თითქმის შეუმდგარი შეხვედრის შესახებ გამოუტყდა. შვილს დაცინვა და გაქილიკება არც უფიქრია, რადგან მიხვდა, დედა საშინლად იტანჯებოდა.

— და რას ელოდებოდი, რა გინდოდა მისთვის გეთქვა?

— აი, რას ვეტყოდი: მისი წიგნები ხომ შესანიშნავია, მაგრამ თან ამ წიგნებმა სიკეთითა და სითბოთი ამავსეს. მისი შემოქმედება ამქვეყნად ერთ— ერთი საუკეთესო ანტიდეპრესანტია. წესით და რიგით, სოციალურ დაზლვევას მთლიანად უნდა აენაზღაურებინა მისი რომანების შეძენისას გაღებული თანხა.

— თუ ამის თქმას შეხვედრისას თავი ვერ მოაბი, მისწერე მაინც.

— უცნაური არ იქნება, ავდგე და მწერალს მივწერო?

— რა არის ამაში უცნაური?

— ქალი, რომელიც ასე ცუდად წერს, სწერს მწერალს, რომელიც ასე კარგად წერს.

— მაგრამ ხომ არსებობენ მელოტი პარიკმახერებიც.

რუდის არგუმენტებით შეგულიანებული ოდეტი მისალები ოთახისკენ გაემართა, რომელიც იმავდროულად სასადილო ოთახადაც გამოიყენებოდა, ხელსაქმე, ანუ ბუმბულები გვერდით გადადო და უსტარს ჩაუღრმავდა.

„ძვირფასო ბატონო ბალთაზარ, მსურს გამოგიტყდეთ, რომ ცხოვრებაში კალამი არასოდეს ხელში არ ამიღია; ორთოგრაფიულ წესებს საკმაოდ კარგად ვიცნობ, სამაგიეროდ, მოკლებული ვარ ყოველგვარ პოეტურ აღმაფრენას. მე კი ამას უდავოდ ვსაჭიროებ, რათა გადმოვცე ის მნიშვნელობა, რომელიც თქვენ გაგაჩნიათ, ჩემი ღრმა რწმენით. სიმართლე გითხრათ, სიცოცხლეს სწორედ რომ თქვენ უნდა გიმადლოდეთ. თქვენ რომ არ არსებობდეთ, აქამდე ასჯერ მაინც მოვიკლავდი თავს. ხედავთ, რა საშინლად ვწერ: სიცოცხლის დასასრულებლად მხოლოდ ეს მიზეზიც კი, ვფიქრობ, სავსებით იკმარებდა.

ცხოვრებაში მხოლოდ ერთი მამაკაცი მიყვარდა და ეს კაცი ჩემი მეუღლე ანტუანი გახლდათ. იგი ისეთი სიმპა-

თიური, ისეთი ახოვანი და ახალგაზრდაა. დაუჯერებელია, მაგრამ იოტისოდენადაც არ შეცვლილა. აქვე ალვნიშნავ, რომ აგერ უკვე ათი წელი სრულდება, რაც გარდაიცვალა. მიზეზი სწორედ ესაა, თავში აზრადაც არ მომსვლია ანტუანი სხვა მამაკაცით ჩამენაცვლებინა. ასე გამოვხატავ ჩემს სიყვარულს.

ორი ბავშვი მარტო გავზარდე: სიუ ელენი და რუდი.

მგონი, რუდიმ ცხოვრება აიწყო. პარიკმახერია და თვითონვე ირჩენს თავს. მხიარული და თავაზიანი ბიჭია. მართალია, ხშირად იცვლის ძმაკაცებს, მაგრამ ეპატიება, იგი ხომ ძალიან ახალგაზრდაა, სულ რაღაც 19 წლისა, და თავისებურად ერთობა.

რაც შეეხება სიუ ელენს, სრულიად განსხვავებული ვინმეა. პირქუშია ძალიან. მგონი, როცა დაიბადა, უკვე გაბრაზებული იყო მთელ სამყაროზე. ღამე სიზმარშიც კი ბუზღუნებს და წუწუნებს. ერთი კრეტინი გადაიკიდა, ნამდვილი მაიმუნი, დღე და ღამე მოტოროლერებს რომ ჩაკირკიტებს, მაგრამ რად გინდა, ოჯახში ერთი სანტიმიც კი არ შემოაქვს. ორი წელია, რაც საცხოვრებლად ჩვენთან გადმობარგდა. ყველა სიკეთესთან ერთად ერთი უბედურებაც სჭირს – ფეხები უყარს ძალიან.

გულწრფელად რომ ვაღიარო, ვიდრე თქვენს არსებობას შევიტყობდი, ჩემი ცხოვრება მახინჯი და ულიმღამო მეჩვენებოდა, ისეთივე ულიმღამო, როგორიც შარლერუაა, განსაკუთრებით უამინდობის დროს, როცა ღრუბლები ძირს ჩამოწვება, მახინჯი, როგორც სარეცხი მანქანა, სწორედ მაშინ რომ გაჯიქდება, როცა ყველაზე მეტად გჭირდება, მახინჯი, როგორც ცარიელი ცივი ლოგინი. თითქმის ყოველღამე მიპყრობდა სურვილი, ჩამეყარა პირში საძილე აბები და წერტილი დამესვა ამ უნიათობისათვის. მერე კი ერთ მშვენიერ დღეს, სრულიად შემთხვევით თქვენი წიგნი წავიკითხე. ჩემთვის თითქოსდა მძიმე ფარდები გაიხსნა, თითქოსდა სინათლით გაივსო ჩემი არსებობა. წიგნებში თქვენ აჩვენებთ, რომ ნებისმიერი ადამიანის ცხოვრებაში, ყველაზე ულიმღამო და უბადრუკშიც კი ყოველთვის მოიძებნება სიხარულის, სიცილისა და სიყვარულის საბაბი. აცხადებთ, რომ ჩემისთანა პატარა და უმნიშვნელო ადამიანებიც იმსახურებენ ყურადღებასა და პატივისცემას. ისინი ხომ მცირე წარმატებასაც კი კოლოსალური ძალისხმევის საზღაურად აღწევენ. თქვენი რომანების წყალობით საკუთარი თავის დაფასება და პატივისცემა ვისწავლე, მეტიც, ოდნავ საკუთარი თავიც შევიყვარე. შევძელი გავმხ-



მხატვარი ნინო ზაალიშვილი

დარიყავი ოდეტ ტულმონდი – რომელსაც დღეს იცნობენ: ქალი რომელიც ყოველ დილით სიამოვნებით აღებს დარაბებს და არანაკლები სიამოვნების განცდით ხურავს მათ საღამოს. როგორც კი ანტუანი გარდაიცვალა, თქვენი წიგნები ჩემთვის პირდაპირ ძარღვებში უნდა შეეყვანათ. წარმოიდგინეთ წვეთოვანი, ავადმყოფებს რომ უდგამენ. ეს უბრალოდ დროს მომაგებინებდა.

როდესაც ერთ დღეს, — დაე ეს რაც შეიძლება გვიან მოხდეს, — თქვენ სამოთხის გზას დაადგებით, ღმერთი მაღალი გამოგეცხადებათ და შემდეგს გეტყვით : „უამრავი ადამიანი ისურვებდა, მადლიერება გამოეხატა იმ სიკეთისთვის, თქვენ რომ დედამიწის ზურგზე დათესეთ, ბატონო ბალთაზარ" — და ამ მილიონთა შორის ოდეტ ტულმონდიც მოიაზრეთ. ოდეტ ტულმონდი, — მიუტევეთ მას, — მოუთმენლად რომ ელის ამ საათს."

ის-ის იყო ოდეტა წერას მორჩა, რუდი შურდულივით გამოვარდა თავისი ოთახიდან, სადაც მორიგ ახალგაცნობილ ბიჭუნას ეკურკურებოდა. ამ ორს პერანგისა და საცვლების მოფარება თუ მოესწროთ, იმდენად ეჩქარებოდათ ვებგვერდზე ამოკითხული ინფორმაციის გახმოვანება. თურმე ბალთაზარ ბალზანი შარლერუადან სულ ახლოს მდებარე ნამიურში ისევ დაარიგებდა ავტოგრაფებს.

— ასე რომ, თვითონვე შეძლებ წერილის გადაცემას!

...ბალთაზარ ბალზანი ნამიურის წიგნების მაღაზიაში მარტო არ გამოცხადებულა. გამომცემელი ახლდა თან, რომელსაც საგანგებოდ დაეტოვებინა პარიზი, რათა მწერლის გუნება—განწყობის მოკეთებაზე ეზრუნა. ამ მგზავრობის შემდეგ რომანისტი კიდევ უფრო დათრგუნული ჩანდა.

— თუ გამომცემელი რამდენიმე დღის გატარებას ჩემს გვერდით აპირებს, უნდა ვივარაუდო, რომ საქმეები მაინც და მაინც კარგად ვერ მიდის, — ფიქრობდა ბალთაზარი თავისთვის.

მართლაც, კრიტიკოსები, ვითარცა მგლები, ჯგუფურად ნადირობდნენ... ოლაფ პიმსის იერიშმა ყველას გაუღვიძა მადა. ისინი, ვინც ადრე ბრჭყალების გამოყოფას ან ინდიფერენტულობის გამოხატვას ერიდებოდნენ, ახლა საშინლად ულრენდნენ მწერალს. ბევრს არც კი წაეკითხა მისი ნამოღვაწარი. აი, სწორედ ისინი გამოირჩეოდნენ განსაკუთრებული სისასტიკითა და შეუწყნარებლობით. ბალზანის წარმატებაზე ყველას აეშალა საღერღელი. იმათაც კი, საკუთარი აზრი რომ არ გააჩნდათ, ენა ამოიდგეს და პოლემიკაში მონაწილეობა საკუთარ მოვალეობად მიიჩნიეს.

ბალთაზარ ბალზანმა სრული უხერხემლობა გამოავლინა და საკადრისი პასუხი ვერავის გასცა. ბრძოლის ამ ველზე ის სრულიად განიარაღებული, სრულიად უუნარო აღმოჩნდა.

მწერალს სძულდა თავდასხმითი მოქმედებანი და მოკლებული იყო ყოველგვარ აგრესიულობას. ის ხომ მწერალი მხოლოდ იმისთვის გახდა, რომ ცხოვრების სილამაზისა და სირთულისათვის ემღერა; აღშფოთება კი შეეძლო გამოეხატა, მაგრამ მხოლოდ საზოგადოებისათვის საჭირბოროტო საკითხების გამო. პირადულზე კი არამც და არამც. მისი ერთადერთი რეაქცია წამება და თვითგვემა აღმოჩნდა. ვიდრე ღვარძლის ტალღა გადაივლიდა, მომლოდინის პოზიცია ამჯობინა. იმავეს გამომცემელზე ნამდვილად ვერ იტყოდი. მედიის საშუალებათა გაცხარებასა და დუღილს ის სიამოვნებით გაუწევდა მისთვის მომგებიან ექსპლოატაციას.

ნამიურში მკითხველთა რაოდენობა ნაკლებად შთამბეჭდავი აღმოჩნდა, ვიდრე ბრიუსელში. ამისთვის შეიძლებოდა შესატყვისი ახსნა-განმარტება გამოგვენახა: სულ რაღაც რამდენიმე დღეში ბალთაზარის რომანებით გატაცება, მითუმეტეს კი აღფრთოვანების გამოხატვა "დეჟა ვიუდ" იქცა. სწორედ ამიტომაც მწერალი განსაკუთრებულ ყურადღებას და თავაზიანობას იჩენდა მათ მიმართ, ვისაც ეს აღფრთოვანება ჯერ კიდევ არ განელებოდა.

ატეხილ აურზაურზე ოდეტმა არაფერი უწყოდა. ის ხომ არც ჟურნალ—გაზეთებს კითხულობდა და არც სატელევიზიო გადაცემებს უყურებდა კულტურაზე. ვერც კი წარმოიდგენდა, რომ მის საყვარელ მწერალს ერთხელაც მძიმე საათები შეიძლებოდა დადგომოდა. მორთულ-მოკაზმული, თუმცა ნაკლებად ელეგანტური, ვიდრე პირველ ჯერზე, ჭიქა ღვინით გამხნევებული ოდეტი, — რუდიმ დააძალა მოპირდაპირე კაფეში დალევა, — გულის ფანცქალითა და თრთოლვით ბალთაზარ ბალზანის წინაშე წარსდგა:

— გამარჯობა, მიცანით?

— ოო, დიახ... ჩვენ შევხვედრივართ ერთმანეთს... მგონი, შარშან არა?... არა? შემახსენეთ, გეთაყვა...

ოდეტი სულაც არ გაუნაწყენდა მწერალს. პირიქით, ერჩივნა მას სამშაბათის უნიათო შეხვედრა გონებაში არ აღედგინა. ამიტომაც ტვინის ჭყლეტისგან სასწრაფოდ გაათავისუფლა.

— არა, უბრალოდ გავიხუმრე. ჩვენ არასდროს შევხვედრივართ ერთმანეთს.

— მეც ასე ვფიქრობ, თორემ უსათუოდ გაგიხსენებდით. ვისთან მაქვს საუბრის პატივი?

— ოდეტი გახლავართ. ოდეტ ტულმონდი.

— მაპატიეთ?

— ტულმონდი ჩემი გვარია.

ბალთაზარმა ამ კომიკური გვარის გაგონებაზე გაიფიქრა, ეს ქალბატონი ხომ არ დამცინისო.

— ხუმრობთ?

— უკაცრავად?

მიხვდა რა საკუთარ უტაქტობას, ბალთაზარი სწრაფად მოეგო გონს.

— არა, იმის თქმა მსურდა, რომ ორიგინალური გვარია.

— ჩემს ოჯახში ასე არ ფიქრობენ.

ოდეტმა ახალი ეგზემპლარი დააძრო და მწერალს ხელმოსაწერად გაუწოდა.

შეგიძლიათ უბრალოდ წამიწეროთ "სახსოვრად ოდეტს".

დაბნეულმა ბალთაზარმა კიდევ ერთხელ ისურვა, თავი დაერწმუნებინა, გვარი სწორად გაიგო თუ არა.

— ოდეტი?

— დიახ, ამ სახელით ჩემმა მშობლებმა ნამდვილად ცუდი სამსახური გამიწიეს.

— რას ბრძანებთ, დიდებული სახელია ოდეტი...

— საშინელია.

— არა.

— კი.

— ეს ხომ პრუსტისეულია.

— პრუ...?

— პრუსტისეული... „დაკარგული დროის ძიებაში"... გაიხსენეთ ოდეტ დე კრესი, რომელიც სვანს ასე უზომოდ უყვარს.

— მე ერთი ის ვიცი, რომ პუდელებს არქმევენ ოდეტს. დიახ პუდელებს. როგორც კი ჩემზე მიდგება საქმე, რატომლაც ყველას ავიწყდება ეს პრუსტის პერსონაჟის სახელი. უკეთესად რომ გამიხსენონ, იქნებ სჯობდეს ძაღლის საყელური გამეკეთებინა და თმები დამეხვია.

მწერალმა ოდეტი შეათვალიერა. არ იყო დარწმუნებული, რომ ყველაფერი კარგად გაიგო, შემდეგ კი ხარხარი მორთო.

ოდეტი მისკენ გადაიხარა და კონვერტი მიაწოდა.

— ინებეთ, ეს თქვენ გეკუთვნით. როცა გესაუბრებით, პირიდან მხოლოდ სისულელეები ამომდის, ამიტომ გადავწყვიტე, დამეწერა.

ოდეტი ბუმბულების ფრთხიალით გაიქცა.

როდესაც პარიზში გასამგზავრებლად თავისი გამომცემლის გვერდით მანქანის უკანა სავარძელზე მოხერხებულად მოკალათდა, ბალთაზარ ბალზანს რაღაც მომენტში გზავნილის წაკითხვა მოუნდა, მაგრამ როგორც კი თვალი შეავლო ქაღალდზე აღბეჭდილ იასამნებისა და ვარდების ერთმანეთში გადაწნულ გირლიანდებს, ფუმფულა დუნდულებიან ანგელოზებს რომ ეჭირათ, განზრახვაზე ხელი აიღო. რას ერჩი, ოლაფ პიმსი ნამდვილად სიმართლეს ლაღადებდა, იგი მოლარეებისა და პარიკმახერების მწერალი გახლდათ. სხვა თაყვანისმცემელთა ღირსი არც იყო! დიახ, დიახ, სხვა კატეგორიის თაყვანისმცემლები მას არ დაუმსახურებია. მწერალმა ღრმად ამოიხვნეშა; წერილი კი ყოველ შემთხვევისათვის აქლემის ტყავისგან შეკერილი მანტოს გულის ჯიბეში შეინახა.

პარიზში ნამდვილი ჯოჯოხეთი ელოდა. მეუღლეს, რომელსაც სულ სადღაც მიეჩქარებოდა და რომელიც თავით ფეხებამდე თავის საადვოკატო კარიერაში იყო ჩაფლული, იოტისოდენა თანაგრძნობაც კი არ გამოუხატავს მის თავს დატეხილი უსიამოვნო აჟიოტაჟის გამო. მოგვიანებით კი გაიგო, რომ მის 10 წლის ვაჟიშვილს ლიცეუმში პატარა ავაზაკებთან ჩხუბში ჩაბმაც კი მოუწია, მამის ღირსება და სახელი რომ დაეცვა. წარმოგიდგენიათ? იმ პატარა ქვეშაფსიებმა მამამისს დასცინეს! საერთოდ ბალთაზარი სიმპათიების გამომხატველი წერილებით განებივრებული არც არასდროს ყოფილა. ლიტერატურული

წრეებიდან ხომ არასდროს არავინ გამოხმაურებია. შესაძლოა, ეს სულაც მისი ბრალი ყოფილიყო, იგი ხომ თვითონვე გაურბოდა მათთან ურთიერთობას. კუნძულ სენ ლუიზე გამოკეტილი ამაოდ ელოდა ტელეფონის ზარს, ამაშიც, ცხადია, ვერავის დასდებდა ბრალს: ის ხომ ცოცხალი თავით არავის აძლევდა თავის კოორდინატებს. ბალთაზარმა ობიექტურად შეაფასა მთელი თავისი ცხოვრება და ეჭვი შეეპარა, რომ ის საინტერესო და აზრიანი გამოუვიდა.

მართალია, მისი მეუღლე, იზაბელი, ლამაზი ქალი იყო, მაგრამ, სამაგიეროდ, ცივი, მკვახე, ამპარტავანი და უზომოდ ამბიციური. უზარმაზარი მემკვიდრეობის პატრონი ბევრად უფრო ორგანულად ეწერებოდა მტაცებელთა და სისხლისმწოველთა გარემოში, ვიდრე თვითონ. განა თავიდანვე არ შეთანხმდნენ, ქორწინების მიღმა ურთიერთობებზე უარი არ ეთქვათ. დასტური იმისა, რომ მათი წყვილი უფრო სოციალურ სტატუსს ეფუძნებოდა, ვიდრე სიყვარულს. მართალია, დედაქალაქის შუაგულში ცხოვრობდა და მისმა ძვირადღირებულმა ბინამ მოშურნეები გაუმრავლა, მაგრამ ნამდვილად სიამოვნებდა იქ ბინადრობა. არც კედლების, არც ფანჯრების, არც თაროებისა და დივნების სამშვენისად მისი სურვილისა და გემოვნების მიხედვით არაფერი არჩეულა. ეს საქმე დიზაინერმა იტვირთა. სალონში წამოჭიმულ როიალზე არავინ უკრავდა. მაღალი საზოგადოებრივი სტატუსის უბადრუკი მაჩვენებელი გახლდათ და მეტი არაფერი. მისი კაბინეტი მხოლოდ პრესაზე, ეპატაჟზე იყო გათვლილი. თვითონ ხომ წერა მხოლოდ კაფეებში სიამოვნებდა. ბალთაზარმა გაისიგრძეგანა, რომ მუზეუმში, უსულო ექსპონატთა გარემოცვაში ცხოვრობდა. კიდევ უარესი, ეს ყველაფერი უცხო და განყენებული იყო მისი ბუნებისთვის.

და რა საქმეს წაადგა მისი ფული? იმის ხაზგასმას, რომ ხალხში გაერია და საზოგადოების იმ კატეგორიაში მოიკალათა, წარმოშობით არასდროს რომ არ მიესვლებოდა. რასაც ფლობდა სინამდვილეში, მას არ ამდიდრებდა, მხოლოდ მის შეუზღუდავ მატერიალურ კეთილდღეობაზე ლაღადებდა. ახალ სოციალურ სტატუსთან შეუთავსებლობა გააზრებული კი ჰქონდა, მაგრამ ამისგან ავად არც არასდროს გამხდარა, რადგან თავისი შემოქმედებისადმი რწმენით იცავდა თავს. აი, სწორედ მის რწმენას შეუტიეს დღეს ასე უმოწყალოდ... თვითონაც შეუჩნდა ეჭვის ჭია... მოახერხა კი თუნდაც ერთი ღირებული რომანის დაწერა? ნუთუ მის წინააღმდეგ მიმართულ თავდასხმებს მხოლოდ შური და ღვარძლი კვებავდა? იქნებ მას სამართლიანი განაჩენი გამოუტანეს?

სუსტი და დაუცველი, წონასწორობის შემოქმედებით წვაში პოვნას ჩვეული, რეალურ ცხოვრებაში მისკენ მიმავალ გზას ვერა და ვერ პოულობდა. შინაგანი წინააღმდეგობა, რომელიც მასში არასდროს არ განელებულა, უკვე გაუსაძლისად იქცა. საზოგადოების განსჯის საგანი გახდა: „ხარ თუ არა საკმარისად ნიჭიერი, რომ თავი გაართვა იმას, რისი გაკეთებაც მოგიწევს?“ ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ ერთხელაც, როცა ერთმა კეთილისმსურველმა აუწყა, შენი ცოლი ვნებებს ოლაფ პიმსის ლოგინში იცხრობსო, ბალთაზარმა თვითმკვლელობის გარდა სხვა გამოსავალი ვერ იპოვა.

ფილიპინელმა მსახურმა უგონოდ მყოფს დროზე მიუსწრო. სასწრაფო დახმარების ექიმებმა მოასულიერეს, რამდენიმედღიანი დაკვირვების შემდეგ კი ფსიქიატრიული საავადმყოფოს გზას გაუყენეს.

ამ დაწესებულებაში კი ბალთაზარი ერთგვარ მარგებელ სამკურნალო სიჩუმეში ჩაიკეტა. ცხადია, რამდენიმე დღის თავზე ყოჩაღი და ყურადღებიანი ფსიქიატრების ყველა შეკითხვაზე გასცემდა ამომწურავ პასუხს, მის გათავისუფლებას ასე რუდუნებით რომ ცდილობდნენ. სამწუხაროდ, მეუღლის მოულოდნელმა ვიზიტმა მთელი მკურნალობის პროცესი დიამეტრულად შეცვალა.

როგორც კი მანქანის ძრავის ღუღუნი ჩაესმა, მწერალს დიდი ფიქრი არ დასჭირვებია ამდგარიყო და ფანჯრიდან შეემოწმებინა, რომ ეს ნამდვილად იზაბელი შემოგრიალდა პარკში თავისი უზარმაზარი ტანკით. წამში კუთვნილ ნივთებს ერთად მოუყარა თავი, დასტაცა მანტოს ხელი და გაამტვრია კარი, რომელიც შიდა კიბეზე გადიოდა. საფეხურებზე ჩარბენისას თავი დაირწმუნა, რომ გასაღების დუბლიკატი ნამდვილად თან ჰქონდა. როგორც კი გარეთ აღმოჩნდა, მანქანისკენ დაადო თავი. სასწრაფოდ დაქოქა. ამ დროს იზაბელი შენობის შიგნით ლიფტის ჩამოსვლას ელოდა.

შეშინებულმა და დაბნეულმა რამდენიმე კილომეტრი გაურკვეველი მიმართულებით ატარა მანქანა. ისე კი რომელ გზას უნდა დადგომოდა? საითკენ წასულიყო? თუმცა იმ მომენტისთვის ამას არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა.

ვინმესთვის თავშესაფრის თხოვნა ახსნა—განმარტებათა მიცემას გულისხმობდა, ამიტომ ეს გზა გონებაში თავიდანვე უარყო.

მანქანა ბენზინგასამართ სადგურთან მიმდებარე მოედანზე შეაჩერა. კაფეში შევიდა და ყავაც შეუკვეთა, რომელიც მისთვის ზედმეტად ტკბილი აღმოჩნდა, თან სითხეს შერეულმა ქაღალდის ჭიქის გემომ კიდევ უფრო გაუფუჭა გუნება-განწყობა. ამ დროს მისი ყურადღება აქლემის ტყავისგან შეკერილი პალტოს ამობურცულმა ჯიბემ მიიპყრო.

უსაქმურობისაგან თავის დასაღწევად წერილის წაკითხვა გადაწყვიტა. გახსნა თუ არა, ღრმად ამოიოხრა. უგემოვნოდ შერჩეულმა ქაღალდმა ხომ ლამის ცუდად გახადა. გზავნილის ავტორი ამას არ დასჯერდა, თაყვანისმცემელს უსტარისთვის წითელი ფლომასტერით დახატული, ბუშტულებით დამშვენებული გული დაერთო. ბალთაზარი ცალი თვალით კითხვას შეუდგა. როცა წერილის დასასრულს მიუახლოვდა, თვალებიდან ცრემლები გადმოუგორდა.

ჯიპის უკან გადაწეულ სავარძელზე მისვენებულმა ბალთაზარმა გზავნილი ოცჯერ მაინც გადაიკითხა. ლამის ზეპირად ისწავლა. ოდეტის მიამიტმა და მხურვალე სულმა გულის სიღრმემდე შეძრა. ბოლო სიტყვებმა კი ხომ მასზე ჯადოსნური ნაყენის ეფექტი იქონია.

„როდესაც ერთ დღეს, — დაე ეს მოხდეს რაც შეიძლება გვიან, — თქვენ სამოთხის გზას დაადგებით, ღმერთი მაღალი გამოგეცხადებათ და შემდეგს გეტყვით: „უამრავი ადამიანი ისურვებდა მადლიერება გამოეხატა იმ სიკეთისთვის, თქვენ რომ დედამიწის ზურგზე დათესეთ, ბატონო ბალთაზარ“ — და ამ მილიონთა შორის ოდეტ ტულმონდიც მოიაზრეთ. ოდეტ ტულმონდი, — მიუტევეთ მას, — მოუთმენლად რომ ელის ამ საათს“.

როცა მიიჩნია, რომ უსტარის გამამხნევებელი და მანუგეშებელი ეფექტით საკმაოდ დაიმუხტა, მანქანა დაძრა და ამ სტრიქონთა ავტორის მონახულება გადაწყვიტა.

* * *

ამ საღამოს ოდეტ ტულმონდი მისი ქალიშვილის— ულმობელი და სასტიკი სიუ ელენის საყვარელ კერძს — „მოცურავე კუნძულს" ამზადებდა. სიუ-ელენი, რომელსაც პუბერტეტის პერიოდი ეს—ეს არის უკან ჩამოეტოვებინა, კბილების გასასწორებელი რკინებით დამახინჯებული ერთი დამსაქმებლის გასაუბრებიდან მეორისკენ გარბოდა და ამაოდ ცდილობდა, რამე სამსახურისთვის გამოეკრა ხელი. ოდეტი კვერცხის ცილას გულმოდგინედ თქვეფდა და თან ღიღინებდა, კარზე ზარი რომ გაისმა. ამ საპასუხისმგებლო საქმის განყვეტით საგონებელში ჩავარდნილმა ხელები მაინც სწრაფად შეიმშრალა. გადაწყვიტა, რომ მეზობლის გულისთვის თავის შეწუხება არ ღირდა და ნეილონის უბრალო კომბინაციაზე ზემოდან არაფერი მოიცვა.

ოდეტმა კარი გააღო.

ბალთაზარ ბალზანის დანახვაზე ენა მუცელში ჩაუვარდა. ქანცგაწყვეტილი, მისუსტებული, გაუპარსავი და ზურგზე სამგზავრო ჩანთა მოგდებული მწერალი მის წინ იდგა, ცხვირწინ წერილს უფრიალებდა და თან ანთებული თვალებით ათვალიერებდა.

— თქვენ გამომიგზავნეთ ეს წერილი?

დაბნეულმა ოდეტმა გაიფიქრა, რომ სტუმარს მისი დატუქსვა გადაეწყვიტა.

— დიახ... მაგრამ...

— უჰ, როგორც იქნა, გიპოვეთ.

ოდეტი გაშეშებული იდგა, ვიდრე მწერალი შვებისგან ხვნეშოდა.

— ერთადერთი კითხვა მსურს დაგისვათ. – წამოიწყო მან. –ვისურვებდი, გეპასუხათ.

— დიახ, გისმენთ.

— გიყვარვართ?

— დიახ.

ოდეტმა დასმულ კითხვას ყოველგვარი ორჭოფობის გარეშე უპასუხა.

ბალთაზარისთვის ეს გახლდათ ძვირფასი გაელვება, რომელმაც უზომო სიამოვნება განაცდევინა. აზრადაც არ მოსვლია, რომ მსგავს გარემოებას ოდეტი შესაძლოა უხერხულობაში ჩაეგდო.

თავგზააბნეული მასპინძელი ხელებს იფშვნეტდა და ვერ გაებედა, საუბარი ჩამოეგდო იმაზე, რამაც ასე დიდი ხანია მოსვენება დააკარგვინა და დატანჯა. ბოლოს მაინც ვერ მოითმინა და ამოშაქრა.

— ჩემი ცილა...

— უკაცრავად?

— საქმე ისაა, რომ ვიდრე მობრძანდებოდით კვერცხის ცილას ვთქვეფდი. იცით, დიდხანს თუ გააჩერე, ცილა შესაძლოა...

შეწუხებულმა ოდეტმა ჟესტიკულაციით სცადა ჩაფუშვის გამოხატვა.

აღელვებულმა ბალთაზარმა ახსნა— განმარტებას თავი და ბოლო მაინც ვერ გაუგო.

— სინამდვილეში თქვენთვის მეორე კითხვაც მქონდა მომზადებული.

— დიახ, ბრძანეთ.

— ესე იგი შემიძლია დაგისვათ?

— დიახ, დიახ.

— დარწმუნებული ხართ, რომ ნამდვილად შემიძლია?

— დიახ.

ბალთაზარმა თვალები დახარა, — არა მის მზერას ნამდვილად ვერ გაუძლებდა და დამნაშავე ბავშვივით წამოილუღლუღა:

— შემიძლია თუ არა თქვენთან რამდენიმე დღე დავრჩე?

— უკაცრავად, ვშიშობ, ნათქვამს ვერ მიგიხვდით.

— კონკრეტული პასუხი გამეცით, ძალიან გთხოვთ: კი თუ არა?

ოდეტს ფიქრი მხოლოდ ორი წამი გაუგრძელდა, შემდეგ შთაბეჭდილების ქვეშ მოქცეულმა მისთვის ჩვეული უშუალობით ხმამაღლა წამოიძახა:

— დიახ, და ჩქარა შემობრძანდით, თორემ ცილა გადასაღვრელი გამიხდება.

ოდეტი სამგზავრო ჩანთას ჩააფრინდა, თან ბალთაზარს შიგნით ექაჩებოდა.

ასე და ამგვარად შეეხიზნა ბალთაზარ ბალზანი შარლერუელ ოდეტ ტულმონდს, დღისით მოლარეს, საღამოს კი დეკორატორს. სხვა ქალაქში მწერლის გადაბარგების შესახებ პარიზში არავის არაფერი გაუგია.

— და რას ნიშნავს მებუმბულე? – დაინტერესდა ერთ მშვენიერ საღამოს მწერალი.

— ბუმბულებს ვაკერებ მოცეკვავეთა კოსტუმებზე. გინახავთ ალბათ „ფოლი ბერჟერისა“ და „კაზინო დე პარის“ წარმოდგენები... ამაში ერთ-ორ სანტიმს მიხდიან და მოლარის უბადრუკ ხელფასს ვავსებ...

ბალთაზარ ბალზანმა საკუთარი ცხოვრებისაგან სრულიად განსხვავებულ სამყაროში ამოყო თავი: სამყარო, სადაც არც ფულზე დარდობდნენ, არც დიდებას ელტვოდნენ, მაგრამ ადამიანები თავს მაინც ბედნიერად მიიჩნევდნენ...

ოდეტს ბუნებამ ერთი მეტად შესაშური – მხიარულების ნიჭი მოამადლა. მისი არსების სიღრმეში, შეიძლება ითქვას უზარმაზარი ჯაზ-ბენდი დაუღალავად უკრავდა ჩამთრევ და გულისშემძვრელ მელოდიებს. ვერანაირი ყოფითი სიძნელე მას წყობიდან ვერ გამოიყვანდა, რაც უნდა მომხდარიყო, ძარღვიც კი არ აუტოკდებოდა. თუ ვინცობაა პრობლემა წამოიჭრებოდა, დინჯად და აუჩქარებლად, ფორიაქის გარეშე გამოსავლის ძებნას შეუდგებოდა ხოლმე. მოკრძალება და მორჩილება – აი, მისი ხასიათის ძირითადი თვისებანი. არც არასდროს მოსვლია თავში, რომ უკეთეს ბედ-იღბალს იმსახურებდა და არასდროს დაუფლებია ფრუსტრაციის განცდა. ბალთაზარსაც მისთვის ნიშნეული გულუბრყვილობითა და უშუალობით გააცნო თავისი ადგილსამყოფელი: აგურით ნაგები, მერიის სოციალურ კმაყოფაზე აყვანილი იაფფასიანი შენობა, პასტელის ფერებში შეღებილი ლოჯიებით — მსგავსი შეფერილობის ნაყინს ბავშვები ეტანებიან ხოლმე ზაფხულში, — და პლასტმასის ყვავილებით დამშვენებული აივნებით, კედელებზე ჩამოკონწიალებული დაწნული ზონარებითა და ჰერანიუმის ქოთნებით, რეპროდუქციით, სადაც პირში ჩიბუხგარჭობილი მეზღვაური აბოლებდა ოლიმპიური სიმშვიდით.

— როცა აქ ცხოვრების შანსი გეძლევა, სხვაგან გადაბარგებაზე ნაკლებად იფიქრებ. ალბათ, მხოლოდ მაშინ, როცა მუხის კუბოში ფეხებით წინ გაგასვენებენ... არა, ეს შენობა ნამდვილი სამოთხეა!

საერთოდ, კაცობრიობის მიმართ კეთილგანწყობილ ოდეტს ყოველთვის ყოფნიდა გონიერება, ნებისმიერი ჯურისა და ხასიათის ადამიანისთვის შესატყვისი გასაღები გამოენახა, იმათთანაც კი, საკუთარ თავს რომ მისგან სრულიად განსხვავებულად მიიჩნევდნენ. არ ცდილობდა, ვინმე განეკითხა. თავის სართულზე უპრობლემოდ დაუახლოვდა წითელკანიან ფლამანდრიელთა წყვილს. ცოლ-ქმარი რეგულარულად იძენდა სოლარიუმის აბონემენტებს და ხშირად სტუმრობდნენ კლუბებსაც, სადაც პარტნიორთა გაცვლა სავსებით მიღებული იყო. ასევე დაუდაქალდა მერიის უკმეხ და კატეგორიულ თანამშრომელს, ყველაფერზე რომ ჰქონდა მზამზარეული პასუხი; უცვლიდა რეცეპტებს ახალგაზრდა ამერიკელს, ხუთი შვილის დედას, ხშირად რომ ცოფდებოდა და გადარეული კედლებს ფხაჭნიდა. პურსა და ხორცს იმპოტენტ და რასისტ პენსიონერთან მესიო ვილპუტთან ყიდულობდა. ეს უკანასკნელი ისეთ სისულელეებს როშავდა, ყურს რომ არ მოესმინება, მაგრამ მაინც ადამიანური არსებააო, იტყოდა ხოლმე მოხუცის შეფასებისას.

ოდეტი შინაც ყველასთვის ერთნაირად ღია იყო: მისი ვაჟიშვილის რუდის მამათმავლური თავგადასავლები ნაკლებ სადარდებელს უჩენდა, ვიდრე სიუ-ელენის უჟმურობა, რომელსაც ამჟამად მძიმე ფსიქოლოგიური პერიოდის გადატანა უწევდა. ოდეტმა ქალიშვილთან დაყვავების გზა აირჩია, თუმცა სასტიკ წინააღმდეგობას გადააწყდა. დილიდან საღამომდე ცდილობდა, სიუ-ელენს გაღიმებაში, მოთმინების მოკრებაში, საკუთარი თავისადმი ნდობის შენარჩუნებაში დახმარებოდა. ასევე სურდა შეეგონებინა, რომ მისთვის ბევრად უპრიანი იქნებოდა, თავის ამორჩეულ მეგობარს, სიტყვაძვირ პარაზიტს, ღორმუცელასა და აყროლებულ პოლოს გაშორებოდა, რომელსაც რუდი, არც მეტი, არც ნაკლები, მხოლოდ „კისტათი“ მოიხსენიებდა.

ბალთაზარი ამ ვიწრო სადგომში ისე მიიღეს, ერთი ზედმეტი კითხვაც კი არ დაუსვამთ, თითქოს სოფლიდან ქალაქში გავლით ჩამოსულ შორეულ ნათესავს სავალდებულო სტუმარმასპინძლობა გაუწიესო. თავის მხრივ მწერალს არ შეეძლო ეს მიღება საკუთარი ან მეუღლის რეაქციისთვის არ შეედარებინა, როცა პარიზში მეგობრები რამდენიმე დღით შეკედლებას სთხოვდნენ. „აბა, სასტუმროები რისთვის არსებობს?!“ — შეჰყვირებდა ხოლმე ყოველ ჯერზე წყობიდან გამოსული იზაბელი, ვიდრე აბეზარ სტუმრებს შეაგნებინებდა, ბინაში ისე ვიწროდ ვცხოვრობთ, ყველანი უხერხულად ვიგრძნობთ თავსო.

რადგან ახალ გარემოში ყოველგვარ გამოკითხვას ასცდა, არც ბალთაზარი შეწუხებულა, ერთხელ მაინც ეკითხა საკუთარი თავისთვის, თუ რას საქმიანობდა ან რამ განაპირობა მისი აქ დარჩენა. ახსნა-განმარტებებისა და დაზუსტებისაგან გათავისუფლებულ ბალთაზარს სრული შესაძლებლობა მიეცა, დაკარგული ძალ-ღონე მოეკრიბა. ისე, ჯეროვნად არც ჰქონდა გაცნობიერებული, რომ სოციალური და კულტურული გარემოს მსგავსმა ცვლამ საკუთარ საწყისებს, საკუთარ ფესვებს დაუბრუნა. ბალთაზარმა არც კი იცოდა, ვინ იყო მამამისი, დედამ კი მის გაზრდაზე დაბადებისთანავე თქვა უარი, არაერთი მოკრძალებული ფინანსური შესაძლებლობების მქონე ოჯახი გამოიცვალა. უბრალოდ კეთილი და გულისხმიერი ადამიანები წლობით საკუთარ ბავშვებთან ერთად ობოლსაც ზრდიდნენ. ძალიან ახალგაზრდამ დაიფიცა, რომ კარგი სწავლით საზოგადოების მაღალ ფენებში გაიკაფავდა გზას. მისი ამოსაცნობი და განმასხვავებელი ნიშანი განათლება და ინტელექტი უნდა გამხდარიყო. სტიპენდიებით ზურგგამაგრებული ბერძნულს, ლათინურს, ინგლისურს, გერმანულსა და ესპანურს დაეუფლა. სულ ბიბლიოთეკაში იყო, მისთვის საინტერესო არც ერთი წიგნი არ დატოვა წაუკითხავი. მოემზადა და ჩაირიცხა საფრანგეთის ერთ-ერთ პრესტიჟულ სასწავლებელში – „ეკოლ ნორმალ სუპერიორ“, იმავდროულად საკუთარი არსენალი კიდევ რამდენიმე საუნივერსიტეტო დიპლომით გაამდიდრა. ბალთაზარის აკადემიურ გმირობას შესატყვისი ნაყოფიც უნდა გამოეღო. თავისუფლად შეეძლო უნივერსიტეტში ლექტორის თანამდებობისთვის გამოეკრა ხელი, გზა ხსნილი ჰქონდა რომელიმე სამინისტროში მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელის კაბინეტისკენაც; ერთი გარემოება რომ არა. ეს მისი მხრიდან შეიძლებოდა აღქმულიყო, როგორც კონფორმისტული დათმობა: ბალთაზარმა საკუთარ თავში წერის ნიჭი აღმოაჩინა და გადაწყვიტა, სამწერლო ასპარეზზე დაემკვიდრებინა თავი. საინტერესოა, რომ თავის წიგნებში იმ წრეს კი არ აღწერდა, სადაც სოციალური აღმავლობის წყალობით აღმოჩნდა, არამედ იმ გარემოს, სადაც ბავშვობისა და ყრმობის წლები გაატარა; შესაძლოა სწორედ ამით აიხსნებოდა მისი შემოქმედებისათვის ნიშნეული ჰარმონიულობა, პოპულარობაც, სხვათა შორის, და ზიზღიც, ინტელიგენცია მის მიმართ რომ ავლენდა. ტულმონდების ოჯახში გაწევრიანებამ ის მარტივ, უბრალო ცხოვრებისეულ სიამოვნებებს დაუბრუნა, შეახსენა, თუ რას ნიშნავს ამბიციურობისა და ფარისევლობისაგან დაცლილი ურთიერთპატივისცემა, სტუმართმოყვარე და თბილ ადამიანთა შორის ცხოვრებით მონიჭებული ბედნიერება.

და მიუხედავად ყველაფრისა, მეზობლებთან საუბრისას მწერალმა დაადგინა, რომ კორპუსის თითქმის ყველა ბინადარს იგი ოდეტის საყვარლად ჩაეთვალა. როცა მეზობელთან, პარტნიორთა გაცვლაზე ბჭობისას, — აი, იმ მეზობელთან საკუთარი გარაჟი სპორტულ დარბაზად რომ გადაეკეთებინა, — მოკერებული იარლიყის მოხსნას შეეცადა, ამ უკანასკნელმა თავი ლამის შეურაცხყოფილად იგრძნო და მიახალა, სულელი და მიუხვედრელი ხომ არ გგონივარო.

— წლები გავიდა მას შემდეგ, რაც ოდეტს საკუთარ სახლში მამაკაცი არ მიუღია. მერე მე ძალიან კარგად მესმის შენი: დასაძრახს ვერაფერს ვხედავ, როცა ცდილობ საკუთარ თავს სიამოვნება მიანიჭო! ოდეტი ნამდვილად ლამაზი ქალია. თანახმა თუ იქნებოდა, არც მე ვიტყოდი უარს.

ბალთაზარი დაიბნა. მიხვდა, რომ საწინააღმდეგოს მტკიცება ოდეტის რეპუტაციისათვის საზიანო ხდებოდა. ბინაში ახალი კითხვებით დაბრუნდა. "იქნებ, მასთან ურთიერთობა მსურს და ვერც გამიცნობიერებია? ამაზე არასდროს მიფიქრია. ოდეტი ნამდვილად არ არის ჩემი გემოვნების შესატყვისი ქალი... მეტისმეტად... არ ვიცი... არა, არა, სრულიადაც არა... ამას გარდა ტოლები ვართ... თუ მსგავსი წადილი შემიპყრობდა, ალბათ, იმ ახალგაზრდასთან უფრო მომინდებოდა... მერე ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, აქ ყველაფერი არანორმალური ჩანს. ისე, სხვათა შორის, რა ჯანდაბამ მომიყვანა აქ?"

საღამოს ბავშვები პოპ-მუსიკის კონცერტზე წავიდნენ

და ბალთაზარი ოდეტთან სრულიად მარტო დარჩა. მწერალმა ქალს განსხვავებული მზერა შეავლო.

ოთახს ტორშერის რბილი შუქი ანათებდა. ოდეტს ანგორის პულოვერი ძალიან უხდებოდა. ძვირფასი ქვების საიმიტაციო მინით აბრჭყვიალებულ კოსტუმზე ბუმბულთა მიკერებით იყო გართული. ბალთაზარს მასპინძელი ერთობ სიმპათიური და მიმზიდველი ეჩვენა. ადრე მსგავსი რამ არც შეუმჩნევია.

„იქნებ ფილიპი სიმართლეს ღაღადებდა... კი მაგრამ თავში იგივე პირადად მე რატომ არ მომივიდა?"

ოდეტმა იგრძნო, რომ ბალთაზარი რუდუნებით აკვირდებოდა. თავი აწია და გაუღიმა. უხერხულობა გაიფანტა.

რომ მიახლოვებოდა, მწერალმა წიგნი გვერდზე გადადო და ფინჯნებში ყავა ჩამოასხა.

— თუ ოცნებობთ რამეზე, ოდეტ?

— დიდი სურვილი მაქვს, ზღვაზე წავიდე.

— ხმელთაშუა ზღვაზე ?

— რატომ მაინცდამაინც ხმელთაშუა ზღვაზე. აქაც გვაქვს ზღვა, თუმცა ნაკლებ ლამაზი, სამაგიეროდ, უფრო მოკრძალებული და თავშეკავებული... ვგულისხმობ ჩრდილოეთის ზღვას...

ბალთაზარი ოდეტს მიუჩოჩდა. ფინჯანი რომ აეღო, თავი მის მხარზე ჩამოდო. ქალს გააჟრჟოლა. გათამამებულმა მამაკაცმა თითები გაუსვა მკლავზე, მხარზე, ბოლოს კისერს მიუახლოვდა. ქალი კანკალმა აიტანა. ბალთაზარი ტუჩებით შეეხო.

— არა, გთხოვთ.

— არ მოგწონვართ?

— რა სისულელეა... რა თქმა უნდა მომწონხართ, მაგრამ მაინც არა.

— ანტუანის გამო? ისევ ანტუანს იგონებთ?

ოდეტმა თავი დახარა, ცრემლები შეიმშრალა და დამწუხრებული ხმით, — გეგონება აწგარდაცვლილ მეუღლეს ღალატობსო, — განაცხადა:

— არა, ანტუანის გამო ნამდვილად არა.

ბალთაზარმა გადაწყვიტა, რომ მწვანე შუქი აენთო და ოდეტის ტუჩებს ვნებით დაეკონა.

ხმაურიანმა სილამ ბალთაზარს ლოყა აუწვა. ოდეტმა ტაქტიკა შეცვალა. ბრაზს ლმობიერება შეუნაცვლა, ბალთაზარს ლოყებზე თითები მოუცაცუნა, თითქოსდა ალიყურის ნაკვალევის წაშლას ეცადა...

— ო, მაპატიე, მაპატიე.

— ვერაფერი გამიგია, თქვენ არ გსურთ...

— ტკივილი მოგაყენეთ? არა, არა, გთხოვთ, მაპატიოთ.

— თქვენ ჩემთან დაწოლა არ გსურთ?

პასუხად ოდეტმა მეორეჯერაც მთელი ძალით შემოულაწუნა. თავზარდაცემული დივანიდან წამოხტა, სალონიდან გავარდა და თავის ოთახში ჩაიკეტა.

მეორე დღეს, ფილიპის გარაჟში გატარებული ღამის შემდეგ, ბალთაზარმა ისედაც აბსურდული ვითარების კიდევ უფრო გამწვავების თავიდან აცილების მიზნით გამგზავრება გადაწყვიტა. უკვე მთავარ გზატკეცილზე მიქროდა, როცა რუდი გაახსენდა. მასთან შევლა და ხელში ბანკნოტების დასტის ჩაჩურთვა არ დაიზარა.

— სასწრაფოდ პარიზში მიწევს დაბრუნება. დედაშენი ძალიან გადაიღალა და ზღვის სანაპიროზე დასვენებაზე ოცნებობს. აიღე ეს ფული, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ უთხრა, მე რომ მოგეცი. უთხარი, მაგალითად, რომ დაგაჯილდოვეს კარგი მუშაობისთვის პრემიით. შევთანხმდით?

ბალთაზარი პასუხს არც დაელოდა, ისე გავარდა მანქანისკენ.

პარიზში მისი არყოფნისას სიტუაცია ჩაწყნარებულიყო. ადამიანებს საჭორაო თემა კარგა ხანია შეეცვალათ. მისი გამომცემელი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ კიდევ ცოტაც და ბალთაზარი კვლავ მოიპოვებდა მკითხველთა და მასმედიის სრულ ნდობას.

მეუღლეს შემთხვევით რომ არ გადაყროდა, ბალთაზარმა სახლში ცოტა ხნით იმ დროს შეირბინა, როცა იზაბელი ჩვეულებისამებრ სამსახურში იმყოფებოდა. ფურცელზე ერთიორი ფრაზა დაჩხაპნა; მეუღლე მისი ამჟამინდელი მდგომარეობის შეტყობინებით დაამშვიდა. ისე, საინტერესოა, ახსოვდა კი საერთოდ იზაბელს მისი არსებობა? შემდეგ ჩემოდანი ჩაალაგა და სავუაში გაემგზავრა, სადაც მისი ვაჟიშვილი თანაკლასელებთან ერთად თხილამურებზე სრიალებდა.

„სადმე ახლომახლო ბინას ვიქირავებ" — გადაწყვიტა თავისთვის.

შვილმა მამა რომ დაინახა, მასთან განშორება საერთოდ არ ინდომა. თოვლზე რამდენიმედღიანი ერთობლივი სრიალის შემდეგ ბალთაზარმა, — გამუდმებით საქმიან მოგზაურობაში მყოფმა მამამ, — გააცნობიერა, რომ ფრანსუასთან სიყვარულისა და ურთიერთგაგების უზარმაზარი დანაკლისის შევსება უწევდა. იმავდროულად არ შეეძლო საკუთრივ მისთვის ნიშნეული მონყვლადობის, მუდმივი შიშისა და მღელვარების განცდა ვაჟიშვილშიც არ შეეცნო. პატარა ფრანსუა ყველა ღონეს ხმარობდა, რათა თანატოლებს დამსგავსებოდა და ამით მათი სიმპათია დაემსახურებინა. ამასთან, იტანჯებოდა იმის გამოც, რომ ეს მცდელობა საკუთარ მეობას აკარგვინებდა.

— მალე არდადეგებიც დადგება. ზღვაზე რომ წავსულიყავით ერთად? მხოლოდ მე და შენ და სხვა არავინ? ჰა, რას იტყვი?

პასუხად მამამ შვილისგან აღფრთოვანებისა და ბედნიერების ყიჟინა მიიღო.

* * *

აღდგომის დღეს ოდეტი, პირველად ცხოვრებაში, ჩრდილოეთის ზღვის პირისპირ აღმოჩნდა. რიდითა და შიშით შეპყრობილს ქვიშაზე უცნაური ფიგურები გამოჰყავდა. ზღვის უკიდეგანო სივრცე, მცხუნვარე მზე და პლაჟის ფუფუნება გახლდათ, მისი ფინანსური შესაძლებლობანი ვერანაირად რომ ვერ შესწვდებოდა. ოდეტს დაუმსახურებელი მადლით სარგებლობის განცდა დაეუფლა.

უეცრად კეფაზე ერთგვარი წვა იგრძნო და ბალთაზარზე ხმამაღალი იწყო ფიქრი. როცა მობრუნდა, დაინახა, რომ იგი შორიახლო მოლოზე (ტალღათმჭრელზე) იდგა ვაჟიშვილთან ერთად.

განშორების შემდეგ ხელახალი შეხვედრა ემოციურად მეტად ძლიერი, მგზნებარე და ნაზი აღმოჩნდა. ორივე ეცადა მეორის განცდებისათვის პატივი ეცა და სულიერი ჭრილობა არ მიეყენებინა.

— ისევ დაგიბრუნდით, ოდეტ. ჩემი ვაჟიშვილი გაკვეთილებს საჭიროებს. ხომ არ დაიზარებთ მათ ჩატარებას?

— რა ბრძანეთ?

— ხომ არ დაიზარებთ ბედნიერების გაკვეთილების ჩატარებას?

ბალზანები დაქირავებულ კოტეჯში ერთად მოეწყვნენ. თითქოს ასეც უნდა ყოფილიყო და არდადეგებიც დაიწყო.

როგორც კი ცხოვრებამ ჩვეული დინება დაიბრუნა, ოდეტმა გადაწყვიტა, ბალთაზარისთვის ცეცხლოვან სილათა გაწნის მიზეზი აეხსნა.

— მე არ მსურს თქვენთან დაწოლა; ვიცი, რომ ჩემთან არ დარჩებით. ჩემ ცხოვრებაში ერთი გაელვება ხართ და მეტი არაფერი. ის ადამიანი ხართ, გამოჩენისთანავე უკვე გამგზავრებაზე რომ ფიქრობს.

— მე დავბრუნდი.

— ისევ გაქრებით... მე ხომ სულელი არ ვარ... ბალთაზარ ბალზანს, სახელგანთქმულ პარიზელ მწერალსა და ოდეტ ტულმონდს, შარლერუელ გამყიდველს, ერთობლივი მომავალი არ უწერიათ. მეტისმეტად გვიანაა ამისთვის. ოცი წლით უფრო ახალგაზრდები რომ ვიყოთ, შესაძლოა...

— ხანი არაფერ შუაშია...

— არის, არის. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენმა ცხოვრებამ უფრო უკან იბრუნა პირი, ვიდრე წინ. თქვენ თქვენებურად მოიწყვეთ ცხოვრება, მე კიდევ ჩემებურად. პარიზი — შარლერუა, ფული — უფულობა, ორივე ჩამოვედით უკვე ჩვენ ფსონს. შესაძლოა შემთხვევით გადავეყაროთ ერთმანეთს, მაგრამ შეხვედრით ვერასდროს შეგხვდებით.

ბალთაზარს რიგიანად არც ჰქონდა გაცნობიერებული, რას მოელოდა ოდეტისგან. ერთი რამ კი დანამდვილებით იცოდა, — ოდეტს იგი სჭირდებოდა. სხვა კუთხით მათი ამბავი არც არაფერს ჰგავდა, — არც თავი ჰქონდა და არც ბოლო. იქნებ ოდეტი არ ცდებოდა, ბანალური სასიყვარულო ურთიერთობისაკენ გზას რომ ულობავდა? მაგრამ ხომ შეიძლება ოდეტი შემცდარიყო? იქნებ სულაც გადაწყვეტილი ჰქონდა, სხეულის ძახილს არასდროს გამოხმაურებოდა? იქნება ანტუანის სიკვდილის შემდეგ საკუთარ თავს უაზრო სამუდამო ქვრივობა მიუსაჯა?

ბალთაზარი ყველაფერს ღრმად ჩაწვდა, როცა მეთევზის სახლში იმპროვიზებული ცეკვების ერთგვარი საღამო მოაწყო. სამბას რიტმებში ჩართული და მუსიკით გალაღებული ოდეტის მოძრაობანი ვნებით, გრაციოზულობით, ცბიერებით, მეტიც, დაუოკებელი ქალური ავხორცობით იყო აღბეჭდილი. ბალთაზარი მას ვერ სცნობდა. ოდეტას გარშემო რამდენიმე პა სცადა. მის მხართან ოდნავი შეხებისას და თეძოებთან შემთხვევითი გახახუნებისას დარწმუნდა, ოდეტის ლოგინში თავისუფლად შეიძლებოდა აღმოჩენილიყო.

მთვარის შუქზე ოდეტი ბალთაზარს სრულიად მიამიტურად გამოუტყდა:

— იცით, ბალთაზარ, მე თქვენზე შეყვარებული არ ვარ.

— აჰ?

— შეყვარებული კი არ ვარ, მიყვარხართ.

ბალთაზარმა ეს განცხადება ყველაზე ლამაზ სიტყვებად მიიჩნია იმ განცხადებათა შორის, რომელიც ოდესმე მოესმინა. მეტიც, უფრო ლამაზი ეჩვენა, ვიდრე მის მიერ მოგონილი პერსონაჟები წარმოთქვამდნენ.

პასუხად ბალთაზარმა ოდეტს ტყავის საქაღალდეში ჩადებული ახალი რომანი გაუწოდა, რომლის წერაც ზღვის სანაპიროზე მათი შეხვედრის შემდეგ დაიწყო.

— „სხვათა ბედნიერება", ასე დავარქმევ ჩემ მომავალ წიგნს. მოვყვები რამდენიმე ადამიანის ბედ-იღბალზე, ბედნიერებას რომ ეძებენ, მაგრამ, დიდი მეცადინეობების მიუხედავად, ვერ პოულობენ. მარცხდებიან მხოლოდ იმიტომ, რომ მემკვიდრეობით გადმოეცათ ან გაიზიარეს მათთვის შეუსაბამო კონცეფციები ბედნიერებაზე. ვგულისხმობ ფულს, ძალაუფლებას, ანგარებიან ქორწინებას, გრძელფეხება საყვარლებს, სადოღე ცხენებს, დუპლექსს პარიზის ცენტრში, შალე მეჟევში, ვილას კი სენ-ტროპეში, ერთი სიტყვით სტერეოტიპთა გარდა სხვა არაფერს. წარმატების მიუხედავად, ისინი თავს უბედურად გრძნობენ იმიტომ, რომ საკუთარი კი არა, სხვისი ბედნიერებით ცხოვრობენ ანუ ბედნიერების სხვის მიერ გამოწერილი რეცეპტით. მე მმართებს, რომ ეს წიგნი თქვენ მოგიძღვნათ. შეხედეთ შესავალს.

პროჟექტორის შუქზე ოდეტმა სატიტულო გვერდზე ამოიკითხა: „ვუძღვნი დეტს."

ოდეტმა ენით აღუწერელი სიმჩატე იგრძნო, ისე აღზევდა, ლამის თავით მთვარეს შეეხო. გული საგულეში ვერ უჩერდებოდა. სული რომ მოითქვა, მკერდზე ხელი დაიდო და წაილუღლუღა: „დაწყნარდი, ოდეტ, დაწყნარდი."

შუაღამისას ლამაზი სიზმრები უსურვეს ერთიმეორეს და ლოყაზე კოცნით დაემშვიდობნენ ერთმანეთს. ბალთაზარის გათვლით, დარჩენილ ორ დღეში ისინი უცილოდ საყვარლები უნდა გამხდარიყვნენ.

მეორე დღეს მწერალს ფრიად უსიამოვნო სიურპრიზი ელოდა. ველოსიპედით სეირნობიდან დაბრუნებულ ბალთაზარს, ფრანსუას, რუდისა და სიუ-ელენს სალონში მომლოდინე გამომცემელი და მეუღლე იზაბელი დახვდათ.

როგორც კი იზაბელს მოკრა თვალი, ბალთაზარმა იყნოსა, რომ შესაძლოა უსიამოვნო სცენა გამართულიყო. გვერდით ოდეტი რომ არა, არაფერი დაუშლიდა პირველი გადასულიყო შეტევაზე.

— ნურაფერს ნუ ეტყვით, ნუ დატუქსავთ, გთხოვთ. მე და მხოლოდ და მხოლოდ მე ვარ ამ თავყრილობის მიზეზი. დაბრძანდით და ნამცხვარი მიირთვით. სახლშია გამომცხვარი. ახლავე მოვიტან დასალევსაც.

შემდეგი სცენა ბალთაზარის გაგებით სიურრეალიზმის პრინციპებს ექვემდებარებოდა. თავით ფეხებამდე კოშმარში ჩაფლულს ისეთი შთაბეჭდილება ჩამოუყალიბდა, რომ ოდეტი თავს მის მარპლად ასაღებდა, როდესაც ეს უკანასკნელი ძიების დასასრულს დეტექტივის ყველა პერსონაჟს ჩაისა და ორცხობილების გარშემო უყრის თავს, რათა საქმის არსი აუხსნას და თან სათანადო დასკვნებიც გამოიტანოს.

— ბალთაზარ ბალზანმა თავისი წიგნებით ფასდაუდებელი სამსახური გამიწია; უამრავი რამ შემძინა რამდენიმე კვირის წინ ჩემთან შეკედლებით. საზღაურის მიღებაზე არც კი მიფიქრია; მალე უდავოდ პარიზს უნდა დაბრუნდეს. მისი ხნისა და რეპუტაციის მქონე ადამიანი ცხოვრებას შარლერუაში თავიდან ვერ დაიწყებს. ჯერჯერობით ეს ნაბიჯი ვერ გადაუდგამს, სცხვენია, მეტიც, უკან დაბრუნების ეშინია.

ოდეტი იზაბელისკენ შეტრიალდა, რომელიც სიტყვა "შიშისადმი" ფრიად სკეპტიკურად განწყობილი ჩანდა.

— თქვენი ეშინია, ქალბატონო, რატომ? იმიტომ, რომ ის უწინდებურად აღარ აღგაფრთოვანებთ. თქვენ უნდა იამაყოთ თქვენი მეუღლით: მან ათასობით ადამიანს ბედნიერება განაცდევინა. შეიძლება ამ იღბლიანთა შორის

მოკრძალებული მდივნები, ჩემსავით უბადრუკი მოსამსახურეებიც მოიაზროთ. სწორედ რომ ამაშია საქმე. მან შეძლო გატაცება და აღელვება ადამიანებისა, ასე ცოტას რომ ვკითხულობთ და არ ვართ ისეთივე განათლებულები, როგორიც თქვენ ბრძანდებით. ეს იმის დასტურია, რომ იგი სხვებზე ნიჭიერია, ბევრად უფრო ნიჭიერი. იცით, ქალბატონო, შესაძლოა ოლაფ პიმიც არაჩვეულებრივ წიგნებს წერს, მაგრამ მათი წაკითხვა რომ შევძლო, პირადად მე ლექსიკონი და რამდენიმე შეკვრა ასპირინი დამჭირდება. მხოლოდ ამის შემდეგ თუ ჩავწვდები, რაზეა მის ნამოღვაწარში საუბარი. ოლაფი სნობია, რომელიც მხოლოდ იმ ადამიანებს მიმართავს, რომლებსაც იმდენივე წიგნი აქვთ წაკითხული, რამდენიც თვითონ.

ოდეტმა გამომცემელს ჩაით სავსე ფინჯანი გადააწოდა, თანაც განრისხებული მზერა შეავლო.

— ახლა კი თქვენ უნდა მოგმართოთ ერთი-ორი სიტყვით, ბატონო. თქვენ უფრო მეტად უნდა დაიცვათ თქვენი ავტორი იმ პარიზელთა თავდასხმებისაგან, ასე რომ გაუწყალეს გული. თქვენ დაეპატრონეთ უძვირფასეს საგანძურს, კეთილი ინებეთ და დაიცავით. თუ ეს არ ძალგიძთ, მაშინ ღირს, ალბათ, პროფესიის გამოცვლაზე ფიქრი... გასინჯეთ ჩემი კექსი, გეთაყვა, საგანგებოდ გამოვაცხვე!

დატუქსული გამომცემელი ხმის ამოუღებლად დაემორჩილა. ოდეტი ისევ იზაბელსა და ბალთაზარს მიუბრუნდა.

— თქვენ ფიქრობთ, რომ მას არ უყვარხართ? შეიძლება თვითონაც ასე ფიქრობს... მე კიდევ ერთი რამ შევამჩნიე: იგი თქვენ ფოტოს მუდამ თან დაატარებს.

იზაბელზე ოდეტის უბრალოებამ ძლიერ იმოქმედა. თავი დახარა და გულწრფელად წარმოთქვა:

— იმდენჯერ მიღალატა...

— ო, ქალბატონო, თქვენ თუ გგონიათ, რომ ცოლიანმა კაცმა ფლირტი უნდა დაივიწყოს, გვერდით არ უნდა გაიხედოს და საერთოდ აღარ ისუნთქოს, მაშინ სჯობდა, რომ საერთოდ არ გათხოვილიყავით და ძაღლისთვის მოგევლოთ. აი, ძაღლის ჯაჭვით დაბმას ნამდვილად მოახერხებთ. ვეჭვობ, რომ ჩემი ანტუანიც, ასე ნაზად რომ მიყვარდა და მიყვარს ოცი წლის შემდეგაც, ბოლომდე ჩემი ერთგული იყო და სხვა ქალისკენ არ გაუხედავს. დარწმუნებული ვარ, სხვასაც წაეკურკურა და მოუთათუნა, შესაძლოა უფრო ლამაზს ან უბრალოდ განსხვავებული სურნელის მქონეს. და რა მნიშვნელობა აქვს. იგი ხომ ჩემ მკლავებში გარდაიცვალა. დიახ, ჩემ და არა სხვის მკლავებში, თან თვალებში შემომყურებდა. ეს მზერა მის მიერ დატოვებული მარადიული საჩუქარია...

რაღაც წუთას ოდეტი ვერ გაუმკლავდა მოზღვავებულ ემოციებს, — ეს სულაც არ გაეთვალისწინებინა, — მაგრამ დიდი ძალისხმევის ფასად მაინც მოახერხა თავის დამორჩილება და სათქმელის დასრულება.

— ბალთაზარ ბალზანი დაგიბრუნდებათ. ყველა ღონეს ვხმარობ, რომ მოვაკეთო და სრულ ფორმაში დაგიბრუნოთ, რათა ღიმილი აღიდგინოს და სიცილის სურვილი ჰქონდეს. სიმართლე გითხრათ, ბალთაზარის მსგავს მამაკაცებს – კეთილებს, მოუხერხებლებსა და ხელგაშლილებს — დახრჩობისა და ჩაძირვის საშუალება არ უნდა მივცეთ. მე ორ დღეში აქაურობას დავტოვებ და შარლერუაში ჩემს მალაზიას დავუბრუნდები. დიდი სურვილი მაქვს, ჩემი ძალისხმევა ფუჭი არ გამოდგეს.

ბალთაზარი გულისტკივილით შესცქეროდა ოდეტს, რომელმაც მათი სიყვარულის ამბავი ყველას თვალწინ ასე ნაკუწებად აქცია. გულის სიღრმეში გაუნაწყენდა კიდეც. მეტიც — შეიზიზღა, მსგავსი წამებისთვის რომ გაიმეტა. ოდეტის დაბნეული და შეშლილი გამომეტყველების შემხედვარემ გადაწყვიტა, რომ შენინაალმდეგებას აზრი არ ჰქონდა. თუ ასე ფიქრობს, გამორიცხულია, აზრი გამოაცვლევინო, — დაასკვნა თავისთვის.

პარიზში გამგზავრებამდე ბალთაზარმა და იზაბელმა დიუნებს შორის გაისეირნეს, არც ერთი და არც მეორე არ იყო დარწმუნებული, თანაცხოვრების გაგრძელებას რომ შეძლებდნენ. ფრანსუას გულისთვის კი გადაწყვიტეს, ეცადათ.

როცა მეთევზის სახლს მიუახლოვდნენ, იქიდან სასწრაფო დახმარების მანქანა გამოქანდა. სირენის მკივანა ხმა იქაურობას აყრუებდა: ოდეტს გულის შეტევა მოსვლოდა.

* * *

ვიდრე მისი სიცოცხლე ძაფზე ეკიდა, ყველანი ბლეკენბლეკში დარჩნენ. მხოლოდ მას შემდეგ, რაც სარეანიმაციო სამსახურმა დაასკვნა, რომ ოდეტის ჯანმრთელობას არაფერი ემუქრებოდა, გამომცემელი და იზაბელი ვაჟიშვილითურთ პარიზს დაბრუნდნენ.

ბალთაზარი კოტეჯის მეპატრონეს დაელაპარაკა და იჯარის გახანგრძლივებაზე დაიყოლია. რუდისა და სიუ-ელენზე ზრუნვაც თვითონვე იტვირთა, სამაგიეროდ, ახალგაზრდებს პირობა ჩამოართვა, რომ ოდეტთან მისი აქ დარჩენის შესახებ კრინტსაც არ დაძრავდნენ. "შეგიძლიათ მოგვიანებით გაუმხილოთ, როცა თავს უკეთესად იგრძნობს..." ბალთაზარს ბავშვები ყოველდღე კლინიკაში დაჰყავდა. თვითონ ჰოლში სავარძელში მოკალათდებოდა ხოლმე და თავს მცენარეების, ოთახის ხალათში მოსილი ბებიებისა და წვეთოვანს მიჯაჭვულ პაციენტთა თვალიერებით იქცევდა თავს.

საბოლოოდ ოდეტიც მოკეთდა, ჯან— ღონე დაუბრუნდა, სახეზე ადამიანის ფერი დაედო, გუნებაზეც მოვიდა. საწოლთან მიდგმულ პატარა მაგიდაზე ანტუანის სურათს რომ მოკრა თვალი, ფრიად გაუკვირდა.

— კი მაგრამ, ვის მოაფიქრდა ამის გაკეთება?

ბავშვები გამოუტყდნენ, რომ ინიციატივის ავტორი ბალთაზარი იყო, იგი ბლეკენბლეკში დარჩენილიყო და მათ მამობრივ მზრუნველობას არ აკლებდა.

დედის მღელვარებაზე, კარდიომონიტორთა აფორიაქებაზე, გულცემის მაჩვენებელი მწვანე დიაგრამების კრუნჩხვებზე ბავშვები

ოთხშაბათს, 1 ივნისს
გოეთეს საზოგადოების
თაოსნობით
I საჯარო სკოლაში

**ჟაკლინ სირაძე**
წაიკითხავს ლექციას

**„ბერნი საუკუნის მსახურნი
— გალაკტიონი და ნიცშე“**

დასაწყისი 14 საათზე

მიხვდნენ, რომ ბალთაზარი სწორად მოიქცა, ოდეტის გამოჯანმრთელებას რომ დაელოდა. ისინი აღარც ეჭვობდნენ, რომ გულის პირველი შეტევა დედის ნაჩქარევ გადაწყვეტილებასთან იყო უშუალოდ დაკავშირებული: ბალთაზარისთვის ზურგის შებრუნებას, მის უკუგდებას გულმა ველარ გაუძლო.

მეორე დღეს თხუთმეტი წლის ბიჭივით აღელვებული ბალთაზარი ოდეტის პალატაში შეიძურწა. ხელში ორი თაიგული ეჭირა.

— რა საჭირო იყო ორი თაიგული.

— ერთი ჩემგან, მეორე კი ანტუანის სახელზე.

— ანტუანის?

ბალთაზარი საწოლთან ჩამოჯდა და ოდეტს თბილი გამომეტყველებით მეუღლის ფოტოზე მიუთითა.

— მე და ანტუანი ძალიან დავმეგობრდით. მან მიმილო. მიიჩნევს, რომ საკმარისად მიყვარხართ, მისი პატივისცემა რომ დავიმსახურო. თქვენი მკურნალობის დროს გამომიტყდა, რომ ცოტა არ იყოს ნაჩქარევად გაიხარა. ეგონა, რომ მასთან შესახვედრად ემზადებოდით. შემდეგ კი საკუთარ თავს ტუქსავდა, მსგავსი ეგოისტური აზრი რომ მოუვიდა თავში. ამჟამად თქვენი და თქვენი ბავშვების გამო კმაყოფილებას გამოთქვამს, უკეთესად რომ გრძნობთ თავს.

— კიდევ რა გითხრათ?

— რაც მითხრა, თქვენ არ მოუწონებთ.

ბალთაზარი მოწიწებითა და პატივისცემით გადაიხარა ოდეტისკენ და ყურში ჩასჩურჩულა:

— თქვენი თავი მე მომანდო...

მთელი არსებით შეძრულმა ოდეტმა ჩუმი ზლუქუნი მორთო, თუმცა მალევე მოთოკა გრძნობები და ხუმრობაც სცადა.

— ჩემი აზრით არ დაინტერესებულა?

— ანტუანი? არა, არ დაინტერესებულა; მიიჩნევს, რომ თქვენს თავში აზრები ძნელად იბადებიან.

ბალთაზარი კიდევ უფრო გადაიხარა ოდეტასკენ და ენით აუწერელი სინაზით დასძინა:

— მივუგე, სავსებით ვიზიარებ თქვენ შეხედულებას-მეთქი.

ბოლოს და ბოლოს ისინი ერთმანეთს გადაეხვივნენ. უმალ კარდიოგრაფებიც აღელდნენ, გეგონება, იმის გამო, რომ პაციენტს სიხარულისა და ბედნიერებისაგან გული შეეკუმშა, მთელი მოსამსახურე პერსონალის ფეხზე დაყენება გადაწყვიტესო.

ბალთაზარი ტუჩებს მოსწყდა, თვალი თვალში გაუყარა და წაიჩურჩულა:

— დაწყნარდი, ოდეტ, დაწყნარდი.

**ფრანგულიდან თარგმნა**
**მერაბ ფიფიამ**



*თეკლე ჯანელიძე*

# ქველმოქმედება და მისი ისტორიული ფესვები

ექვთიმე თაყაიშვილის საქველმოქმედო ფონდის თაოსნობით გაიმართა წარდგინება ცნობილი ბიზნესმენის, ზაზა სიორიძის წიგნისა „ქველმოქმედება და ქართული მსოფლგაგება“.

ექვთიმე თაყაიშვილის მუზეუმში შეკრებილი საზოგადოება უსმენდა, ფიქრობდა, მსჯელობდა ქველმოქმედების ფორმების შესახებ წარსულში და ახლა. „ქართული ქველმოქმედების ტრადიცია გადარჩება, თუკი საზოგადოება მის გადარჩენას შეეცდება. საჭიროა შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნა, მოქნილი საგადასახადო სისტემის შემოღება, საქველმოქმედო ფონდების წახალისება, ქართული ბიზნესის მიერ ქველმოქმედების ერთ-ერთ მიმართულებად დასახვა და ამ სფეროში ხელისუფლების, საზოგადოებისა და ბიზნესის თანამშრომლობა". – თქვა შეკრებაზე წიგნის ავტორმა.

„ქველმოქმედება და ქართული მსოფლგაგება" არის ქველმოქმედების შესახებ დაწერილი პირველი ქართული მეტ-ნაკლებად სრულყოფილი წიგნი. მასში ასახულია ქველმოქმედებისა და სიკეთისადმი ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწეთა დამოკიდებულება. თავმოყრილია მასალები ქართველ და უცხოელ ქველმოქმედთა შესახებ. წიგნი საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით გამოვიდა და პირველი ტირაჟი უსასყიდლოდ მიიღო მკითხველმა.

შეხვედრას ჟურნალისტი გიორგი გიორგაძე უძღვებოდა: მე თვითმხილველი ვარ იმისა, თუ როგორი სიფაქიზითა და მზრუნველობით იქმნებოდა ეს წიგნი. მასში თავმოყრილია თითქმის ყველაფერი, რაც ჩვენს თანამედროვეებს, ჩვენს წინაპრებს და მსოფლიოს სხვადასხვა დროის, სხვადასხვა ქვეყნის შვილებს აკავშირებთ ქველმოქმედებასთან. სიქველე არის ერთი უპირველესი ნიშანი, რაც მართლმადიდებლურ ერს და საერთოდ, ადამიანთა ბუნებას ახასიათებს, — აღნიშნა ბატონმა გიორგიმ. მისგანვე შევიტყვეთ, რომ ზაზა სიორიძე აპირებს პერიოდული ჟურნალის გამოცემას, რომლის პროფილსაც ქველმოქმედება შეადგენს.

მანანა ბარათაშვილის თქმით, „ეს წიგნი კაცთა მოდგმის საუკეთესო თვისებას, სიკეთეს ეძღვნება. ესაა საფუძვლიანი ისტორია ქველმოქმედებისა საქართველოში – ანტიკური ხანიდან დღემდე. ამიტომ წიგნის დრო და სივრცე მასშტაბურია. ბუნებრივია, რომ გამოტოვებულია ის ავადსახსენებელი 70 წელი, როცა ქველმოქმედება აკრძალული იყო, როგორც მოვლენა არ არსებობდა. თვით სიტყვის არეალიც შეზღუდული გახლდათ, ამიტომაც ეს წიგნი თავისუფალ

საქართველოსთან ასოცირდება. ისტორიული ძაფების განახლებად უნდა მივიჩნიოთ გარდასულ ქველმოქმედთა გვერდით ავტორის მიერ თანამედროვე მეცენატთა დასახელება. წაკითხულ, მოსმენილ და დოკუმენტურ ცნობებზე დაფუძნებული ამბები საყურადღებო და მნიშვნელოვანია, მაგრამ სულ სხვას იწვევს თანამედროვე ქველმოქმედთა ქმედება. ჩვენ ვხედავთ, რომ მათთვის საკუთარი კეთილდღეობა არ არის საკმარისი. მათი ჭეშმარიტი ბედნიერებისათვის წარმატებული სამშობლოა საჭირო. სწორედ ამისთვის ილვწიან ისინი. ამის ბევრი მაგალითი შემოგვთავაზა სარეცენზიო წიგნის ავტორმა. გურამ დოჩანაშვილი ერთგან შენიშნავს, ადამიანი ჩუმ-კარგი უნდა იყოსო. ხმაური და კვეხნა სიკეთეს არ უხდება, თუმცა მემატიანე მასაც უნდა გამოსჩენოდა და გამოუჩნდა კიდეც. ეს წიგნი მომავალ თაობას უამბობს ბევრ საამაყო და მისაბაძ ამბავს."

გივი სიხარულიძემ, ზაზა შენგელიამ, გიორგი გორგოძემ მიულოცეს წიგნის ავტორს და დამსწრე საზოგადოებას იმდღევანდელი წარდგინება. ეს წიგნი, მათი აზრით, უნდა გამოდგეს მაგალითად სხვებისთვის, რათა სხვებსაც აღეძრათ ქველმოქმედების სურვილი. ზაზა სიორიძე არის ადამიანი, რომელსაც სურს, რომ ქველმოქმედთა რიცხვი უსასრულოდ გაიზარდოს, რათა საქართველოში სიკეთემ და ერთმანეთის გატანამ იხაროს. – აღნიშნა გივი სიხარულიძემ და სიამოვნება გამოთქვა იმის გამო, რომ ეს შენობაც, ბატონმა ზაზამ უდიდეს მეცენატს, ექვთიმე თაყაიშვილის ხსოვნას მიუძღვნა.

ბოლოს თვით ავტორმა, ზაზა სიორიძემ გადაუხადა საზოგადოებას მადლობა. მისი თქმით, როცა სხვა პროფესიის ადამიანი წერს ასეთ წიგნს, მას დიდი სიმამაცე სჭირდება, რადგან წიგნის დაწერა უდიდესი პასუხისმგებლობაა. ეს უშიშრობა და გამბედაობა კი იმასაც განუპირობებია, რომ იდეა მოსწონებია უწმინდესსა და უნეტარესს, რომელთანაც საუბრებისა და რომლის რჩევების სასიკეთო გავლენა საგანგებოდ აღნიშნა ავტორმა. რა თქმა უნდა, მარტო ასეთი წიგნის დაწერა გამიჭირდებოდაო, - ბრძანა ბატონმა ზაზამ და განაგრძო: ამიტომ დავიხმარე მეცნიერები, მათ შორის გულთან ახლოს მიიტანა ეს თემა და დიდი ღვაწლი მიუძღვის წიგნის შექმნაში მამა გიორგი ზვიადაძეს.

**აქვე გთავაზობთ მოკლე გასაუბრებას**
**ზაზა სიორიძესთან**

**— ბატონო ზაზა, ჩვენს პრაგმატულ ეპოქაში ბიზნესმენისთვის, საქმის კაცისთვის, წიგნის დასაწერად დროის გამონახვა ან თუნდაც გამოსაცემად სახსრების დახარჯვა ფუფუნება მგონია. ასეთი რამის გაკეთება მხოლოდ განათლებულ, გემოვნებიან, პატრიოტ კაცს შეუძლია. თან წიგნის დაწერას, დროისა და თანხის გარდა, ნიჭი, უნარი სჭირდება, ამიტომ პირველ რიგში მადლობას მოგახსენებთ ამ შესანიშნავი წიგნისთვის. და მაინც, რატომ ჩათვალეთ თქვენს მოვალეობად ამ წიგნის დაწერა? რამ გიბიძგათ ამისკენ?**




— ჩვენ გვინდოდა გვესაუბრა არა რომელიმე ერთ, კონკრეტულ პიროვნებაზე ან ქველმოქმედების ერთ რომელიმე მაგალითზე, არამედ — მთელი ისტორიის გათვალისწინებით განგვეხილა ქველმოქმედების ფორმები, მისი ისტორიული ფესვები და ამოცანები. ზოგი ამბობს, ქველმოქმედებას საქართველოში ტრადიცია არ გააჩნიაო. ჩვენ ვამბობთ, რომ ეს ტრადიცია არსებობს ძველ საქართველოშიც, შუა საუკუნეებშიც... ქველმოქმედნი იყვნენ ჩვენი წმინდა მეფეები: დავითი, თამარი... სხვები. რუსთველმა ჯერ კიდევ როდის თქვა: „მიეც გლახაკთა საჭურჭლე, ათავისუფლე მონები." ქველმოქმედნი იყვნენ ჩვენი დიდი ქართველები: ილია, სულხან-საბა. ქველმოქმედება ჩვენს გულშია, ჩვენს გონებაშია. ჩვენ ამას ხელი არ უნდა გავუშვათ.

**— ქველმოქმედება ყველას შეუძლია?**

— ფული არ ჰქონია ექვთიმე თაყაიშვილს, მაგრამ იყო უდიდესი ქველმოქმედი. თუ ფული არა აქვს ადამიანს, იმის უნარი ხომ აქვს, რომ დაეხმაროს გაჭირვებულს, რომელიც ვერ გადაადგილდება; იმორიგეოს ავადმყოფის პალატაში თუნდაც ერთი ღამე. ქველმოქმედების სხვადასხვა ფორმა არსებობს. ფულიანს სხვა რამის გაკეთება შეუძლია, უფულოსაც შეუძლია სიკეთის კეთება და უნდა აკეთოს. ყველამ ერთად უნდა ვთესოთ სიკეთე. გახსოვთ, რას ეუბნება ჩარლი ჩაპლინი თავის პატარა გოგონას? ყოველთვის ვცდილობდი, ადამიანი ვყოფილიყავი. ეცადე შენცო.

**— ყველა სასიკეთო წამოწყებისა თუ პროექტის დაფინანსება, ცხადია, არც ერთ ბიზნესმენს არ შეუძლია. როგორ არჩევთ, რას შეუწყოთ ხელი – ამისთვის საგანგებო სამსახური არსებობს, ვინმე კონკრეტული მრჩეველი გყავთ თუ დამოუკიდებლად გიწევთ გადაწყვეტა?**

— ქველმოქმედება ჩვენში დღემდე მოუწესრიგებელი ფორმით არსებობს. ვილაცა ახლობელს გამონახავს, დაურეკავს, დახმარებას სთხოვს. ეს არ არის სწორი. ჩემი იდეა, კონცეფცია ისაა, რომ უნდა არსებობდეს სხვადასხვა ფორმის საქველმოქმედო ორგანიზაცია. ეს უნდა იყოს ღია, საჯარო, ყველას მიუწვდებოდეს ხელი. ნებისმიერი მსურველი იქ უნდა რიცხავდეს ფულს. თვითონ ირჩევდეს საქველმოქმედო ორგანიზაციას იმის მიხედვით, რომელი სფეროა მისთვის უფრო მომხიბვლელი, საინტერესო. ეს უფრო სწორია.

**— იზიარებთ თუ არა აზრს იმის შესახებ, რომ ქველმოქმედების გაწევა საზოგადოებისგან დაფარულად სჯობს?**

— აქ აუცილებლად უნდა გავარჩიოთ ერთმანეთისგან ქველმოქმედება, მეცენატობა და სპონსორობა. ქველმოქმედება ფართო ცნებაა, მისი უამრავი ფორმა არსებობს. მეცენატი ძირითადად კულტურის სფეროს აფინანსებს. სპონსორი საკუთარ მიზანს თავის რეკლამას უკავშირებს, — დააფინანსებს კომპანიას, რომელიც შემდეგ მის პიარს ეწევა. ასეთ დროს დამალვა, ჩრდილში დგომა თავიდანვე მცდარია, აზრი არა აქვს. მეცენატობაც დიდად საამაყოა... ასე რომ, ეს სამი რამე განსხვავდება ერთმანეთისგან ფორმითაც და შინაარსითაც.

## სტუმარი და მასპინძელი

უცხოელი სტუმარი საკმაოდ ტანმაღალი, ხმელ-ხმელი კაცი იყო, დაახლოებით ოცდაათი წლისა. დამახასიათებელი სახე მის ებრაულ წარმოშობას მეტყველებდა. ლაპარაკობდა ინგლისურად და გერმანულად, მაგრამ ინგლისური უფრო ეხერხებოდა.

მოსკოველმა მასპინძელმა სტუმარი თავისი თხუთმეტი წლის ვაჟს წარუდგინა და უთხრა, ესაა ახალგაზრდა მეცნიერი და სახელად რობერტი ჰქვიაო. შვილს სთხოვა, იმ დღეებში, როცა სტუმარი შინ დარჩება, შენც ნუ ნახვალ სკოლაში და ეცადე, არ მოიწყინოს, უამბე ყველაფერი, რაც აინტერესებს, ოღონდ შენ არაფერი ჰკითხოო.

სტუმარი ბევრს კითხულობდა და სამუშაოს რომ მორჩებოდა, ინტერესით გამოჰკითხავდა მასპინძლის ვაჟს, რას ასწავლიდნენ სკოლაში, რას გადიოდნენ ფიზიკაში, მათემატიკაში, ქიმიაში. ასე მიილია ორი კვირა და გასრულდა ესე ამბავი.



რობერტ ოპენჰაიმერი

ერთი შეხედვით, ზემოთქმულში არაფერია უჩვეულო და გაუგონარი. ჩვეულებრივი სტუმარ-მასპინძლობაა, მორჩა და გათავდა! მაგრამ ამგვარი შთაბეჭდილება, თვალის დახამხამებაში, გაქარწყლდება, თუკი გავხსნით ფრჩხილებს და გავამხელთ სტუმრისა და მასპინძლის ვინაობას.

სტუმარი გახლდათ ამერიკელი ფიზიკოსი რობერტ ოპენჰაიმერი (1904-1967) — სწორედ ის ოპენჰაიმერი, ცოტა ხნის შემდეგ სათავეში რომ ჩაუდგება ამერიკული ატომური ბომბის შექმნას ანუ „მანჰეტენის პროექტს", რომელიც სასურველი შედეგით დამთავრდა 1945 წლის ზაფხულში.

ხოლო მასპინძელი გახლდათ, არც მეტი და არც ნაკლები, თვით ლავრენტი ბერია (1899-1953), ცოტა ხნის შემდეგ სათავეში რომ ჩაუდგება საბჭოთა ატომური ბომბის შექმნას, რაც მოითხოვდა, ერთი მხრივ, ადგილობრივ ფიზიკოსთა გარჯას და, მეორე მხრივ, ამერიკაში ჩანერგილი მზვერავების მარიფათს. ორივე საქმე ამ ერთ კაცს, კვაჭი კვაჭანტირაძის გამოთქმისა არ იყოს, უნდა გაეიმასქნებინა. როგორც ცნობილია, სასურველი შედეგი მიღწეულ იქნა 1949 წლის ზაფხულში.

მსოფლიო ისტორიაში, ალბათ, ძნელია იპოვო სხვა, ესოდენ კოლორიტული და ცნობისმოყვარეობის აღმძვრელი სტუმარ-მასპინძლობა.

ზემოთ მოთხრობილი ამბავი აღწერილია სერგო ბერიას მემუარულ თხზულებაში. მამას შემდგომში გაუმხელია შვილისათვის, რომ ოპენჰაიმერი ატომური პროექტის რეალიზების ნადილით იყო ჩამოსული წითელ მოსკოვში 1939 წლის დამლევს.

მკითხველმა შესაძლოა დაასკვნას, რომ ამერიკული ატომური ბომბის მამა, როგორც უწოდეს ოპენჰაიმერს, იმავდროულად, კრემლს ემსახურებოდა. მაგრამ...

მაგრამ საქმე ისაა, რომ ამერიკელ მკვლევარებს ნორმან პოლმარს და ტომას ალენს თავიანთ სოლიდურ გამოკვლევაში „შპიონაჟის ენციკლოპედია" (1997 წ.), რობერტ ოპენჰაიმერისათვის ცალკე სტატია არ მიუძღვნიათ — სხვა, აღიარებულ მსტოვართა მსგავსად. მაგრამ...

როგორც ირკვევა, მთელი ინფორმაცია „მანჰეტენის პროექტის" შესახებ თავს იყრიდა გენერალ-ლეიტენანტ პავლე სუდოპლატოვთან. ღვაწლმოსილი ჩეკისტი თავის მემუარებში გვაუწყებს: „ფასდაუდებელი ინფორმაცია ხშირად მოდის წყაროდან, რომელიც არ წარმოადგენს იმ აგენტს, ვისაც თავის თავზე აუღია ფორმალური ვალდებულება დაზვერვასთან თანამშრომლობისა და ამის საზღაურად ფულს უხდიან. ინფორმაციის ეს წყარო ოპერატიულ დოკუმენტებში მაინც განიხილება, როგორც აგენტურა, რამდენადაც მასზე გასვლა ეფუძნება კონტაქტებს აგენტებთან ან სანდო პირებთან მისი ახლო წრეებიდან"

სუდოპლატოვი დაწვრილებით ჩერდება ამ ოპერაციებზე და ამასთან დაკავშირებით მოიხსენიებს არა მარტო „ატომურ ჯაშუშთა" საყოველთაოდ ცნობილ სახელებს, არამედ სახელგანთქმულ მეცნიერებსაც: რობერტ ოპენჰაიმერს, ენრიკო ფერმის, ნილს ბორს...

„შპიონაჟის ენციკლოპედია" სუდოპლატოვს ასე პასუხობს:

„ეს ბრალდებანი შპიონაჟში, უდავოდ, უსაფუძვლოა და ამგვარად აიხსნება: სავსებით შესაძლებელია, რომ კლაუს ფუქსი, ბრუნო პონტეკორვო და სხვა საბჭოთა ჯაშუშები ატომურ პროექტზე მუშაობის პროცესში თავისუფლად იღებდნენ ინფორმაციას ოპენჰაიმერისა და ფერმისგან, მერე კი თავიანთ პატაკებში მიუთითებდნენ მათ, როგორც ინფორმაციის წყაროებს, რამაც ნება მისცა სუდოპლატოვს, ეს გამოჩენილი მეცნიერები ჩაეთვალა თავის დე ფაქტო აგენტებად".

ასე განსჯიან დღეს, მაგრამ გუშინ სხვაგვარი ამინდი იდგა. იმავე „შპიონაჟის ენციკლოპედიაში" აღნიშნულია, რომ ატომური პროექტის უშიშროების უზრუნველყოფა იქცა აშშ სპეცსამსახურთა ერთ-ერთ ყველაზე სავალალო ჩავარდნად. ხოლო მთავარი შეცდომა ის იყო, რომ პროექტის უშიშროების შეფმა, ბრიგადის გენერალმა ლესლი გროუვსმა ატომური ბომბის შექმნაში მონაწილეობის მისაღებად დაუშვა ზოგიერთი მეცნიერი კომუნისტური წარსულითა თუ კავშირებით. და ყველაზე თვალსაჩინო მაგალითად მიიჩნევდნენ სწორედ ოპენჰაიმერს.

1953 წლის დამლევს აშშ პრეზიდენტმა დუაიტ ეიზენჰაუერმა განკარგულება გასცა, რომ ოპენჰაიმერსა და საიდუმლო ცნობებს შორის „ყრუ კედელი" აეგოთ.

მაგრამ საგანგებო კომისიამ ვერ შეძლო იმის დამტკიცება, რომ ოპენჰაიმერი იყო საბჭოთა აგენტი, რასაც ბრალად სდებდნენ.

1963 წელს ოპენჰაიმერს, ატომური ენერგიის დაუფლებისა და გამოყენების საქმეში განსაკუთრებული წვლილისათვის, მიანიჭეს ფერმის სახელობის პრემია, თუმცა ეს არ ყოფილა მისი სრული რეაბილიტაცია.

„შპიონაჟის ენციკლოპედიას" ბოლოში ერთვის გამოყენებული ლიტერატურის საკმაოდ ვრცელი ნუსხა, მაგრამ სერგო ბერიას წიგნი, გამოცემული 1994 წელს მოსკოვში, არსად არაა მითითებული.

## რომზე უფრო მარადიული

თბილისი და ქუთაისი XIX საუკუნეში პარიზს ედრებოდნენ ხოლმე. რომელიმე უცხოელს თუ წამოსცდებოდა, პატარა პარიზიო, ამ თემაზე ლექსებსა და სიმღერებს თხზავდნენ ჩვენში. თავს იწონებდნენ, მთელი მსოფლიოს გასაგონად გაიძახოდნენ: ევროპაში პარიზია და აზიაში — ჩვენი პატარა პარიზიო. განა ბერლინსა თუ ლონდონს უტოლებდნენ თავს, მხოლოდ პარიზობა ეჭაშნიკებოდათ.

ამგვარი გულისწადილი იოლი ასახსნელია, ვინაიდან პარიზი ხომ სატახტო ქალაქია უჭკნობი სილამაზისა, თავბრუდამხვევი სიყვარულისა და ბუნებრივი სილაღისა, მაღალი მოდისა, ყველაზე მოწინავე მხატვრობისა და პოეზიისა, და ვინ იცის, კიდევ რისა — სამკვიდრებელი ყოველივე მშვენიერისა და მომაჯადოებლისა, რაც კი შექმნილა ამქვეყნად უფლისა თუ კაცის ხელით, რაც კი საუცხოოდ ეხმიანება ქართულ სულსა და ოცნებას!

ამიტომაც იყო, რომ ცისფერყანწელთა მანიფესტი სწორედ პარიზის მზეს ფიცულობდა: „საქართველოს შემდეგ უწმინდესი ქვეყანა არის პარიზი. ადიდე ხალხო ეს ჩვენი მრისხანე ქალაქი, სადაც გიჟური გატაცებით ჯამბაზობდნენ ჩვენი ლოთი ძმები — ვერლენი და ბოდლერი, მალარმე, სიტყვების მესაიდუმლე და არტურ რემბო, სიამაყით მთვრალი, დაწყევლილი ჭაბუკი“.

პარიზი ეოცნებებოდათ არა მარტო საქართველოში, არამედ — ყველაზე უბადლო ცივილიზაციის საუფლოშიც, სადაც უკვე არსებობდა ახალი სამყაროს საოცრებანი, შვიდიც და შვიდჯერ შვიდიც.

უილიამ ფოლკნერის რომანში „პალატი“ ამერიკელი ჭაბუკი ჩარლზ მელისონი, მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე, ბიძამ გევინ სტივენსმა საზაფხულო არდადეგებზე ევროპაში გაისტუმრა. რატომ ევროპაში და მაინცდამაინც ახლა რათაო? — ეკითხება ბიძას მოულოდნელი საჩუქრით გაოგნებული ჯეელი. იმიტომა რომაო, გაისად იქ შეიძლება ისეთი ომი გაჩაღდეს, სანახავი აღარაფერი დარჩებაო, — პასუხობს ბიძა, მონაწილე პირველი მსოფლიო ომისა.

ჰოდა, ეს ჩარლზ მელისონი გვიამბობს: ორი უკანასკნელი კვირა არდადეგებისა პარიზში გავატარე, მენადა, რომ ჩემი თვალით მენახა — გაქრა თუ არა ჰემინგუეისა და ფიცჯერალდის პარიზიო (გვარწმუნებს, ეს ერთი და იგივე არ გახლავთ, თუმცა ისინი ერთსა და იმავე დროს, ერთსა და იმავე უბანში ცხოვრობდნენო).

ფოლკნერის რომანის ახალგაზრდა გმირს, ჩანს, ნაკითხული არ ჰქონდა ჰენრი მილერის (1891-1980) „კირჩხიბის ტროპიკი“, რომელიც შეერთებულ შტატებში, მისი უცენზურობის გამო, 1961 წლამდე არ გამოუციათ. ამ რომანის პარიზული გამოცემა (1934 წ.) კი, ეტყობა, ვერ იშოვა. ეგებ არც უცდია. ჰემინგუეი და ფიცჯერალდი — ესენიც ეყოფოდა მეგზურებად.

ჰენრი მილერი მათზე ცოტა მოგვიანებით ბინადრობდა საფრანგეთის დედაქალაქში. თავის წიგნში „ჩემი ცხოვრება და ჩემი ეპოქა“ 1932 წლით დათარიღებულ ჩანაწერში გვამცნობს: „დავეხეტებოდი ქუჩებში და სადაც დამიღამდებოდა, იქ მითენდებოდა. დავიწყე „კირჩხიბის ტროპიკის“ წერა. იმავდროულად ვმუშაობდი კორექტორად „ჩიკაგო ტრიბიუნის“ პარიზულ გამოცემაში. ზამთარში ინგლისურს ვასწავლიდი დიჟონში, კარნოს ლიცეუმში“.

მილერის პარიზი, ალბათ, ვერ დაემსგავსებოდა ჰემინგუეისა და ფიცჯერალდის პარიზს. ხოლო ის, თუ ვინ ვის აჯობა, ვკითხოთ ამერიკელ პროზაიკოსთა მომდევნო თაობის ბაირახტარს ნორმან მეილერს:

„გაოცებით უნდა აღიარო, რომ არც ერთ ფრანგ მწერალს, ყველაზე დიდებულთა ჩათვლით, იქნება ეს რაბლე, პრუსტი, მოპასანი, ჰიუგო, გიუისმანსი, ზოლა, თვით ბალზაკი და სელინიც კი, არც ერთ მათგანს ასე ცოცხლად არ დაუხატავს პარიზი, როგორც ჰენრი მილერს. მილერამდე ვის და როდის აღუწერია უცხო ქვეყანა უკეთესად, ვიდრე იქაურ მწერალს? არავის და არასოდეს!“

ჰენრი მილერს, რასაკვირველია, ეთნოგრაფის კალმით არ აღუწერია პარიზი.

როდესაც გაზაფხული მოდის პარიზში, ყველაზე დამცირებული მოკვდავიც კი ფიქრობს, სამოთხეში ვცხოვრობო, — გვარწმუნებს ამერიკელი მწერალი.

და უაპელაციოდ ბრძანებს: „პარიზი — მარადიული ქალაქია! უფრო მარადიულია, ვიდრე რომი და უფრო დიდებულია, ვიდრე ნინევია“.

როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია...

## ქრონიკა

10 მაისს სამხატვრო აკადემიის დიდ დარბაზში გამოფენა გაიხსნა. სახელი „გამოფენა-ეპატაჟი „კონტრასტი“ უკვე მიანიშნებდა, მხილველი აღმოჩნდებოდით არაჩვეულებრივი სანახაობის.

სამმა ფერმწერმა, შეიძლება ითქვას, თაობიდან სამეულმა — **ეკა გელოვანი, თამარ მინაშვილი, თინჩი რატიანი** — ფერწერული ნიმუშები გამოფინეს საკუთარ ჭერქვეშ კოლეგების, სტუდენტებისა და ხელოვნების მოყვარულთათვის.

რა თქმა უნდა, უცხო და გასაკვირველი ანგარიშგასაწევია, მითუმეტეს სამთაგან ერთის შემოქმედებას თუ იცნობ და ეპატაჟს არც მისი ხასიათიდან და მითუმეტეს, ნამუშევრებიდან არ ელოდები. თამარ მინაშვილის კლასიკური სრულყოფისაკენ მიდრეკილი, ყოფნა-არყოფნის ფილოსოფიით დამაფიქრებელი ფერწერული ტილოები ფერის სიმშვიდითაც გამახსოვრდებათ.

ეკა გელოვანის ნახატების თემატიკა ძიებაა გამუდმებული დიალოგისა საკუთარი თავის წინაშე. მხატვარი შეეცადა, წუთისოფელში ადამიანის სახიფათო მოგზაურობა ეჩვენებინა.

თინჩო რატიანმა ექსტრავაგანტულმა და ხალისიანმა მხატვარმა თავისი ხილული და უხილავი სამყარო ირონიულ-პაროდიულად წარმოაჩინა ნამუშევრებში: „არტ-ძლომა“, „საუზმე — ვანგოგის მზესუმზირები სალათის ფურცლით“, „მაინც რამდენი არტ-კილომეტრია საჭირო გასაფრენად“... დილეტანტმა დამთვალიერებელმა ამ მხატვრის ვერნისაჟი ვარდისფრად კუბოკრულ მუშამბაზე შეიძლება ამდაგვარადაც დაიმახსოვროს: „მისი უდიდებულესობა არტ-მიუწვდომლობა“.

და დამთვალიერებელი იყო მრავალრიცხოვანი; ცხადია, ხმაურიანიც. მოგვიანებით, მაგრამ მაინც, წესისამებრ, ოფიციალურად გაიხსნა გამოფენა.

სამხატვრო აკადემიის რექტორმა **გია ბუღაძემ** სამივე მხატვრის ინდივიდუალობა ექსპრესიულად და შთამბეჭდავად წარმოაჩინა. რა თქმა უნდა, უწყინარი და კეთილი იუმორიც მოიშველია. თინჩო რატიანის მიერ ექსპრომტად წარმოდგენილ პერფომანს მხარიც აუბა.

ავტორებს ეს სამახსოვრო დღე მიულოცეს ფერწერის ფაკულტეტის დეკანმა **დათო ალექსიძემ** და ხატვის მიმართულების ხელმძღვანელმა, პროფესორმა **გოგი ლაზარაშვილმა**, ხოლო III კურსის სტუდენტმა **ლევან გვაზავამ**, რექტორის დაჟინებული შესახელებით, გაუბედაობის ყამირი გატეხა მრავალრიცხოვანი აუდიტორიის წინაშე; შთაბეჭდილებაც გამოხატა და წარმატებაც უსურვა პედაგოგებს.

# ცრემლივით წმინდა, ცრემლივით დიადი

## (ესმა ონიანის შემოქმედებითი საღამო)

5 მაისს **ქართული ლიტერატურის მუზეუმში**, ამ მართლაც სიცოცხლისუნარიან ტრადიციულ კულტურულ კერაზე, გაიმართა საღამო და მიეძღვნა **ესმა ონიანს** – ფერმწერს, პოეტს, მოაზროვნეს, ხელოვნების კრიტიკოსს და ღირსებით შემკულ პიროვნებას.

სამწუხაროდ, როგორც ხდება, თანაც არამხოლოდ ჩვენში, დიდ ადამიანს, ხელოვანს, სიცოცხლის მერე მიაგებენ აღიარებას. ხელმეორედ აღმოჩენა დაიწყება და სინანულთან ერთად, სარწმუნო სიამაყეც გამოსჭვივდება ხოლმე; თუნდაც ამდაგვარი: „დაბადებული იყო დედოფლად და იქცეოდა როგორც დედოფალი...“

ღონისძიების დაწყებამდე: დარბაზი – გადავსებული და ხმაურიანი, რადგან თბილისელებს ერთმანეთის დანახვა თამამი პათეტიკით მომეტებულად უყვართ თავშეყრისას. სცენა – უცვლელად მოკრძალებული დეკორაციებით. ოდნავ სიღრმიდან ჩარდახივით გადმოდგმული აივანი მოჩანს. აი აქ, დროდადრო, ყოველნაირი თვალისმომჭრელობის გარეშე სახასიათო სპექტაკლებს წარმოადგენენ და გაისმის მშობლიური სიტყვა.

იმ საღამოს შთაბეჭდილებით რომ შემოვიფარგლოთ: მშობლიური სიტყვის ჭეშმარიტება და ფერადოვნება გაცხადდა ესმა ონიანისადმი მიძღვნილ ლიტერატურულ კომპოზიციაში, რომელსაც ღონისძიების პირველი ნაწილი დაეთმო. თითქმის ერთი საათის განმავლობაში სცენაზე იდგა **ხარაგაულის რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო თეატრის** რეჟისორი, სცენარისტი და მსახიობი **იზა ვეფხვაძე**. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, მსმენელის სიმპათია და აბსოლუტური ყურადღება მოიპოვა მან პროფესიული ოსტატობითა და გულითადობის სისადავით.

მისივე ავტორობით შემოფარგლული კომპოზიცია იკრებდა ამონარიდებს ცნობილ მწერალთა და ხელოვანთა ესთეტიკური ნააზრევიდან. კერძოდ **მაკა ჯოხაძის, თემო გოცაძის, რევაზ თვარაძის, ნოდარ ნათაძის, გიორგი ხოშტარიას, ზაურ კალანდიას** წერილებიდან და ესეებიდან, აგრეთვე გახმიანდა **ემზარ კვიტაიშვილისა** და **გენო კალანდიას** ლექსები. ესმა ონიანის მდიდრული პოეზიით კი პოეტის ხილული და უხილავი სამყარო წარმოჩინდა.

ეს გახლდათ მართლაც წარმატებული წარმოდგენა ერთი მსახიობის თეატრისა.

ღონისძიების მეორე ნაწილი კვლავ პოეზიით დაიწყო. ახალგაზრდა ხელოვანთა სახელით ესმა ონიანის ლექსები წაიკითხეს **გვანცა ჯობავამ** და **ნატა ვარადამ;** ხოლო **ლილი მასხარაშვილმა** მის მიერ რუსულად თარგმნილი პოეტური ნიმუშები გააცნო აუდიტორიას.

სიტყვითა და მოგონებით გამოვიდნენ: ხელოვნებათმცოდნე **კიტი მაჩაბელი,** მწერლები **გივი შაჰნაზარი** და **ერეკლე საღლიანი.** მათ შთამბეჭდავად ისაუბრეს ესმა ონიანზე, როგორც სანიმუშო პიროვნებასა და მაღალი რანგის ოსტატზე. შეეცადნენ გასაღები მოერგოთ მისი მდიდარი შემოქმედებითი მემკვიდრეობისათვის. აღინიშნა, რომ ხელოვანის ფერწერაში იკითხება პოეზია და პოეზიაში ჩანს ფერმწერი – ფერადოვანი სიტყვების ფოიერვერკით. აგრეთვე ითქვა: ესმა ონიანი არ ყოფილა მასების პოეტი და სიბრძნისეული ხილვებით უფრო ადრეულ გალაკტიონსა და ანა კალანდაძეს ენათესავება.

ქალთა საბჭოს სახელით, რომლის თაოსნობითაც გაიმართა საღამო, სიტყვა წარმოთქვა პროფესორმა **მზექალა შანიძემ.**



ესმა ონიანი

ნათელ და ლაკონიურ სიტყვაში ხაზგასმით ისაუბრა მოღვაწესა და მოღვაწეობაზე; რომ შინაარსობრივად ეს დიდი სიტყვაა და ადვილად არ უნდა იხმარონ. მიაკუთვნონ მხოლოდ იმათ, მნიშვნელოვანი საქმეები ვისაც გაუკეთებია, ჯერ საკუთარი ქვეყნისთვის და მერე სხვებისთვის. რომ მსოფლიო მოქალაქეობა არც ისე საშიშია, თუკი სამყაროს გულში ჩანვდები საკუთარი კარ-მიდამოდან და სამშობლოდან... ესმა ონიანმა თავისი ხელოვნებით ეს შეძლო.

ქალბატონმა პროფესორმა, საბჭოს სახელით, სიგელები უსახსოვრა ღონისძიების ორგანიზატორებსა და მონაწილეებს.

დასასრულ, ტრადიციული სამადლობელი სიტყვა წარმოთქვა ხელოვანის დამ **ირინა ონიანმა.** ვისი თავდადება და გაულეველი ზრუნვა ესმა ონიანის სულიერ ფასეულობათა წარმოჩენაში სანიმუშოა და გასაკვირველიც კი ჩვენს დროში. ამიტომ განვრცობილად და ჯეროვნად სჭირდება სხვა დროის დათმობა და, ცხადია, ეს დასასრული ვერანაირად დაიტევს. მის ამაგს სხვანაირად შეეფერება შეფასება.

**ნინო დეკანოიძე**

ხ 155/18



ესმა ონიანი — გურამ რჩეულიშვილის პორტრეტი

ISSN 1987-77